



მანია ოთიაშვილი ირინა მიქაძე



მუსიკა

მასწავლებლის წიგნი

წყაროსთვალი



ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაქართველო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების

განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების

ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

მანია ოთიაშვილი ირინე მიქაძე

მუსიკა

მასწავლებლის წიგნი

VII კლასი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს

წყაროსთვალი
2019

ავტორები
მაია ოთიაშვილი
ირინე მიქაძე

ეთნომუსიკოსი
მარინა ხუხუნაიშვილი

მთავარი რედაქტორი
ირინე მიქაძე

მხატვარი
თინათინ მღებრიშვილი

ყდის დიზაინი:
ია გაბუნია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
რატი თორდია
თამარ ქიტუაშვილი
ლადო ჩაჩუა

აუდიო და ვიდეომასალით, ფონოგრამებითა
და მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა
LMMS-ით უზრუნველყოფა:
მიხეილ ვანაძე


„წყაროსთვალი“

მის: თბილისი, გარე-კახეთის ქ. 4
ტელ: 274 63 69; 227 30 73
599 76 10 39; 599 30 16 84
ვებ-გვერდი: www.tskarostvali.ge
ელ-ფოსტა: tskarostvali@gmail.com

© „წყაროსთვალი“ 2019
© მაია ოთიაშვილი
© ირინე მიქაძე

ISBN 978-9941-9215-1-3

Maia Otiashvili
Irine Miqadze
MUSIC
2019 © “Tskarostvali”



სარჩევი

შესავალი	5
მუსიკის სტანდარტი	6
მუსიკის წლიური პროგრამა	14
სტრატეგია და ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები	19
თემატური ბლოკების ზოგადი აღწერა	21
შეფასება და შეფასების რუბრიკები	23
შინაარსისა და მიზნების რუკა	26
მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში. თემა: ბუნება და ტექნიკა მუსიკაში	29
რატომ უნდა ვისწავლოთ მუსიკა	30
მექანიკური და ბუნებრივი ხმა-ბგერები - 1	31
მუსიკის წარმოშობა	33
ხმა-ბგერები	35
გამოქვაბულის მუსიკა	38
ქართული ხალხური მუსიკა	41
ცნობები ქართული ხალხური მუსიკის შესახებ	42
ხევსურეთი	44
ფშავი	47
თანამედროვე ქალაქის მუსიკა	52
ბუნებრივი და მექანიკური ხმა-ბგერები - 2	57
მოუსმინე და განასხვავე ხმა-ბგერები	64
ჰაიდნის მექანიკური საკრავები	66
ბეთჰოვენის მეტრონომი	67
მუსიკალური ზარდახშა	68
მექანიკური საკრავები	69
მექანიკური თოჯინები	71
მუსიკალური რიტმი, მელოდია, ტემპი	73
მუსიკალური რიტმი, მელოდია, ჰარმონია	79
მუსიკალური რიტმი, მელოდია, ტემბრი	81
ბუნებრივი და მექანიკური ხმების შედარება (შემაჯამებელი)	89
ბუნებრივი და მექანიკური სანწყისები მუსიკაში (შემაჯამებელი)	90
ქორეოგრაფია და მუსიკა	91
კინო და მუსიკა	92
თუშეთი	97
ხევი. მთიულეთ-გუდამაყარი (შემაჯამებელი)	99
ელექტრონული მუსიკა. აკუსტიკური და სინთეზური ხმები - 1	105
აკუსტიკური და სინთეზური ხმები - 2	109
სტუდიური და საკონცერტო მუსიკა	110
აკადემიური და პოპულარული ელექტრონული მუსიკა	112
შტოქჰაუზენის ელექტრომუსიკა (შემაჯამებელი)	114
ისაო ტომიტას ელექტრონული მუსიკა (შემაჯამებელი)	116
იანის ქსენაკისის მუსიკალური გრაფიკა	117
მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში. თემა: ძველი და ახალი მუსიკაში	118
პითაგორა	118
შუმერული არფა	120
ვერდი და ეგვიპტური საყვირები	121
მუსიკალური გამოფენა - ეგვიპტური საკრავები	122
იერიქონის საყვირი	124
ნაბუქო	125
ძველი და ახალი მუსიკის ინტონაციები - 1	132
ძველი და ახალი მუსიკის ინტონაციები - 2	136
ძველი და ახალი მუსიკის ინტონაციები - 3	138
Dies irae	140
Dies irae და კინომუსიკა	142

„ვალტორნების ოქროს სვლა“	143
ინტონაციური ფორმულები კინომუსიკაში (შემაჯამებელი)	145
ინტონაციური ფორმულა - B.A.C.H.	146
ხორუმი	147
Piano Roll - ინტერვალები	151
მსგავსება გამოსახულებასა და მუსიკას შორის	154
თემა: ძველი და ახალი ოპერა. რენიტატივი და არია	157
საოპერო ფორმები	159
ოპერა და მიუზიკლი	167
სამი არია (შემაჯამებელი)	169
თემა: კლასიკური ინტონაციები პოპმუსიკაში	176
კლასიკური ინტონაცია პოპმუსიკაში – ციტირება	176
ინდური მუსიკა და „ბითლზი“	179
კლასიკური მუსიკის გავლენა პოპმუსიკაზე (შემაჯამებელი)	180
მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში. სიყვარული და სიძულვილი მუსიკაში	182
ლირიკული სახეები მუსიკაში – 1	183
ლირიკული სახეები მუსიკაში – 2	185
„ლეგენდა პიანისტზე“	188
ლირიკული სახეები მუსიკაში – 3	189
თემა: სიძულვილის ინტონაციები მუსიკაში	199
„რომეო და ჯულიეტა“ (შემაჯამებელი)	202
Nessun dorma!	203
კალაფის არია	205
სიმფონიზმი. „ფანტასტიკური სიმფონია“	206
სავარჯიშოები რიტმული მოთელვისათვის	217
დამატებითი რიტმული სავარჯიშოები	220
შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები	223
ელექტრონული რესურსების სია	226
მუსიკალური ლექსიკონი	227
რეცენზიები რუბრიკისათვის „გაიმღერე და შეიყვარე ოპერა“	232

შესავალი

VII კლასის მუსიკის სახელმძღვანელო შედგენილია მუსიკის ახალი სტანდარტის მიხედვით, რომელიც მრავალფეროვან თემებზეა დაფუძნებული. სახელმძღვანელო მოიცავს სამ ძირითად თემატურ ბლოკს: I – მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში; II – მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში; III – მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში.

თითოეული ბლოკი მოიცავს სამ ქვეთავს და წარმოდგენილია შემდეგი თემატიკით:

I ბლოკის თემაა „ბუნება და ტექნიკა მუსიკაში“:

1. მექანიკური ხმები;
2. ბუნებრივი ხმები;
3. ელექტრომუსიკა.

II ბლოკის თემაა „ძველი და ახალი მუსიკაში“:

1. ინტონაციური ფორმულები სხვადასხვა ეპოქის მუსიკაში;
- 2, ძველი და ახალი ოპერა;
3. კლასიკური მუსიკა პოპმუსიკაში.

III ბლოკის თემაა „სიყვარული და სიძულვილი მუსიკაში“:

1. ლირიკული სახეები;
2. სიძულვილის თემა;
3. სიმფონიზმი.

თემები წარმოდგენილია მრავალფეროვანი შემეცნებითი და სახალისო აქტივობებით; ბავშვები უსმენენ, გაიმეორებენ, ამოიცნობენ, შეადარებენ, ისაუბრებენ მუსიკის ხასიათსა და განწყობაზე, გამოსახვის ხერხებსა და საშუალებებზე (რიტმი, მეტრი, მელოდია, ტემპრი, დინამიკა, ჰარმონია), ფორმასა და ჟანრზე, რაც ეხმარება მათ, უკეთ ჩაწვდნენ მუსიკის შინაარსს და შეძლონ, დამოუკიდებლად იმსჯელონ მასზე, შეიმუშაონ მკვიდრი წარმოდგენები. ამისათვის, გთავაზობთ მრავალფეროვან მუსიკალურ მასალას, როგორც კლასიკურ-აკადემიური, ასევე, პოპულარული მუსიკიდან. მუსიკალური ნაწარმოებები წარმოდგენილია როგორც აუდიო, ასევე ვიდეოფრაგმენტების სახით. ინტონაციების რიგი აჟღერებულია LMMS პროგრამაში. ბავშვებმა ამ პროგრამაში უნდა შექმნან სხვადასხვა კომპოზიციები. ამასთან ერთად, ბავშვები გაეცნობიან უძველესი ეპოქის მუსიკალურ სამყაროს, რაც გააძლიერებს მოსწავლეთა წარმოსახვის უნარს, ფანტაზიას, ცნობისმოყვარეობას, განავითარებს ასოციაციურ და კოგნიტურ უნარებს, ხელს შეუწყობს არასტერეოტიპული აზროვნების განვითარებას. ამ საკითხებთან დაკავშირებით, მასწავლებლის წიგნში მოცემული დიდძალი დამატებითი საინფორმაციო მასალა პედაგოგს საშუალებას მისცემს, ჩაატაროს მრავალფეროვანი შემოქმედებითი გაკვეთილები, საკუთარი ინტერპრეტაციით წარმართოს სასწავლო პროცესი.

განვაგრძობთ ქართული ხალხური მუსიკის შესწავლას. ამჯერად, თანმიმდევრობით მოვივლით საქართველოს ყველა კუთხეს. VII კლასში გავეცნობით აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებს, მოვისმენთ საკრავზე დასაკრავებს, ვისწავლით სიმღერებს. გარდა ამისა, შევისწავლით XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების სიმღერებს.

VII კლასში შემოგვაქვს ახალი რუბრიკები: „სოლფეჯიო“, „გაიმღერე და შეიყვარე ოპერა“, „მუსიკალური გამოფენა“.

სახელმძღვანელოში მოცემულია სხვადასხვა ცნებისა და ტერმინის განმარტებები.

სახელმძღვანელოს თან ერთვის LMMS პროგრამის მოხმარების ინსტრუქცია და მუსიკალური ლექსიკონი. აუდიო და ვიდეომასალა განთავსებულია გამომცემლობის ვებ-გვერდზე.

მუსიკა

საბაზო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

მუსიკის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საგან „მუსიკის“ ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის მუსიკას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას; გაეცნობა, თუ როგორ შეიძლება გადმოიცეს სამყაროს აღქმა, ადამიანის ცხოვრება, მისი შინაგანი მდგომარეობა, ასევე სოციალური და ეპოქალური ცვლილებები მუსიკალური გამომსახველობითი ხერხებით. მოსწავლეები გააცნობიერებენ სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რომლებიც შეუძლიათ შემოქმედებითად ასახონ ნამუშევრებში.

მოსწავლე გაეცნობა ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას; მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს; გამოიკვლევს მათ როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მუსიკის სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს დაეხმაროს პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუსიკის როლის გააზრებასა და საკუთარი ესთეტიკური შეხედულებების ფორმირებაში;
- მოსწავლეს დაეხმაროს მუსიკალური ენის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებაში;
- მოსწავლეს შესძინოს მუზიციერებისა და დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს მუსიკის ფარგლებში საბაზო საფეხურის ბოლოს.

ეს შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

- **შემოქმედებითობა და პრაქტიკა** - გულისხმობს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას. მუსიკის საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.
- **მუსიკის აღქმა კონტექსტში** - გულისხმობს სხვადასხვა ეპოქის, ჟანრისა და სტილის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშების, ავტორისეული ჩანაფიქრის ანალიზსა და შეფასებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემატური ბლოკების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემატური ბლოკების** სახითაა წარმოდგენილი.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.: **მუს.საბ.1.:**

„**მუს.**“ - მიუთითებს მუსიკის საგანს;

„**საბ.**“ - მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსი	1. მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	მელოდია
მუს.საბ.1.	სხვადასხვა რიტმული, ინტონაციური ფორმულებისა და სხვა მუსიკალური ელემენტების გამოყენება იმპროვიზაციის დროს;	რიტმი და მეტრი
მუს.საბ.2.	მარტივი მუსიკალური ფორმებით, საკუთარი ან სხვისი მუსიკალური მასალით მხატვრული იდეის გადმოცემა;	ჰარმონია
მუს.საბ.3.	სხვადასხვა სიმბოლოს გამოყენებით კომპოზიციების ჩაწერა.	ჟანრი
	2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში	ფორმა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მუს.საბ.4	ნაწარმოების მომენტისას მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მხატვრული სახის შექმნაში მათი როლის განსაზღვრა;	
მუს.საბ.5.	აკადემიური და ხალხური მუსიკის ნიმუშებში მხატვრული კონცეფციის განსაზღვრა.	

სტანდარტის შინაარსი მოიცავს ცნებებსა და თემატურ ბლოკებს.

ეს კონტექსტები **სავალდებულო თემატური ბლოკების** სახითაა წარმოდგენილი.

ცნებები

საგნის სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:

1. მელოდია

ინტონაციური ფორმულა, მოტივი, მუსიკალური თემა;

2. რიტმი და მეტრი

რიტმული ნახაზი, ზომა;

3. ჰარმონია

ინტერვალი, აკორდი, ჰარმონიული ფორმულები, ტონალობა, კილო, კონსონანსი, დისონანსი;

4. ჟანრი

სიმღერა, რომანსი, სონატა, სიმფონია, ოპერა, ბალეტი, მიუზიკლი; კამერული მუსიკა, ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკა, ჯაზი, როკმუსიკა;

5. ფორმა

იმპროვიზაცია, მუსიკალური კომპოზიცია, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური ციტატა, მცირე ფორმები, რონდო, ვარიაციები, კუპლეტური ფორმა.

სავალდებულო თემატური ბლოკები

თემატური ბლოკი: მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

სარეკომენდაციო თემები: ბუნება და ტექნიკა, ხილული და უხილავი, მითი და რეალობა მუსიკაში;

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

სარეკომენდაციო თემები: ძველი და ახალი მუსიკაში, თაობები მუსიკაში, პირადული და საზოგადოებრივი მუსიკაში;

თემატური ბლოკი: მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

სარეკომენდაციო თემები: სიყვარული და სიძულვილი, მარტოობა და ერთობა, გმირი და ანტიგმირი მუსიკაში.

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ მუსიკალური მეშვეობით?
- როგორ გვეხმარება მუსიკა საკუთარი განცდისა თუ საზოგადოებაში არსებული განწყობის გადმოცემაში? როგორ გადმოვცე საკუთარი ემოციები და შთაბეჭდილებები მუსიკის საშუალებით?
- როგორ ზემოქმედებს მუსიკა ადამიანზე და საზოგადოების ცხოვრებაზე?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

კრიტიკული აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის მიცემა; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად(მაგ., ლიდერის); • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმდებლობა; • საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციომოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიმძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო	<ul style="list-style-type: none"> • აუდიოფაილების დამუშავება; • მუსიკალური კოლაჟების შექმნა; • ტრეკერების შექმნა;

ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ლუპების, სემპლების შექმნა. • საკუთარი ნამუშევარის ინტერნეტში ატვირთვა (მაგ.: Sound Cloud); • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად
წიგნიერება	<ul style="list-style-type: none"> • ზეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისი).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემა -</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები -</p> <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები -</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none">• მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;• სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;• თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
<p>აქტივობები</p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.</p> <p>კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი</p> <p>კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.</p>
<p>შეფასების ინდიკატორები -</p> <p>შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.</p>
<p>მკვიდრი წარმოდგენები -</p> <p>მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.</p>

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები, გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს **იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის**, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა.
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა.
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.
ნაბიჯი 4. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა.
ნაბიჯი 5. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად გაიაზრებს აქტივობის მიზანსა და ამ მიზნის წარმატებით მიღწევის კრიტერიუმებს (მოსწავლისათვის განკუთვნილი კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და შეზღუდული რაოდენობის უნდა იყოს), იგი უკეთ დაინახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად და უფრო გააზრებულად წარმართავს

მიზნისაკენ მიმავალ პროცესებს. თუ აქტივობის დასრულებისას მას ვთხოვთ, გააანალიზოს განვლილი გზა - რა ნაბიჯები გადადგა, რა შედეგს მიაღწია, რა მიდგომა გამოიყენა, კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა ან აჯობებდა, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან ვერ გადაჭრა და რატომ, რა გაუადვილდა, რამ შეუწყო ხელი წარმატებაში და სხვ., ეს ხელს შეუწყობს მისი სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბაღე გამოიყენება.

მოსწავლეს, თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ, ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. მასასადამე, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/ დავალებებს შეარჩევს.

- შემეცნებითი ხასიათის კონკრეტული მუსიკალური საკითხის გამოკვლევა (მაგ., „რა გავლენა მოახდინა ინდურმა მუსიკამ როკ-მუსიკაზე?“, რა საერთო აქვთ აკადემიური და პოპულარული მუსიკის გამომსახველ ხერხებს?“) და ძიების შედეგების წარმოდგენა სასურველი ფორმატით (მაგ., ლექცია-კონცერტი; ვიდეორგოლი, მუსიკალური წარმოდგენა);
- მოსწავლისთვის საყვარელი მუსიკალური ნაწარმოების ან მისთვის რომელიმე საინტერესო მუსიკალური მიმდინარეობის წარმოდგენა მოცემული თემის კონკრეტული საკითხის გაშუქების მიზნით (პრეზენტაცია, მუსიკალური კოლაჟი);
- საკუთარი კომპოზიციის შექმნა კონკრეტული მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენებით (მაგ., ცვალებად რიტმზე აგებული კომპოზიცია, რაიმე უკვე არსებულ მუსიკალური თემაზე აგებული კომპოზიცია, კონკრეტულ ჰარმონიულ ფორმულაზე აგებული კომპოზიცია; კომპოზიცია სხვადასხვა ეპოქისთვის დამახასიათებელი ინტონაციური ფორმულების გამოყენებით);
- უცნობი მუსიკალური ნაწარმოების ირგვლივ დისკუსია თემის გარკვეული საკითხის ჭრილში (დისკუსიისთვის წინასწარი კითხვარის/საკითხების ჩამოწერა);
- ლიტერატურული წარმოდგენის მუსიკალური გაფორმება.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა;
- რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი		
მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

მუსიკა

საბაზო საფეხური

წლიური პროგრამა

საბაზო საფეხურის მუსიკის პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა და აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების შესაძლო გზებს. პროგრამა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

<p>სასწავლო თემა -</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები -</p> <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები -</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

<p>აქტივობები</p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/წინაპირობების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.</p> <p>კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი</p> <p>კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.</p>
<p>შეფასების ინდიკატორები -</p> <p>შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.</p>

<p>მკვიდრი წარმოდგენები -</p> <p>მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.</p>
--

თემატური ბლოკი: მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

სარეკომენდაციო თემები

VII კლასი: ბუნება და ტექნიკა მუსიკაში

VIII კლასი: ხილული და უხილავი მუსიკაში

IX კლასი: მითი და რეალობა მუსიკაში

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

სარეკომენდაციო თემები

VII კლასი: ძველი და ახალი მუსიკაში

VIII კლასი: თაობები და მუსიკა

IX კლასი: პირადული და საზოგადოებრივი მუსიკაში

თემატური ბლოკი: მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

სარეკომენდაციო თემები

VII კლასი: სიყვარული და სიძულვილი მუსიკაში

VIII კლასი: მარტოობა და ერთობა მუსიკაში

IX კლასი: გმირი და ანტიგმირი მუსიკაში

სარეკომენდაციო თემები	საათების სავარაუდო რ-ბა	სარეზერვო დრო
VII კლასი		
ბუნება და ტექნიკა მუსიკაში	18 საათი	4 საათი
ძველი და ახალი მუსიკაში	20 საათი	4 საათი
სიყვარული და სიძულვილი მუსიკაში	20 საათი	4 საათი
VIII კლასი		
ხილული და უხილავი მუსიკაში	12 საათი	3 საათი
თაობები და მუსიკა	15 საათი	5 საათი
მარტოობა და ერთობა მუსიკაში	15 საათი	5 საათი
IX კლასი		
მითი და რეალობა მუსიკაში	12 საათი	3 საათი
პირადული და საზოგადოებრივი მუსიკაში	12 საათი	4 საათი
გმირი და ანტიგმირი მუსიკაში	15 საათი	4 საათი

VII კლასი

თემატური ბლოკი: მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

თემა: ბუნება და ტექნიკა მუსიკაში	საათების სავარაუდო რაოდენობა - 18 სთ (+ 4)
ცნებები:	
მელოდია, რიტმი და მეტრი, ჰარმონია, ჟანრი, ფორმა	
საკვანძო შევითხვები	
<ul style="list-style-type: none"> როგორ გადმოსცემენ კომპოზიტორები ბუნებრივ და მექანიკურ სამყაროს მუსიკის საშუალებით? როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა ბუნებრივი ან მექანიკური სამყაროს გადმოსაცემად? რა ჟღერადობა გამოვიყენო ბუნებრივი ან მექანიკური სამყაროს გადმოსაცემად? 	
აქტივობები	
იდევნი კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის	
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
<ul style="list-style-type: none"> მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა, როგორ ახერხებს კომპოზიტორი ბუნებრივი და მექანიკური სამყაროს გადმოცემას (მუს.საბ.4,5); სათანადო რიტმის, ჰარმონიის და ფორმის გამოყენებით ბუნებრივი თუ მექანიკური სამყაროს შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა; მიზნის შესაბამისად საკუთარი კომპოზიციისთვის ფორმის/ჟანრის განსაზღვრა (მუს.საბ.1,2,3). 	

მკვიდრი წარმოდგენები

- მუსიკის საშუალებით ბუნებრივი და მექანიკური სამყაროს გადმოცემა შეიძლება;
- მექანიკური და ბუნებრივი სამყაროს ამოცნობა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხების მიხედვით შეიძლება;
- მექანიკური და ბუნებრივი სამყაროს გადმოცემ მუსიკას სხვადასხვა ემოციური განწყობის გამოწვევა შეუძლია;
- მექანიკური სამყაროს გადმოსაცემად იგონებდნენ და მუსიკალურ ნაწარმოებებში იყენებდნენ ახალ ინსტრუმენტებს („მარტენის ტალღები“, ელექტრო-ორგანი, სინთეზატორი და სხვ.).

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

თემა: ძველი და ახალი მუსიკაში	საათების სავარაუდო რაოდენობა - 20 სთ (+ 4)
ცნებები: მელოდია, რიტმი და მეტრი, ჰარმონია, ჟანრი, ფორმა	
საკვანძო შეკითხვები <ul style="list-style-type: none"> • როგორ ამოვიცნოთ ძველი და ახალი დროის ნიშნები მუსიკაში? • როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა ძველი ან ახალი დროისთვის დამახასიათებელი მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად? • როგორ მივადწიო ძველი ან ახალი დროის მუსიკისთვის დამახასიათებელ ჟღერადობას? 	
აქტივობები იდებები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის	
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> • მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა, ახალ თუ ძველ დროს მიეკუთვნება ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი (მუს.საბ.4,5); • სათანადო რიტმის, ჰარმონიის და ფორმის გამოყენებით ძველი ან ახალი დროისთვის დამახასიათებელი მუსიკალური კოლაჟების შექმნა (მუს.საბ.1,2,3). 	
მკვიდრი წარმოდგენები <ul style="list-style-type: none"> • მუსიკაში ძველი და ახალი დროის ნიშნების ამოცნობა შეიძლება; • ძველი და ახალი დროის ნიშნების ამოცნობა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხებით შეიძლება; • ძველი და ახალი დროის მუსიკას სხვადასხვა დროს შექმნილი მუსიკალური ინსტრუმენტებით ასრულებენ (კლავესინი, ლირა, ელექტროგიტარა, სინთეზატორი და სხვ.). 	

თემატური ბლოკი: მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

<p>თემა: სიყვარული და სიმულვილი მუსიკაში</p>	<p>საათების სავარაუდო რაოდენობა - 20 სთ (+ 4)</p>
<p>ცნებები:</p> <p>მელოდია, რიტმი და მეტრი, ჰარმონია, ჟანრი, ფორმა</p>	
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ გადმოსცემენ კომპოზიტორები სიყვარულს ან სიმულვილს მუსიკის საშუალებით? როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა სიყვარულის ან სიმულვილის გადმოსაცემად? 	
<p>აქტივობები</p> <p>იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს კომპოზიტორი სიყვარულის თუ სიმულვილის გადმოცემას (მუს.საბ.4); სათანადო რიტმის, ჰარმონიის და ფორმის გამოყენებით სიყვარულისა და სიმულვილის შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა (მუს.საბ.1,2,3); მუსიკალური ხერხებით გადმოცემულ სიყვარულსა და სიმულვილს შორის კონფლიქტის გაანალიზება შეთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტზე დაყრდნობით (მუს.საბ.5). 	
<p>მკვიდრი წარმოდგენები</p> <ul style="list-style-type: none"> მუსიკის საშუალებით სიყვარულის და სიმულვილის გადმოცემა შეიძლება; სიყვარულის და სიმულვილის გადმოცემა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხებით შეიძლება; სიყვარულის და სიმულვილის დაპირისპირების თემა მსხვილი ფორმის მრავალ მუსიკალურ ნაწარმოებს დაედო საფუძვლად. 	

სტრატეგია და ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები

სახელმძღვანელოს სტრატეგია და ზოგადი მეთოდოლოგია.

სახელმძღვანელო ეფუძნება მეშვიდე კლასის მუსიკის სტანდარტს. სტანდარტის შედეგები ორ მიმართულებად ფგუფდება: **შემოქმედებითობა და პრაქტიკა** და **მუსიკის აღქმა კონტექსტში**. სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი წარმოდგენილია **სავალდებულო ცნებებისა და თემატური ბლოკების სახით**.

სავალდებულო თემატური ბლოკებია:

I მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში.

სარეკომენდაციო თემა: „**ბუნება და ტექნიკა**“.

ქვეთემები: **1. მექანიკური ხმები; 2. ბუნებრივი ხმები; 3. ელექტრონული მუსიკა.**

II მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

სარეკომენდაციო თემა: **ძველი და ახალი მუსიკაში.**

ქვეთემები: **1. ინტონაციური ფორმულები; 2. საოპერო ფორმები: რეჩიტატივი და არია. 3. კლასიკური ინტონაცია პოპმუსიკაში.**

III მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში.

სარეკომენდაციო თემა: **1. სიყვარული და სიძულვილი.**

ქვეთემები: **1. ლირიკული სახეები მუსიკაში; 2. სიძულვილი მუსიკაში; 3. სიმფონიზმი.**

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებებია:

მელოდია

ინტონაციური ფორმულა, მოტივი, მუსიკალური თემა;

რიტმი და მეტრი

რიტმული ნახაზი, ზომა;

ჰარმონია

ინტერვალი, აკორდი, ჰარმონიული ფორმულები, ტონალობა, კილო, კონსონანსი, დისონანსი;

ჟანრი

სიმღერა, რომანსი, სონატა, სიმფონია, ოპერა, ბალეტი, მიუზიკლი; კამერული მუსიკა, ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკა; ჯაზი, როკმუსიკა;

ფორმა

იმპროვიზაცია, მუსიკალური კომპოზიცია, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური ციტატა.

სახელმძღვანელოს თითოეულ თემატურ ბლოკს თან ახლავს **თემატური საკვანძო შეკითხვები**, მოსწავლის **მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების ინდიკატორები**, რაც ცხრილის სახით არის მოცემული ყოველი თემატური ბლოკის დასაწყისში და შესასწავლი საკითხების აღქმასა და სწავლა-სწავლების პროცესს ამარტივებს. განვმარტოთ თითოეული მათგანი:

თემატური საკვანძო შეკითხვები. თემატური საკვანძო შეკითხვები დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;

- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

მკვიდრი წარმოდგენები – მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

შეფასების ინდიკატორები – შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტიკული შეფასების რუბრიკებისთვის.

სახელმძღვანელო აგებულია თემატურ ბლოკებსა და მასში შემავალ თემებთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან **აქტივობებზე**, რომლების სწავლა-სწავლების **ინტეგრირებულ** მეთოდებს ემყარება. სახელმძღვანელოში გამოყენებული მეთოდიკა ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას) და **მეტაკოგნიციის უნარების** განვითარებას (**წინმსწრები მეტაკოგნიტიური პაუზა**, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე და შემდგომი **მეტაკოგნიტიური პაუზა**, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე).

სახელმძღვანელოში მოცემული მრავალრიცხოვანი აქტივობები სწორედ ამ უნარების განვითარებას ემსახურება. მაგალითად, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზისთვის გამოიყოფა ორი ეტაპი:

1. იფიქრე, რასთან არის დაკავშირებული მხატვრული სახე და მუსიკალური ინტონაცია.
2. შეეცადე გაიგო, როგორ მონაწილეობენ მუსიკალური მეტყველების სხვადასხვა ელემენტი მუსიკალური სახის (ხატების) შექმნაში.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსწავლეთა **წარმოსახვითი და ასოციაციური უნარების** განვითარებას. მაგალითად, აქტივობები: მოუსმინე ნაწარმოებს, ამოიცანი მექანიკური და ბუნებრივი ხმები, მოისმინე სხვადასხვა ხმა-ბგერა, ამოიცანი და ისაუბრე მათ ხასიათზე, განწყობაზე, მიუსადაგე შესაბამისი განმარტებები და ა.შ.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში სხვადასხვა აქტივობის შესრულება საკუთარი ხედვის, **შემოქმედებითი და ინტერპრეტირების უნარის** განვითარებას უწყობს ხელს, ასეთია **LMMS აქტივობები**.

სახელმძღვანელოს თემატიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც ახალია, საინტერესოა და მოსწავლეთა **ასაკობრივ თავისებურებებსაც** ითვალისწინებს, მაგალითად, შტოქჰაუზენის ელექტრომუსიკა, გამოქვაბულის მუსიკა, კლასიკური მუსიკა პოპმუსიკაში, **Dies irae** და კინომუსიკა, ინტონაციური ფორმულა **B.A.C.H.** და ა. შ.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა **სიმღერების შესწავლასა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების** შესრულებას.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა **ქართული ფოლკლორის** საკითხების მიმოხილვას, რაც, ვფიქრობთ, ყველა კლასის მუსიკის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ შემადგენელ თემატიკად უნდა მოიაზრობოდეს.

თემატური ბლოკების ზოგადი აღწერა

თემატური ბლოკი: მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

თემა: ბუნება და ტექნიკა მუსიკაში

<p style="text-align: center;">რას ვასწავლით მოსწავლეს ? ძირითად თემატიკასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები</p>	<p style="text-align: center;">რა ინფორმაციას იღებს მოსწავლე ? მოსწავლის მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p style="text-align: center;">რას ვაფასებთ მოსწავლის ცოდნაში ? შეფასების ინდიკატორები და სტანდარტის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> • როგორ გადმოსცემენ კომპოზიტორები ბუნებრივ და მექანიკურ სამყაროს მუსიკის საშუალებით? • როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა ბუნებრივი ან მექანიკური სამყაროს გადმოსაცემად? • რა ჟღერადობა გამოვიყენო ბუნებრივი ან მექანიკური სამყაროს გადმოსაცემად? 	<ul style="list-style-type: none"> • მუსიკის საშუალებით ბუნებრივი და მექანიკური სამყაროს გადმოსაცემა შეიძლება; • მექანიკური და ბუნებრივი სამყაროს ამოცნობა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხების მიხედვით შეიძლება; • მექანიკური და ბუნებრივი სამყაროს გადმოსაცემა მუსიკას სხვადასხვა ემოციური განწყობის გამოწვევა შეუძლია; <ul style="list-style-type: none"> • მექანიკური სამყაროს გადმოსაცემად იგონებდნენ და მუსიკალურ ნაწარმოებებში იყენებდნენ ახალ ინსტრუმენტებს („მარტენოს ტალღები“, ელექტრო-ორგანი, სინთეზატორი და სხვ.). 	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა, როგორ ახერხებს კომპოზიტორი ბუნებრივი და მექანიკური სამყაროს გადმოსაცემას (მუს.საბ.4,5); • სათანადო რიტმის, ჰარმონიის და ფორმის გამოყენებით ბუნებრივი თუ მექანიკური სამყაროს შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოსაცემა; მიზნის შესაბამისად საკუთარი კომპოზიციისთვის ფორმის/ჟანრის განსაზღვრა (მუს.საბ.1,2,3).

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

თემა: ძველი და ახალი მუსიკაში

<p>რას ვასწავლით მოსწავლეს ძირითად თემატიკასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები</p>	<p>რა ინფორმაციას იღებს მოსწავლე? მოსწავლის მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>რას ვაფასებთ მოსწავლის ცოდნაში? შეფასების ინდიკატორები და სტანდარტის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> როგორ ამოვიცნოთ ძველი და ახალი დროის ნიშნები მუსიკაში? როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა ძველი ან ახალი დროისთვის დამახასიათებელი მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად? როგორ მივაღწიო ძველი ან ახალი დროის მუსიკისთვის დამახასიათებელ ჟღერადობას? 	<ul style="list-style-type: none"> მუსიკაში ძველი და ახალი დროის ნიშნების ამოცნობა შეიძლება; ძველი და ახალი დროის ნიშნების ამოცნობა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხებით შეიძლება; ძველი და ახალი დროის მუსიკას სხვადასხვა დროს შექმნილი მუსიკალური ინსტრუმენტებით ასრულებენ (კლავესინი, ლირა, ელექტროგიტარა, სინთეზატორი და სხვ.). 	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა, ახალ თუ ძველ დროს მიეკუთვნება ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი (მუს.საბ.4,5); სათანადო რიტმის, ჰარმონიის და ფორმის გამოყენებით ძველი ან ახალი დროისთვის დამახასიათებელი მუსიკალური კოლაჟების შექმნა (მუს.საბ.1,2,3).

თემატური ბლოკი: მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

თემა: სიყვარული და სიმულვილი მუსიკაში

<p>რას ვასწავლით მოსწავლეს? ძირითად თემატიკასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები</p>	<p>რა ინფორმაციას იღებს მოსწავლე? მოსწავლის მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>რას ვაფასებთ მოსწავლის ცოდნაში? შეფასების ინდიკატორები და სტანდარტის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> როგორ გადმოსცემენ კომპოზიტორები სიყვარულს ან სიმულვილს მუსიკის საშუალებით? როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა სიყვარულის ან სიმულვილის გადმოსაცემად 	<ul style="list-style-type: none"> მუსიკის საშუალებით სიყვარულის და სიმულვილის გადმოცემა შეიძლება; სიყვარულის და სიმულვილის გადმოცემა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხებით შეიძლება; სიყვარულის და სიმულვილის დაპირისპირების თემა მრავალ მუსიკალურ ნაწარმოებს დაედო საფუძვლად. 	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს კომპოზიტორი სიყვარულის თუ სიმულვილის გადმოცემას (მუს.საბ.4); სათანადო რიტმის, ჰარმონიის და ფორმის გამოყენებით სიყვარულისა და სიმულვილის შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა (მუს.საბ.1,2,3); მუსიკალური ხერხებით გადმოცემულ სიყვარულსა და სიმულვილს შორის კონფლიქტის გაანალიზება შეთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტზე დაყრდნობით (მუს.საბ.5)

შეფასება და შეფასების რუბრიკები

შეფასება მუსიკის სტანდარტის მიხედვით.

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს **განმავითარებელ შეფასებას**, რომელიც მოსწავლეს წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად გაიაზრებს აქტივობის მიზანსა და ამ მიზნის წარმატებით მიღწევის კრიტერიუმებს (მოსწავლისათვის განკუთვნილი კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და შეზღუდული რაოდენობის უნდა იყოს), იგი უკეთ დაინახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად და უფრო გააზრებულად წარმართავს მიზნისაკენ მიმავალ პროცესებს. თუ აქტივობის დასრულებისას მას ვთხოვთ, გააანალიზოს განვლილი გზა – რა ნაბიჯები გადადგა, რა შედეგს მიაღწია, რა მიდგომა გამოიყენა, კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა ან აჯობებდა, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან ვერ გადაჭრა და რატომ, რა გაუადვილდა, რამ შეუწყო ხელი წარმატებაში და სხვ., ეს ხელს შეუწყობს მისი სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს, თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ, ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. მაშასადამე, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/ დავალებებს შეარჩევს.

- შემეცნებითი ხასიათის კონკრეტული მუსიკალური საკითხის გამოკვლევა (მაგ., „რა გავლენა მოახდინა ინდურმა მუსიკამ როკ-მუსიკაზე?“, რა საერთო აქვს აკადემიური და პოპულარული მუსიკის გამომსახველ ხერხებს?“) და ძიების შედეგების წარმოდგენა სასურველი ფორმატით (მაგ., ლექცია-კონცერტი; ვიდეორგოლი, მუსიკალური წარმოდგენა);

- მოსწავლისთვის საყვარელი მუსიკალური ნაწარმოების ან მისთვის რომელიმე საინტერესო მუსიკალური მიმდინარეობის წარმოდგენა მოცემული თემის კონკრეტული საკითხის გაშუქების მიზნით (პრეზენტაცია, მუსიკალური კოლაჟი);

- საკუთარი კომპოზიციის შექმნა კონკრეტული მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენებით (მაგ., ცვალებად რიტმზე აგებული კომპოზიცია, რაიმე უკვე არსებულ მუსიკალური თემაზე აგებული კომპოზიცია, კონკრეტულ ჰარმონიულ ფორმულაზე აგებული კომპოზიცია; კომპოზიცია სხვადასხვა ეპოქისთვის დამახასიათებელი ინტონაციური ფორმულების გამოყენებით);

- უცნობი მუსიკალური ნაწარმოების ირგვლივ დისკუსია თემის გარკვეული საკითხის ჩრლში (დისკუსიისთვის წინასწარი კითხვარის/საკითხების ჩამონერა);

- ლიტერატურული წარმოდგენისა და ფერწერული ნამუშევრების მუსიკალური გაფორმება.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა;
- რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი		
მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

**სარეკომენდაციო თემატური რუბრიკები
ბუნება და ტექნიკა მუსიკაში**

შეფასების კრიტერიუმები:		
მოსმენილი ბუნებრივი და მექანიკური ხმების ამოცნობა, განსხვავება, შედარება.	ბუნებრივი და მექანიკური ხმების გამოყენებით მუსიკალური კომპოზიციების შექმნა.	მოსმენილი ტემბრების, აკადემიური და პოპულარული ელექტრონული მუსიკის განსხვავება.
1. ამოიცნობს და ანსხვავებს ხმა-ბგერებს; 2. მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზე, მუსიკალურ-გამომსახველობით საშუალებებზე.	1. შეუძლია/არ შეუძლია მუსიკალური კომპოზიციის შექმნა; 2. მიზნის მისაღწევად იყენებს მუსიკალური გამომსახველობის სათანადო ხერხებს.	1. ამოიცნობს და ასხვავებს ტემბრებს, აკადემიურ და პოპულარულ ელექტრონულ მუსიკას; 2. მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზე, მუსიკალურ-გამომსახველობით საშუალებებზე.

ძველი და ახალი მუსიკაში

შეფასების კრიტერიუმები:		
სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორთა ნაწარმოებებსა და კინო მუსიკაში ინტონაციური ფორმულების ამოცნობა.	სხვადასხვა დროის საოპერო ფორმების (რეჩიტატივი და არია) ამოცნობა, განსხვავება	პოპმუსიკაში, კლასიკური ინტონაციების ამოცნობა.
1. ამოიცნობს სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელ ინტონაციურ ფორმულებს; 2. მსჯელობს მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე.	1. ამოიცნობს და ასხვავებს საოპერო ფორმებს; 2. მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზე, მუსიკალურ-გამომსახველობით საშუალებებზე.	1. ამოიცნობს კლასიკურ ინტონაციებს; 2. მსჯელობს კლასიკური და პოპმუსიკის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე, განწყობილებებზე.

სიყვარული და სიმულვილი მუსიკაში

შეფასების კრიტერიუმები:		
მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში ლირიკული სახეების ამოცნობა	მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში მუსიკალური თემების დაკავშირება სიყვარულისა და სიმულვილის სახეებთან.	სიმფონიურ მუსიკაში მუსიკალური სახეების განსაზღვრა
1. მუსიკის ხასიათის მიხედვით ამოიცნობს ლირიკულ სახეებს 2. განსაზღვრავს მელოდიის ხასიათს, იმპერვალების ინტონაციურ ბუნებას	1. მუსიკის ხასიათის მიხედვით ამოიცნობს კონტრასტულ მუსიკალურ სახეებს 2. მსჯელობს მუსიკალური ენის თავისებურებებზე, იმპერვალების ინტონაციურ ბუნებაზე	1. სიმფონიურ ნაწარმოებებში ამოიცნობს მუსიკალურ სახეებს 2. მსჯელობს მუსიკალური აზრის განვითარების (მუსიკალური თემების გამეორება და სახეცვლა) ხერხებზე.

შეფასების კრიტერიუმები:					
სანოტო და სიტყვიერი ტექსტის შესრულება		ინტონირების სიზუსტე		გამომსახველად სიმღერა (ცდილობს გადმოსცეს ნაწარმოების მხატვრული შინაარსი, ითვალისწინებს დინამიკურ ნიშნებს), საკუთარი ინტერპრეტაციით შესრულება (იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს)	
1. უჭირს სანოტო და სიტყვიერი ტექსტის დამახსოვრება.	2. სანოტო და სიტყვიერი ტექსტს იოლად იმახსოვრებს.	1. ინტონირებს ისას უშვებს შეცდომებს.	2. იცავს ინტონირების სიზუსტეს.	1. მღერის ერთფეროვნად.	2. ცდილობს შეასრულოს გამომსახველად, საკუთარი ხედვით.

მეთოდური მითითება: მნიშვნელოვანია, ბავშვებმა გაკვეთილებზე, მუსიკის მოსმენისას, ისაუბრონ და იმსჯელონ მუსიკაზე. ამაში მათ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები და სახელმძღვანელოში განერილი აქტივობები ეხმარება.

მუსიკალური ნაწარმოების შესახებ თხრობის გეგმა:

1. იფიქრეთ, რასთან არის დაკავშირებული მხატვრული სახე და მუსიკალური ინტონაცია:

- ა) მოძრაობა, მოქმედება, მოვლენა;
- ბ) მეტყველება-თხრობა, მღერა, ფიქრი;
- გ) ხმა-ბგერები;
- დ) ხმა-ხმაურები;

2. ამის შემდგომ, დააკვირდით, როგორ მონაწილეობენ მუსიკალური სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური მეტყველების ელემენტები: **მელოდია, რიტმი, ფაქტურა, ტემპი, ტემპრი, დინამიკა, კილო, ჰარმონია.**

3. განსაზღვრეთ ნაწარმოების ჟანრი და ფორმა.

სწავლა-სწავლების მიზანია მოსწავლეები გაეცნონ მუსიკალურ ცნებებს და მათი მეშვეობით ისაუბრონ მუსიკალური ნაწარმოების შესახებ, განუვითარდეთ მხატვრულ სახეთა **ვერბალურად** აღწერის უნარ-ჩვევა.

შინაარსისა და მიზნების რუკა

პარაგრაფის დასახელება		მუსიკალური ნაწარმოების პარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა, როგორ ახერხებს კომპოზიტორი ბუნებრივი და მექანიკური სამყაროს გადმოცემას (მუს. საბ.4.5)	სათანადო რიტმის, პარმონიის და ფორმის გამოყენებით ბუნებრივი თუ მექანიკური სამყაროს შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა: მიზნის შესაბამისად საკუთარი კომპოზიციისთვის ფორმირების განსაზღვრა (მუს. საბ.1.2,3)	მუსიკალური ნაწარმოების პარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა, ახალ თუ ძველ დროს მიჯნუფება ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი (მუს.საბ.4.5)	სათანადო რიტმის, პარმონიის და ფორმის გამოყენებით ძველი ან ახალი დროისთვის დამახასიათებელი მუსიკალური კოლაჟების შექმნა (მუს.საბ.1.2,3)	მუსიკალური ნაწარმოების პარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს კომპოზიტორი სიგვარულს თუ სიმულაციურს გადმოცემას (მუს.საბ.4)	სათანადო რიტმის, პარმონიის და ფორმის გამოყენებით სიგვარულსა და სიმულაციურს შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა (მუს.საბ.1.2,3)	მუსიკალური ხერხებით გადმოცემულ სიგვარულსა და სიმულაციურს შორის კონფლიქტის გაახალბედა შეთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტზე დაყრდნობით (მუს.საბ.5)
ბუნებრივი და მექანიკური ხმა-ბგერები -1	1	X	X					
მუსიკის წარმოშობა	1	X	X		X			
ხმა-ბგერები	1	X	X		X			
გამოქვაბულის მუსიკა	1	X	X					
ხევისურეთი	1	X	X	X	X			
ფშავი	2	X	X	X				
თანამედროვე ქალაქის მუსიკა	2	X	X					
ბუნებრივი და მექანიკური ხმა-ბგერები -2	1	X	X					
მოუსმინე და განასხვავე ხმა - ბგერები	2	X	X	X				
ჰაიდნის მექანიკური საკრავები	1	X	X					
ბეთჰოვენის მეტრონომი	1	X	X					
მუსიკალური ზარდახშა	1	X	X					
მექანიკური თოჯინები	1	X	X					
მუსიკალური რიტმი, მელიოდია, ტემპი	1	X	X	X	X			
მუსიკალური რიტმი, მელიოდია, პარმონია	1	X	X	X	X			
მუსიკალური რიტმი, მელიოდია, ტემპი	1	X	X	X	X			

შინაარსისა და მიზნების რუკა

პარაგრაფის დასახელება		მუსიკალური ნაწარმოების პარმონიაზე, რიტმსა და ფორმზე დაკვირვებით მსჯელობა, როგორ ახერხებს კომპოზიტორი ბუნებრივი და მექანიკური სამყაროს გადმოცემას (მუს.საბ.4,5)	სათანადო რიტმის, პარმონიის და ფორმის გამოყენებით ბუნებრივი თუ მექანიკური სამყაროს შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა; მიზნის შესაბამისად საკუთარი კომპოზიციის ფორმის/განზის განსაზღვრა (მუს.საბ.1,2,3)	მუსიკალური ნაწარმოების პარმონიაზე, რიტმსა და ფორმზე დაკვირვებით მსჯელობა, ახალ თუ ძველ მოცულებებზე ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი (მუს.საბ.4,5)	სათანადო რიტმის, პარმონიის და ფორმის გამოყენებით ძველი ან ახალი დროისთვის დამახასიათებელი მუსიკალური კოლაჯების შექმნა (მუს.საბ.1,2,3)	მუსიკალური ნაწარმოების პარმონიაზე, რიტმსა და ფორმზე დაკვირვებით მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს კომპოზიტორი სივარული თუ სიმულაციის გადმოცემას (მუს.საბ.4)	სათანადო რიტმის, პარმონიის და ფორმის გამოყენებით სივარულისა და სიმულაციის შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა (მუს.საბ.1,2,3)	მუსიკალური ხერხებით გადმოცემულ სივარულსა და სიმულაციას შორის კონფლიქტის განვლილება მეთაგაბეზულ მუსიკალურ ფრაგმენტზე დაყრდნობით (მუს.საბ.5)
ბუნებრივი და მექანიკური ხმების შედარება	1	X	X	X				
ბუნებრივი და მექანიკური ხმების მუსიკაში	1	X	X					
ქორეოგრაფია და მუსიკა	1	X	X					
კინო და მუსიკა	2	X	X					
თუშეთი	1	X	X	X				
ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი	2	X	X	X				
აკუსტიკური და სინთეზური ხმები -1	2	X	X					
აკუსტიკური და სინთეზური ხმები -2	1	X	X					
სტუდიური და საკონცერტო მუსიკა	1	X	X					
აკადემიური და პოპულარული ელექტრონული მუსიკა	2	X	X					
შტოკჰაუზენის ელექტრონული მუსიკა	1	X	X					
ისაო ტომიტას ელექტრონული მუსიკა	1	X	X		X			
იანის ქსენაკისის მუსიკალური გრაფიკა	1	X	X					
პითაგორა	1		X	X	X			
შუმერული არფა	1			X	X			
ვერდი და ეგვიპტური საყვირები	1		X	X	X			
იერიქონის საყვირი	1		X	X	X			
ძველი და ახალი ინტონაციები - 1	2		X	X	X			
ძველი და ახალი ინტონაციები - 2	1		X	X	X			
ძველი და ახალი ინტონაციები - 3	1		X	X	X			
Dies irae	1		X	X	X			
Dies irae და კინომუსიკა	1		X	X	X			
„ვალტორნების ოქროს სვლა“	1		X	X	X			
ინტონაციური ფორმულები კინომუსიკაში	1		X	X	X			
ინტონაციური ფორმულა B.A.C.H.	1	X	X					

შინაარსისა და მიზნების რუკა

პარაგრაფის დასახელება		მუსიკალური ნაწარმოების პარმონიაზე, რიტმსა და ფორმამდე დაკვირვებით მსჯელობა, როგორ ასეირნებს კომპოზიტორი, ტექნიკური და მეტანიკური სამყაროს გადმოცემას (მუს.საბ.4,5)	სათანადო რიტმის, პარმონიის და ფორმის გამოყენებით ტექნიკური თუ მეტანიკური სამყაროს შესახებ საკუთარი წარმოდგენის გადმოცემა, მიზნის შესაბამისად საკუთარი კომპოზიციის ფორმის/განხილვის განხილვა (მუს.საბ.1,2,3)	მუსიკალური ნაწარმოების პარმონიაზე, რიტმსა და ფორმამდე დაკვირვებით მსჯელობა, ახალ თუ ძველ დროს მიეკუთვნება ესა თუ ის მუსიკალური ფორმები (მუს.საბ.4,5)	სათანადო რიტმის, პარმონიის და ფორმის გამოყენებით ძველი ან ახალი დროისთვის დაბასათიკული მუსიკალური კოლექციის შექმნა (მუს.საბ.1,2,3)	მუსიკალური ნაწარმოების პარმონიაზე, რიტმსა და ფორმამდე დაკვირვებით მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს კომპოზიტორი სივარულის თუ სიტუაციის გადმოცემას (მუს.საბ.4)	სათანადო რიტმის, პარმონიის და ფორმის გამოყენებით სივარულისა და სიტუაციის შესახებ საკუთარი წარმოდგენის გადმოცემა (მუს.საბ.1,2,3)	მუსიკალური ხერხებით გადმოცემულ სივარულსა და სიტუაციის მხრივ კონფლიქტის გაანალიზება მეთაგებულ მუსიკალურ ფრაგმენტზე დაყრდნობით (მუს.საბ.5)
ხორუმი	1	X	X	X				
Piano Roll - ინტერვალები	1		X					
მსგავსება გამოსახელებასა და მუსიკას შორის	2		X					
რეჩიტატივი და არია	1		X	X				
საოპერო ფორმები	1		X	X				
ოპერა და მიუზიკლი	2		X	X				
სამი არია	2		X	X				
კლასიკური ინტონაცია პოპმუსიკაში - ციტირება	1		X	X				
ინდური მუსიკა და „ბითლზი“	1		X	X				
კლასიკური მუსიკის გავლენა პოპმუსიკაზე	1		X	X				
ლირიკული სახეები მუსიკაში - 1	1					X	X	X
ლირიკული სახეები მუსიკაში - 2	1					X	X	X
„ლეგენდა პიანისტზე“	1					X	X	X
ლირიკული სახეები მუსიკაში - 3	1					X	X	X
სიძულვილის თემა მუსიკაში	1					X	X	X
„რომეო და ჯულიეტა“	1					X	X	X
Nessun dorma!	1					X	X	X
კალაფის არია	1					X	X	X
„ფანტასტიკური სიმფონია“	1					X	X	X

1. თემატური ბლოკი

მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

თემა: ბუნება და ტექნიკა მუსიკაში


<p>რას ვასწავლით მოსწავლეს ? ძირითად თემატიკასთან დაკავშირებული საკვანძო შევითხვები</p>	<p>რა ინფორმაციას იღებს მოსწავლე ? მოსწავლის მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>რას ვაფასებთ მოსწავლის ცოდნაში ? შეფასების ინდიკატორები და სტანდარტის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> როგორ გადმოსცემენ კომპოზიტორები ბუნებრივ და მექანიკურ სამყაროს მუსიკის საშუალებით? როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა ბუნებრივი ან მექანიკური სამყაროს გადმოსაცემად? რა ჟღერადობა გამოვიყენო ბუნებრივი ან მექანიკური სამყაროს გადმოსაცემად? 	<ul style="list-style-type: none"> მუსიკის საშუალებით ბუნებრივი და მექანიკური სამყაროს გადმოცემა შეიძლება; მექანიკური და ბუნებრივი სამყაროს ამოცნობა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხების მიხედვით შეიძლება; მექანიკური და ბუნებრივი სამყაროს გადმომცემ მუსიკას სხვადასხვა ემოციური განწყობის გამოწვევა შეუძლია; <ul style="list-style-type: none"> მექანიკური სამყაროს გადმოსაცემად იგონებდნენ და მუსიკალურ ნაწარმოებებში იყენებდნენ ახალ ინსტრუმენტებს („მარტენის ტალღები“, ელექტრო-ორგანი, სინთეზატორი და სხვ.). 	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა, როგორ ახერხებს კომპოზიტორი ბუნებრივი და მექანიკური სამყაროს გადმოცემას (მუს.საბ.4,5); სათანადო რიტმის, ჰარმონიის და ფორმის გამოყენებით ბუნებრივი თუ მექანიკური სამყაროს შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა; მიზნის შესაბამისად საკუთარი კომპოზიციისთვის ფორმის/ჟანრის განსაზღვრა (მუს.საბ.1,2,3).

ბუნება და ტექნიკა მუსიკაში - 3 ქვეთემა

1. მექანიკური ხმები

2. ბუნებრივი ხმები

3. ელექტრონული მუსიკა




რატომ უნდა ვისწავლოთ მუსიკა, გიფიქრიათ ამაზე? მუსიკა ჩვენი სულიერი ენაა, კაცობრიობისთვის საუკეთესო უნივერსალური ენა.

ანტიკური ხანის ბერძენ ფილოსოფოსთა აზრით, მუსიკას შეუძლია „ადამიანი აიძულოს უყვარდეს ან სძულდეს, აპატიოს ან მოკლას“, პლატონი ამბობდა: „მუსიკა სამყაროს აძლევს სულს, გონებას – ფრთებს, შენს ფანტაზიებს – ფრენის საშუალებას, ცხოვრებას კი – ყველაფერს“.

მუსიკის უდიდეს ძალასა და მნიშვნელობას აღიარებდნენ უძველესი ცივილიზაციის სხვა ქვეყნებიც: ჩინეთი, ეგვიპტე, შუმერი, ინდოეთი, სირია, ისრაელი...

ოდითგანვე განსაკუთრებული იყო მუსიკის როლი ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში; ქართველი მღეროდა შრომისა თუ ომის, ღვინისა თუ ჭირის დროს, სიმღერა ეხმარებოდა და აძლიერებდა მას. შუა საუკუნეებიდან ეკლესია-მონასტრებთან არსებულ საგანმანათლებლო კერებში, მუსიკის შესწავლა სავალდებულო იყო სხვა საგნებთან ერთად.

თანამედროვე სამეცნიერო კვლევები ადასტურებს მუსიკის უდიდეს როლს ადამიანის განვითარებაში. როგორც ცნობილია, ჩვენი ტვინი ორი, ერთმანეთთან დაკავშირებული, მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროსგან შედგება. მარცხენა ნახევარსფერო პასუხს აგებს ჩვენს მეტყველებაზე, იმასხვრებს ციფრებს, სახელებს ანუ ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას. მარჯვენა ნახევარსფერო კი ამუშავებს იმ ინფორმაციას, რომელიც ვერ გადმოიცემა სიტყვებით. ასეთია ჩვენი მრავალფეროვანი ემოციები, შეგრძნებები, განწყობები. ეს სფერო დაკავშირებულია ადამიანის შემოქმედებით უნარებთან. ადამიანი აზროვნებს სრულყოფილად, როდესაც ორივე ნახევარსფეროა განვითარებული. განვითარება კი დამოკიდებულია ტვინში არსებული ნეირონების სიმრავლეზე. ცნობილია, რომ ადამიანის ტვინში ასი მილიარდი ნეირონია, რომლებსაც გაფრთხილება და ვარჯიში სჭირდება. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მუსიკალური ხელოვნება: მუსიკის მოსმენა, სანოტო ანბანის შესწავლა, რომელიმე საკრავზე დაკვრა, სიმღერა-გალობა, მუსიკის შეთხზვა. მუსიკის შესწავლისას, ამოვიცნობთ და ვუსმენთ ცალკეულ ბგერებს, მელოდიას, რიტმს, ჰარმონიას – რაც გვიქმნის გარკვეულ განწყობასა და ემოციებს, დაგვაფიქრებს მის შინაარსზე.



მუსიკის შესწავლის პროცესში ადამიანს ერთდროულად უხდება რამდენიმე სხვადასხვაგვარი ქმედების შესრულება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სწორედ ეს ავითარებს ძლიერად ტვინის ნახევარსფეროებს შორის ნეირონების კავშირებს. შეიძლება ადამიანი არ გამოვიდეს პროფესიით მუსიკოსი, მაგრამ მუსიკასთან ურთიერთობა მას ეხმარება სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებაში, სხვა სასწავლო საგნების უკეთ გაგებასა და ათვისებაში. ცნობილია, რომ დიდი გერმანელი კომპოზიტორის იოჰან სებასტიან ბახის მუსიკა ხელს უწყობს მათემატიკური აზროვნების განვითარებას (ალბერტ შვეიცერი). 1993 წელს ნევროლოგმა ფრანკ როშემ პირველმა აღმოაჩინა მოცარტის მუსიკის უჩვეულო გავლენა ადამიანის ტვინზე. მისმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მოცარტის მუსიკას განსაკუთრებულად ძლიერი ეფექტი აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე და შეუძლია, სხვადასხვა დაავადებისგან განკურნებაც.


„მუსიკა გონებას აერთიანებს გულთან და სულთან“ – ამბობდა დიდი გერმანელი კომპოზიტორი ლ.ვან ბეთჰოვენი.

„მუსიკას შეუძლია შეცვალოს სამყარო, რადგან მას შეუძლია შეცვალოს ადამიანები“ – მიაჩნდა თანამედროვეობის გამოჩენილ მუსიკოსს, U2- სოლისტს ბონოს.

იფიქრე ამაზე, შეისწავლე მუსიკა და უსმინე სამყაროს გულისყურით.



ბავშვები უყურებენ ორ ვიდეოს ტვინის ნეირონებზე და გამოთქვამენ აზრს.



ნეირონები

თემა: ბუნება და ტექნიკა მუსიკაში

ქვეთემა: მექანიკური ხმები

მიზანი: მოსმენილი ხმა-ბგერების ამოცნობა, განსხვავება, შედარება, მათ ხასიათზე, განწყობაზე, მუსიკის გამომსახველ საშუალებებზე მსჯელობა, მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში ხმა-ბგერების ამოცნობა, სხვადასხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებში მექანიკური ხმების ან მექანიკური ხელსაწყოების (მუსიკალური საათები და ზარდახშები, მექანიკური თოჯინები, მეტრონომი, და სხვა) უღერადობის ამოცნობა და ამა თუ იმ მხატვრული სახის შესატყვისი მუსიკალურ- გამომსახველობითი ხერხების დახასიათება.

მისაღწევი შედეგები: მუს.საბ.4,5

გაკვეთილი 1

მექანიკური და ბუნებრივი ხმა-ბგერები - 1

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4.

2. მექანიკური და ბუნებრივი ხმა-ბგერები: ჩვენ, წინა კლასებში, მოვისმინეთ და გავეცანით სამყაროში არსებულ ხმათა მრავალფეროვნებას – ბუნებრივ და მექანიკურ ხმებს. გავიხსენოთ ისინი: ბუნების მოვლენების, ქალაქისა და სოფლის, სხვადასხვა საგნისა და თანამედროვე ტექნოლოგიის ხმები.

დავასახელოთ ბუნებაში არსებული ხმები და განვასხვავოთ ერთმანეთისაგან. მაგალითად, წვიმის, ქარის, ზღვის, ნაკადულის, ფოთოლთა შრიალის, ფრინველთა და ცხოველთა ხმები. იცი, რამდენნაირი ქარი არსებობს? – გრიგალი, ქარიშხალი, ნიავე, სიო და სხვ. წვიმა კი – შხაპუნა, ყუყუნა, კოკისპირული, თავსხმა... თითოეულ მათგანს განსაკუთრებული ხმა აქვს.

ყოველდღიურ ყოფაში გვესმის, აგრეთვე, მექანიკური და ტექნიკური ხმებიც: საათის, მანქანის, მობილურის და სხვ.

ალბათ, გახსოვთ, რომ ამ მრავალფეროვან ხმებს კომპოზიტორები თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ.

უსმინე სამყაროს გულისყურით.

აქტივობა: გაიაზრე და განარჩიე ბუნებრივი და მექანიკური ხმები.



მოისმინეთ სხვადასხვა ხმა-ბგერა. განარჩიეთ ბუნებისა და ტექნიკის ხმები, დაასახელეთ და დაახასიათეთ ისინი. (ხმა-ბგერები იხ. ელ. რესურსში).



მოუსმინეთ ოთხ ნაწარმოებს, ამოიცანით მექანიკური და ბუნებრივი ხმები.

1. ლ. ანდერსონი. „სინკოპირებული საათი“
2. ი. ჰაიდნი. სიმფონია №101 „საათი“, მე-2 ნაწილი
3. პ. კარმანოვი. „განსხვავებული წვიმები“.
4. ს. გუბაიდულინა „ტყის ხმები“

ბავშვები პასუხობენ კითხვებს:

1. რომელ ნაწარმოებში გესმის ბუნებრივი ხმები და რომელში - მექანიკური?
2. დაასახელე, ბუნების რა ხმები ან რომელი საგნის ხმები გესმის?
3. რომელი საკრავებით ბაძავს კომპოზიტორი ბუნების ხმებს?
4. ამოიცანი, ბუნების რა ხმა ადევს ფონად ერთ-ერთ ნაწარმოებს?
5. რომელი საკრავების უღერადობით არის მიღწეული ამა თუ იმ ნაწარმოებში მექანიკური ხმები?
6. როგორ ფიქრობ, მუსიკის რომელი გამომსახველი საშუალებით არის გადმოცემული მექანიკური მოძრაობა – მელოდიით თუ რიტმით?

მეთოდური მითითება: გაკვეთილზე, თავდაპირველად, გავისხენებთ და ერთმანეთისგან განვასხვავებთ მექანიკურ და ბუნებრივ ხმებს. ამით ვემზადებით შემდგომი თემებისთვის, სადაც უკვე კონკრეტულად, ცალკე მექანიკურ და ცალკე ბუნებრივ ხმებს მოვისმინთ და შესაბამის მუსიკალურ ნაწარმოებებს შევისწავლით. მთავარია, ბავშვებმა ყურადღებით მოუსმინონ თითოეულ ნაწარმოებს, ამოიცნონ და განარჩიონ ხმები, იმჯგელონ და ისაუბრონ მუსიკაზე. ასეთი აქტივობები ხელს შეუწყობს ბავშვებში აზროვნების, მეტყველების, მეხსიერების და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.



ი. ჰაიდნი



ლ. ანდერსონი



ს. გუბაიდულინა



პ. კარმანოვი

დამატებითი აქტივობა და მეთოდური მითითება: მასწავლებელს, შეუძლია, ძირითადი აქტივობის ჩატარების შემდეგ, ბავშვებს კიდევ ერთხელ მოასმენინოს ნაწარმოებები, თხოვოს, მუსიკის ხასიათის მიხედვით, ამოიცნონ ნაწარმოებთა ავტორები და მიუსადაგონ ფოტოებს. მოსწავლის წიგნში კომპოზიტორების ფოტოებს მინაწერი არ ექნებათ.

დამატებით აქტივობას, შეგვიძლია, „ასოციაციური თამაშიც“ ვუნოდოთ. ასეთი აქტივობა დაეხმარება მასწავლებელს, მობილური გაკვეთილის ჩატარებაში. ეს ერთგვარი ექსპერიმენტი, თუ როგორ შეძლებენ ბავშვები გაავლონ ასოციაციური კავშირები მუსიკასა და ვიზუალს შორის, დაეყრდნონ ინტუიციას და შეძლებისდაგვარად, შეასრულონ დავალება.

სახელმძღვანელოში მოცემული სხვადასხვა აქტივობა ბავშვებს უვითარებს კოგნიტურ უნარებს, აზროვნებას, მეტყველებას, ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს, ეხმარება მათ, ყურადღებით, გააზრებულად უსმინონ მუსიკას, იყვნენ დაკვირვებულები და შეძლონ მუსიკაზე საუბარი, ვერბალურად გამოხატონ აზრი და შთაბეჭდილებები მოსმენილი მუსიკის შესახებ.

მეთოდური მითითება რუბრიკასთვის „სოლფეჯიო“. ჩვენ ვეყრდნობით სწავლა-სწავლების პრინციპს და წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ვაგებთ გაკვეთილებს. ბავშვები უკვე ნასწავლი, ნაცნობი მასალის გახსენებით, უფრო ადვილად იგებენ და ითვისებენ ახალს.

ბავშვებს, რომლებსაც არ უსწავლიათ I-VI კლასებში მუსიკის თეორია, VII კლასში, შეუძლიათ, შეისწავლონ ეს საკითხები: გრძლიობა, ზომა, რიტმი, მეტრი, ალტერაცია, პენტატონიკა, მაჟორული, მინორული და ქრომატული გამები, ინტერვალები და აკორდები; გაიმდგომონ სხვადასხვა ინტონაციური სავარჯიშო, რიტმული სავარჯიშოების დახმარებით, მათ უნვითარდებათ რიტმის შეგრძნება.

მასწავლებელს, შეუძლია, ყველა გაკვეთილის 5-10 წუთი სოლფეჯიოს საკითხებს დაუთმოს, რიტმული მოთელვითა და ინტონაციური სავარჯიშოთი დაიწყოს.

შენიშვნა: ნიმუშები რიტმული მოთელვისათვის იხ. 217 გვ.

დამატებითი რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები იხ. 220 გვ.


მუსიკის წარმოშობა

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4 (იხ. დანართი გვ. 217)

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ტაპით და კაკუნით ბავშვები გამოხატავენ რიტმულ სურათს და მღერიან ორ ხმაში გაბმული ბანის (ostinato) ფონზე.



მოუყვით ბავშვებს...

3. მუსიკის წარმოშობა: როდის და სად წარმოიშვა მუსიკალური ხელოვნება? — ადამიანები ამ კითხვაზე პასუხს უძველესი დროიდან ეძებენ. შემორჩენილია მრავალი ლეგენდა. უძველესი დროის ჩინელების აზრით, მუსიკა იმპერატორებმა შექმნეს. ძველი ბერძნები კი თვლიდნენ, რომ მუსიკა ღმერთის მიერ ბოძებული უდიდესი ნიჭია...



მუსიკის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაშიც სხვადასხვა აზრი არსებობს. მაგალითად, XIX საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი ჰერბერტ სპენსერი ამბობდა, რომ მუსიკა წარმოიშვა ადამიანის ალელვებული მეტყველების ინტონაციების საფუძველზე, სხვადასხვა ემოციისა და გრძობის – სიხარულისა თუ მწუხარების განცდის, ხმის აწვევ-დანევისა თუ აჩქარება-შენელების პროცესში. მისი აზრით, მუსიკის უპირველესი და მარტივი ფორმა სიმღერა იყო. ინგლისელი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი კი ფიქრობდა, რომ მუსიკა ნადირ-ფრინველთა სასიყვარულო ძახილის მიბაძვით შეიქმნა. პირველყოფილი ადამიანის პრიმიტიული სიმღერაც კი უფრო მეტად ითვლება მუსიკალურ ხელოვნებად, ვიდრე ფრინველთა სიმღერა-გალობა. ბულბული დღემდე ერთსა და იმავე სიმღერას ასრულებს, ხოლო ადამიანის მუსიკალური შემოქმედება ცვალებადია და მუდმივად ვითარდება. მხოლოდ ადამიანს შეუძლია გადმოსცეს მუსიკის მემკვიდრეობით მრავალფეროვანი განცდა, ემოცია, დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი და სწორედ ეს არის ხელოვნების მთავარი თავისებურება.



პირველყოფილ ადამიანთა მუსიკაში მთავარი ელემენტი **რიტმი** იყო. სიმღერისა და ცეკვის დროს ადამიანები რიტმს გამოხატავდნენ ტაპით, ფეხის ბაკუნით. ეს იყო ერთგვარი სიმღერა „თანხლებით“, რის ფუნქციასაც შემდგომში ასრულებდნენ პირველი მუსიკალური საკრავები: ხის ნაჭრები, ბრტყელი ქვები, ნიჟარები, ჩხარუნები. მათი ხმარების უფლება თავდაპირველად მხოლოდ ტომთა ბელადებსა და უხუცესებს ჰქონდათ. შემდეგ ადამიანმა ძვლის და ლერწმის ტოტისგან შექმნა პირველი სალამური და ფლეიტა, მშვილდის ლარი ჩანგისა და ქნარის სიმაღ აქცია, ხოლო გაჭიმული ტყავისგან დოლი გააკეთა.



ნადირობის სცენა. აფრიკა



ძვლის სასტვენები



ძვლის სალამური



ი. კეჭაყმაძე „არქაიკა“

ლექსიკონი


არქაული (archaios) ბერძნული სიტყვაა და ძველს, ძველებურს ნიშნავს.

ნოტები და გრძლიობები



გაიხსენე და გაიმეორე

სიტყვა **სოლფეჯიო** წარმოდგება ორი ნოტის: **სოლ** და **ფა** სახელწოდებიდან. რამდენი **ნოტი** გვაქვს მუსიკაში? დაასახელე და გაიმეორე ისინი. რამდენი საზისგან შედგება სანოტო სისტემა? ნოტები იწერება ხაზებზე, ხაზებს შორის და დამატებით ხაზებზე. გაიხსენე, რომელი ნოტები იწერება ხაზებზე და რომელი – ხაზებს შორის?



მუსიკალურ ნოტს სხვადასხვა ხანგრძლივობა აქვს. ბგერის ჟღერადობის ხანგრძლივობას მუსიკაში სხვადასხვა **გრძლიობის** ნოტებით გამოვსახავთ.






მთელი ნოტი

ნახევარი ნოტი

მეოთხედი ნოტი

მერვედი ნოტი

მთელი ნოტი ითვლება ოთხზე; ნახევარი ნოტი – ორზე; მეოთხედი – ერთზე. მეოთხედი ნოტი კი ორი მერვედისგან შედგება და ვითვლით ასე: ერ - თი



სანოტო ხაზები, ნოტები, ტაქტის ხაზები, ტაქტის ზომები $\frac{2}{4}$ $\frac{3}{4}$ $\frac{4}{4}$, ვიოლინოს გასაღები - ყველაფერი ეს გვეხმარება მელოდის ჩანერაში.

ინფორმაციისათვის: ხშირად პირველყოფილი ადამიანები რიტმებს, როგორც გარკვეულ სიგნალებს, ერთმანეთისათვის სხვადასხვა ამბების შესატყობინებლად იყენებდნენ. ყოველ რიტმულ ნახაზს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. დასარტყამ საკრავებზე შესრულებული ეს რიტმები შორ მანძილზე ისმოდა, ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა. ასეთი, ძალზე მრავალფეროვანი, მახვილგონივრული და თავისებური „დოლის ტელეგრაფი“ დღემდე გვხვდება ზოგიერთ აფრიკულ ტომში. სხვათა შორის, ეს პრინციპი გამოიყენა თავის ცნობილ სატელეგრაფო ანბანში ამერიკელმა გამომგონებელმა სემიუელ მორზემ.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით — ზომა 2/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ტამით და კაკუნით ბავშვები გამოხატავენ რიტმულ სურათს. იხ. დანართში.



აქტივობა. მოუსმინე და განასხვავე ხმა-ბგერები: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს აუდიოჩანაწერს და სთხოვს, ამოიცნონ სხვადასხვა ხმა-ბგერა და მიუსადაგონ მათ მუსიკალური ნაწარმოებები; ისაუბრონ მათ ხასიათზე, განწყობაზე. ხმა-ბგერებს შეურჩიონ განმარტებები:

1. სადღესასწაულო, ფერადი, ბრწყინვალე, ხმაურიანი (ფეიერვერკი);
 2. საშიში, მძლავრი (ზარბაზანი);
 3. თქარათქური, სისწრაფე, სილაღე (ცხენი);
 4. მძლავრი დარტყმები, კაკუნი, ბრახუნი (სამუშაო იარაღის ხმები);
 5. მორაკრაკე, მოლივლივე, მონანკარე, სუფთა, ანკარა (წყალი).
- იმსჯელონ, რატომ იფიქრეს ასე?



შემდეგ მოუსმინონ მუსიკას და მიუსადაგონ მოსმენილი ხმა-ბგერები ნაწარმოებებს:

1. მ. რაველი. საფორტეპიანო პიესა „წყლის თამაში“;
2. ფ. შუბერტი. ვოკალური ბალადა „ტყის მეფე“;
3. პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „მაკნატუნა“. მარში I მოქმედებიდან.

პასუხობენ კითხვებს:

1. რომელია მათგან ვოკალური და რომელი – ინსტრუმენტული ნაწარმოები?
2. დაასახელე ნაცნობი საკრავები.
3. რომელ ნაწარმოებში გვხვდება რიტმული ოსტინატო? გაიხსენე, რა არის ოსტინატო.
4. რომელ ნაწარმოებშია უფრო მეტად გამოკვეთილი მელოდიური ხაზი და როგორ დაახასიათებდი თვითოეულს: დანანვერებული, გამლილი, მღერადი, მხიარული, სევდიანი. გაიმღერე ეს მელოდიები.

დამატებითი აქტივობა: მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, მუსიკის ხასიათის მიხედვით თავად ამოიცნონ ნაწარმოებების ავტორები და მიუსადაგონ ფოტოებს.

გაავლე ასოციაციური კავშირები მუსიკასა და ვიზუალს შორის



მ. რაველი



ფ. შუბერტი



პ. ჩაიკოვსკი

მეთოდური მითითება: მასწავლებელი ინფორმაციული ხასიათის ტექსტებს თავად უყვება ბავშვებს და ამით განაწყობს მუსიკის გაკვეთილისადმი. **ის არ ავალეებს ტექსტების დაზუპირებას და გაკვეთილზე მოყოლას.** მთავარია, ბავშვებმა მოუსმინონ მასწავლებელს, გაიაზრონ და გაითავისონ ინფორმაცია. სახელმძღვანელოში სხვადასხვა თემაზე მოცემული მრავალფეროვანი ინფორმაციული მასალა ბავშვებს დაეხმარება, გაიღრმავონ ცოდნა და თვალსაწიერი, კარგად გაიაზრონ მუსიკა, თავისუფლად იმსჯელონ და ისაუბრონ მუსიკალურ ნაწარმოებებზე. სწორედ ასეთ მიდგომასა და აქტივობას მოითხოვს მუსიკის ახალი სტანდარტი.



მუსიკალური ლექსიკონი: ოსტინატო (ostinato) იტალიური სიტყვაა და ერთი ბგერის ან მელოდიის გაბმულ შეღერადობას ნიშნავს.

სიმღერის შესწავლა: მ. დავითაშვილი. „დაჰკარ, დაჰკარ“.

„დაჰკარ, დაჰკარ“

კომპოზიტორი:
მერი დავითაშვილი

Moderato

The first system of the musical score is in 2/4 time and marked *f* (forte). It consists of a vocal line and a piano accompaniment. The vocal line features a rhythmic pattern of quarter notes with lyrics: დაჰ - კარ დაჰ - კარ. The piano accompaniment is in the bass clef, starting with a *f* dynamic and providing a simple harmonic support.

The second system continues the vocal line with lyrics: დღე და ღა - მე ლუკ - მა პუ - რის შოვ - ნა - ში, followed by a long note. The piano accompaniment continues with chords in the right hand and a steady bass line in the left hand.

The third system continues the vocal line with lyrics: გვი - თენ - დე - ბა გვი - ლამ - დე - ბა შრო - მა - ში, followed by a long note. The piano accompaniment concludes with a final chord in the right hand and a steady bass line in the left hand.

დაჰ - კათ სა - ნამ რკი - ნა ცხე - ლი - ა,

მუ - შა კა - ცის ბე - დი ძმა - ო ძნე - ლი - ა,

ძნე - ლი - ა.

ეს ქვეყანა უსამართლოდ დიდია,
განა ყველა მუქთახორა ფლიდია,
ჩვენ კი დაჰკარ რკინა ცხელია,
მუშა კაცის ბედი ძმაო ძნელია.



მოსმენა: მ. დავითაშვილი — „დაჰკარ, დაჰკარ“. ბავშვები უსმენენ სიმღერის „მინუს“ ფონოგრამას და მღერიან. მოსმენისას ამოიცნობენ უროს დარტყმის ხმებს და აღნიშნავენ, ბუნებრივია ხმა თუ მექანიკური.

მეთოდური მითითება: მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გაიმღერონ სიმღერის ერთ-ერთი მოტივი. დაადგინონ ზომა, ბგერების რაოდენობა, გრძლიობები და ტაქტების რაოდენობა. სიმღერის შესრულების დროს ბავშვები ბაძავენ უროს დარტყმის ხმას და გამოხატავენ რიტმულად.

გამოქვაბულის მუსიკა

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ტაშით და კაკუნით ბავშვები გამოხატავენ რიტმულ სურათს.



მოუყვით ბავშვებს...

3. გამოქვაბულის მუსიკა: როგორ უღერდა პირველყოფილ ადამიანთა მუსიკა? მეცნიერებს ამ კითხვაზე პასუხის პოვნაში ეხმარება არქეოლოგიური მასალა, კლდეებისა და გამოქვაბულის კედლებზე შემორჩენილი ნახატები, ასევე, დღევანდელი ველური ტომების ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვება და მათი შესწავლა. აღმოჩნდა, რომ უძველესი მუსიკა კეთილხმოვანებით არ გამოირჩეოდა. თავდაპირველად, ის იყო დიდი დიაპაზონის მქონე ქაოსური ბგერების რიგი. ძველ ადამიანებს მუდმივად ესმოდათ ბუნების ხმები – ველურ ცხოველთა ძახილი, ფრინველთა გალობა, მწერების ბზუილი, ჭექა-ქუხილისა და წვიმის ხმები. თავიდან ისინი უსმენდნენ და ბაძავდნენ ამ ხმებს, მოგვიანებით კი, უამრავი ქაოსური ბგერიდან, უფრო კეთილხმოვანი ბგერების გარჩევაც ისწავლეს.

მუსიკა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში უძველესი დროიდანვე განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. ადამიანი მღეროდა შრომის, ბრძოლის, ლხინის თუ მწუხარების დროს. მღეროდა იავნანას, მწყემსურ სიმღერას, იცოდა დატირება. მისი მრავალფეროვანი საცეკვაო მოძრაობები სხვადასხვა მაგიურ რიტუალთან იყო დაკავშირებული. მუსიკა თამაშობების აუცილებელი თანმხლებიც იყო.

უძველესი ადამიანი ოდითგანვე ისწრაფვოდა გრძნობები და განცდები გადმოეცა მოძრაობით, სიმღერითა და ხატვით და ხშირად, მას გარკვეულ რიტუალებს უკავშირებდა. ამ საკითხით დაინტერესდა და კვლევები ჩაატარა ინგლისელმა მეცნიერმა მუსიკოსმა რუპერტ თილმა.


რუპერტ თილი დაინტერესებულია პოპულარულ მუსიკასა და ბგერითი არქეოლოგიის სფეროში მეცნიერული კვლევებით. იგი ავსტრალიის ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოჩენილი პალეოლითისდროინდელი არტეფაქტების მეშვეობით, ეცადა ეპოვა კავშირი გამოქვაბულის უძველეს ნახატებსა და გამოქვაბულის ბგერით უღერადობას შორის. აქ აღმოჩენილია უძველესი საკრავები: ფლეიტები, ძვლის სალამურები, აგრეთვე, ე.წ. ტრიალა – თოკზე გამოზმული ხის ნაჭერი, რომელსაც თავს ზემოთ ატრიალებდნენ. საკრავი გამოსცემდა უჩვეულო და მისტიურ ბგერით ტალღებს, არაამქვეყნიურ ხმას, რომელიც ალბათ, ძალიან ახლოსაა მარადიული სამყაროს ხმებთან. უძველეს საკრავთა ხმები აღადგინეს და ჩანერეს კომპიუტერულ-მუსიკალურ პროგრამაში და მიიღეს უძველესი უღერადობა. გამოქვაბულის ნახატებსა და მუსიკას შორის კავშირის დასადგენად, წლებია კვლევა მიმდინარეობს უძველეს საკრავებზე. მეც-



რ. თილი


ნიერები ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ფერთა ტონები დაკავშირებული იყო სხვადასხვა სიხშირის მუსიკალურ ბგერებთან. ამ ადგილებზე იკრიბებოდნენ უძველესი ადამიანები სხვადასხვა რიტუალის ჩასატარებლად. შესაძლოა, მისტიური ხმები იყო ჩვენი წინაპრების მუსიკა, ხელოვნება, სადაც ხატვა და მუსიკა ერთი და იგივე მისტიური განცდის ნაწილი იყო. რუპერტ თილმა ეს აღდგენილი უძველესი უღერადობები ელექტრონულ კომპოზიციებში გამოიყენა. ადამიანი, თითქოსდა, უბრუნდება სანყისებს, უძველესი და თანამედროვე უღერადობა ერთმანეთს ემსგავსება და ერთიანი მარადიული სამყაროს მუსიკას ქმნის.

ვიდეო: მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს ვიდეოს „გამოქვაბულების მუსიკა“ – Songs of the Caves. ბავშვები მსჯელობენ და საუბრობენ ამ თემაზე.




გაიაზრე: უძველესი ადამიანისთვის განუყოფელი იყო სიტყვის, სიმღერისა და მოძრაობის კავშირი. მეცნიერებმა ასეთ ფორმას **სინკრეტული** ხელოვნება უწოდეს. **სინკრეტიზმი** ბერძნული სიტყვაა და გაერთიანებას, დაუნაწევრებლობას ნიშნავს. სინკრეტულობა ხელოვნების სანყისი ეტაპია, საიდანაც, დროთა განმავლობაში, მასში გაერთიანებული ფორმები ხელოვნების დამოუკიდებელ დარგებად იქცა: სიტყვა – **პოეზიად**, სიმღერა – **მუსიკალურ ხელოვნებად** და ცეკვა – **ქორეოგრაფიად**.

მუსიკალური გამოფენა - გამოქვაბულის მუსიკა




U **აარჩიე შენი მუსიკა.** მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, დაათვალიერონ გამოქვაბულის უძველესი ნახატები. მოცემული მუსიკალური ნაწარმოებებიდან სურვილისამებრ, აარჩიონ მუსიკა და გააფორმონ გამოფენა.

1. ს. რეიხი. „გამოქვაბული“;
2. ი. სტრავინსკი. ბალეტი „კურთხეული გაზაფხული“. შესავალი;
3. ი. კეჭაყმაძე. „არქაიკა“;
4. ფ. შოპენი. ნოქტიურნი №2.




აქტივობა - ტონები და ნახევართონები. გაიხსენე და გაიმეორე

მანძილი სანტიმეტრებით, მეტრებითა და კილომეტრებით იზომება. მუსიკაში კი, მსგავსი „ნესრიგი“, ტონებითა და ნახევართონებით გამოისახება. დო-დან დო-მდე ბგერათა რიგში ბგერები ერთმანეთთან გარკვეული მანძილით არიან დაკავშირებული. დავხედოთ კლავიატურას ერთი ოქტავის ფარგლებში და ვნახავთ, რომ თეთრ კლავიშებთან ერთად გვაქვს ხუთი შავი კლავიშიც. დო-დან რე-მდე ერთი ნაბიჯია, მაგრამ მათ შორის ერთი შავი კლავიშიცაა, ამიტომ დო-დან რე-მდე გვაქვს ორი ნახევარი ნაბიჯი. ეს ნახევარი ნაბიჯი არის უმცირესი მანძილი ორ უახლოეს ბგერას შორის. მას მუსიკაში ნახევართონს უწოდებენ, ხოლო დო-დან რე-მდე მანძილს – ერთ ტონს.



1 ტონი



მივიღებთ ასეთ სქემას: **1 1 1/2 1 1 1 1/2**

თუ გვინდა დო-დან ნახევარი ტონის ალება, დაგვჭირდება შავი კლავიში. ამ შემთხვევაში შავ კლავიშს გამოსახვენ სპეციალური ნიშნით, რომელსაც **დიეზი** ეწოდება. დიეზი ბგერას 1/2 ტონით ამაღლებს, **ბემოლი** კი ბგერას 1/2 ტონით ადაბლებს. ამ ნიშნებს მუსიკაში **ალტერაციის ნიშნები** ეწოდება. ალტერაცია ლათინურად – **alterare** – შეცვლას ნიშნავს. ე.ი. ალტერაციის ნიშნები მოცემულ ბგერას 1/2 ტონით უცვლიან ხმოვანებას, ხან ამაღლებენ, ხან ადაბლებენ.



დიეზი



ბემოლი

გავიხსენოთ ასოთი სისტემა.

C	c	დო
D	d	რე
E	e	მი
F	f	ფა
G	g	სოლ
A	a	ლა
H	h	სი

დიდი ასოებით აღინიშნება მაჟორული ტონალობები

პატარა ასოებით აღინიშნება მინორული ტონალობები

dur – მაჟორი
moll – მინორი

is – დიეზი es – ბემოლი

თემა: ქართული ხალხური მუსიკა

მიზანი: სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერებისა და საკრავების გაცნობა, საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე მსჯელობა, ხალხური სიმღერების შესრულება, ხალხური ინტონაციების ამოცნობა პროფესიული მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებში. არქაული ინტონაციების დამუშავება და ახლებურად აჟღერება მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში.

მისაღწევი შედეგები: მუს.საბ.4.5.

ქართული ხალხური მუსიკა

მეთოდური მითითება: მუსიკის სახელმძღვანელოში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ქართული ხალხური მუსიკის გაცნობასა და შესწავლას ეთმობა.

თითოეულ თემას თან ერთვის საქართველოს რუკა. ბავშვებმა პირველი კლასიდანვე იციან და გაფერადებული აქვთ რუკა, შესწავლილი აქვთ სხვადასხვა კუთხის სიმღერები, საკრავები... მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოში საქართველოს რუკა დაყოფილია კუთხეებად და სხვადასხვა ფერითაა გამოყოფილი ის კუთხე, რომლის სიმღერებსაც შევასწავლით. ეს ხერხი ბავშვებს სამშობლოს რუკაზე უკეთ ორიენტარებაში ეხმარება. ქართული ხალხური სიმღერის შესწავლას ყველაზე მარტივით (1 ხმიანობით) – აღმოსავლეთის მთის სიმღერებით – ხევსურულით, ფშავურით, თუშურით, მთიულურით, მოხევურით ვიწყებთ.

მეშვიდე კლასში ვეცნობით აღმოსავლეთ საქართველოს მთის თითოეული კუთხის ადგილმდებარეობას, ეთნოგრაფიას, წეს-ჩვეულებებს, ადათებს, ხალხურ მუსიკასა და საკრავებს – ფანდურს, სალამურს, დოლს, გარმონს. ყველაზე მარტივი ერთხმიანი სიმღერებია ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში. უფრო განვითარებულ 2-3-ხმიან სიმღერებს ფანდურისა და გარმონის თანხლებით, ვხვდებით ხევსა და მთიულეთში. ხალხური მუსიკის გაკვეთილებზე ბავშვები უსმენენ ამა თუ იმ კუთხის სიმღერას, იხსენებენ, სწავლობენ და ერთად მღერიან ასაკის შესაფერის სიმღერებს. გაკვეთილებზე ვეცნობით, აგრეთვე, გამოჩენილი ადამიანების შემოქმედებას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ამ კუთხეებთან: ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ვახუშტი კოტეტიშვილი, გოდერძი ჩოხელი, ეთერ თათარაიძე, ლელა თათარაიძე და სხვ. ეს დაეხმარება ბავშვებს, უფრო უკეთ დაინახონ და გაითავისონ ამა თუ იმ კუთხის შემოქმედება. ხალხურ სიმღერებს ვსწავლობთ აუდიოჩანაწერების მეშვეობით. მათ ტექსტებს კი მოსწავლეები საკუთარ სახელმძღვანელოებში ეცნობიან. გაკვეთილის ბოლოს, ერთად ისმენენ საცეკვაო მუსიკას.

შენიშვნა: თემა ქართული ხალხური მუსიკა მიესადაგება VII კლასის წლიური პროგრამის მეორე ბლოკს – ძველი და ახალი მუსიკაში და ასახავს საბაზო საფეხურის სტანდარტის ერთ-ერთ მოთხოვნას (იხ. გვ 6 II აბზაცი).



ლექსიკონი

პიქტოგრამა (ლათ. pictus „დახატული“ და ბერძნ. grapho „ვწერ“) – „გრაფიკული ნახატი“, „პიქტოგრაფია“, რაიმე ცნობის, შინაარსის გადმოცემა ნახატის, ან თანმიმდევრული ნახატების საშუალებით.



ცნობები ქართული ხალხური მუსიკის შესახებ


მოუყვით ბავშვებს...



თრიალეთის ვერცხლის თასი

საინტერესოა ყაზბეგში აღმოჩენილი უძველესი სიმებიანი საკრავების – ქნარის, ჩანგის გამოსახულებები (ძვ.წ. XI-X ს.ს.), ასევე „ყაზბეგის განძად“ ნოდებული ბრინჯაოს პატარა ქანდაკებები, კაცუნები, რომელთაც ხელში მუსიკალური საკრავები უჭირავთ (ძვ.წ. VII-VI ს.ს.).

არქეოლოგებმა თრიალეთის გათხრების დროს აღმოაჩინეს ვერცხლის თასი (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდი), რომელზეც გამოსახულნი არიან ფერხულში ჩაბმული ადამიანები. მსგავსი საფერხულო წყობა რამდენიმე სიმღერაშია შემორჩენილი. საფერხულო ცეკვაა ასევე გამოსახული სამთავროს ბრინჯაოს სარტყელზე (ძვ.წ. VIII-VII ს.ს.).



ბრინჯაოს სარტყელი. ნადირობის სცენა — სამთავრო

ყველაზე ძველი წერილობითი ცნობა ქართული სიმღერის შესახებ ასურეთის მეფე სარგონს ეკუთვნის (ძვ.წ. 714 წ.). იგი წერს, რომ ქართველური ტომები შრომის დროს „მხიარულ სიმღერებს“ მღერიან. აი, რას გვიამბობს ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე (ძვ.წ. VI-V ს.ს.) ქართველთა შორეული წინაპრების, მოსინიკების შესახებ: „საოცარი ხალხია მოსინიკები, ბრძოლისა და ლაშქრობის წინ ჯერ მღერიან და ცეკვავენ. მას შემდეგ კი რაც გამწკრივდებიან, ერთი მათგანი იწყებს, ხოლო ყველა დანარჩენი მღერით რიტმულად მიაბიჯებს“. ბრძოლის დასასრულს კი მოსინიკები, ისტორიკოსის დახასიათებით, „განსაკუთრებული ყაიდის ცეკვა-სიმღერებს“ ასრულებდნენ.

ბრინჯაოს პატარა ქანდაკებები. ყაზბეგი





მესაკრავე.
თიხის ქანდაკება.
უფლისციხე.
ძვ.წ. VI ს.



მუსიკოსი ჩანგით.
ბრინჯაოს ქანდაკება.
ყაზბეგი.
ძვ.წ. VII-VI ს.ს.



ყაზბეგური სარიტუალო ზარი
მუსიკოსებით



უენო სალამური — სამთავრო

ისტორიული და ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ირკვევა, რომ ქართველებს მუსიკა თან ახლდა ნადირობისა და შრომის დროს, ომსა თუ ქორწილში, გლოვასა თუ სახალხო დღესასწაულებზე. შემორჩენილია ადამიანის ხმებისა და საკრავთა აღმნიშვნელი ბევრი ტერმინი, რაც ქართული მუსიკალური აზროვნების განვითარების მაღალი დონის მანიშნებელია. ასეთი ცნობები გვხვდება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. მაგალითისათვის, შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი სტროფი:

„ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს,
ეცვა ოდენ მართ პერანგი,
იმღერდა და იხარებდა,
წინა ედგა ერთი **ჩანგი**.“

„შოთა **მღერს**, მეფე თეიმურაზ,
არჩილ **მოსძახის** ძმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ
მაღლა **ზილს** მიეცკებურება.
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი,
ონანა **ბანს** ეუბნება.“

XVII და XVIII ს.ს.-ის ქართველი პოეტი-მეფეების არჩილ II-ის, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის ლიტერატურულ ნაწარმოებებში შემონახულია იმ პერიოდის მუსიკალურ კულტურასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო ამბავი თუ წეს-ჩვეულება.

ცნობილი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი „ქართველ მეფეთა გვარტომობის ამბავში“, ხატოვნად, მუსიკალური ტერმინების გამოყენებით აღწერს მეფე-პოეტთა შესრულებულ მღერას.

მუსიკალური ტერმინები მრავლად გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც. მუსიკას ქართულად სახიობა ჰქვია. **სახიობა** – „ესე არს მუსიკა მწყობრი ძალთა და საკრავთანი და ხმონება ტკბილი, გალობა თუ სიმღერა“ – განმარტავს სულხან-საბა.

მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედლის ფრესკაზე გამოსახულია 21 მოცეკვავე ქალი, მომღერალთა და მესაკრავეთა მწყობრი, რომლებიც საფერხულო სანახაობაში იღებენ მონაწილეობას.

2001 წელს იუნესკომ ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა მსოფლიოს არამატერიალური კულტურის შედეგად აღიარა. კოსმოსში გაგზავნილ მუსიკალურ შედეგთა შორის კი ერთ-ერთი, ქართული სიმღერა „ჩაკრულოა“.

ხევსურეთი

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4.




უძველესი ადამიანის მიერ შესრულებული ნახატები, სადაც გადმოცემულია მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველი ყოველდღიური სურათები, არქეოლოგებმა საქართველოშიც აღმოაჩინეს. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში: ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთში. მეცნიერებმა დღემდე ვერ ახსნეს ნახატის მნიშვნელობა. ისინი პიქტოგრამების სახით გამოხატულია ქვებსა და კლდეებზე.

ხევსურული პიქტოგრამებისგან დაიბადა იდეა ახალი აქტივობის შექმნისა. თუ აქამდე ბავშვები უსმენდნენ მუსიკას და შთაბეჭდილებებს პიქტოგრამებით გამოხატავდნენ, ამჯერად, გაეცანობიან პიქტოგრამებს და მიღებულ განწყობასა და შთაბეჭდილებას აქცევენ მუსიკალურ ინტონაციად.

ხევსურული პიქტოგრამები

აქციე პიქტოგრამა ინტონაციად



LMMS ახალი ინტონაცია ჩანერე Audacity-ში, გადააქციე სემპლად, შეიტანე LMMS პროგრამაში და სხვადასხვა ხმის თანხლებით შექმენი ახალი კომპოზიცია. შეურჩიე ნამუშევარს სახელწოდება.

ხევსურეთის სოფლები მდინარე არაგვის ხეობაში, კავკასიონის მთის კალთებზეა შეფენილი. მკაცრი და ხანგრძლივი ზამთრის გამო გზები იკეტება და მიმოსვლაჭირს. კარჩაკეტილმა ცხოვრებამ განაპირობა, რომ ხევსურებმა ბოლო დრომდე შემოინახეს უძველესი ტრადიციები, მათ შორის, მუსიკალურიც.

ხევსურეთში გავრცელებულია საკულტო, სანესო, საგმირო, შრომის სიმღერები, აკვნის ნანები, ტირილები – სამგლოვიარო სიმღერები. გაყოფილია მამაკაცთა და ქალთა სიმღერა. ქალთა რეპერტუარში, ძირითადად, ნანები და სამგლოვიარო სიმღერები შედის. ისინი უფრო მელოდიური და დახვეწილია, ვიდრე მამაკაცთა სიმღერა.



მოისმინე ორი სიმღერა და იმსჯელე.

1. ჩამოთვლილ ჟანრთაგან, რომელს მიეკუთვნება თითოეული?
2. რა თვისებებით მიაკუთვნე ამა თუ იმ ჟანრს? რომელი გამომსახველი ხერხი განასხვავებს სიმღერებს ჟანრობრივად?
3. როგორია სიმღერების ხასიათი, შესრულების მანერა, ტემპი და მელოდია?
4. რამდენხმანია სიმღერები?
5. რომელი სიმღერაა უფრო მელოდიური?



ხევსურული ფანდური

ხევსურული საწესო ფერხულები ისტორიულ გმირებსა ან ღვთაებებზე მოგვითხრობენ. ფერხული ერთი ან ორი გუნდის მონაცვლეობით სრულდება. ხევსური მამაკაცი მღერის ხმამაღლა, თითქმის ყვირილით. სიმღერა მეტყველებას ჰგავს, ანუ ხევსური ლაპარაკით ამღერებს ლექსს და სიმღერას თქმას უწოდებს – „სიმღერას ვიტყვი“. მელოდია იწყება მაღალი ბგერიდან და დაცურებით ჩამოდის დაბლა.

ხევსურებში გავრცელებულია „თითობით მღერა“, ანუ სოლო შესრულება. არის ორხმიანობაც. სიმღერები ხშირად ხევსურული ფანდურის თანხლებით იმღერება, მას მხოლოდ ორი სიმი აქვს.

სიმღერის შესწავლა: ხევსურული „ნანა“.

ნანა

ნა - ნა, ნა - ნა, ნა - ნო, ნა - ნო,

ე - ე, ნა-ნო, ქა-ლა - სა-ო, სამ-კალ - გა - ჩე - ნი-ლა - სა-ო.

ტრე დე - ებ უ - ღუ - ღუ-ნე - ბე-ნო, ან-გე - ლო-ზე-ებ არ-წე - ბე-ნა,

რუ-რო - თა - ო, ნა-ნო - თა-ო, ქა-ლა - სა - ო უმ-ღე - რე-ბსა,

ე - ი - ა, ნო - ო, ქა ლა - სა-ო, რუ-რო - თა - ო, ნა-ნო - თა-ო.



მოსმენა: ხევსურული „ნანა“; „ფერხისული“

ხევსურული პიქტოგრამა



ხევსურები

ფერხისული

I გუნდი

გი - თ - რგი

თ

ლე - ბულ - სა

II გუნდი

თ

გი - ორ - გი

თ

ლე - ბულ - სა

ხელში ეჭირაო მათრახი, შვიდკეცი შვიდი მხარია,
ვისაც გადაჰკრაო, გადაწვდა, გადაჰყვა ცეცხლის ალია,
ვისაც შამცოდესო, მაიგდებს ნაბდებურა გამასთელავსა.



მუსიკალური ლექსიკონი:

რეჩიტატივი (იტალ. *recitativo*) – მელოდია, სიმღერა, რომელიც უახლოვდება ჩვეულებრივ მეტყველებას.

გლისანდო – *glissando* იტალიური სიტყვაა და ნიშნავს „სრიალს“. ადამიანის ხმით და მუსიკალური საკრავით ბგერის შესრულების ხერხი, რომელიც იძლევა ფერადოვან, „დაცურებულ“ გადასვლას ბგერიდან ბგერაზე. სანოტო ჩანანერში აღინიშნება ტალღისებური ხაზით განაპირა ბგერებს შორის.

ანტიფონი (ბერძ. *anti* „საპირისპირო“ და *phone* „ხმა“, „ბგერა“) – ორი გუნდის მიერ სიმღერის მონაცვლეობით შესრულება.



რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 90 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ტაშით გამოხატავს რიტმულ სურათს და ბავშვები იმეორებენ.



ხევესურეთის მეზობლად მდებარეობს ფშავი. უძველეს წყაროებში ფშავი და ხევესურეთი „ფხოვად“ მოიხსენიება, XII ს-დან კი – „ფშავად“ და „ხევესურეთად“. ხევესურების მსგავსად, ფშაველებიც ძალიან პოეტური ხალხია. გასაკვირი არ არის, რომ გენიალური ქართველი პოეტი ლუკა რაზიკაშვილი, იგივე ვაჟა-ფშაველა, სწორედ ფშაველია.



ვაჟა-ფშაველა 1861-1915

ფშაველები და ხევესურები ლექსს გამღერებით ამბობენ და ამას „შემღერნება“ ეწოდება. ერთი მელექსე მეორეს შეუმღერებს, თან ლექსს ეტყვის. მეტოქეც სიმღერით, ანუ შემღერნებით გასცემს პასუხს. ეს გრძელდება მანამდე, სანამ ერთი სიტყვას არ „მოუჭრის“. გამარჯვება იმას რჩება, ვინც უფრო მოსწრებულად, გონებადამახვილურად გასცემს პასუხს.



მოუსმინე ორ ფშაურ სიმღერას: „ჯვარი წინასა“ და „ესთი, ესთი, ფარტენაო“.

შეადარე სიმღერები ჟანრისა და ხასიათის მიხედვით. იმჯერე, რა გამომსახველი ხერხები ქმნის ხასიათს: რამდენხმიანია სიმღერები? როგორი სახის ბანია – გაბმული თუ მოძრავი? როგორია მელიოდია – მოქნილი, მღერადი თუ მეტყველებასთან მიახლოებული?

გავიმღეროთ ფშაური სიმღერებისათვის დამახასიათებელი კილო და ამოვიცნოთ, რა ინტერვალით იწყება ეს ბგერათა რიგი.



XXს-ის ქართველმა კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ მოიარა აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეები, შეაგროვა ხალხური სიმღერები, შეისწავლა ფშაური მუსიკალური კილო, რომელიც საფუძვლად დაუდო თავის მუსიკას.



მოუსმინე პროფესიული ჟანრის ორ ნაწარმოებს და ამოიცანი, რომელშია გამოყენებული ფშაური კილო.

1. მელიოდია აღმავალია თუ დაღმავალი?
2. რა რეგისტრში სრულდება?
3. რა საკრავები ასრულებს?
4. როგორია ტემპი?
5. როგორი მხატვრული სახეა მოცემული?
 - ა. მთის პირქუში ბუნება;
 - ბ. გარიჟრაჟი;
 - გ. მხიარული გლეხური ყოფა.

თავისუფალი აქტივობა. აამღერე ფშაურ კილოზე ვაჟა-ფშაველას ლექსი:

„იას უთხარით ტურფასა,
მოვა და შეგჭამს ჭიაო.
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო“



მოსმენა: შ. მშველიძე. „ზვიადური“. | ნანილი; ნ. სვანიძე. „რონდო“.

ამოიცანი, რომელ ნაწარმოებშია ფშაური კილო.



ვიდეო: მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს ვიდეოს ფშაურ ბუნებასა და ფოლკლორზე.

სიმღერის შესწავლა:

„ესთი, ესთი ფარტენაო“

I მთქმელი

ეს-თი, ეს-თი ფარტე - ნა - ო, და-ე - სვიუ ტარზე - და ო.

ო ო ო ო

II მთქმელი

ჩე-მი ქმარი შინ არა რის, კა-ხეთ-ში-ა ცხვარზე - და - ო

ო ო ო ო ო ო

I მთქმელი

გავ სე - დე და მო გო - გავ - და, თეთრი ცხენის ნარზე - და - ო

ო ო ო ო ო ო

II მთქმელი



მზე ვი - ნა-რი ე-ნაც - ვლე - ბა, შაშვე - ნე-ბულს ტანზე და - ო.

ო ო ო ო ო ო

- I მთქმელი: ესთი, ესთი ფარტენაო, დაეხვიე ტარზედაო.
- II მთქმელი: ჩემი ქმარი შინ არ არის, კახეთშია ცხვარზედაო.
- I მთქმელი: გავხედე და მოგოგავდა თეთრი ცხენით ნარზედაო.
- II მთქმელი: მზევინარი ენაცვლება მაშვენებულს ტანზედაო.

- I მთქმელი: ესთი, ესთი ფარტენაო, დაეხვიე ტარზედაო.
- II მთქმელი: ჩემი გულის ნანადური შირაქშია ცხვარზედაო.
- I მთქმელი: გადმომხედა, მივაგებე, დავეწვიე მსხალზედაო.
- II მთქმელი: მზევინარიც ენაცვლება, გავგორდები მკლავზედაო.
- I მთქმელი: ესთი, ესთი ფარტენაო, დაეხვიე ტარზედაო.

მუსიკალური გამოფენა - ფიროსმანი



აარჩიე შენი მუსიკა. მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, დაათვალიერონ ნიკო ფიროსმანის ნახატების გამოფენა, მოცემული მუსიკალური ნაწარმოებებიდან, სურვილისამებრ, აარჩიონ მუსიკა და გააფორმონ გამოფენა.

1. ს.ნასიძე. სიმფონია „ფიროსმანი“;
2. ი. სტრავინსკი. ბალეტი „კურთხეული გაზაფხული“. შესავალი;
3. ი. კეჭაყმაძე. „არქაიკა“;
4. კ. დებუსი. „მთვარის შუქი“.



ნიკო ფიროსმანი

„ადამიანი“

სიმღერის შესწავლა: ინოლა გურგულია. „ადამიანი“

ნურაფერს მეტყვი, მიმღერე
რომ გამიხდე თანაზიარი.
ნურაფერს მეტყვი, მიმღერე,
სანამ არ არის გვიანი.

მისამღერი: პირველად იყო სიმღერა,
გალობა ლამაზხმიანი
და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი.

როცა ღიმილით მიყურებს
ეგ თვალები სანდომიანი,
სულ ჩემიანად გიგულეზ
და გული დამაქვს ფრთიანი.

მისამღერი: მეორედ იყო ღიმილი
მზიანი, ალერსიანი,
და ღიმილისთვის შეიქმნა ადამიანი.

პირველად იყო სიმღერა,
გალობა ლამაზხმიანი
და ღიმილისთვის შეიქმნა
და სიმღერისთვის შეიქმნა
და სიკეთისთვის შეიქმნა ადამიანი.



ინოლა



მოუყვით ბავშვებს...

„ჩემი სახელი ხშირად უცხოური ჰგონიათ. იგი სვანური წარმოშობისაა და ბიძაჩემს სვანეთში ყოფნისას ამოუკითხავს ქვაზე მკრთალი, ძლივს გასარჩევი წარწერა, ირინოლა, მარინოლა. გარკვევით მხოლოდ ინოლა იკითხებოდა. ასე დამარქვეს ეს სახელი ივლისის თაკარა დღეს. მზეში დაბადებულს თან დამყვა მზის უსაზღვრო სიყვარული, მზე ჩემთვის სიმბოლოა სინათლის, სიცოცხლის, სიყვარულის. ამიტომაც ვამბობ: ჩემი ფერია ყვითელი, ფერი მზისა და ცხელი ქვიშისა“.

ინოლა გურგულია – მომღერალი, პოეტი, უამრავი სიმღერის ავტორი – დაიბადა 1929 წლის 25 ივლისს. გაიზარდა თბილისის ძველ უბანში. ყოველ ზაფხულს სამეგრელოს ულამაზეს სოფელ უჩაშონაში ატარებდა. ბუნებასთან, სამყაროსთან სიახლოვემ იგი ბავშვობიდანვე აამღერა. გიტარაზე დაკვრა მამიდამ ასწავლა, ხოლო ჩონგურსა და ფანდურზე – ძიძამ. სევდისა თუ სიხარულის გამომხატველი მისთვის სიმღერა და შვიდსიმნიანი გიტარა გახდა.

მუსიკალური განათლება თბილისის ნიჭიერ ბავშვთა ათნლედში მიიღო, მღეროდა გუნდში, წერდა ლექსებს. უნივერსიტეტში სწავლის დროს, თავის მეგობრებთან – გიული დარახველიძესა და მედეა სიხარულიძესთან ერთად ტრიო „სამაიაში“ მღეროდა. ამ პერიოდში დაიწერა მისი ულამაზესი სიმღერები: „გიტარა“, „გელი“, „სიზმარია“, „ღიმილი მინდა“, „უშენოდ“ და სხვ. ასევე 15 საბავშვო სიმღერა. ინოლა გურგულიას ასზე მეტი სიმღერა საკუთარ ლექსებზე აქვს შექმნილი. ქართული სასიმღერო ხელოვნების შედევრია ინოლას მიერ ნამღერი დავით თორაძის რომანსი ფილმიდან „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“. მისი ბოლო სიმღერაა „ადამიანი“.

 **მოსმენა:** ინოლა გურგულია. „ადამიანი“. ბავშვები უსმენენ სიმღერის ორ ვარიანტს და ადარებენ ერთმანეთს. განსაზღვრავენ, შესრულების რა ფორმაა გამოყენებული – გუნდი, კვარტეტი, სოლო, ტრიო. იხსენებენ, რას ენოდება ტრიო? შემდეგ მინუს ფონოგრამაზე მღერიან.

„ადამიანი“

ტექსტი და მუსიკა:
ინოლა გურგულიასი

ნუ - რა - ფერს შეტ - ყვი მიმ - ღე - რე, რომ გა - მის - დე თა - ნა

ზი - ა - რი, ნუ - რა - ფერს შეტ - ყვი მიმ - ღე - რე, სა -

ნამ ა - რა - რის ვვი - ნი. პირ - ვე - ლად ი - ყო სიმ - ღე - რა

გა - ლო - ბა, მრა - ვალ - ნმი - ა - ნი და სიმ - ღე - რის - თვის

შე - ექ - მნა ა - და - მი - - - ა - ნი.

მეთოდური მითითება: მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ნოტების დასახელებით გაიმეორონ ეს სიმღერა, დაადგინონ ტონალობა, ნოტების გრძლიობა, ზომა, აღნიშნონ ალტერაციის ნიშნები და პაუზები; სანოტო ჩანაწერში გამოყონ მოტივი და მუსიკალური ფრაზები.

მუსიკალური ლექსიკონი: მოტივი (motivo) იტალიური სიტყვაა და საფუძველს, მამოძრავებელ ძალას ნიშნავს. მუსიკაში, კი მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის უმცირეს ნაწილს, რომელიც ნათლად გამოხატავს ძირითადი მელოდიის ხასიათსა და განწყობას. მოტივები, ძირითადად, 1 ან 2 ტაქტისგან შედგება.

ფრაზა [ბერძ. phrasis გამოთქმა]. **მუსიკალური ფრაზა 1.** დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. 2. მუსიკალური თემის პატარა, შედარებით დასრულებული ნაწილი. ფრაზა შეიძლება შედგებოდეს ორი ან სამი მოტივისაგან. ორი ფრაზა კი ქმნის მუსიკალურ წინადადებას (მოტივი + მოტივი = ფრაზას; ფრაზა + ფრაზა = წინადადებას).

ანსამბლი (ansamble) ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „ერთად“, მუსიკაში კი – შემსრულებელთა მცირე რაოდენობისგან შემდგარ ჯგუფს. არსებობს ვოკალური, ინსტრუმენტული და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები.

კვარტეტი (ლათ. quartus ოთხი) – კამერული ანსამბლი, შემდგარი ოთხი შემსრულებლისგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი პარტია აქვს.

ინსტრუმენტული კვარტეტები კამერულ ჟანრს მიეკუთვნება. სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობაა: ორი ვიოლინო, ალტი და ჩელო. კლასიკური სიმებიანი კვარტეტების I ნაწილები, ჩვეულებრივ სონატური ალეგროს ფორმით იწერება. ვოკალური კვარტეტები ოთხი მომღერლისგან შედგება. სიმებიანი კვარტეტის გენიალური ნიმუშები შექმნეს ი. ჰაიდნმა, ვ. მოცარტმა, ლ. ვან ბეთჰოვენმა, ხოლო ქართული პროფესიული მუსიკისთვის საგულისხმოა სულხან ცინცაძის საკვარტეტო მინიატურები, რომლებიც ქართული ხალხური სიმღერების მოტივებზეა აგებულია.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 90 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: იხ. გვ. 56 „სოლფეჯიო“ – კილო და ტონალობა
3. სიმღერის შესწავლა: ს. ცინცადის სიმღერა „თბილისის დილა“.



ტ. მაკოვერის სიმფონია in D: მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ვიდეოს – მაკოვერის „სიმფონია in D“. ბავშვები უყურებენ ვიდეოს და მსჯელობენ. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

1. რა ხმები გესმით?
2. რა გარემოში ისმის ეს ხმები?
3. დამატებით რა ხმები გესმით: ვოკალური, საუბრის, ქალაქის? ბუნებრივი თუ მექანიკური?
4. რა საკრავები გესმით? ამოიცანით და დაასახელეთ.
5. მუსიკის გამომსახველი საშუალებებიდან – მელიოდია, რიტმი, ჰარმონია, ტემბრი – რომელია წამყვანი ამ სიმფონიაში?
6. თქვენი აზრით, სიმფონიაში მელიოდიური და რიტმული ხაზები ერთგვაროვანია თუ მრავალფეროვანი?

მუყევეთ ბავშვებს...



ტ. მაკოვერი

ტოდ მაკოვერი ამერიკელი კომპოზიტორი და ნოვატორია. მან მუსიკაში შემოიტანა და გამოიყენა ახალი ტექნოლოგიები. ნლების მანძილზე, იგი მუშაობდა მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მუსიკისა და მედიის პროფესორად, ხელმძღვანელობდა ჯგუფს „ჰიპერინსტრუმენტები-მომავლის ოპერა“, დირექტორია პროექტების – „საგნები, რომლებიც ფიქრობენ“ და „მომავლის სათამაშოები“. 2000 წლიდან იგი მიიწვიეს ლონდონის სამეფო აკადემიის კომპოზიციის პროფესორად. დაწერა ბევრი ნაწარმოები ცნობილი შემსრულებლებისთვის. მაგალითად, ჩინელი ვიოლონჩლისტი იო-იო-მასათვის.

ტოდ მაკოვერის სიმფონია in D არის ერთ-ერთი სიმფონია სერიიდან „ქალაქის სიმფონიები“, რომელიც მან მიუძღვნა ქალაქ დეტროიტს. კომპოზიტორი გაცელებული დარჩა ქალაქის საოცარი საზოგადოებრივი რეზონანსით, მისი მდიდარი ისტორიით, ქალაქის მრავალფეროვანი ხმებითა და პულსაციით. კომპოზიტორმა და მისმა გუნდმა შეკრიბა დეტროიტის ხმებიდან 15 000 სემპლი და 100 საათზე მეტი აუდიო ხმა: ქალაქის ხმები და ხმაურები. მაკოვერი შეხვდა კლასიკურ და როკ მუსიკოსებს, სკოლის მოსწავლეებს, სამოქალაქო ლიდერებს, ახალგაზრდებს, მოხუცებს, ქუჩაში გამვლელებს, პოეტებს, მხატვრებს, ტექნო-ოსტატებსა და ქარხნის მუშებს – საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლებს და ჩაწერა მათი ხმები. ამ ხმებითა და მუსიკის სხვადასხვა გამომსახველი საშუალებებით შეიქმნა სიმფონია in D.

ნაწარმოებს in D ეწოდა იმის გამო, რომ იგი მიეძღვნა ქალაქ დეტროიტს და მთელი სიმფონიის ცენტრალური ბგერაა რე – D (გაიხსენეთ ნოტების ასოითი აღნიშვნები).

სიმფონია 5 ნაწილისაგან შედგება და ნახევარ საათზე მეტხანს გრძელდება. მთელი ნაწარმოების მანძილზე სიმფონიურ ორკესტრთან შერწყმულია ქალაქის სხვადასხვაგვარი ხმა და ხმაური, რაც თავისთავად ინოვატორულია მუსიკაში. გაერთიანებულია როგორც კლასიკური მუსიკის ხერხები, ისე ელექტრონული მუსიკის პრინციპები.

მეთოდური მითითება: მასწავლებელს, შეუძლია, დაუთმოს თემას ერთი სრული გაკვეთილი. ბავშვები უყურებენ ვიდეოს ან უსმენენ სიმფონიის აუდიოჩანაწერს და მსჯელობენ. მათ უნდა შესძლონ, ამოიცნონ და განარჩიონ ერთმანეთისაგან სიმფონიაში გამოყენებული ხმები, დააჯგუფონ და გამოყონ ელექტრონული მუსიკისთვის დამახასიათებელი ხმა-ბგერები, ასევე, მუსიკის გამომსახველი საშუალებები: მელიოდია, რიტმი, მეტრი, ჰარმონია; აღნიშნონ მელიოდიური თუ რიტმული ოსტინატოები. მასწავლებელი უხსნის მათ, რომ სიმფონიაში მთავარი მუსიკალური ბგერაა რე, რომლის გარშემოც „ტრიალებს“ მთელი სიმფონია. ბავშვებმა, შესაძლებელია, თავიანთი განწყობა და დამოკიდებულება წერილობით გადმოცენ.

სიმღერის შესწავლა:

„თბილისის დილა“

სიმღერა კინოფილმიდან „აბეზარა“

ტექსტი პეტრე გრუზინსკი
მუსიკა სულხან ცინცაძე

როცა ჩემი ქვეყნის ზეცას
მტრედისფერი ედება,
მაშინ დილა ჩემს თბილისში
სიმღერებით თენდება.

მისამღერი:

თბილისიც ხომ სიმღერაა,
აგაღელვებს, გადაგწვავს!
უთბილისოდ საქართველო
ზღაპარშიაც არა მწამს.

სანაპიროს ხეივანი,
ტირიფები, ვერხვები,
რომ შემეძლოს, როგორც სატრფოს,
მოვალ, შემოგეხვევი.

მისამღერი:

თბილისიც ხომ სიმღერაა,
აგაღელვებს, გადაგწვავს...

მოდუდუნებს, მოდის მტკვარი,
ლექს ჩურჩულებს ჭადარი,
ბესიკივით მღერის ქარი,
სიყვარულით დამწვარი.

მისამღერი:


თბილისიც ხომ სიმღერაა,
აგაღელვებს, გადაგწვავს...



კადრი კინოფილმიდან „აბეზარა“

აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, შეასრულონ სიმღერა თბილისზე და კითხვებით ამოწურავს თემას:

1. სულხან ცინცაძის რომელი ნაწარმოებები გახსოვთ?
2. რომელ ჟანრს ეკუთვნის ნაწარმოები?
3. რომელ ცეკვას მოგაგონებთ სიმღერა?
4. რას ისურვებდი შენი ქალაქისთვის?
5. დაასახელე სიმღებიანი კვარტეტის საკრავები.



პეტრე გრუზინსკი – ქართველი პოეტი. მის ლექსებზე დაწერილია ბევრი ქართული სიმღერა.

პ. გრუზინსკი



მოსმენა: ს. ცინცაძე. სიმღერა „თბილისის დილა“.
მოუსმინე სიმღერის მინუს ფონოგრამას და იმღერე თვითონ.

ინფორმაციისთვის:



ს. ცინცაძე

სულხან ცინცაძე (1925-1991 წ.წ.) XX საუკუნის ცნობილი ქართველი კომპოზიტორია. მას დაწერილი აქვს ოპერა „განდგეილი“, ბალეტები: „დემონი“, „დალი და მონადირე“, სიმფონიები, კონცერტები და პიესები სხვადასხვა ინსტრუმენტისათვის. ცინცაძეს ეკუთვნის მუსიკა ქართული ფილმებისათვის: „აბეზარა“, „ჭრიჭინა“, „მია ნყნეთელი“, „თოჯინები იცინიან“, „ბაში-აჩუკი“, „ჯარისკაცის მამა“. მის მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საკვარტეტო ჟანრს. პოპულარულია ცინცაძის საკვარტეტო მინიატურები, რომელთა უმრავლესობა ხალხურ თემებზეა შექმნილი: „ლაღე“, „ინდი-მინდი“, „ურმული“, „საჭიდაო“, „მწყემსური“ და სხვა. საქართველოს სახელმწიფო ეროვნული სიმებიანი კვარტეტი სულხან ცინცაძის სახელს ატარებს. წლების მანძილზე, სულხან ცინცაძე იყო ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი.



მუსიკალური ლექსიკონი:

მინიატურა (miniatura) იტალიური სიტყვაა და ნიშნავს „მცირეს“, მუსიკაში – პატარა პიესას.

„თბილისის დილა“

Tempo di Valse

ტექსტი პეტრე გრუზინსკი
მუსიკა სულხან ცინცაძე

First system of musical notation, including piano accompaniment in G minor with a forte (*f*) dynamic marking.

Second system of musical notation, continuing the piano accompaniment.

Third system of musical notation, including vocal melody and piano accompaniment with a mezzo-forte (*mf*) dynamic marking.

რო - ცა ჩე - მი ქვეყ - ნის ზე - ცას მტრე - დის - ფე - რი

Fourth system of musical notation, including vocal melody and piano accompaniment.

ე - დე - ბა, მა - შინ დი - ჯა ჩემს თბი - ლის - ში

სიმ - ღე - რე - ბით თენ - ღე - ბა. *f* თბი - ლი - სიც სიმ

სიმ - ღე - რა - ა, ა - ვან - თებს და გა - დავ - წვავს, უ - თბი - ლი სოდ

სა - ქარ - თვე - ღო ზღაპარ - ში - აც ა - რა მწამს ა - რა მჯერა,

1, 2. 3.

ა - რა მწამს. *sf*




აქტივობა - კილო და ტონალობა


მაჟორი

გაიხსენე და გაიმეორე


გაიმეორე ბგერათა რიგი აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით:



დო-დან დო-მდე ერთმანეთის მიყოლებით შესრულებულ მწყობრ ბგერათრიგს **გამას** ვუწოდებთ. თუ გამოვიყენებთ ჩვენთვის უკვე ნაცნობი ტონებისა და ნახევარტონების სქემას. ასეთი გამები შეგვიძლია ავაგოთ „რე“-დან, „მი“-დან და ა.შ. ვნახავთ, რომ მივიღებთ სხვადასხვა ელფერის ბგერათრიგს. ამ განსხვავებულ, მრავალფეროვან გამებს კილოები, ტონალობები ეწოდებათ. „დო“-დან აგებულ გამას სხვაგვარად დო მაჟორს უწოდებენ. **მაჟორი** ფრანგული სიტყვაა და დიდს, მტკიცეს ნიშნავს. მუსიკაში მაჟორულ გამას მხიარული და ნათელი ხმოვანება აქვს.




1 ტონი




გაიმეორე გამა დო მაჟორი და სოლ მაჟორი.

დო მაჟორი



სოლ მაჟორი



გააორმაგე დო მაჟორის ბგერები და შეასრულე ჯერ ლეგატოზე, შემდეგ სტაკატოზე ტაშის აყოლებით. გაიხსენე, რა არის ლეგატო და სტაკატო



ბუნებრივი და მექანიკური ხმა-ბგერები-2


ბაკვეთილი 10

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით — ზომა 2/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ტაშით და კაკუნით, ბავშვები გამოხატავენ რიტმულ სურათს და ჰყვებიან ხმით (მარცვლების დასახელებით). ახლა უკვე, სავარჯიშოს შეასრულებენ რიგების მიხედვით – I და II რიგი.



3. სიმღერის შესწავლა: გ. ყანჩელის სიმღერა „ქაფჩა და აგური“ მულტფილმიდან „ჯადოსნური კვერცხი“.

აქტივობა მოუსმინე და განასხვავე ხმა-ბგერები: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს აუდიო-ჩანაწერს სხვადასხვა ხმა-ბგერაზე სთხოვს მათ, ამოიცნონ ხმები და მიუსადაგონ მოცემულ სიტყვებსა და მუსიკალურ ნაწარმოებს.



მოუსმინე სხვადასხვა ხმა-ბგერას, ამოიცანი და ისაუბრე მათ ხასიათზე, განწყობაზე და მიუსადაგე შესაბამისი განმარტებები:

1. ბზილი, ფრენა, კბენა (ბზიკი);
2. სხვადასხვა ხმაური, ყვირილი, სიგნალი, საუბარი (ქალაქის ხმები);
3. საგნების ერთმანეთზე დარტყმის ხმები (მექანიკური ხმები);
4. შრიალი, ზუზუნი, ღმუილი, ქროლვა (ბუნების ხმები).




მოუსმინე მუსიკას და მიუსადაგე, რომელ მოსმენილ ხმა-ბგერებს მოგაგონებს ნაწარმოებები?

1. ნ. რიმსკი – კორსაკოვი. „კელას გაფრენა“ (ბზიკი);
2. ტ. მაკოვერი. სიმფონია in D (ქალაქი);
3. გ. ყანჩელი. სიმღერა „ქაფჩა და აგური“ (მექანიკური ხმები);
4. ჯ. როსინი. ოპერა „ვილჰელმ ტელი“. უვერტიურა (ბუნების ხმები).

1. რომელია მათგან ვოკალური და რომელი – ინსტრუმენტული ნაწარმოები?
2. რომელია მათგან სოლო, კამერული, საორკესტრო, საოპერო თუ საგუნდო ნაწარმოები?
3. რა ტემპშია დაწერილი თითოეული ნაწარმოები?
4. რა მუსიკალური ხერხებით აღწევს კომპოზიტორი ამა თუ იმ განწყობისა და მხატვრული სახის შექმნას? ბავშვები მსჯელობენ მელოდიაზე, რიტმზე, ჰარმონიაზე, ტემპზე, ტემბრზე...

დამატებითი აქტივობა: მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, მუსიკის ხასიათის მიხედვით, თავად ამოიცნონ ამ ნაწარმოებების ავტორები და მიუსადაგონ მათ ფოტოებს.

გაავლე ასოციაციური კავშირები მუსიკასა და ვიზუალს შორის



გ. ყანჩელი



ნ. რიმსკი-კორსაკოვი



ჯ. როსინი




ტ. მაკოვერი

სიმღერის შესწავლა: სიმღერა მულტფილმიდან „ჯადოსნური კვერცხი“.

„ქაფჩა და აგური“

კომპოზიტორი **გ. ყანჩელი**



გ. ყანჩელი

ქაფჩა და აგური, კვირიდან კვირამდე,
დოქში კი ღვინო დგას პირამდე.
საქმე არსად გაიქცევა ამ თვისაა ხვალეც,
ღვინოს დროზე თუ არ დაღვევ,
დაძმარდება მალე.

აბა ჰე, მოვდივარ. ესა ვარ, რაცა ვარ,
გჭირდებით. გიშველით ვფიცავარ.
სოფლის ტვირთი მხრებზე ავიკიდე,
არ გეგონოთ ვინმეს შევუშინდე,
ცხრა ამდენი მინის ქვეშ ვარ კიდევ ჰეი.

შეუბერე საქმე აღარ იცდის,
სიტყვას იტყვი არ ჭირდება ფიცი!
ქიცი, ქიცი, ქიცმაცურიც ვიცი ჰეი.



მოსმენა: **გია ყანჩელი. „ქაფჩა და აგური“.** მოუსმინე სიმღერის მინუს ფონოგრამას და იმღერე. მოსმენისას მინუს ფონოგრამაში ზავშეები ამოიცნობენ აგურის დარტყმის ხმებს და აღნიშნავენ, ბუნებრივია ხმები თუ მექანიკური.



კადრები მულტფილმიდან „ჯადოსნური კვერცხი“



აქტივობა - ინტერვალი. გაიხსენე და გაიმეორე

გავიხსენოთ **ინტერვალები**. მანძილს ორ ბგერას შორის **ინტერვალი** ეწოდება. ინტერვალი ლათინური სიტყვაა და საზოგადოდ შუალედს, განსხვავებას, მანძილს ნიშნავს.

გავიხსენოთ სამი ინტერვალი



ინტერვალების სახელწოდებებიც ლათინური სიტყვებია. **პრიმა** ნიშნავს პირველს, **სეკუნდა** - მეორეს, **ტერცია** - მესამეს.

კეთილხმოვან ინტერვალს **კონსონანსი** ეწოდება, არაკეთილხმოვანს – **დისონანსი**.

გაიმღერე ინტერვალები და განსაზღვრე, რომელი ჟღერს კეთილხმოვნად და რომელი არა? რომელია კონსონანსი და რომელი დისონანსი?

ქაფჩა და აგური

სიმღერა მულტფილმიდან „ჯადოსნური კვერცი“

კომპოზიტორი: გია ყანჩელი

ცოცხლად

The first system of the musical score is in 4/4 time with a key signature of three sharps (F#, C#, G#). It begins with a double bar line and repeat dots. The right hand (treble clef) features a melodic line with a slur over the final two measures. The left hand (bass clef) plays a steady accompaniment of eighth notes, starting with a forte (*f*) dynamic marking.

The second system continues the piece. The right hand has a melodic phrase with a slur. The left hand maintains the eighth-note accompaniment, with some chords changing to include flats (Bb, Eb).

The third system contains a first ending (1.) and a second ending (2.). The first ending leads back to the beginning of the system. The second ending is marked with a mezzo-forte (*mf*) dynamic and includes the lyrics "ქაფ-ჩა" (Ka-pcha) written below the notes.

და ა - გუ - რი კვი - რი - დან კვი - რამ - დე დოქ - ში

mf

კი ღვი - ნო დგას პი - რამ - დე.

საქ - მე არ - სად გა - იქ - ცე - ვა ამ თვი - სა - ა ხვა - ლეც,

ღვი - ნოს დრო - ზე თუ არ და - ლევ ად - მარ - დე - ბა მა - ლე.

System 1: Treble clef, key signature of two sharps (F# and C#). The right hand features a complex rhythmic pattern with eighth and sixteenth notes, while the left hand plays a steady eighth-note bass line.

System 2: Continuation of the musical score from System 1, maintaining the same key signature and rhythmic patterns.

System 3: Treble clef, key signature of two sharps. The right hand begins with a double bar line and repeat sign, followed by a series of sixteenth-note runs. The left hand continues with a steady eighth-note bass line.

System 4: Treble clef, key signature of two sharps. The right hand features a melodic line with a slur over the first measure, followed by sixteenth-note runs. The left hand continues with a steady eighth-note bass line.

1. 2.

ა - ბა

ჰე, მოვ-დი - ვარ ე - სა - ვარ რა - ცა ვარ გჭირ-დე -

ბით გიშ - ვე - ლით ვფი - ცა - ვარ.

cresc.

f

f

სოფ-ლის ტვირ-თი მხრებ - ზე ა - ვი - კი - დე არ გე-გო-ნოთ ვინ - მეს შე - ვუ - შინ - დე

ცხრა ამ - დე - ნი მი - ნის ქვეშ ვარ კი - დევ ჰეი.

შე - უ - ბე - რე საქ - მე ა - ლარ იც - დის სი-ტყუვას იტ-ყვი არ ჭირ - დე - ბა ფი - ცი

ქი - ცი - ქი - ცი - ქიც - მა - ცუ - რიც ვი - ცი ჰეი.

 **მოსმენა:** გია ყანჩელი. „ქაფჩა და აგური“. მოუსმინე სიმღერის მიწუს ფონოგრამას და იმღერე. მოსმენისას მიწუს ფონოგრამაში ამოიცანი აგურის დარტყმის ხმები და აღნიშნე, ბუნებრივია ხმა, თუ მექანიკური.

მოუსმინე და განასხვავე ხმა-ბგერები

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

- რიტმული მოთელვა:** გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4.
- რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო:** ტაშით და კაკუნით ბავშვები გამოხატავენ რიტმულ სურათს. თავდაპირველად მასწავლებელი გამოხატავს რიტმულ სურათს, ბავშვები იმეორებენ ტაშით და ჰყვებიან ხმით (მარცვლების დასახელებით).



აქტივობა: მოუსმინე და განასხვავე ხმა-ბგერები. ამოიცანით, რომელია ბუნებრივი და რომელი მექანიკური ხმები.

მოისმინეთ სხვადასხვა ხმა-ბგერა, ამოიცანით და ისაუბრეთ მათ ხასიათზე, განწყობაზე და მიუსადაგეთ შესაბამისი განმარტებები:

- მოგუგუნე, მჭექარე, ომახიანი, სწრაფი (მატარებელი).
- დროის განმსაზღვრელი, თანაბარი რიტმული მოძრაობა, ნიკ-ნიკი (საათი), (ვიდეო Tick-Tock).
- გალობა, სიმღერა, ჩხავილი, ჭიკ-ჭიკი (ფრინველები).
იმსჯელე, რატომ იფიქრე ასე?

 მოუსმინეთ მუსიკას და მიუსადაგეთ, რომელ მოსმენილ ხმა-ბგერებს მოგაგონებთ მუსიკალური ფრაგმენტები?

- ს. ნასიძე. სიმფონია №5 „ფიროსმანი“;
- ზ. კოდალი. ოპერა „ჰარი იანოში“. სიუიტი „ვენის მუსიკალური საათი“;
- კ. ჟანეკენი. „ჩიტების სიმღერა“.

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ნაწარმოებებს და უპასუხეთ კითხვებს:


- რომელია ვოკალური და რომელია – ინსტრუმენტული ნაწარმოები?
- რა საკრავები გესმით?
- რომელ ნაწარმოებში გვხვდება მატარებლის მოძრაობის ხმა?
- სად ისმის მელოდიური და რიტმული ოსტინატოები?
- ამოიცანი, რა ჟანრის მუსიკა გვხვდება: სიმღერა, ცეკვა, მარში, ვალსი და ა.შ.
- რომელ ნაწარმოებში გვხვდება ტემპის თანდათანობითი მატება?

დამატებითი აქტივობა: მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, მუსიკის ხასიათის მიხედვით, თავად ამოიცნონ ამ ნაწარმოებების კომპოზიტორები და მიუსადაგონ მათ ფოტოებს.

გაავლე ასოციაციური კავშირები მუსიკასა და ვიზუალს შორის



ს. ნასიძე



ზ. კოდალი



კ. ჟანეკენი



ოლივიე მესიანი XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი ფრანგი კომპოზიტორი – ნოვატორია. იგი ხელოვნებაში გაკვალულ გზებს არ მისდევდა, მუდამ ახლის ძიებაში იყო, ისწრაფოდა განეახლებინა მუსიკალური ენა. მისი ნაწარმოებები გამოირჩევა უჩვეულო რიტმებით და სხვადასხვა საკრავის ტემბრთა ორიგინალური შეხამებით. ხშირად იყენებდა ეგზოტიკურ დასარტყამ საკრავებს, ასევე ელექტროსაკრავებსაც. ახალგაზრდობიდან კომპოზიტორის შთაგონების წყარო იყო რელიგია, ძველინდური ფილოსოფია და მუსიკა, ინდური რიტმები, ეგზოტიკური ქვეყნების კულტურა, თანამედროვე პოეზია; სწავლობდა ჩიტების გალობას და მათ „პლანეტის

ო. მესიანი 1908-1992 უდიდეს მუსიკოსებად“ მიიჩნევა. ჩიტები მესიანისთვის ბუნების სულის ასახვაა. მესიანი დაულალავად სწავლობდა ჯერ საფრანგეთის, შემდეგ – აფრიკის, აზიის, ამერიკის ფრინველებს, აკვირდებოდა მათ ქცევას, ფირზე იწერდა მათ ხმებს და შემოქმედებითად ამუშავებდა. ამის საფუძველზე მან შექმნა არაერთი ნაწარმოები. პირველი პიესა იყო „შავი შაშვი“ ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის (1952), შემდეგ „ჩიტების გაღვიძება“ ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, „ეგზოტიკური ფრინველები“ ფორტეპიანოსა და 18 საკრავისთვის, 13 საფორტეპიანო პიესისგან შემდგარი ციკლი „ფრინველების კატალოგი“, სადაც მოგროვებულია კლდის ლურჯი შაშვის, რუხი ბუს, ტყის ტოროლას და სხვა ფრინველთა ხმები.

მესიანი ამბობდა: **„მძიმე და სევდიან ფიქრთა მოძალების ჟამს, სხვა რა გზა და გამოსავალი არსებობს, თუ არა მიახლოება ფრინველთა გალობასთან ტყეში, მინდვრებში, მთებსა თუ ზღვის სანაპიროზე? ჩემთვის სწორედ იქ ცოცხლობს მუსიკა“.**



მოსმენა: ოლივიე მესიანი. „ეგზოტიკური ფრინველები“

მოუსმინეთ მუსიკას და შთაბეჭდილება გამოხატეთ პიქტოგრამებით. რომელი ნაცნობი საკრავები ჟღერს ამ ნაწარმოებში?

მასწავლებელი კიდევ ერთხელ ასმენინებს ო. მესიანის „ეგზოტიკური ფრინველებს“ და კ. ჟანეკენის „ჩიტების სიმღერას“ და სთხოვს ბავშვებს, შეადარონ ორი ნაწარმოები ერთმანეთს, იპოვონ მსგავსება და განსხვავება.

1. რა აქვს საერთო ამ ორ ნაწარმოებს?
2. რა გამომსახველობითი ხერხებით გადმოსცემს თითოეული კომპოზიტორი ფრინველთა ინტონაციებს?
3. რა განსხვავებაა ამ ორ ნაწარმოებს შორის?
4. როგორ ფიქრობთ, მუსიკის შინაარსისა და განწყობის მიხედვით, რომელი ნაწარმოებია უფრო ძველი და რომელი – ახალი? რატომ ფიქრობთ ასე?
5. რა განწყობას გიქმნით ნაწარმოებები?



ო. მესიანი 1908-1992 წ.წ.
მეოცე საუკუნის ფრანგი კომპოზიტორი



კ. ჟანეკენი 1485-1558 წ.წ.
ალორძინების ხანის ფრანგი კომპოზიტორი

თემა: ბუნება და ტექნიკა მუსიკაში

ქვეთემა: მექანიკური ხმები

მიზანი: მოსმენილი ხმა-ბგერების ამოცნობა, განსხვავება, შედარება, მათ ხასიათზე, განწყობაზე, მუსიკის გამომსახველ საშუალებებზე მსჯელობა, მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში ხმა-ბგერების ამოცნობა, სხვადასხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებში მექანიკური ხელსაწყოების (მუსიკალური საათები და ზარდახშები, მექანიკური თოჯინები, მეტრონომი, და სხვა) ფლერადობის ამოცნობა და ამა თუ იმ მხატვრული სახის შესატყვისი მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხების დახასიათება.

მისაღწევი შედეგები: მუს.საბ.4,5

ბაკვეთილი 13

ჰაიდნის მექანიკური საკრავები

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. **რიტმული მოთელვა:** გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4.

2. **რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო:** მასწავლებელი ტაპით გამოხატავს რიტმულ სურათს და ბავშვები იმეორებენ, ყვებიან ხმით მარცვლების დასახელებით.



ი. ჰაიდნი

ჰაიდნის მექანიკური საკრავები: მე-18 საუკუნის II ნახევარში ევროპაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა როკოკოს სტილის მექანიკური საკრავები: მუსიკალური საათი, მექანიკურად მართული მინიატურული ორგანი, მექანიკური მუსიკალური სათამაშოები-თოჯინები, მუსიკალური ზარდახშები.

შედლებულ ფენებში დიდ ინტერესს იწვევდა ძვირადღირებული მექანიკური ორგანი Flötenuhr, სადაც ტექნიკური პროგრესის მიღწევები გაერთიანებული იყო მუსიკასთან.

ავსტრიელმა კომპოზიტორმა, ვენის კლასიკური სკოლის ერთ-ერთ-მა წარმომადგენელმა, ი. ჰაიდნმა დაწერა მუსიკა თავისი მეგობრის მუსიკალური საათებისთვის. მეგობარს სურდა, რომ საათები სწორედ ჰაიდნის მუსიკით აჟღერებულიყო. ასე შეიქმნა ჰაიდნის 32 ნაწარმოები მრავალგვარი მექანიკური საათისთვის. ი. ჰაიდნმა შექმნა მუსიკა აგრეთვე მექანიკური ორგანებისთვისაც. იმ პერიოდში, როდესაც ი. ჰაიდნი, უნგრელ თავად ესტერჰაზისთან ორკესტრს ხელმძღვანელობდა, აქვე გაიცნო გამომგონებელი ნემერი (1750-1806). სწორედ მან შექმნა მექანიკური ორგანები და დიდი საათების ქვედა ნაწილში ჩართო მექანიზმი, რომელიც წინასწარ დაპროგრამებული ინტერვალებით სხვადასხვა ხმოვანებებს ქმნიდა. ნემერის ორგანების დიაპაზონი დაახლოებით 3 ოქტავა იყო. ჰაიდნმა ამ ახალი მექანიკური საკრავებისთვის შექმნა ნაწარმოებები. მექანიკურმა საკრავებმა და საათებმა შემდეგ საუკუნეებშიც არ დაკარგეს აქტუალობა. კომპოზიტორები დღესაც ქმნიან ნაწარმოებებს, სადაც მექანიკურ საკრავებს ბაძავენ.



ბავშვები უყურებენ ვიდეოკოლაჟს „მექანიკური საათები“.



მოსმენა: ჰაიდნის პიესები მექანიკური ორგანისთვის.

მასწავლებელი გაახსენებს ჰაიდნის სიმფონიას №101 „საათი“. ბავშვები ამოიცნობენ, რომელ მექანიკურ საგანს ბაძავს კომპოზიტორი.

მეთოდური მითითება: გაკვეთილის მიზანია, ბავშვებმა მოუსმინონ მუსიკას, ამოიცნონ მექანიკური ხმები და ისაუბრონ ნაწარმოების შინაარსსა და განწყობაზე. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რა ხერხებით ქმნის კომპოზიტორი მუსიკაში მექანიკურ ხმებს. მასწავლებელი სვამს კითხვებს და ამოწურავს თემას.




LMMS: ბავშვები უსმენენ ფრაგმენტს ი. ჰაიდნის სიმებიანი კვარტეტიდან და LMMS-ში დაშლილ ფრაგმენტებს აანყობენ.

ბეთჰოვენის მეტრონომი

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.


ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: სავარჯიშო იხ. მოსწავლის წიგნში გვ. 26.



ლ.ვ. ბეთჰოვენი

ბეთჰოვენის მეტრონომი: მეტრონომი ბერძნული სიტყვაა. metron ნიშნავს ზომას, nomos კანონს. მეტრონომი ქანქარიანი ხელსაწყოა, რომელიც დარტყმებით აღნიშნავს დროის მცირე მონაკვეთებს. მას იყენებენ მუსიკაში ნაწარმოების ზუსტი ტემპით შესასრულებლად, ასევე, ლაბორატორიაში ზუსტი გაზომვებისთვის. მსგავსი ხელსაწყოები ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში შეიქმნა, ხოლო 1816 წელს ავსტრიელმა ოსტატმა ი.მელცელმა გააუმჯობესა და შექმნა თანამედროვე მეტრონომის სახე. ლ. ვან ბეთჰოვენი, რომელიც კარგად იცნობდა ი. მელცელს, მას კანონი მიუძღვნა, ხოლო შემდეგ, ეს კანონი საფუძვლად დაუდო №8 სიმფონიის II ნაწილს. კანონი ასე იმღერებოდა: „ტა, ტა-ტა, ტა-ტა-ტა... ო, მელცელო, ჩემო საყვარელო“.



მელცელის მეტრონომი

ბეთჰოვენმა სიმფონიას „პატარა სიმფონია“ უწოდა და სტილით ჰაიდნის სიმფონიებს გავს.

II ნაწილის მხიარული, ბავშვური თემა გაბმულად ჟღერს აკორდების რიტმულად თანაბარი პულსაციის ფონზე, რომელიც მეტრონომის იმიტაციას ახდენს.

მოსმენა: ლ. ვან ბეთჰოვენი. სიმფონია №8, II ნაწილი .

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, მოუსმინონ სიმფონიას და უპასუხონ კითხვებს:

1. როგორი ხასიათისაა ეს ნაწარმოები?
2. რა საკრავები ასრულებენ?
3. სად ისმის მეტრონომის ხმა: მელოდიაში თუ რიტმში?
4. სად გვხვდება ოსტინატო: მელოდიაში თუ რიტმში?
5. რა მუსიკალური ხერხებით აღწევს კომპოზიტორი მექანიკურ ჟღერადობას?
6. როგორი ჟღერადობები გესმით ჰარმონიაში – კონსონანსური თუ დისონანსური?

მოსმენა: დ. ლიგეტი. „სიმფონიური პოემა 100 მეტრონომისათვის“.

შემდეგ, მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს დ. ლიგეტის „100 მეტრონომის სიმფონიას“ და სვამს კითხვებს:

1. ამოიცანით, ნაწარმოებში ნამდვილი მეტრონომი ჟღერს თუ მისი იმიტაცია;
2. აღწერე, როგორ ვითარდება „მეტრონომების მუსიკა“?

ყურადღებას მიაქცევენ ნაწარმოების დასასრულს და შეადარებენ ი. ჰაიდნის №45 „გამოსათხოვარ სიმფონიას“. მასწავლებელი გაახსენებს ჰაიდნის აღნიშნული სიმფონიის ფინალს.

ბავშვები უყურებენ ვიდეოს:

1. დ. ლიგეტი. „სიმფონიური პოემა 100 მეტრონომისათვის“;
2. ი. ჰაიდნი. №45 „გამოსათხოვარ სიმფონია“. ფინალი;
3. „Pipe Dream“ – გაკვეთილის ბოლოს უყურებენ ვიდეოს და ამოიცნობენ, მექანიკური ხმები ჟღერს თუ ბუნებრივი.

მეთოდური მითითება: გაკვეთილის მიზანია, ბავშვები დააკვირდნენ, ამოიცნონ სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებებში მექანიკური ხელსაწყოები და მათი იმიტაცია. დაადგინონ, რა ხერხებით აღწევენ ისინი ამ ჟღერადობებს.

მუსიკალური ზარდახმა

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: მასწავლებელი აგრძელებს სამრიგიანი რიტმული სავარჯიშოს შესწავლას. ბავშვები ტაშით გამოსახავენ პირველ რიგს.



3. სიმღერის შესწავლა: საახალწლო სიმღერა We Wish You A Merry Christmas.

მუსიკალური ზარდახმა:



ზარდახმა



უყურებენ ვიდეოს: ა. ლიადოვის “მუსიკალური ზარდახმა” და ჟ. ბიზეს „ბზრიალა“; მოუსმენენ მუსიკას, მსჯელობენ, პასუხობენ კითხვებს:

1. რომელი მექანიკური საკრავის ან საგნის ხმა ისმის? რა ანიჭებს პიესებს მექანიკურ ხასიათს?
2. როგორია ხმები: გაბმული, წყვეტილი, გაშლილი, მღერადი, ნახტომისებური?
3. ადარებენ ნაწარმოებებს ერთმანეთს და საუბრობენ თითოეულის შინაარსზე, ხასიათსა და განწყობაზე.
4. რა მუსიკალური ხერხებით (მელოდია, რიტმი, ჰარმონია, დინამიკა) გადმოსცემს კომპოზიტორი მექანიკურ უღერადობებს? როგორია რიტმი: მონოტონური, ერთგვაროვანი თუ ცვალებადი? ბავშვები თითოეული ხელსაწყოს მოძრაობას გრაფიკული ხაზით გამოხატავენ.

ინფორმაციისთვის: ჟ. ბიზეს სიმფონიური სიუიტა „ბავშვების თამაშები“ შედგება 12 პიესისგან. იგი ნათლად ასახავს სხვადასხვა თამაშს. სიუიტის მეორე პიესა ცოცხლად გადმოგვცემს ბზრიალს, ტრიალსა და ბრუნვას. სიუიტა დაიწერა 1871 წელს ფორტეპიანოსთვის ოთხ ხელში, არსებობს რამდენიმე პიესის ავტორისეული საორკესტრო ვერსიაც. 1955 წელს ჯორჯ ბალანჩინმა სიუიტის მუსიკის მიხედვით ბალეტი დადგა.



ჟ. ბიზე

„მუსიკალური ზარდახმა“ ა. ლიადოვის საფორტეპიანო პიესაა, რომელშიც კომპოზიტორი ბაძავს მუსიკალური ზარდახმის უღერადობას. კომპოზიტორმა პიესის მექანიკურ ხასიათს ხაზი გაუსვა მინიშნებით „automaticamente“, ე. ი. „ავტომატურად“. ეს არის პიესა სათამაშო დასაქოქ მუსიკალურ ყუთ-ზარდახმაზე.

მუსიკალურ ზარდახმებს ახასიათებს მაღალი რეგისტრის „მინისებური“, წკრიალა უღერადობა, ერთფეროვანი დინამიკა, ხშირი და ზუსტი განმეორებები.

ბავშვები გაიხსენებენ, რა არის რეგისტრი და დინამიკა.



ა. ლიადოვი



უყურებენ ვიდეოს

1. მოცარტის ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“ — პაპაგენოსა და პაპაგენას სცენა, რომელიც მუსიკალური ზარდახმის ხმებით იწყება;
2. ვიდეოკოლაჟი მუსიკალურ ზარდახმებზე.



მუსიკალური ზარდახმა

მექანიკური საკრავები

ძველი მუსიკალური ზარდახშები, არლანი, რომლებიც მსგავს მექანიზმებზეა შექმნილი



ფონოგრაფი



გრამოფონი



არლანი



თ. ედისონი და მისი ფონოგრაფი

ინფორმაციისთვის: ფონოგრაფი ბერძნული სიტყვაა და **ხმის ჩანერას** ნიშნავს. ის მექანიკური ბგერათჩანერისა და ბგერათჩანერების ხელსაწყოა, რომელიც გამოიგონა თომას ედისონმა 1877 წელს. ბგერა ინერებოდა ლილვაკზე შემოხვეული კალის კილიტაზე, მემბრანასთან დაკავშირებული ნემსით, კილიტის ზედაპირს ნემსი კანრავდა. ბგერათა წარმოების დროს, ღარში მოძრავი ნემსი ირხეოდა და მასთან დაკავშირებული მემბრანა ბგერას გამოცემდა. გაუმჯობესებულ ფონოგრაფს XX საუკუნის 30-იან წლებში იყენებდნენ დიქტოფონის სახით, ფონოგრაფის საფუძველზე შექმნილი იყო გრამოფონი და პატეფონი, რომლებიც XX საუკუნის 40-50-იან წლებში შეცვალა ელექტომექანიკურმა და მაგნიტურმა ჩამწერმა, ელექტროფონმა, მაგნიტოფონმა და სხვ.

საშობაო-საახალწლო სიმღერები

„We Wish You A Merry Christmas“

სიმღერის შესწავლა – „We Wish You A Merry Christmas“ – XVII საუკუნის ინგლისური ხალხური საშობაო სიმღერა, რომელსაც საშობაოდ ინგლისელი დიდგვაროვნები ღარიბ მოსახლეობას უმღეროდნენ და საჩუქრებს ურიგებდნენ.

Good tidings we bring
To you and your kin;
Good tidings for Christmas
And a happy New Year!

We won't go 'til we get some
We won't go 'til we get some
We won't go until we get some
So bring it out here!

We wish you a Merry Christmas
We wish you a Merry Christmas
We wish you a Merry Christmas
And a happy New Year.

We wish you a Merry Christmas
We wish you a Merry Christmas
We wish you a Merry Christmas
And a happy New Year

Bring us pudding
Bring us pudding
Bring us pudding
And a cup of good cheer

We wish you a Merry Christmas
We wish you a Merry Christmas
We wish you a Merry Christmas
And a happy New Year.



მოსმენა: „We Wish You A Merry Christmas“.

ბავშვები უსმენენ მინუს ფონოგრამას და მღერიან.

We wish you a merry Christmas

f

We

f

wish you a mar-ry Christ-mas, We wish you a mar-ry Christ-mas, We wish you a mar-ry

mf

Christ-mas, And a hap-py new year! glad ti-dings we brings, To

mf

mf

you and your kin, We wish you a mar-ry Christ-mas, And a hap-py new year!


მეთოდური მითითება: მასწავლებელს საშობაო-საახალწლო სიმღერები შეუძლია, სურვილისამებრ, შეასწავლოს სხვადასხვა გაკვეთილზე

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 2/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: მასწავლებელი აგრძელებს სამრიგოანი რიტმული სავარჯიშოს მეორე და მესამე რიგების შესწავლას. იხ. გაკვეთილი 11-12



3. სიმღერის შესწავლა: საახალწლო სიმღერა „Deck the Halls!“

 მექანიკური თოჯინები: მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს ვიდეოს:

1. პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „მაკნატუნა“, „ფერია დრაჟეს ცეკვა“ (სამი თოჯინას შესრულებით);
2. ი. ბაიერი. ბალეტი „ფერია-თოჯინა“;
3. პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „მაკნატუნა“, „ფერია დრაჟეს ცეკვა“ (მაკნატუნების შესრულებით);
4. ჟ. ოფენბახი. ოპერა „ჰოფმანის ზღაპრები“, თოჯინა ოლიმპიას სიმღერა.

მეთოდური მითითება: ბავშვები უყურებენ ვიდეორჩანანერებს, საუბრობენ და მსჯელობენ თი-



პ. ჩაიკოვსკი. „მაკნატუნა“

თოეულ ფრაგმენტზე. გაკვეთილის მიზანია, ბავშვებმა ამოიცნონ მუსიკაში მექანიკური საწყისი და მოძრაობები; განასხვავონ ერთმანეთისგან ვოკალური, ინსტრუმენტული და მუსიკალურ-თეატრალური ჟანრები: ბალეტი და ოპერა; დაადგინონ, რაში ვლინდება მექანიკური საწყისი: ვოკალში, სცენურ მოძრაობებსა თუ ინსტრუმენტულ მუსიკაში; რამდენად ემთხვევა სცენური მოძრაობები ინსტრუმენტულ თანხლებას. მასწავლებელს შეუძლია, ეს ნაწარმოებები აუდიოჩანანერების სახითაც მოასმენინოს ბავშვებს და შესთავაზოს, თოჯინების მოძრაობები გრაფიკული ხაზით გამოხატონ.



პ. ჩაიკოვსკი



ჟ. ოფენბახი



ი. ბაიერი



ი. ბაიერი. თოჯინას ცეკვა



ჟ. ოფენბახი. თოჯინა ოლიმპიას სიმღერა

 მოსმენა: ს. გუბაიდულინა. „მუსიკალური სათამაშოები“. ბავშვები ისმენენ საფორტეპიანო პიესებს და მსჯელობენ.

სიმღერის შესწავლა: „Deck the Halls!“

Deck the Halls!

ინგლისური ხალხური საშობაო სიმღერა

Deck the halls with boughs of hol - ly!
 See the blaz - ing yule be - for us! Fa la la la la la la la la!
 Fast aw - ay the old year pass - es!

Tis the sea - son to be jol - ly! Don we now our
 Strike the harp and join the cho - rus! Fa la la la la la la la la!
 Hail the new, ye lads and las - ses! Sing we joy - ous

gay ap - par - rel! Troll the anc - ient
 mer - ry mea - sure! Fa la la la la la la la la!
 all to - get - her! While I tell of
 Heed - less of the

გამეორება 3-ჯერ

yule - tide car - ol!
 yule - tide treas - ure! Fa la la la la la la la la!
 winds and wea - ther!



მოსმენა: ინგლისური საშობაო სიმღერა „Deck the Halls!“. მინუს ფონოგრამა.

თემა: ბუნება და ტექნიკა მუსიკაში

ქვეთემა: ბუნებრივი ხმები

მიზანი: მოსმენილი ხმა-ბგერების ამოცნობა, განსხვავება, შედარება. მათ ხასიათზე, განწყობაზე, მუსიკის გამომსახველ საშუალებებზე მსჯელობა. მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში ხმა-ბგერების ამოცნობა, სამყაროს ბუნებრივი ხმების მოსმენა და ამ ხმების გამოყენებით მუსიკალური კომპოზიციების შექმნა LMMS პროგრამაში.

მისაღწევი შედეგები: მუს. საბ. 4.5. მუს. საბ. 1.2.3

მუსიკალური რიტმი, მელოდია, ტემპი

ბაკვეთილი 17

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: ბავშვები ტაპით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



3. სიმღერის შესწავლა: საახალწლო სიმღერების გამეორება

აქტივობა. მოუსმინე და ისაუბრე მუსიკაზე. ბავშვები უსმენენ სამ ნაწარმოებს, ამოიცნობენ ბუნებრივ ხმებს მუსიკაში, მსჯელობენ რიტმზე, მელოდიურ ხაზსა და ჰარმონიაზე; თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს მიუსადაგებენ შესაბამის წინადადებას.



1. ფ. შოპენი. ნოქტიურნი №2 op 9.

ა. როგორია ნაწარმოების მელოდიური ხაზი: გაშლილი, მღერადი თუ წყვეტილი? მდორეა თუ ნახტომები გვხვდება?

ბ. როგორ განწყობას გამოხატავს მელოდია?

გ. როგორია რიტმი – დინჯი, თანაბარზომიერი, სინკოპირებული, მკვეთრად აქცენტირებული?

დ. როგორია ტემპი – ნელი, ზომიერი თუ ჩქარი?

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს კონსონანს და დისონანს ინტერვალებზე – სანყის ინტონაციაზე დიდი სექსტით და მელოდიის თანხლებაზე.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ ნაწარმოების ხასიათსა და განწყობაზე; მიუსადაგონ შემდეგი წინადადებები:

თქვენი აზრით, მუსიკა გამოხატავს:

1. შიშს, შფოთვის, წყენას ან განგაშს;

2. სიხარულს, სიმშვიდეს, აღტაცებას ან აღფრთოვანებას;

3. მუსიკა გადმოგვცემს ბუნების სურათს:

ა. მზის ამოსვლას;

ბ. ქარიშხალს;

გ. ზღვისა და წყლის ხმაურს;


დ. მშვიდ მთვარიან ღამეს.




2. გ. მალერი. სიმფონია №5. Adagio.

ა. როგორია ნაწარმოების მელოდიური ხაზი: გაშლილი, მღერადი თუ წყვეტილი; მდორე თუ ნახტომებისებური?

ბ. როგორ განწყობას გამოხატავს მელოდია?



ფ. შოპენი



გ. მალერი

გ. როგორია რიტმი – დინჯი, თანაბარზომიერი, სინკოპირებული თუ მკვეთრად აქცენტირებული?

დ. როგორია ტემპი – ნელი, ზომიერი თუ ჩქარი?

იმსჯელე ნაწარმოების ხასიათსა და განწყობაზე. მიუსადაგე შემდეგი წინადადებები:

თქვენი აზრით, მუსიკა გამოხატავს:

1. მხიარულებასა და დღესასწაულს;
2. ზღაპრულ-ფანტასტიკურ სამყაროს;
3. ღრმა სევდას, მწუხარებას, უიმედობას;
4. ბუნების სურათებს:
 - ა. ჭექა-ქუხილს;
 - ბ. ნისლიან დღეს;
 - გ. გაზაფხულის წვიმიან დილას.

როგორ განწყობაზე დაგაყენათ ნაწარმოებმა? დაგაფიქრათ, გაგამხიარულათ თუ დაგამწუხრათ?

 **3. ი. კეჭაყმაძე. „არქაიკა“ (ეგზერსისი).**

ა. როგორია ნაწარმოების მელოდიური ხაზი: გაშლილი, მღერადი თუ წყვეტილი; მდორეა თუ ნახტომები გვხვდება?

ბ. როგორ განწყობას გამოხატავს მელოდია?

გ. როგორია რიტმი – დინჯი, თანაბარზომიერი, სინკოპირებული თუ მკვეთრად აქცენტირებული?

დ. როგორია ნაწარმოების ტემპი – ნელი, ზომიერი თუ ჩქარი?

იმსჯელე ნაწარმოების ხასიათსა და განწყობაზე. მიუსადაგე შემდეგი წინადადებები:

თქვენი აზრით, მუსიკა გამოხატავს:

1. კოსმიურ იდუმალ ხმებს;
2. ქალაქის ხმაურს;
3. სიცოცხლის, ახლის დაბადებას თუ დასასრულს;
4. ბუნების სურათებს:
 - ა. ზაფხულის მცხუნვარე მზეს;
 - ბ. ზამთრის სუსხიან დღეს;
 - გ. ფოთოლთა შრიალს;
 - დ. ბუნების გამოლვიძებას.



ი. კეჭაყმაძე



კ. სარიაჰო

 **4. კ. სარიაჰო. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისთვის. II ნაწილი.**

მუსიკა გამოხატავს:

1. იდუმალს, შეუცნობელს;
2. შიშს, საფრთხეს;
3. სიამოვნებას, ნეტარებას;
4. სიხარულს, აღტაცებას;
5. სიმარტოვეს, სასონარკვეთას;
6. სიკეთეს, სიყვარულს;
7. არცერთს ზემოთ ჩამოთვლილს.

მეთოდური მითითება: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ოთხ ნაწარმოებს და სთხოვს, ამოიცნონ ბუნებრივი ხმები. ეკითხება, არის თუ არა ნაწარმოებებში მექანიკური ხმები. გაკვეთილის მიზანია, ბავშვებმა შეძლონ ისაუბრონ მუსიკაზე, ცნებების – მელოდიის, რიტმის, ტემპის, ჰარმონიის – გამოყენებით, იმსჯელონ ნაწარმოების ხასიათსა და განწყობაზე. ამაში მათ ეხმარება მოსწავლის წიგნში მოცემული კითხვები. აქტივობები ბავშვებს განუვითარებს მეტყველებას, აზროვნებას, მესხიერებას, დამოუკიდებლად აზროვნებისა და შემოქმედებით უნარებს.

 **LMMS:** მოცემულია ფ. შოპენის ვალსის პატარა მონაკვეთი. მელოდია და თანხლება დაშლილია 8 ნაწილად. ბავშვები მოცემულ ნიმუშს უსმენენ და მის მიხედვით მთლიან მონაკვეთს აწყობენ LMMS-ში.

 ბავშვები უყურებენ ვიდეოს ი. კეჭაყმაძე. „არქაიკა“

ლექსიკონი:

არქაიკა (ბერძ. archaios ძველი) – 1. ხელოვნების განვითარების ადრინდელი საფეხური. 2. უძველესი დროის დამახასიათებელი ნიშანი.

საშობაო-საახალწლო სიმღერები

სიმღერის შესწავლა: საახალწლო სიმღერა „Jingle-Bell Rock“.

მასწავლებელს **საშობაო-საახალწლო სიმღერები** შეუძლია, სურვილისამებრ, შეასწავლოს სხვადასხვა გაკვეთილზე.

„Jingle-Bell Rock“

ავტორები: ჯ. ბილი და ჯ. ბუთი

Jingle bell, jingle bell, jingle bell rock
Jingle bells swing and jingle bells ring,
Snowing and blowing up bushels of fun
Now the jingle hop has begun.

Jingle bell time is a swell time
To go gliding in a one-horse sleigh,
Giddy-up jingle horse, pick up your feet
Jingle around the clock.

Jingle bell, jingle bell, jingle bell rock,
Jingle bells chime in jingle bell time
Dancing and prancing in Jingle Bell Square
In the frosty air.

Mix and a-mingle in the jingling feet
That's the jingle bell,
That's the jingle bell,
That's the jingle bell rock.

What a bright time, it's the right time
To rock the night away.

 **მოსმენა:** ჯო ბილი, ჯიმ ბუთი — „Jingle Bell Rock“.
მოუსმინე სიმღერის მინუს ფონოგრამას და იმღერე.



„Jingle-Bell Rock“

ტექსტი და მუსიკა
ჯო ბილი, ჯიმ ბუთი

Moderately (with a rock beat)

mp

f

The piano introduction consists of two staves. The right hand plays a series of chords in the treble clef, starting with a *mp* dynamic and increasing to *f* in the final measure. The left hand plays a steady eighth-note bass line in the bass clef.

(Chorus)

mf

Jin-gle bell, Jin-gle-bell, jin-gle-bell rock jin-gle-bell swing and

mf

The chorus begins with a vocal line in the treble clef and piano accompaniment in the bass clef. The piano part features a steady eighth-note bass line and chords in the right hand. The lyrics are: "Jin-gle bell, Jin-gle-bell, jin-gle-bell rock jin-gle-bell swing and".

Jin-gle-bells ring Snow-in' and blow-in' up bush-els of fun

The second line of the chorus continues the vocal line and piano accompaniment. The lyrics are: "Jin-gle-bells ring Snow-in' and blow-in' up bush-els of fun".

Now the jin-gle-hop has be-gun Jin-gle-bell, jin-gle-bell,

The final line of the chorus continues the vocal line and piano accompaniment. The lyrics are: "Now the jin-gle-hop has be-gun Jin-gle-bell, jin-gle-bell,".

jin - gle - bell rock jin - gle - bell chime in jin - gle - bell time

The first system of the musical score consists of three measures. The vocal line (treble clef) contains the lyrics: "jin - gle - bell rock", "jin - gle - bell chime in", and "jin - gle - bell time". The piano accompaniment (grand staff) features a rhythmic pattern of eighth and sixteenth notes in the right hand and a steady bass line in the left hand.

Dan - cin' and pian - cin' in Jin - gle - bell Square in the fros - ty air

The second system continues the song with three measures. The lyrics are: "Dan - cin' and pian - cin' in", "Jin - gle - bell Square", and "in the fros - ty air". The piano accompaniment maintains the same rhythmic structure as the first system.

What a bright time, it's the right time to

The third system consists of three measures. The lyrics are: "What a bright time, it's the right time to". The piano accompaniment continues with the established rhythmic pattern.

rock the night a - way Jin - gle - bell time is a

The fourth system consists of three measures. The lyrics are: "rock the night a - way", "Jin - gle - bell time is a". The piano accompaniment concludes the system with the same rhythmic accompaniment.

swell time To go gli-din' in a one horse sleigh

gid-dy-ap, jin-gle horse pick up your feet jin-gle a - round the

clock Mix and min-gie in a jin - gl - in' beat

1. 2.
Thet's the jin - gle - bell rock Thet's the jin - gle - bell

Thet's the jin - gle - bell rock.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



3. სიმღერის შესწავლა: საახალწლო სიმღერების გამეორება

აქტივობა. მოუსმინე და ისაუბრე მუსიკაზე. ბავშვები უსმენენ სამ ნაწარმოებს, ამოიცნობენ ბუნებრივ ხმებს მუსიკაში, მსჯელობენ რიტმზე, მელოდიურ ხაზზე, ჰარმონიასა და ტემპზე; თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს მიუსადაგებენ შესაბამის წინადადებას.

1. ბეთჰოვენის სიმფონია № IV ნაწ. „ჭექა-ქუხილი. შტორმი“.

1. როგორია ნაწარმოების მელოდიური ხაზი – გაშლილი, მღერადი თუ წყვეტილი, მდორე თუ ნახტომისებური?

2. როგორ განწყობას გამოხატავს მელოდია?

3. როგორია რიტმი – დინჯი, თანაბარზომიერი, სინკოპირებული, მკვეთრად აქცენტირებული?

4. როგორია ტემპი – ნელი, ზომიერი თუ ჩქარი?

თქვენი აზრით, მუსიკა გამოხატავს:

- ა. მხიარულებასა და დღესასწაულს;
- ბ. ზაფხულის წყნარ საღამოს;
- გ. ჩიტების გალობას;
- დ. ჭექა-ქუხილსა და გრიგალს.



ლ. ვან ბეთჰოვენი

2. ი. სტრავინსკის ბალეტი „კურთხეული გაზაფხული“

1. მუსიკის გამომსახველი ხერხებიდან მხატვრული სახის შექმნაში რომელია უფრო მნიშვნელოვანი – მელოდია, ჰარმონია თუ რიტმი?

2. როგორია მელოდიური ხაზი: გაბმული, წყვეტილი თუ ნახტომისებური?

3. მელოდია ერთგვაროვანია თუ განვითარებას განიცდის?

4. როგორია ჰარმონია: კონსონანსური თუ დისონანსური?

5. როგორია ნაწარმოების ხასიათი? რა განწყობას გიქმნით?

თქვენი აზრით, მუსიკა გამოხატავს:

- ა. შიშს, სევდას, განგაშს...;
- ბ. ბუნების გამოღვიძებას, ახლის დაბადებას;
- გ. ქალაქის ხმაურს;
- დ. სოფლის ხმაურსა და ბუნების ხმებს;
- ე. საზეიმო, საცეკვაო-საფერხულო მხიარულ განწყობას;
- ვ. გამოხატავს ხალხთა მემბოხე, მებრძოლ სულისკვეთებას.



ი. სტრავინსკი

დამატებითი აქტივობა: მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, მუსიკის ხასიათის მიხედვით, ამოიცნონ კომპოზიტორები და მიუსადაგონ მათ ფოტოებს.



მოსმენა: ბეთჰოვენის სიმფონია № IV ნაწ. „ჭექა-ქუხილი. შტორმი“

ი. სტრავინსკის ბალეტი „კურთხეული გაზაფხული“.

ბლიცინფორმაცია: ბეთჰოვენს უყვარდა ვენის შემოგარენში, პატარა მშვიდ სოფლებსა და მამულებში ზაფხულის გატარება, დილიდან საღამომდე, მზიან ამინდსა თუ წვიმაში, ტყეებსა და ჭალებში ხეტიალი. იგი წერდა: „არცერთ ადამიანს არ შეიძლება უყვარდეს ბუნება ისე, როგორც მე“ ... „ბუნება ადამიანის განცდებისა და აზრების გამომძიხია“. მისი მე-9 „პასტორალური სიმფონია“ სწორედ ამის გამოხატულებაა.



მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, მოუსმინონ **ლ. ვან ბეთჰოვენის „პასტორალური სიმფონიის“ მეორე ნაწილს „სცენა ნაკადულთან“**. გადმოსცენ მუსიკის შინაარსი. ამოიცნონ, რომელი საკრავებით აღწერს კომპოზიტორი ბუნების სურათს.

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: **რომელ ჩასაბურ საკრავებს გამოიყენებდი ბუნების შემდეგი სურათების გადმოსაცემად:**

1. გაზაფხულის დილა, ჩიტების გალობა;
2. ნადირობის სცენა ტყეში;
3. ქარიშხალი ზღვაზე;
4. ტბის მშვიდი ლივლივი.

დაასახელე ჩასაბური საკრავები



🎵 მუსიკალური ლექსიკონი:

კონსონანსი (ლათ. consono) ორი ან მეტი ბგერის შერწყმული ხმოვანებაა. კეთილხმოვანი ინტერვალებია წმინდა პრიმა, კვარტა, კვინტა და ოქტავა, დიდი და პატარა ტერციები და სექსტები. ასევე, ის აკორდები, რომლებიც ამ ინტერვალებისგან შედგება.


დისონანსი (ლათ. dissono) ორი ან მეტი ბგერის დაძაბული, არაკეთილხმოვანი უღერადობაა. ასეთი ინტერვალებია: სეკუნდები, სეპტიმები, ნონა და ტრიტონები. ამ ინტერვალებისგან შედგენილი აკორდებიც დისონანსებია. მუსიკაში დისონირებული ხმოვანება მძლავრი გამომსახველი საშუალებაა და ხშირად, გამოიყენება დაძაბული, კონფლიქტური და სხვა მსგავსი ემოციის გამოსახატად.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გააკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: ბავშვები ტაპით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



3. სიმღერის შესწავლა: საშობაო-საახალწლო სიმღერების გამეორება

აქტივობა. მოუსმინე და ისაუბრე მუსიკაზე. ბავშვები უსმენენ სამ ნაწარმოებს, ამოიცნობენ ბუნებრივ ხმებს მუსიკაში, მსჯელობენ რიტმზე, მელოდიურ ხაზზე, ჰარმონიასა და ტემბრზე; თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს მიუსადაგებენ შესაბამის წინადადებას.



1. ჟ. ბიზე. ოპერა „კარმენ“, მე-3 მოქმედების ანტრაქტი.

1. მუსიკაში წამყვანია მელოდია თუ რიტმული საწყისი?
2. როგორია მელოდიური ხაზი: გაბმული, წყვეტილი თუ ნახტომისებური?
3. რომელი საკრავი ასრულებს თემას?
4. რა სახის თანხლება აქვს მელოდიას: გაშლილი, მოძრავი, ფიგურაციული თუ წყვეტილი?
5. როგორი ჰარმონიაა: კონსონანსური თუ დისონანსური?

რომელ სიტყვებს მიუსადაგებთ ამ ნაწარმოებს?

სევდა, მხიარულება, სიმშვიდე, სიძულვილი, სიყვარული, სიკეთე...

თქვენი აზრით, მუსიკა გამოხატავს:

- ა. ბუნების ულამაზეს სურათს;
- ბ. მტრულ ძალთა შერკინებას, ომს;
- გ. სოფლად, დილის მშვიდ პეიზაჟს;
- დ. სამყაროს უსასრულობას.



2. კ. დებიუსი. „სიმფონიური ნოქტიურნები“. №3 „სირინოზები“.

როგორ ფიქრობთ:

- ა. „სირინოზების სიმღერას“ ასრულებს ქალთა უსიტყვო გუნდი;
- ბ. „სირინოზების სიმღერას“ ასრულებენ სიმებიანი საკრავები.

როგორ იყენებს კომპოზიტორი მუსიკის გამომსახველ ხერხებს ნაწარმოების შინაარსის გადმოცემად?

1. როგორია მელოდიური ხაზი: გაბმული თუ წყვეტილი, ნახტომისებური თუ მონოტონური?
2. როგორია ნაწარმოების ტემბრალური მხარე?
3. რიტმი აქტიური და მკვეთრია თუ მშვიდი და ერთგვაროვანი?
4. რომელი ფგუფის საკრავები ჭარბობს: სასულე თუ სიმებიანი? მელოდიური ხაზი საკრავებს მიჰყავს თუ ადამიანის ხმებს?

მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ ნაწარმოების ვოკალურ მხარეს: 1. ესმით თუ არა სიტყვები? 2. როგორ ფიქრობენ, სიმფონიურ ორკესტრში ვოკალი გამოყენებულია როგორც „ორიგინალური საკრავის ტემბრი“ და საორკესტრო ჟღერადობასთან არის შერწყმული? 3. წამყვანია ვოკალი თუ საორკესტრო პარტია?

თქვენი აზრით, მუსიკა გამოხატავს:

- ა. მისტიურ, ამაღლებულ, იდუმალ განწყობილებას;
- ბ. ზღვის ტალღების მშვიდ მოძრაობას, სადაც იდუმალი ხმებიც გაისმის.

 **3. ო. თაქთაქიშვილი ოპერა „მინდია“. გუნდი „ბუნების ხმები“.**

- 1. მოუსმინეთ მუსიკას და იმსჯელეთ მელოდიაზე, რიტმსა და ჰარმონიაზე;
- 2. არის თუ არა მუსიკაში დისონირებული ჟღერადობები?
- 3. ვინ ასრულებს ფრაგმენტს: ორკესტრი, გუნდი, სოლისტი-მომღერლები თუ სიმებიანი კვარტეტი?
- 4. როგორია მელოდიური ხაზი: გაბმული თუ წყვეტილი, ნახტომისებური თუ მონოტონური?

თქვენი აზრით, მუსიკა გამოხატავს:

- ა. სიმშვიდეს, სიკეთეს, ამაღლებულ განწყობას, ბუნების გამოღვიძლებას;
- ბ. ბუნების შფოთვის, განგაშს, შიშსა და მრისხანებას;
- გ. ბუნების ხმებს, სილიადეს და მის ღვთაებრიობას;
- დ. თანამედროვე ქალაქის კონტრასტულ მრავალფეროვან იერს...

მასწავლებელი სვამს კითხვას: მოცემული სამი ნაწარმოებიდან, რომელ ორ ნაწარმოებს დააკავშირებდით ერთმანეთთან და რატომ, რა ნიშნით?


მეთოდური მითითება: ო. თაქთაქიშვილი „ბუნების ხმებსა“ და კ. დებიუსის „სირინოზებში“ – ორივეგან გამოყენებულია უსიტყვო გუნდი, რომელიც განასახიერებს ბუნების ხმებს; ისინი შერწყმულია ორკესტრთან, ვოკალი გამოყენებულია, როგორც „ორიგინალური საკრავის ტემბრი“.



ფ. ბიზე



კ. დებიუსი



ო. თაქთაქიშვილი

„გაიმღერე და შეიყვარე ოპერა“

მეთოდური მითითება: მე-6 კლასში გავეცანით საოპერო ჟანრებსა და ფორმებს: არიას, რეჩიტატივს, ანსამბლს, გუნდს. მოვისმინეთ ფრაგმენტები ოპერებიდან. ამჯერად გთავაზობთ ახალ რუბრიკას: **გაიმღერე და შეიყვარე ოპერა**. შევარჩიეთ პოპულარული საოპერო ფრაგმენტები და ახალი რუბრიკისათვის დავამზადეთ მინუს ფონოგრამები კლასიკური საორკესტრო თანხლებით. ბავშვები ისმენენ და უყურებენ ფრაგმენტებს ცნობილი შემსრულებლების მონაწილეობით და თავადაც მღერიან. **ჩვენი ექსპერიმენტის** მიზანია, ბავშვებმა არა საოპერო, არამედ, ბავშვური ხმით გაიმღერონ ნაწყვეტები საოპერო შედევრებიდან და შეიყვარონ კლასიკური ვოკალური მუსიკა. ამისათვის, მინუს ფონოგრამები მათთვის შესაფერის ტონალობებში დავამზადეთ.

მუსიკალური ნომრების სიტყვიერი ტექსტების უცხო ენებზე (იტალიური, ფრანგული) შესრულების შესაძლო სირთულის გამო, შესაძლებელია, მათი გაიმღერება ვოკალიზის სახით, ნოტების დასახელებით ან მარცვლებზე, მაგ. „ტრა-ტა-ტა“, „ტარა-ტა-ტა“ და ა.შ. შევარჩიეთ ექვსი საოპერო მუსიკალური ნომერი, რომელთაც პილოტირება გაიარეს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის რამდენიმე სკოლაში, მე-7 კლასის მოსწავლეებთან. გთავაზობთ ვიდეორჩანანერებს მათი შესრულებით.

ვიმედოვნებთ, ახალი აქტივობა ბავშვებს მოეწონებათ, მას ხალისით შეასრულებენ და უფრო მეტად შეიყვარებენ ოპერას.

ყ. ბიზე. ბიჭუნათა გუნდი ოპერიდან „კარმენი“

Marche et chœur des gamins

Avec la garde montante
nous arrivons, nous voilà!
Sonne, trompette éclatante!
Ta ra ta ta ta ra ta ta.
Nous marchons, la tête haute
comme de petits soldats,
marquant, sans faire de faute,
(crié)

une, deux, marquant le pas.
Les épaules en arrière
et la poitrine en dehors,
les bras de cette manière,
tombant tout le long du corps.
Avec la garde montante
nous arrivons, nous voilà!
Sonne, trompette éclatante!
Ta ra ta ta ta ra ta...

აქტივობა: მოუსმინე და ისაუბრე მუსიკაზე.

1. არის თუ არა მუსიკაში დისონირებული ჟღერადობები?
2. ვინ ასრულებს მუსიკალურ ფრაგმენტს: ორკესტრი, გუნდი თუ სოლისტები?
3. როგორია მელოდოური ხაზი: გაბმული თუ წყვეტილი, ნახტომისებური თუ მონოტონური?
4. რა ხასიათის არის ეს ფრაგმენტი?
5. რა ქმნის მხიარულ მარშისებურ განწყობას?
6. როგორია რიტმი: მშვიდი თუ პუნქტირული და ენერგიული?

მუსიკა გამოხატავს:

- ა. სიმშვიდეს, კეთილგანწყობას;
- ბ. თამაშის განწყობას: ბავშვები ბაძავენ 1. ჯარისკაცებს; 2. თამბაქოს ფაბრიკის მუშების ქმედებას;
- გ. სულიერ შფოთვის, განგაშს, შიშსა და მრისხანებას;
- დ. თანამედროვე ქალაქის კონტრასტულ მრავალფეროვან იერს
- ე. ძველი ესპანური ქალაქის სურათს.

„ბიჭუნათა გუნდი“

გაიმღერე და შეიყვარე ოპერა

სიმღერის შესწავლა: ყ. ბიზე – ბიჭუნათა გუნდი ოპერიდან „კარმენი“. ბავშვები უყურებენ ვიდეო-ფრაგმენტს ოპერიდან „კარმენი“. შემდეგ ბავშვები უსმენენ გუნდის მინუს ფონოგრამას მარცვლელის დასახელებით მღერიან: ტრა-ტა-ტა-ტა, ბუმ-ბუმ-ბუმ, ტარა-ტა-ტა...

Marche et chœur des gamins

Allegretto

მუსიკა ყ. ბიზე

p

Allegro moderato

8va
pp

8va

8va

8va
p

(8^{va})

First system of a piano score. It consists of two staves: a treble clef staff and a bass clef staff. The treble staff contains complex chordal textures with some trills marked 'tr'. The bass staff features a rhythmic accompaniment with eighth and sixteenth notes. The key signature has one flat (B-flat).

(8^{va})

Second system of a piano score. It consists of two staves: a treble clef staff and a bass clef staff. The treble staff contains complex chordal textures with some trills marked 'tr'. The bass staff features a rhythmic accompaniment with eighth and sixteenth notes. The key signature has one flat (B-flat). A dynamic marking of *mf* is present in the middle of the system.

8^{va}

Third system of a piano score. It consists of two staves: a treble clef staff and a bass clef staff. The treble staff contains complex chordal textures. The bass staff features a rhythmic accompaniment with eighth and sixteenth notes. The key signature has one flat (B-flat). Dynamic markings of *p* and *mf* are present.

8^{va}

Fourth system of a piano score. It consists of two staves: a treble clef staff and a bass clef staff. The treble staff contains complex chordal textures. The bass staff features a rhythmic accompaniment with eighth and sixteenth notes. The key signature has one flat (B-flat). Dynamic markings of *f cresc.* and *ff* are present.

f

tra - ta - ta - ta - ta - ta...

Fifth system of a piano score. It consists of two staves: a treble clef staff and a bass clef staff. The treble staff contains a vocal line with the lyrics "tra - ta - ta - ta - ta - ta...". The bass staff features a rhythmic accompaniment with eighth and sixteenth notes. The key signature has one flat (B-flat). Dynamic markings of *f* and *p* are present.

System 1: A three-staff musical score. The top staff is a single melodic line. The middle and bottom staves are a grand staff with piano accompaniment. The key signature has one flat (B-flat). The system contains three measures.

System 2: A three-staff musical score. The top staff is a single melodic line. The middle and bottom staves are a grand staff with piano accompaniment. The key signature has one flat. The system contains five measures. Dynamics include *sf* and *p*.

System 3: A three-staff musical score. The top staff is a single melodic line. The middle and bottom staves are a grand staff with piano accompaniment. The key signature has one flat. The system contains four measures. The word "შედახილთ" is written above the top staff. Dynamics include *sf*.

System 4: A three-staff musical score. The top staff is a single melodic line. The middle and bottom staves are a grand staff with piano accompaniment. The key signature has one flat. The system contains five measures. The word "ღვა" is written above the top staff. Dynamics include *f* and *mf*.

(8^{va})

First system of a piano score. It consists of two staves. The upper staff has a treble clef and a key signature of one flat. It features a melodic line with a triplet of eighth notes and a dynamic marking of *f*. The lower staff has a bass clef and a key signature of one flat, with a bass line that includes a triplet of eighth notes.

8^{va}

Second system of a piano score. It consists of two staves. The upper staff has a treble clef and a key signature of one flat, with a melodic line and a dynamic marking of *mf*. The lower staff has a bass clef and a key signature of one flat, with a bass line.

(8^{va})

Third system of a piano score. It consists of two staves. The upper staff has a treble clef and a key signature of one flat, with a melodic line and a dynamic marking of *f*. The lower staff has a bass clef and a key signature of one flat, with a bass line.

mf

Fourth system of a piano score. It consists of two staves. The upper staff has a treble clef and a key signature of one flat, with a melodic line and a dynamic marking of *mf*. The lower staff has a bass clef and a key signature of one flat, with a bass line and a dynamic marking of *p*. A dashed line with the marking (8^{va}) is positioned above the upper staff.

შეცხვილით

Fifth system of a piano score. It consists of two staves. The upper staff has a treble clef and a key signature of one flat, with a melodic line and the text "შეცხვილით" above it. The lower staff has a bass clef and a key signature of one flat, with a bass line and a dynamic marking of *p* with a *cresc.* marking. A dashed line with the marking (8^{va}) is positioned above the upper staff.

First system of a musical score. It consists of three staves: a single treble staff at the top, and a grand staff (treble and bass) below. The key signature has one flat (B-flat). The music features a melodic line in the upper treble staff and a harmonic accompaniment in the grand staff. A dynamic marking of *ff* (fortissimo) is present in the lower right of the system.

Second system of the musical score. It consists of three staves: a single treble staff at the top, and a grand staff (treble and bass) below. The key signature has two sharps (F# and C#). The music continues with a melodic line in the upper treble staff and a harmonic accompaniment in the grand staff. A dynamic marking of *ff* (fortissimo) is present at the beginning of the system.

Third system of the musical score. It consists of three staves: a single treble staff at the top, and a grand staff (treble and bass) below. The key signature has two sharps (F# and C#). The music continues with a melodic line in the upper treble staff and a harmonic accompaniment in the grand staff.

Fourth system of the musical score. It consists of three staves: a single treble staff at the top, and a grand staff (treble and bass) below. The key signature has two sharps (F# and C#). The music concludes with a melodic line in the upper treble staff and a harmonic accompaniment in the grand staff. A dynamic marking of *fff* (fortississimo) is present at the beginning of the system. A triplet of eighth notes is marked with a '3' above it in the upper treble staff, and a triplet of eighth notes is marked with a '3' below it in the bass staff.

ბუნებრივი და მექანიკური ხმების შედარება

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: იხ. გვ. 220 დამატებითი რიტმული სავარჯიშოები.

3. ბუნებრივი და მექანიკური ხმების შედარება: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს რამდენიმე ნაწარმოებს:



მოსმენა:

1. ფ. შუბერტი. სიმღერა „გრეტხენი ჯარასთან“;
2. ა. ლიადოვი. „მუსიკალური ზარდახშა“;
3. ა. ონეგერი. „პასიფიკი 231“;
4. ა. ვივალდი. სავიოლინო კონცერტი „გაზაფხული“;
5. პ. კარმანოვი. „განსხვავებული წვიმები“;
6. ვ. ზადერაცკი. „მატარებელი“.

ბავშვები უსმენენ ნაწარმოებებს, ამოიცნობენ და განასხვავებენ მექანიკურსა და ბუნებრივ ხმებს; საუბრობენ თითოეული ნაწარმოების ხასიათზე, განწყობაზე, მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებზე (მელოდია, რიტმი, ჰარმონია). მათ უნდა ახსნან, რა ანიჭებს ამა თუ იმ ფრაგმენტს მექანიკურ თუ ბუნებრივ ყლერადობას. შესაძლებელია, რომელიმე ფრაგმენტში ორივე საწყისი იყოს გამოხატული. ბავშვები ამოიცნობენ და განასხვავებენ ხმებს და მსჯელობენ, ორი საწყისი ავსებს ერთმანეთს თუ მათ შორის კონფლიქტი იქმნება.

ინფორმაციისათვის: შუბერტის სიმღერა „გრეტხენი ჯარასთან“ დაწერილია ი. გოეთეს ლექსის მიხედვით. სწორედ ამ ნაწარმოებში ვლინდება ორივე საწყისი: ვოკალურ პარტიაში ჩანს ადამიანური ბუნება, ხოლო თანხლებაში – ჯარას ტრიალი, რაც მექანიკურ საწყისს უახლოვდება.

ბავშვები პასუხობენ კითხვებს:

1. რა განწყობას გიქმნით თითოეული ნაწარმოები?
2. რომელი გამომსახველობითი ფორმები (რიტმი, ჰარმონია, მელოდია) ანიჭებენ ფრაგმენტებს მექანიკურ თუ ბუნებრივ ყლერადობას?
3. როგორია მელოდიური ხაზი: გამლილი, თუ წყვეტილი?
4. რომელ ნაწარმოებებში ბაძავს კომპოზიტორი მატარებლის ხმას?
5. რომელ ნაწარმოებშია ასახული ბუნების მოვლენები?
6. რომელ ნაწარმოებშია გაერთიანებული ბუნებრივი და მექანიკური ხმები? ისინი ავსებენ ერთმანეთს თუ მათ შორის კონფლიქტი იქმნება?



ა. ვივალდი



ა. ონეგერი



ვ. ზადერაცკი



პ. კარმანოვი



ბავშვები უყურებენ ასევე ვიდეოს ვ. ზადერაცკი. „მატარებელი“.

ბუნებრივი და მექანიკური საწყისები მუსიკაში

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით - ზომა 3/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: იხ. გვ. 220 დამატებითი რიტმული სავარჯიშოები.
3. ბუნებრივი და მექანიკური ხმების შედარება: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს რამდენიმე ნაწარმოებს:



1. დ. სკარლატი. სონატა. K.141;
2. ვ. ზადერაცკი. „ჩიტები“;
3. ბ. ბარტოკი. Allegro barbaro;
4. ა. კარმანოვი. კვინტეტი „კალმასი“.

ბავშვები უსმენენ სხვადასხვა ეპოქის მუსიკას, ამოიცნობენ და განასხვავებენ მექანიკურ-სა და ბუნებრივ ხმებს. საუბრობენ თითოეული ნაწარმოების ხასიათზე, განწყობაზე, მუსიკალურ-გამომსახველობით ფორმებზე (მელოდია, რიტმი, ჰარმონია). მასწავლებელი სთხოვს მათ, ამოიცნონ და განასხვავონ თითოეულ ფრაგმენტში ბუნებრივი და მექანიკური საწყისები, იმსჯელონ და დაასაბუთონ არჩევანი. ამის შემდეგ, შეუსაბამონ თითოეული ნაწარმოები მოცემულ წინადადებას:

1. ტყეში ფრინველები გალობენ;
2. ისმის წყლის ჩუხჩუხი და ნაკადულის რაკრაკი;
3. ქრის ქარიშხალი;
4. ადამიანები გარბიან, იბრძვიან;
5. დრო გადის, მიჰქრის, საათი უსასრულოდ წიკნიკებს.



დ. სკარლატი



ბ. ბარტოკი



ვ. ზადერაცკი



პ. კარმანოვი

ბავშვები ადარებენ ფ. შუბერტის სიმღერა „კალმასს“ პ. კარმანოვის კვინტეტს. გაკვეთილის ბოლოს, მღერიან ფ. შუბერტის სიმღერა „კალმასს“ მინუს ფონოგრამაზე.

ბავშვები იხსენებენ ქალთა და მამაკაცთა ხმებს.

სიმაღლის მიხედვით, ქალთა ხმები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. მაღალი – სოპრანო
2. საშუალო – მეცო სოპრანო
3. დაბალი – კონტრალტო ანუ ალტი

მამაკაცთა ხმები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:


1. მაღალი – ტენორი
2. საშუალო – ბარიტონი
3. დაბალი – ბანი

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: ბავშვები ტაშითა და კაკუნით ასრულებენ რიტმულ-სურათს მარცვლების დასახელებით.



ბალეტი მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრია. მისი საფუძველი მოძრაობა და ცეკვაა. ლათინური სიტყვა *Ballo* ნიშნავს „ცეკვავ“.

ბალეტში, ცეკვითა და პანტომიმით, გადმოცემულია სპექტაკლის შინაარსი, რომელიც მუსიკასთანაა შერწყმული. ზოგჯერ, მუსიკა და ქორეოგრაფიული ტექსტი ანუ მოძრაობა, თანხვედრია ერთმანეთთან, ზოგჯერ კი - კონტრასტული.



ი. სტრავინსკი. „კურთხეული გაზაფხული“

გავიხსენოთ, რომ მუსიკას ბალეტში სხვადასხვა ფუნქცია ენიჭება:

1. ცეკვის აკომპანემენტი – მუსიკა, რომელიც საცეკვაო ნომერს მუსიკალურ თანხლებას უწევს;
2. აკომპანემენტი – მუსიკა, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვება ცეკვის თითოეულ ჟესტს;
3. თანამოქმედი მუსიკა – მუსიკა, რომლის დროსაც თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ კომპონენტებს;
4. დამოუკიდებელი მუსიკა, რომელიც არ შექმნილა სპეციალურად საბალეტო სპექტაკლისათვის;
5. მუსიკა, რომელიც ნამყვანია საბალეტო სპექტაკლების შინაარსის გადმოცემაში.

მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს ოთხ ვიდეოფრაგმენტს სხვადასხვა საბალეტო სპექტაკლიდან:

1. ი. სტრავინსკი. „კურთხეული გაზაფხული“;
2. ს. რეიხი. „ბალეტი და ცეკვა. შავი და თეთრი“ (ირჟი კილიანის ქორეოგრაფია);
3. ი.ს. ბახი. სიუიტა ჩელოსათვის N:1. ტ. ფროლოვის ქორეოგრაფია;
4. ი.ს. ბახი – ლ. სტოკოვსკი. საორგანო ტოკატა და ფუგა.

ბავშვები უყურებენ ვიდეოებს და პასუხობენ შემდეგ კითხვებს:

1. რომელ ვიდეოფრაგმენტში შეინიშნება მექანიკური სანყისის ნიშნები?
2. რა როლი აქვს ფრაგმენტებში მუსიკას (შეარჩიეთ პასუხები ზემოთ მოცემული ხუთი ტიპის განსაზღვრებიდან)?
3. როგორ გადმოიცემა მუსიკაში ქორეოგრაფიული ტექსტი?



4. რომელი ფრაგმენტის ქორეოგრაფიული ტექსტი მოგაგონებთ რომელიმე საკრავს ან მექანიკურ საგანს?


5. მიუსადაგებდით ამ საცეკვაო მოძრაობებს სხვა მუსიკალურ ნაწარმოებებს?

ს. რეიხი. ბალეტი-ცეკვა „შავი და თეთრი“

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით - ზომა 3/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: ბავშვები ტაშითა და კაკუნით ასრულებენ რიტმულ-სურათს მარცვლების დასახელებით.



 მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ხუთ ვიდეოფრაგმენტს სხვადასხვა კინოფილმიდან და ერთ ვიდეოჩანახატს:

1. „ბენ გური“;
2. „ცისფერი მთები“;
3. „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“;
4. „პირველი მერცხალი“;
5. „ფიროსმანი“;
6. ვიდეოჩანახატი „ცირკი“ ვ. ზადერაცკის მუსიკაზე;



„პირველი მერცხალი“

ბავშვები პასუხობენ კითხვებს და მსჯელობენ, რა ურთიერთკავშირია მუსიკასა და გამოსახულებას შორის.

1. რომელ ვიდეოფრაგმენტში აღწერს მუსიკა კადრში გადმოცემულ შინაარსს ანუ სად არის მუსიკალური ილუსტრაციის ნიმუშები?
2. რომელ ვიდეოფრაგმენტში ქმნის კონტრასტს მუსიკა ვიზუალურ მხარესთან ანუ გვაქვს კონტრასტული მუსიკალური გაფორმების ნიმუში? შეადარეთ ვიდეოფრაგმენტების მუსიკა ერთმანეთს.
3. არის თუ არა რომელიმე ფრაგმენტში მექანიკური საწყისი?
4. რომელ ფრაგმენტებს დაუკავშირებდით ბუნებრივ საწყისს?
5. როგორ გეხმარებათ მუსიკა თითოეული ფრაგმენტის შინაარსის გაგებაში?
6. რომელ ფრაგმენტშია გადმოცემული რეალური ანუ დოკუმენტური კადრები? როგორია ამ ფილმის მუსიკალური გაფორმება: კონტრასტული თუ ილუსტრაციული?

ინფორმაციისათვის: „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ დოკუმენტური ფილმი, რომელიც 1912 წელს გადაიღო რეჟისორმა ვასილ ამაშუკელმა.

კადრები ფილმიდან



„აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“



„ცისფერი მთები“



„ფიროსმანი“

ფიროსმანის როლს ფილმში ასრულებს მხატვარი ავთო ვარაზი.

მუსიკალური გამოფენა - ავთო ვარაზი



Ⲱ აარჩიე შენი მუსიკა. დაათვალიერე ავთო ვარაზის ნახატები და გააფორმე მუსიკალურად გამოფენა.

1. ი.ს. ბახი. „მათეს ვნებანი“, ალტის არია;
2. ფანი მენდელსონი. მელოდია;
3. კ. ვიკი-შუმანი. „ბოლერო“;
4. გ. ყანჩელი. „ყვითელი ფოთლები“.

„ლუარსაბის და დარეჯანის სიმღერა“

სიმღერის შესწავლა: ბავშვები სწავლობენ სიმღერას კინოფილმიდან „კაცია-ადამიანი?!“. ტაპით აწყვებიან დოლის ხმას.

მუდამ დღე-ღამით ფიქრებში ზიხარ,
ჩემი ოცნების და ავთანდილი ხარ.
ჰარალო, ჰარი-ჰარალო,
ჰარალო, ჰარი-ჰარალო.

ქალო რამა გშვა ეგრე ლამაზი,
მოკრძალებული და თანაც ამაყი.
ჰარალო, ჰარი-ჰარალო,
ჰარალო, ჰარი-ჰარალო.

სულ ჩემზე ფიქრობ, ხო მართალია?
ამ სიყვარულმა და გული გალია.
ჰარალო, ჰარი-ჰარალო,
ჰარალო, ჰარი-ჰარალო.

„ლუარსაბის და დარეჯანის სიმღერა“

ცეკვის დაწყებამდე,
ფორტეპიანოს თანხლება დოლის რიტმში.



ზომიერად ჩქარა

Piano

mf

ღმერ - თმა მა - ჩუ - ქა ბა - ლი ე - ღე - მი,

ჩე - მი სი - ცო - ცხლე და ხა - რე - ზა ჩე - მი.

ჰა - რა - ლო, ჰა - რი ჰა - რა - ლო

ჰა - რა - ლო ჰა - რი ჰა - რა - ლო

ცოცხლად

f



🎬 ბავშვები უყურებენ **ორ ვიდეოს** – 1. ლუარსაბის და დარეჯანის ცეკვა-სიმღერა. ფრაგმენტი კინოფილმიდან „კაცია-ადამიანი?!“ 2. ლუარსაბის და დარეჯანის სიმღერის. საკონცერტო შესრულება; ასრულებენ ნიკა რაჭველი და ნატო მეტონიძე.

ბავშვები ამოიცნობენ მექანიკურ ხმებსა და მოძრაობებს, აგრეთვე, ბუნებრივ ხმებს. მასწავლებელი ეკითხება მათ:

1. სად გვხვდება მექანიკური მოძრაობები: სიმღერასა თუ ცეკვაში?
2. როგორია სიმღერის მელოდიური ხაზი: გამლილი, წყვეტილი თუ მღერადი?
3. სად არის მექანიკური ხმები: სიმღერის მელოდიასა თუ თანხლებაში?
4. რომელი დასარტყამი საკრავი ასრულებს რიტმულ სურათს?
5. როგორი ხასიათის არის სიმღერა?
6. სად გვხვდება რიტმული ოსტინატო: თანხლებასა თუ ვოკალში?

მასწავლებელი ახსენებს ბავშვებს სიმღერებს: „დაჰკარ, დაჰკარ“, „ქაფჩა და აგური“. ბავშვები მღერიან და პოულობენ მსგავსებასა და განსხვავებას სამ სიმღერას შორის. ეს კიდეც ერთი შემაჯამებელი გაკვეთილია თემაზე „ბუნებრივი და მექანიკური ხმები მუსიკაში“.

🎧 მოსმენა: დ. თორაძე – სიმღერა კინოფილმიდან „კაცია-ადამიანი?!“. ბავშვები უსმენენ სიმღერის მიხუს ფონოგრამას და მღერიან.



კადრები ფილმიდან: „კაცია-ადამიანი?!“


თუშეთი

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



შენიშვნა: ამ გაკვეთილის მიზანი და მისაღწევი შედეგები იხ. გვ. 41



გაიხსენე აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეები. რომელ კუთხეში გიმოგზაურია? აღწერე ბუნება. რა იცი ამ კუთხეების ყოფის შესახებ? რომელი პოეტები და მწერლები არიან ამ კუთხის შვილები? მოსმენილი გაქვს ამ კუთხეების სიმღერები? შეგიძლია ისინი საქართველოს სხვა კუთხეების სიმღერებისაგან გამოარჩიო? რა ნიშნებით?

ულამაზესი თუშეთი კავკასიონის კალთებზეა შეფენილი. ისტორიულად, თუშები მთაში ცხოვრობენ და მკაცრი ზამთრის, დიდი თოვლისა და უგზოობის გამო მონყვეტილები არიან ბარს; ძირითადად, მეცხვარეობას მისდევენ. მათ ცხოვრებაზე გვიამბობს ფილმი „თუში მეცხვარე“. მწყემსის განუყრელი და საყვარელი საკრავი სალამური არაა. თუშეთში გავრცელებული საკრავებია, აგრეთვე: ფანდური, ჭიანჭური, ჩრდილო კავკასიიდან შემოსული ბალალაიკა, მანდოლინა და გარმონი, თუმცა გარმონზე, დაკრული თუშური მელოდები ისეთი ლამაზია და ისე უხდება თუშეთს, რომ „თუშურ გარმონსაც“ უწოდებენ. თუშური სიმღერების ცნობილი შემსრულებელია ლელა თათარაიძე.

ძველად, თუშები ერთ ხმაში მღეროდნენ. თანამედროვე თუშური სიმღერები კი გასამხმიანებულია და საკრავის თანხლებით სრულდება.

 მოსმენა: „რა ლამაზია თუშეთი“; „ბახტრიონიდან გიცქერდი“.



ლელა თათარაიძე თუშური გარმონით



სალამური



გარმონი

თავისუფალი აქტივობა. აამღერე ე. თათარაიძის ლექსი.

„წვიმა მე მგავ,
მე – იმას,
დარდით ღლილებ –
ვტირივარ“.



სიმღერის შესწავლა:

„ბახტრიონიდან გიცქერდი“

თუშური სატრფიალო

ბახტრი - ო - ნი - დან გი - ცქერ - დი, ღა - მა - ზო თუ - შის ქა - ღა - ო,

ბახტრი - ო - ნი - დან გიც - ქერ - დი, ღა - მა - ზო თუ - შის ქა - ღა - ო.

1. ბახტრიონიდან გიცქერდი ღამაზო, თუშის ქალო.
2. მე გული გადაგიშალე, შენ სიყვარულსა მალავო.
3. მე მალე გამოვიქროლებ და მოგიტაცებ მალვითა,
4. რომ მთაში შენი მშვენებით ფერი იცვალონ ყვავილთა.

სიმღერის შესწავლა:

„მოხევის ქალო, თინაო“

მოხევეური სატრფიალო – სახუმარო სიმღერა

Alegretto

f მო - ხე - ვის ქა - ღო, თი, - ნა - ო დე - დას რად უ - ზი ში - ნა - ო.

შე - ნი ტო - ლე - ბი გა - თხოვ - დნენ, შენ რა - დამ და - გარ ჩი - ნა - ო.

2. ჰაი, გიდი, მოხევის ქალო, რა ღამაზი რამა ხარო, ნეტავი შენი ალერსით ვინ უნდა გაახარო.
3. აგრე ღამაზი, თინაო, ქვეყნად რამ გაგაჩინაო? მოხევე ბიჭი გეძახის, ცოლად გამამყე შინაო.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 90 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.



ხევი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს იცავს. ხევში გავრცელებულია სანესო, საცეკვაო-საფერხულო, სუფრული და შრომის, ერთ, ორ და სამხმიანი სიმღერები. ერთხმიანი სიმღერები მხოლოდ ფანდურის თანხლებით სრულდება.

მოსმენა. მოხეური „დიდება“.

„დიდება“ სრულდება ხატობასა და ქორწილში. განსაზღვრე სიმღერის ხასიათი.

1. რითი განასხვავებ ამ სიმღერას სხვა კუთხის სიმღერებისაგან?
2. რამდენ ხმას გამოარჩევ სიმღერაში?
3. რომელი ხმა არის წამყვანი?



მუსიკოსი ჩანგით. ბრინჯაოს ქანდაკება. ყაზბეგი. ძვ.წ. VII-VI ს.ს.

მოხევე ქალები მღერიან „ნანებს“, „ფერხისას“, „ტირილებს“.

მოსმენა. მოხეური „ნანა“- ლიზა ბებოს ნამღერი.

მთიულეთ-გუდამაყარი



მთიულეთ-გუდამაყარის სოფლები თეთრი და შავი არაგვის ხეობაშია განლაგებული.

მთიულეთში ცნობილი სიმღერებია: სანესო „ჯვარული“, „დიდება“, „ფერხისული“. კაცები მღერიან „ნამგლურს“, ქალები – „ნანებს“. მთიულეები ასრულებენ ერთხმიან ლირიკულ, ისტორიულ-საგმირო, სახუმარო სიმღერებს საკრავების თანხლებით.

ფანდური ოდითგანვე ღვთის საკრავად მიაჩნდათ. მასზე განსაკუთრებით კარგად უკრავენ საცეკვაო მელოდიებს, შელოცვებს ბავშვთა ინფექციური დაავადების – „ბატონების“ დროს.

მოსმენა: ფანდურზე დასაკრავი მთიულური მელოდიები.

გუდამაყრელები სიმღერებს „ფანდურზე დამღერებას“ ეძახიან.

მთიულეები სამ ხმაში მღერიან. განსაკუთრებით პოპულარულია საფერხულო სიმღერები, რომლებიც სანესო-რიტუალებს უკავშირდება. მთავარ სალოცავთან, ლომისის წმინდა გიორგისთანაა დაკავშირებული სიმღერები: „ლომისური“, „ლომისის ჯვრისა“.

მოსმენა: მთიულური „ლომისური“

1. რა განწყობაა გადმოცემული სიმღერაში?
2. რამდენხმიანია სიმღერა?
3. აქამდე მოსმენილ სიმღერებთან შედარებით

უფრო განვითარებულია თუ მარტივი?



მთის ძველი ფანდური

სახელმძღვანელოს ელექტრორესურსში მოცემულია დამატებითი ვიდეომასალა აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებზე.



სიმღერის შესწავლა: „O Holy Night“.

„O Holy Night“

Oh, holy night! The stars are brightly shining
It is the night of the dear Savior's birth
Long lay the world in sin and error pining
Till He appeared and the soul felt its worth
A thrill of hope the weary world rejoices
For yonder breaks a new and glorious morn

Fall on your knees! Oh, hear the angel voices
Oh, night divine
Oh, night when Christ was born

Truly He taught us to love one another
His law is love and His gospel is peace
Chains shall He break for the slave is our brother
And in His name, all oppression shall cease
Sweet hymns of joy in grateful chorus raise we
Let all within us praise His holy name
Christ is the Lord! Oh, praise His Name forever
His power and glory evermore proclaim
Oh, night...

Fall on your knees! Oh, hear the angel voices
Oh, night divine
Oh, night when Christ was born
Oh, night divine, oh, night when Christ was born

Christ is the Lord! Oh, praise His Name forever
His power and glory evermore proclaim
Oh, night divine, oh, night when Christ was born
Авторы: Reuben Morgan / Peter King



მოსმენა: ა. ადამი. საშობაო საგალობელი „წმინდა ღამე“ – მინუს ფონოგრამა.
მოუსმინე და გაიმღერე.



ბავშვები უყურებენ ვიდეოს – „O Holy Night“ ასრულებს კემბრიჯის ბიჭუნათა გუნდი.

მეთოდური მითითება: სიმღერა „O Holy Night“ სრულდება გუნდურად უნისონში. შესაძლებელია სოლო შესრულებაც. მასწავლებელს საშობაო-საახალწლო სიმღერები შეუძლია, სურვილისამებრ, შეასწავლოს სხვადასხვა გაკვეთილზე.

„O Holy Night“

ტექსტი: ჯონ ს. დუაითი

მუსიკა: ადოლფ ადამი

Slow and flowing

mp

O ho - ly night, the
Tru - ly He taught us to

mp

stars are bright - ly shin - ing; it is the night of the
love one an - oth - er; His law is love, and His

dear Sav - ior's birth. Long lay the
gos - pel is peace. Chains shall He

world in sin and er - ror pin ing, till He ap -
 break, for the slave is our broth - er, and in His

peared and the soul felt its worth. A
 name all the op - pres - sion shall cease. Sweet

thrill of hope the wea - ry soul re - joic - es, for
 hymns of joy in grate - ful cho - rus raise we, let

yon - der with - breaks a new praise and glor - ious morn.
 all with - in us us praise His ho - ly name.

Fall on your knees, oh,
 Christ is the Lord, oh,

hear the an - gel voic - es! O
 praise His name for - ev - er! His

night di - vine, O
 pow'r and glo - - - - - ry

night when Christ was born! O
 ev - - - er - more pro - claim! His

cresc.

1.

night, O ho - - ly

f

night, O night di - vine!

dim.

2.

pow'r and glo - - ry

f

ev - er - more pro - claim!

dim. *rit.* *p*

ქვეთემა: ელექტრონული მუსიკა

მიზანი: მოსმენილი ტემბრების (სინთეზური, აკუსტიკური) განსხვავება; საკონცერტო და სტუდიაში ჩანერილი მუსიკის გარჩევა; ტემბრული ფლერადობის გრაფიკული გამოხატვა; მუსიკის მისადაგება გრაფიკულ გამოსახულებებთან. აკადემიური და პოპულარული ელექტრონული მუსიკის განსხვავება, შტოქჰაუზენის და ისაო ტომიტას ელექტრონული მუსიკის გაცნობა.

მისაღწევი შედეგები: მუს.საბ.1.2..მუს.საბ.4.

მოუყვით ბავშვებს...


აკუსტიკური და სინთეზური ხმები - 1

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 90 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.


2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, მუსიკაში სულ უფრო მეტად გაისმის დისონირებული ფლერადობა. ასეთი ინტონაციებია რ. შტრაუსის, ი. სტრავინსკის, ა. შონბერგის და სხვათა ნაწარმოებებში. „სხვა პლანეტის ჰაერს ვსუნთქავ“ – გერმანელი პოეტი სტეფან გეორგეს ეს სიტყვები ავსტრიელმა კომპოზიტორმა ა. შონბერგმა გამოიყენა თავის ერთ-ერთ კომპოზიციაში 1908 წელს.

ამიერიდან, შონბერგი ახლებული ხედვითა და სტილით იწყებს მუსიკის შექმნას, უარყოფს ტრადიციულ მელოდიას, ჰარმონიასა და ტონალობას. მისი მიმდევრები არიან ა. ვებერნი და ა. ბერგი. ამავე პერიოდის ნოვატორი ამერიკელი კომპოზიტორია ჩარლზ აივზიც.

მე-20 საუკუნის 50 წლებიდან მოღვაწეობას იწყებენ კომპოზიტორები, რომლებიც, ერთი მხრივ, ეყრდნობიან XX საუკუნის დასაწყისის კომპოზიტორების შემოქმედებას და მეორე მხრივ, ეძებენ ახალ გამომსახველობით ხერხებსა და ფლერადობებს. ესენი არიან: პიერ ბულეზი, ოლივიე მესიანი, ჯონ კეიჯი, კარლჰაინც შტოქჰაუზენი, ლუიჯი ნონო, იანის ქსენაკისი, ისაო ტომიტა. ამ დროისთვის შექმნილი ტექნოლოგიები, კომპიუტერი, სინთეზური საკრავები და ხმები, მუსიკოსებს ხელს უწყობს სრულიად განსხვავებული ფლერადობების შექმნაში, რასაც ელექტრონულ მუსიკამდე მივყავართ.



ლ. ნონო



პ. ბულეზი



ჯ. კევიჯი



ი. ტომიძა


ამგვარად, მე-20 საუკუნის ტექნიკური პროგრესი ბგერის გარდაქმნის არაჩვეულებრივად მრავალფეროვან საშუალებებს იძლევა. სწორედ ამიტომაც ითვლება, რომ ამ პერიოდის მუსიკა იმდენადვეა მეცნიერება, რამდენადაც ხელოვნება. მუსიკა იქმნება არა მარტო ნოტებით, არამედ სახეშეცვლილი ბგერებით ანუ ბგერებით, რომელთაც არ გააჩნიათ ტემბრი. უტემბრო ბგერების ერთმანეთზე დადებით ვლემულობთ სინთეზური ჟღერადობის ბგერებს, რომლებიც ელექტრონულ მუსიკაში გამოიყენება. ამგვარად, უტემბრო ანუ სინთეზური ტონი (ბგერა) დაედო საფუძვლად ელექტრონულ მუსიკას.



ს. რეიხი



კ. მტოქაშუენი



ი. ქვენაკისი

არის კომპოზიციები, რომლებიც მთლიანად ელექტრონული საშუალებებით იქმნება და არის ნაწარმოებები, რომლებშიც ელექტრონული ხმოვანება ტრადიციული მუსიკალური საკრავების ჟღერადობასთან არის შერწყმული. მუსიკაში ნებისმიერი ბგერა ტალღისებურად ვრცელდება, მისი მოძრაობა შეიძლება სხვადასხვაგვარი სინუსოიდით ანუ მრუდე ხაზით გამოისახოს. სინუსოიდით გამოიხატება როგორც აკუსტიკური, ისე სინთეზური ბგერა.

აკუსტიკური ბგერები იგივე ბუნებრივი ბგერებია, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ელექტრონულ საშუალებებთან და მათ გამოსცემენ აკუსტიკური ანუ ბუნებრივი საკრავები (გიტარა, ვიოლინო, ფორტეპიანო, ჰობოი და ა.შ.).

მუსიკალური ლექსიკონი:

სინუსოიდა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მრუდე“, „არასწორ სახეს“. ეს არის გრაფიკულად გამოხატული ტალღისებური მრუდე ხაზი. მუსიკაში ნებისმიერი ბგერა ტალღისებურად ვრცელდება და მისი მოძრაობა შეიძლება გამოვხატოთ სხვადასხვაგვარი სინუსოიდით ანუ მრუდე ხაზით. სინუსოიდით გამოიხატება როგორც აკუსტიკური, ისე სინთეზური ბგერები.

აკუსტიკა (akustikos) ბერძნული სიტყვაა და „სმენას“ ნიშნავს. ეს არის ფიზიკის დარგი, რომელიც სწავლობს ბგერას. მუსიკაში კი ამ ტერმინით აღვნიშნავთ რაიმე ნაგებობის სმენადობის ხასიათს, რაც დამოკიდებულია შენობის არქიტექტურასა და ფორმაზე.

მასწავლებელი ახსენებს ბავშვებს, რა არის **ტემბრი** და უფრო ვრცლად ესაუბრება ამ თემაზე.

ერთი და იგივე მელოდია შეიძლება შევასრულოთ სხვადასხვა საკრავზე, იქნება ეს ვიოლინო, ფორტეპიანო თუ ფლეიტა, ერთსა და იმავე ტონალობასა და ტემპში, მაგრამ მათი ხმოვანება განსხვავებული იქნება. ბგერის შეფერილობას მუსიკაში **ტემბრს** ვუწოდებთ.


ტემბრი ახასიათებს ყველა ხმასა და საკრავს. მისი მეშვეობით განვასხვავებთ ერთმანეთისაგან ადამიანთა და მუსიკალურ საკრავთა ხმებს. ასეთ, ბუნებრივ ხმებს **აკუსტიკურ** ხმებს ვუწოდებთ.

მუსიკაში სხვაგვარი ხმა-ტემბრებიც გვაქვს. მეცნიერებმა გამოიკვლიეს და სპეციალურ ლაბორატორიებში შექმნეს ახალი ხმოვანებები, რომლებიც ბუნებაში არ ჟღერს. ასე შეიქმნა ახალი მონოპილობა სინთეზატორი, რომელსაც შეუძლია შექმნას ახალი ტემბრები და ზოგჯერ, წარმატებით მიბაძოს კიდევ არსებულ ხმებს. ასეთ ბგერებს **სინთეზური** ბგერები ეწოდება. ცხადია, რომ სინთეზატორის ხელოვნური ტემბრები ვერ შეცვლიან ცოცხალ ხმებსა და საკრავებს. მაგრამ, თანამედროვე მუსიკალური ცხოვრება წარმოუდგენელია სინთეზატორის გარეშე.


თითოეული ბგერა წარმოიშობა ჰაერის რხევის შედეგად და მას ტალღისებური ფორმა აქვს. მას ტემბრულ ტალღებს ვუწოდებთ.


ახლა კი ვნახოთ, როგორ გამოიყურება ზოგიერთი ბგერითი ტალღა. ბგერის გავრცელების გრაფიკული გამოსახულება – **სინუსოიდა** წააგავს წყლის ტალღების მოძრაობას.

ლაბორატორიული „თეთრი“ ბგერა – სუფთა სინოსოიდა.



ვიოლინოს ბგერის გრაფიკული ნახატი — სინუსოიდა





ჩ. აივზი



ე. არტემიევი

ამის შემდეგ, ბავშვები მსჯელობენ და პასუხობენ კითხვებს:

1. რა არის ტემბრი?
2. რაზეა დამოკიდებული სხვადასხვა საკრავის ტემბრი?
3. სად და როგორ გამოიყენება ტემბრის გამომსახველობა?
4. რას ნიშნავს სუფთა და შერეული ტემბრები?

ბავშვები უსმენენ ოთხ ნაწარმოებს და განარჩევენ ელექტრონულ მუსიკასა და აკუსტიკურს ერთმანეთისგან. მსჯელობენ და საუბრობენ მათ ხასიათსა და განწყობაზე.



მოსმენა: 1. ა. შონბერგი. კამერული სიმფონია;

2. ე. არტემიევი. „მოზაიკა“;

3. ჩ. აივზი. „სამყაროს სიმფონია“

4. ჩ. აივზი - ი. ტომიტა. „სამყაროს სიმფონია“. (ელექტრონული ვერსია).



შემდეგ უყურებენ ვიდეოებს: ჩ. აივზის „სამყაროს სიმფონია“ და ამავე სიმფონიის ი. ტომიტას ელექტრონულ ვერსიას.

ვიდეოკოლაჟს 1 – აკუსტიკურ ბგერებზე.

სტუდიური და საკონცერტო მუსიკა

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.



აქტივობა: ბავშვები უსმენენ რამდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს, ამოიცნობენ და განასხვავებენ:

- რომელი ფრაგმენტი შეიძლება შესრულდეს ცოცხლად კონცერტზე;
- რომელი წარმოდგენს სტუდიურ ჩანაწერს. რომელსაც ვერ შეასრულებს ვერც აკუსტიკური და ვერც სინთეზური საკრავები. იგი წინასწარ არის ჩანერილი სტუდიაში და შერწყმულია საკონცერტოდ წარმოდგენილ ნაწარმოებთან.

1. **ო. თაქთაქიშვილი. „მინდია“.** ფრაგმენტი პროლოგიდან. კითხულობს **გ. სალარაძე (მაგნიტოფირზე ჩანერილი);**

2. **ე. არტემიევი. „ნანა“;**

3. **ტ. მაკოვერი. „სიმფონია პერტისათვის“;**

4. **პ. კარმანოვი. „განსხვავებული წვიმები“ (წვიმის ხმა ჩანერილია სტუდიურად).**

მეთოდური მითითება: ბავშვები უსმენენ სხვადასხვა ფრაგმენტებს. ამოიცნობენ და განასხვავებენ აკუსტიკურსა და სინთეზურ ბგერებს, აგრეთვე, ისეთ ხმა-ხმაურებს, რომელიც სტუდიაშია ჩანერილი და სიმფონიური ორკესტრი ვერ შეასრულებს.

იგივე ფრაგმენტების დახმარებით, ბავშვები ასრულებენ სხვა აქტივობებსაც. უსმენენ და აღწერენ მხოლოდ სტუდიაში ჩანერილ ხმებს: ესენია ადამიანის ხმები, საგნის ხმები და სხვადასხვა ხმა-ხმაური.

ბავშვები არჩევენ დაჯგუფებულ წყვილებს შორის, რომელია სტუდიური ჩანაწერი.

ა) 1 – 3

ბ) 1 – 2

გ) 2 – 3

დ) 1 – 4

ბავშვები კიდევ ერთხელ უსმენენ ფრაგმენტებს და უსადაგებენ წინადადებებს:

1. მუსიკაში ისმის ქალაქის მრავალფეროვანი ხმა-ხმაური;

2. ნაწარმოებს ასრულებს სიმფონიური ორკესტრი, ისმის ადამიანის ხმა-მონოლოგი, გუნდი უმღერის ბუნებას;

3. ნაწარმოებში გამოკვეთილია მელოდიური ხაზი, რიტმი, ფერადოვანი ჰარმონია;

4. ნაწარმოებში უარყოფილია ტრადიციული მუსიკის ძირითადი ხერხები: მელოდია, რიტმი, ჰარმონია, მაჟორული და მინორული კილოები.



ო. თაქთაქიშვილი



ტ. მაკოვერი



ე. არტემიევი

გაეცანი ელექტროსაკრავებს.



სინთეზატორი



ელექტროგიტარა



ელექტროპიანინო



ელექტროორგანი



კლარა როკმორი.
ამერიკელი მუსიკოსი, თერემინზე
ერთერთი პირველი შემსრულებელი,
1930 წელი.



თერემინი

უყურე ვიდეოს ელექტროსაკრავებზე.

ინფორმაციისთვის: პერტი არის დასავლეთ ავსტრალიის დედაქალაქი, სადაც ხშირად ტარდება საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალები. ტ. მაკოვერმა ამ ქალაქს მიუძღვნა სიმფონია, ავსტრალიის სიმფონიური ორკესტრის დაკვეთით, 2013-14 წლებში. კომპოზიტორმა შექმნა ქალაქ პერტისა და მისი ახლომდებარე რაიონების მუსიკალურ-ბგერითი პორტრეტი, პერტის ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანთა თანამშრომლობით, ისევე, როგორც „დეტროიტის სიმფონია“. „სიმფონია პერტისთვის – უდაბნოსა და ცისფერ უსაზღვრო ზღვას შორის“, მსოფლიო პრემიერა შედგა 2014 წლის 1 მარტს პერტის საერთაშორისო ფესტივალის დასკვნით კონცერტზე.


აკადემიური და პოპულარული ელექტრონული მუსიკა

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით, კაკუნითა და მარცვლების დასახელებით ასრულებენ რიტმულ სურათს.



ელექტრონულ მუსიკაში გვაქვს ორი ძირითადი მიმართულება: აკადემიური და პოპულარული. აკადემიური ელექტრონული მუსიკა მთლიანად დამყარებულია სინთეზურ ხმოვანებასა და სინთეზურ საკრავებზე, ასევე, ისეთ ხმა-ხმაურებზე, რომლებსაც ვერ შეასრულებს მუსიკალური საკრავები, ისინი ჩამწერ სტუდიაში იქმნება.

პოპულარულ ელექტრონულ მუსიკაში კი გამოიყენება როგორც ელექტრო, ისე აკუსტიკური საკრავები. ამასთანავე, აკადემიური ელექტრონული მუსიკისგან განსხვავებით, რომელიც უარყოფს ტრადიციული მუსიკალური ენის ელემენტებს, პოპულარული ელექტრონული მუსიკა იყენებს ამ საშუალებებს.

აქტივობა. მოცემულია აკადემიური და პოპულარული ელექტრომუსიკის ნიმუშები: ბავშვები ადარებენ ფრაგმენტებს. მასწავლებელი არ ეუბნება, ელექტრომუსიკის რომელ მიმართულებას მიეკუთვნება წარმოდგენილი ნიმუშები.



აკადემიური ელექტრომუსიკის მაგალითები:

1. სტივ რეიხი. Different Train – „განსხვავებული მატარებელი“;
2. ფილიპ გლასი. Glassworks (1-20 წუთიდან);
3. პოპულარული ელექტრონული მუსიკის მაგალითი: მუსიკა კინოფილმიდან „როკი 3“ Eye of the Tiger.

მასწავლებელი კითხვებით ამოწმებს ამ თემას:

1. რა მიმართულებას მიეკუთვნება ეს ფრაგმენტები?
2. რომელია მათგან აკადემიური და რომელი – პოპულარული ელექტრონული მუსიკის ნიმუში?
3. ამოიცანით რიტმული და მელოდიური ოსტინატოები.
4. რა განწყობას გიქმნით თითოეული ნაწარმოები?
5. რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში იგრძნობა კავშირი ტრადიციული მუსიკის გამომსახველ საშუალებებთან (მელოდია, რიტმი, ჰარმონია, ტონალობა) და რომელშია ისინი უარყოფილი? განარჩიეთ ერთმანეთისგან.

ბავშვებმა უნდა იმსჯელონ და გამოთქვან ნაზრევი, გამართონ დისკუსია კლასში და წარმოადგინონ პრეზენტაცია თემაზე „ელექტრომუსიკის ორი მიმართულება: აკადემიური და პოპულარული“.



აქტივობა. მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სამ ნაწარმოებს:



1. ე. არტემიევი. საუნდტრეკი კინოფილმიდან „სოლარისი“, რომელშიც გამოყენებულია ი.ს. ბახის საორგანო ქორალური პრელუდია;



2. Kordz (ალექსანდრე კორძაია) და გ. ცაგარელი ნ. რაჭველის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად: We've Been („ჩვენ ვიყავით“); 3. ჯგუფი Kraftwerk. კომპოზიცია With One Synthesizer.

1. სამი ნაწარმოებიდან, რომელია ელექტრონული მუსიკის ნიმუში. რატომ ფიქრობთ ასე?
2. რომელი ნაწარმოებია უფრო ახლოს ტრადიციულ მუსიკასთან. რატომ ფიქრობთ ასე?
3. რომელია მათგან აკადემიური ელექტრომუსიკის ნიმუში?
4. რომელი ნაწარმოები ჩაგაფიქრებთ?
5. რომელშია მეტი დინამიურობა და აქტიურობა?

მოცემულია მუსიკალური ფრაგმენტების ტრეკების გრაფიკული გამოსახულებები მუსიკალური კომპიუტერული პროგრამიდან. ბავშვები უსმენენ მუსიკას და მიუსადაგებენ ტრეკებს. მათ უნდა ამოიცნონ ის ტრეკიც, რომელიც არ შეესაბამება არცერთ მუსიკალურ ფრაგმენტს.



ბავშვები უყურებენ ვიდეოკოლაჟს 4.


შტოქჰაუზენის ელექტრონული მუსიკა

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით, კაკუნითა და მარცვლების დასახელებით ასრულებენ რიტმულ სურათს.



კარლჰაინც შტოქჰაუზენი (1928-2007) მე-20 საუკუნის გერმანელი კომპოზიტორი და თეორეტიკოსი იყო, სწავლობდა ო. მესიანთან. შტოქჰაუზენი ნოვატორია აკადემიური ელექტრონული მუსიკის სფეროში, სადაც მრავალფეროვანი და ძალიან საინტერესო მიგნებები აქვს. მან, შეიძლება ითქვას, მე-20 საუკუნის ახალი მუსიკა შექმნა. შტოქჰაუზენი 360-ზე მეტი ნაწარმოების ავტორია. იგი თავად ასრულებდა საკუთარ ნაწარმოებებს და როგორც ხმის რეჟისორი, თავადვე წერდა სტუდიაში. სტუდია 1951 წელს დააფუძნა ფრანკფურტში ჰესიშერ რუნდფუკმა, რომელმაც დაწერა ხმის ჩანერის უახლესი ტექნოლოგიები. სწორედ აქ ატარებდა **კ. შტოქჰაუზენი** ექსპერიმენტებს ელექტრომუსიკაში და შექმნა ახალი მუსიკალური ენა.



აღსანიშნავია მისი ნაწარმოები 5 სინთეზატორისთვის „ყრმათა სიმღერა“, რომელიც 1956 წელს შეიქმნა და მის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ელექტრონულ კომპოზიციად ითვლება. აგრეთვე, „შესანიშნავი თამაში“, „პუნქტები“, „კონტრაპუნქტები“, „კვადრატი ოთხი ორკესტრისა და გუნდისათვის“, „მიქსტურა“, „სირიუსი“ და სხვა.

„ყრმათა სიმღერაში“ კომპოზიტორმა გამოიყენა ერთ ხმაში ჩანერილი ფსალმუნი, რომელიც გარდაქმნა სინთეზურ ბგერებად და ასე შექმნა ელექტრონული მუსიკალური კომპოზიცია.



აქტივობა: ბავშვები უსმენენ კ. შტოქჰაუზენის ორ ნაწარმოებს:

1. „ტელემუსიკა“;
2. Klavierstucke № 2.


ბავშვები უსმენენ, ამოიცნობენ და განასხვავებენ ერთმანეთისგან:

1. შესრულების რა ფორმებია გამოყენებული: სოლო, საანსამბლო თუ საორკესტრო?
2. ელექტრონული მუსიკის რომელ მიმართულებას მიეკუთვნება ნაწარმოებები: აკადემიურს თუ პოპულარულს?

კ. შტოქჰაუზენის „ტელემუსიკა“ 32 მონაკვეთისაგან შედგება. ყოველი მონაკვეთი იაპონურ ინსტრუმენტებზე დარტყმით იწყება. დარტყმები საკმაოდ მკაფიოდ ჟღერს და ისინი, შეგვიძლია, დავთვალოთ.

ბავშვები უსმენენ ნანარმოებს, მასწავლებელი სთხოვს, ამოიცნონ ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი უღერადობის ბგერები, აფრიკული დოლების ხმა, მონასტრის ზარების ხმა; ისაუბრონ ნანარმოების ხასიათსა და განწყობაზე.


 ბავშვები უსმენენ და თვალს ადევნებენ სანოტო ჩანანერს. კ. შტოქჰაუზენის საფორტეპიანო პიესა **Klavierstucke №2**.



მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

1. მუსიკალურ ნანარმოებს სინთეზური საკრავი ასრულებს თუ – აკუსტიკური?
2. დააკვირდით სანოტო ჩანანერს და აღნიშნეთ ნოტების გრძლიობები, ზომები, დინამიური ნიშნები და რეგისტრები.
3. გაიაზრეთ, რა არის თქვენთვის ახალი, უჩვეულო და განსხვავებული, რაც აქამდე არ გისწავლიათ მუსიკაში?

 **LMMS:** აქტივობა ელექტრომუსიკაში: მოცემულია 8 სექცია. თითოეული სექცია შედგება 5 სემპლისაგან. ბავშვებმა სემპლები ისე უნდა გადაანანილონ, რომ ყოველი სექცია ერთი და იმავე ბგერაზე იწყებოდეს.



შტოქჰაუზენი და მისი მუსიკალური გრაფიკა

მუსიკალური ლექსიკონი:

Klavierstuck (ქლავირშტუკ) – გერმანულად „საფორტეპიანო პიესას“ ნიშნავს.


ისაო ტომიტას ელექტრონული მუსიკა

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაპით, კაკუნითა და მარცვლების დასახელებით ასრულებენ რიტმულ სურათს.



იაპონური ელექტრონული მუსიკის ფუძემდებელი, მის „მამად“ წოდებული **ისაო ტომიტა** გამოირჩევა მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობით. ცნობილია მისი ექსპერიმენტული ალბომები სხვადასხვა დროის კლასიკოს კომპოზიტორთა ნაწარმოებების მიხედვით: **ი.ს. ბახის, ვ. დებიუსის, მ. მუსორგსკის, მ. რაველის** და სხვათა. მას ეკუთვნის, ასევე, **გუსტავ შოლსტის „პლანეტების მუსიკის“** ელექტრონული ვერსია. ტომიტამ შექმნა საკუთარი კომპოზიციებიც ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმფონია, სადაც სოლისტი მომღერალია ციფრული **ავატარი ჰაცუნე მიკუ**. მასთან ერთად სიმფონიას ასრულებს გუნდი და დიდი ორკესტრი. ამავე სიმფონიაზე გადაღებულია მულტფილმი (ანიმატორი – **ოსამუ ტეძუკი**), სადაც ეს ვირტუალური მომღერალიც მონაწილეობს.



ისაო ტომიტა

ვირტუალური მომღერალი – **ჰაცუნე მიკუს** არარეალური, უჩვეულო ვოკალი შერწყმულია კლასიკური ტიპის სიმფონიურ მუსიკასთან. სიმფონია-სპექტაკლი, რომლის პრემიერა 2012 წელს შედგა, ტოკიოდან ტრანსლირებული იყო მთელს მსოფლიოში.

აქტივობა. ბავშვები უსმენენ **ი. ტომიტას** ორ ნაწარმოებს:

1. **Fantasy of the clock** („საათის ფანტაზია“. ი.ს. ბახის მიხედვით);
2. სიმფონია „**ჰაცუნე მიკუ**“.

ბავშვები ადარებენ ორ კომპოზიციას და აღნიშნავენ, რომელი შეიძლება იყოს თავად კომპოზიტორის ორიგინალური კომპოზიცია და რომელი – სხვა კომპოზიტორის თემაზე შექმნილი.

1. რომელ ნაწარმოებში არის გამოყენებული სტუდიური ჩანანერი?
2. შესაძლებელია, მიბაძოთ ჰაცუნე მიკუს ხმას?
3. როგორ ფიქრობთ, ელექტრონული მუსიკის რომელ მიმართულებას შეიძლება მივაკუთვნოთ ნაწარმოებები – აკადემიურსა თუ პოპულარულს? რატომ ფიქრობთ ასე?



ჰაცუნე მიკუ

ბავშვები უყურებენ ვიდეოკოლასს 5.


იანის ქსენაკისის მუსიკალური გრაფიკა

რესურსი: მოსწავლის ნიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი ინყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო.



იანის ქსენაკისი 1922-2001 წწ.

იანის ქსენაკისი ბერძენი კომპოზიტორი და არქიტექტორია. კომპოზიციაში იყო ოლივიე მესიანის, ხოლო არქიტექტურაში – XX საუკუნის უდიდესი ფრანგი არქიტექტორის ლე კორბუზიეს მონაფე. მან საფრანგეთსა და ინდოეთში დააარსა რამდენიმე მუსიკალური ცენტრი, რომელიც მუსიკისა და მათემატიკის ურთიერთკავშირს შეისწავლის. ქსენაკისმა გამოიგონა ახალი სისტემა, რომელიც მათემატიკის თეორიის საკითხებს ეყრდნობა და შექმნა სივრცობრივი მუსიკა. კომპოზიტორ პიერ ბულეზთან ერთად, ქსენაკისი ფრანგული ავანგარდის ერთ-ერთი ლიდერია. ავანგარდი XX საუკუნის მიმდინარეობაა, რომელიც ხელოვნებაში ახალ ფორმებსა და გამოსახვის ახალ საშუალებებს ეძებს.

ქსენაკისი ისწრაფვოდა ალედგინა მუსიკის, ზუსტი მეცნიერებებისა და არქიტექტურის ღრმა კავშირები. ამით იგი მიჰყვებოდა პითაგორას ანტიკურ ტრადიციებს. ამ თემაზე მან არაერთი მეცნიერული ნაშრომი შექმნა.

ქსენაკისის ერთ-ერთი პირველი პარტიტურა „Metastaseis“ (ბერძნ. „მოსვენების შემდეგ“) 61 შემსრულებლისათვის, დაინერა 1954 წელს. ნაწარმოების იდეა, ე.წ. „ფარდობითი მუსიკის“ შესახებ, მუსიკის, მათემატიკის და არქიტექტურის ღრმა კავშირს გულისხმობს. კომპოზიტორი ცალკეულ ბგერებს მათემატიკურად გამოითვლის, მილიმეტრიან ქალაქზე გადააქვს და სანოტო ნიშნებად აქცევს. ქსენაკისი მათემატიკურ ხერხებს, ელექტრონიკისა და ინფორმატიკის დახმარებით, მუსიკალურ ხერხებთან აერთიანებს.




1958 წელს ქსენაკისმა „მეტასტასის“ იდეა არქიტექტურული საშუალებებითაც გამოხატა – ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე შექმნა კორპორაცია „ფილიპის“ პავილიონი, რომლის კონტურებში ჭარბობს აღმავალი და დაღმავალი ოკრო-ბოკრო ხაზები. ქსენაკისის მუსიკაში, ხაზები სხვადასხვა მიმართულების გლისანდობად იქცა.

ქსენაკისს აინტერესებდა თანამედროვე ელექტრონული მუსიკაც და ძველბერძნული თეატრიც. მისი აუდიო-ვიზუალური სივრცითი კომპოზიციები ღია ცის ქვეშ ან სპეციალურ ნაგებობებზე სრულდება.



„მეტასტასის“ სანოტო ჩანაწერი

ქსენაკისის მუსიკალურ-გრაფიკული ჩანახატები



მოსმენა: იანის ქსენაკისი. „მეტასტასი“. მოუსმინე მუსიკას და დახატე ან დაწერე შენი შთაბეჭდილებები.

2. თემატური ბლოკი

მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

თემა: ძველი და ახალი მუსიკაში

რას ვასწავლით მოსწავლეს ძირითად თემატიკასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები	რა ინფორმაციას იღებს მოსწავლე? მოსწავლის მკვიდრი წარმოდგენები	რას ვაფასებთ მოსწავლის ცოდნაში? შეფასების ინდიკატორები და სტანდარტის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> როგორ ამოვიცნოთ ძველი და ახალი დროის ნიშნები მუსიკაში? როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა ძველი ან ახალი დროისთვის დამახასიათებელი მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად? <ul style="list-style-type: none"> როგორ მივაღწიო ძველი ან ახალი დროის მუსიკისთვის დამახასიათებელ ჟღერადობას? 	<ul style="list-style-type: none"> მუსიკაში ძველი და ახალი დროის ნიშნების ამოცნობა შეიძლება; ძველი და ახალი დროის ნიშნების ამოცნობა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხებით შეიძლება; <ul style="list-style-type: none"> ძველი და ახალი დროის მუსიკას სხვადასხვა დროს შექმნილი მუსიკალური ინსტრუმენტებით ასრულებენ (კლავესინი, ლირა, ელექტროგიტარა, სინთეზატორი და სხვ.). 	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა, ახალ თუ ძველ დროს მიეკუთვნება ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი (მუს.საბ.4,5); სათანადო რიტმის, ჰარმონიის და ფორმის გამოყენებით ძველი ან ახალი დროისთვის დამახასიათებელი მუსიკალური კოლაჟების შექმნა (მუს.საბ.1,2,3).

თემა: ძველი და ახალი მუსიკაში – 3 ქვეთემა

1. ინტონაციური ფორმულები

2. საოპერო ფორმები: რეჩიტატივი და არია

3. კლასიკური ინტონაციები პოპ-მუსიკაში

თემა: ძველი და ახალი მუსიკაში

მიზანი: ძველი და ახალი დროის მუსიკალური ხელოვნების გაცნობა, შედარება, საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე მსჯელობა. არქაული ინტონაციების დამუშავება და ახლებურად აჟღერება მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში.


მისაღწევი შედეგები: მუს.საბ.4.მუს.საბ.1.2.3.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

პითაგორა




პითაგორა

თანამედროვე მუსიკალური აზროვნება ეყრდნობა უახლეს ტექნოლოგიებს და ამავე დროს, იზიარებს ანტიკურ ტრადიციებს. ამის მაგალითები: **რეიხი და შტოქჰაუზენი**, რომელთა შთაგონების წყარო იყო ბიბლიური ფსალმუნები; **მესიანი**, რომელიც დაინტერესებული იყო ძველი ინდური ფილოსოფიითა და მუსიკით. **ქსენაკისი**, რომელიც დაინტერესებული იყო ძველი ბერძნული თეატრითა და პითაგორას თეორიებით.

პითაგორა (ძვ.წ. VI ს.) ანტიკური ხანის უდიდესი ბერძენი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ბუნებისმეტყველი და მუსიკოსი, ანტიკური მუსიკალური მეცნიერების ფუძემდებელია. მან მათემატიკის საშუალებით დაამტკიცა, რომ სამყაროში პლანეტებს, ყველა საგანს – სულიერსა თუ უსულოს – მუსიკალური ხმა აქვს. პითაგორამ დაადგინა, რომ მუსიკალური ბგერის სიმაღლე დამოკიდებულია საგნის რხევის სიხშირეზე, საიდანაც ბგერა წარმოიქმნება. რაც უფრო მეტი სიხშირისაა ჰაერის ტალღა, მით უფრო მაღალია ბგერა და – პირიქით. პითაგორა ექსპერიმენტს მონოქორდზე ატარებდა. მან უმარტივესი საკრავი თავად დაამზადა: მართკუთხედ ხის ყუთზე გააბა ერთი სიმი და ზედ დაამაგრა ჯორაკი (**ჯორაკი** სიმების ჩასაჯდომს ჰქვია). სხვადასხვა მანძილზე მისი გადაადგილებით იცვლებოდა ბგერების სიმაღლე და მიიღებოდა სხვადასხვა ინტერვალის ხმოვანება. ამ გამოგონებით პითაგორამ მუსიკის თეორიაში **ინტერვალის** ცნება დაამკვიდრა, მონოქორდი კი კლავიკორდის, კლავესინის და ფორტეპიანოს შორეულ წინაპრად ითვლება.

მონოქორდიდან... ფორტეპიანომდე



პითაგორა მონოქორდთან



კლავიკორდი



კლავესინი



როიალი

პითაგორას აზრით, მუსიკის მთავარი საიდუმლო მის ჰარმონიულობაშია. **ჰარმონია** იქმნება, როცა სრულიად განსხვავებული ბგერები ერთმანეთს ერწყმიან და მშვენიერ მთლიანობას ქმნიან.


მუსიკა – ბერძნულად „მუსიკე“, „მუსიკეა“, ნიშნავს „მუზისეულს“, „მუზებისადმი განკუთვნილს“. აქ იგულისხმებიან ზევსის ქალიშვილები – ცხრა მუზა, რომლებიც ხელოვნების მფარველებად ითვლებოდნენ, მათი წინამძღოლი კი ხელოვნებისა და სინათლის ღმერთი აპოლონი იყო. ძველმა ბერძნებმა დაამკვიდრეს მრავალი საუკუნის წინ ცნებები: „**მელოდია**“, „**რიტმი**“, „**გამა**“, „**ინტერვალი**“, „**ტეტრაქორდი**“ და სხვ., რომლებსაც დღემდე ვხვდებით.

მუსიკალური ლექსიკონი:

მელოდია (ბერძნ. melodia სიმღერა) – ჰანგი, მოტივი; ბგერათა გარკვეული თანმიმდევრობა, რომელიც ქმნის მუსიკალურ აზრს;

მონოქორდი (ბერძნ. monos ერთი, chorde სიმი) – ერთსიმნიანი საკრავი.

ანტიკური ხანის საკრავებს, უმეტესად, შვიდი სიმი ჰქონდათ. ძველი ბერძნების შეხედულებით, შვიდი სიმი ადამიანის სხეულის შვიდი ნაწილისა და შვიდი პლანეტის ანალოგიაა, საკრავები – ლირა, ქნარი, კითარა – ადამიანის ფიზიკური სხეულია, სიმები – ნერვები, მუსიკა კი – სული. მათი აზრით, მელოდიას, რიტმსა და კილოსაც გარკვეული განწყობის შექმნა და ადამიანის განკურნებაც შეეძლო.




კითარაზე, ავლოსზე და ლირაზე დამკვრელები



ლირა



მუსიკოსი კითარით



ბარბიტონი



ორმაგი ალოსი

უყურე ვიდეოს: ბერძნული საკრავები.

პირველმა მუსიკალურმა სანოტო ჩანაწერებმა ჩვენამდე საბერძნეთიდან მოაღწია. მათ შორის არის მუსიკალური ფრაგმენტი **ევრიპიდეს დრამისათვის „ორესტე“**.



მოსმენა: მუსიკა ევრიპიდეს დრამისათვის „ორესტე“.

ძველი ბერძნული ტრაგედიის საფუძველზე, მრავალი საუკუნის შემდეგ, იტალიის ქალაქ ფლორენციაში შეიქმნა ოპერის ჟანრი, რომელსაც თავდაპირველად ერქვა **dramma per musica** – „დრამა მუსიკით“.

LMMS: ბერძნული ჰიმნიდან ამოჭერი პატარა მონაკვეთი **Audacity**-ში. **LMMS**-ში გადააქციე სემპლებად. ძველი და ახალი ინტონაციებით შეადგინე კომპოზიცია. ისაუბრე ძველი და ახალი მუსიკის შინაარსსა და განწყობაზე, გამომსახველობით ხერხებზე. როგორია მელოდია, რიტმი - მშვიდი თუ აქტიური?

შუმერული არფა

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

ამბობენ, ისტორია შუმერიდან იწყებაო. 6000 წლის წინ, ახლანდელი ერაყის მიწა-წყალზე, მდინარეებს – ტიგროსსა და ეფრატს შორის, გადაშლილი იყო უძველესი ქვეყანა – შუმერი, სადაც კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს კულტურას ჩაეყარა საფუძველი. მოგვიანებით, ამავე ტერიტორიაზე, ბაბილონელები და აქადელები ცხოვრობდნენ. შუმერებს ეკუთვნის პირველი სანოტო დამწერლობა. თიხის ერთ ფირფიტაზე, ლურსმული დამწერლობით ჩანერილი ტექსტის პოეტური ფრაგმენტი, მეცნიერთა აზრით, ვოკალური მელიოდიას არფის აკომპანემენტით. მეცნიერებმა გაშიფრეს ეს მელიოდა და თანამედროვე ნოტებზე გადაიტანეს.



 **ჰიმნი ჩვენ მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში ავაჟღერეთ.**

ოქროს ხარისთავიანი არფა. ძვ.წ. 2600 წ.

შუმერებმა შექმნეს მაღალგანვითარებული ინსტრუმენტული კულტურა – რკალისებური და კუთხოვანი არფები, სალამური, ფლეიტა, ჰობოი, დაირა, დიდი დოლები. შუმერთა საგანძურიდანაა ხისა და ოქროს ხარისთავიანი არფა.



ოთხსიმიან ქნარზე შესასრულებელი სიმღერა-ჰიმნი. ბაბილონი. ძვ.წ. 2000 -1700



მოვისმინოთ მუსიკა შუმერულ ხარისთავიან არფასა და ორმაგ სალამურზე შესრულებით.



უყურე ვიდეოს შუმერულ არფაზე.

რა განწყობას გიქმნის შუმერული მუსიკა?



მოუსმინე, დაასახელე ძველი და ახალი საკრავები, შეადარე ერთმანეთს (ფორმით, სიმების რაოდენობით, ყდერადობით)



მოსმენა: ო.რესპიგი. „სიცილიანა“. მოისმინეთ ამ პიესის ორი ვარიანტი ძველ ლირასა და ახალ არფაზე შესრულებით და შეადარეთ.




LMMS: აირჩიე უძველესი შუმერული მელიოდიებიდან რომელიმე ინტონაცია, გაიმღერე და შენი ნამღერი ჩაწერე Audacity-ში. შემდეგ დაადე ახალი ხმები: ხმის ეფექტი, ცალკეული ბგერების ოსტინატო, რიტმი, სხვადასხვა ტემბრალურ ბგერებს და სურვილისამებრ შექმენი ახალი კომპოზიცია. ამგვარად, ძველი და ახალი ხმა-ბგერებით იქმნება ახალი მუსიკალური კოლაჟი.

ვერდი და ეგვიპტური საყვირები

რესურსი: მოსნავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.



ჯუზეპე ვერდი

ევროპულ მუსიკაში გამოძახილი ჰპოვა უძველესმა ეგვიპტურმა კულტურამ, რომლითაც დაინტერესდა XIX საუკუნის გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორი ჯუზეპე ვერდი, ოპერა „აიდაზე“ მუშაობისას. მან კარგად შეისწავლა ძველი ეგვიპტის ისტორია, არქეოლოგია, რელიგია, წეს-ჩვეულებები, ხელოვნების ნიმუშები, ძველი ეგვიპტური საკრავები. ოპერა „აიდასათვის“ ვერდიმ ძველევგვიპტური საყვირის მსგავსი ხანგრძლივებული ფორმის ექვსი ახალი საყვირი შეუკვთა, რათა ძველი ჟღერადობა „გაეცოცხლებინა“.




ძველევგვიპტელი მესაყვირე

მას შემდეგ სიმფონიური ორკესტრის ამ საკრავებს „ეგვიპტურ საყვირებს“ უწოდებენ. ოპერა იტალიურ ენაზე ჟღერს, ხოლო მისი შინაარსი ძველ ეგვიპტეს უკავშირდება. საინტერესოა ოპერის შექმნის ისტორია. 1868 წელს ეგვიპტის მმართველმა ხალიფა იზმაილ ფაშამ, უკვე საქვეყნოდ ცნობილ კომპოზიტორს, კაიროს ახალი თეატრისა და სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით, ოპერის დანერა შეუკვთა. სცენარის ავტორი აღმოჩნდა ფრანგი ეგვიპტოლოგი ო. მარიეტი, კაიროს მუზეუმის პირველი დირექტორი. მარიეტის სცენარს საფუძვლად მის მიერვე პაპირუსზე ამოკითხული უძველესი ლეგენდა დაედო, რომელიც გვიამბობს ეგვიპტელი ფარაონების ბრძოლაზე ეთიოპიის (იმდროინდელი ნუბიის) წინააღმდეგ, ეგვიპტეში მონად ქცეული ეთიოპიელი მეფის ქალიშვილის – აიდასა და ეგვიპტელთა ახალგაზრდა მთავარსარდლის რადამესის სიყვარულის ამბავს.

ოპერა უდიდესი წარმატებით დაიდგა კაიროში, 1871 წლის 24 დეკემბერს. „აიდა“ მალე მილანში დაიდგა. საოპერო თეატრი „ლა სკალა“ ხალხით იყო სავსე. აპლოდისმენტები არ წყდებოდა. ანტრაქტის დროს კი მუსიკოსებმა ვერდის ოქროს სადირიჟორო ჯოხი აჩუქეს. ერთი წლის თავზე „აიდა“ ნეაპოლში დაიდგა. სპექტაკლის შემდეგ, აღფრთოვანებულმა მსმენელმა კომპოზიტორი სასტუმრომდე ხელში ატაცებული წაიყვანა. უკან, ანთებული ჩირაღდნებით ათასობით ადამიანი მიჰყვებოდა. ორკესტრი მთელი საღამო ვერდის აივნის ქვეშ ტრიუმფალურ მარშს უკრავდა. სწორედ ამ მარშში ჟღერს „ეგვიპტური საყვირები“.



ძველევგვიპტური საყვირები



„ეგვიპტური საყვირები“ „აიდასთვის“

მოსმენა: ჯუზეპე ვერდი. ოპერა „აიდა“, ტრიუმფალური მარში. ბავშვები ტაშით აჰყვებიან მარშს და პასუხობენ კითხვებს: რა ინტერვალით იწყება მარში? რა ხასიათს ანიჭებს ეს ინტერვალის მუსიკას?

მუსიკალური ლექსიკონი:


მარში (marche) ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „სიარულს“, „სვლას“. მარშები სხვადასხვა ხასიათისაა: საზეიმო, სადღესასწაულო, სამხედრო, საქორწინო, სამგლოვიარო და სხვ. მარშებს ახასიათებთ 4/4 და 2/4 ზომა. სამხედრო-საზეიმო მარშებს ხშირად ფანფარული ინტონაციები აქვთ.

ფანფარა (იტალ. fanfara) ძველებური სასიგნალო ჩასაბერი საკრავია, საყვირის ნაირსახეობა. იგი ისეა მოწყობილი რომ, უმეტესად, სამხმოვანების ბგერებს იღებს. ასეთი ინტონაცია-სიგნალები სამხედრო მარშებში გვხვდება. მათ გარეშე, სამხედრო მუსიკა წარმოუდგენელია.

მუსიკალური გამოფენა - ეგვიპტური საკრავები



ძველეგვიპტელი მუსიკოსები



მუსიკოსი არფით



ქალი არფით



ძველეგვიპტური არფა



ძველეგვიპტელი მუსიკოსები



მუსიკოსები ბარბითითა და არფით.



ბრმა მუსიკოსი არფით

Uაარჩიე შენი მუსიკა. დაათვალიერე ძველეგვიპტური ხელოვნების ნიმუშები, მოცემული მუსიკალური ნაწარმოებებიდან, სურვილისამებრ, აარჩიე მუსიკა და გააფორმე გამოფენა.


1. ჩ. აივზი. „სამყაროს სიმფონია“;
2. ოსირისის ჰიმნი;
3. ჯ. ვერდი. ოპერა „აიდა“. სცენა ტაძარში;
4. გ. ჰოლსტი. „პლანეტები“. „იუპიტერი“.




აქტივობა - ინტერვალი და აკორდი. გაიხსენე და გაიმეორე

წმინდა ინტერვალებია: პრიმა, კვარტა, კვინტა და ოქტავა.
ისინი გამოისახება შემდეგნაირად:


ნმ.1




ნმ.4



ნმ.5




ნმ.8




დაუკარით და გაიმეორეთ წმინდა ინტერვალები და დაადგინეთ, რამდენი ტონისგან შედგება თითოეული. ააგეთ წმინდა ინტერვალები რე-დან და ჩანერეთ სანოტო რვეულში.

აკორდი (accordo) იტალიური სიტყვაა და სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიულ შეერთებას ნიშნავს. ტერციებად დალაგებულ სამი ბგერისაგან შემდგარ აკორდს **სამხმოვანება** ეწოდება.

გაიმეორეთ გამა დო-მაჟორი და ბგერები **დო, მი, სოლ**. ამ ბგერების ერთობლიობა ქმნის სამხმოვანებას.



გაიმეორეთ სამხმოვანების ბგერები



ლ.ვან ბეთჰოვენი. ფრაგმენტი მეხუთე სიმფონიიდან



გაიმეორეთ ინტონაციური სავარჯიშო ორ ხმაში.



რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

ებრაელები მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხია. უძველესია მათი მუსიკალური კულტურაც, სასიმღერო და საცეკვაო ჟანრები, საკრავები. ებრაელთა მეფე დავითმა შექმნა ფსალმუნები, რომლებსაც „სიმღერითა და ცეკვით ასრულებდა“. **ფსალმუნი** სადიდებელი სიმღერაა. ფსალმუნი საკრავსაც ერქვა. ის ქნარის წინამორბედი. ფსალმუნის გამღერების სტილი გამოიყენეს ახალი ეპოქის კომპოზიტორებმაც. მაგალითად, ს. რეიხმა ოპერა „გამოქვაბულში“, კ. შტოკჰაუზენმა „ყრმათა გალობაში“. მე-19 საუკუნეში კი ერთ-ერთი ფსალმუნის ტექსტი, ვერდიმ საფუძვლად დაუდო ოპერა „ნაბუქოს“ გუნდს, რომელშიც ბაბილონელთა ტყვეობაში მყოფი ებრაელები თავისუფლებაზე მღერიან.



1842 წლის 9 მარტს გამართული ოპერა „ნაბუქოს“ პრემიერა იტალიელთა ეროვნულ დღესასწაულად იქცა, რადგან ამ პერიოდში ავსტრიის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლმა იტალიელებმა ებრაელ ტყვეებში საკუთარი ტკივილი დაინახეს. გუნდის მიერ თავისუფლებისადმი მიძღვნილ ჰიმნს „Va pensiera, sullali dorate“ – „გაფრინდი, ტკბილო ოცნებავ“, მალე მთელი იტალია ლილინებდა...

ისრაელთა მეფე დავითი ქნარით



მოსმენა: ჯ. ვერდი. გუნდი ოპერიდან „ნაბუქოს“ – „Va pensiera, sullali dorate“

იმსჯელეთ მუსიკის ხასიათზე. რა გამომსახველი ხერხებით არის მიღწეული ხალხის გამირული ბუნება და თავისუფლებისაკენ სწრაფვა?

ბავშვები პასუხობენ კითხვებს:

1. გუნდის რა სახეობაა (ქალთა, მამკაცთა, ბავშვთა ან შერეული)?
2. რამდენხმიანია გუნდი (უნისონი, ორ- ან სამხმიანი)?
3. რომელი დინამიკური ნიუანსებით ხდება მელოდიის განვითარება (პიანო, ფორტე და სხვ.)?

ებრაელთა ცნობილი საკრავია **შოფარა** – ცხვრის რქა, რომელსაც, გადმოცემის თანახმად, სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა, მას მონინააღმდეგის ციხის კედლების დანგრევა შეეძლო.



ებრაელთა „აღთქმული ქვეყნისთვის“ ბრძოლის დროს, ბიბლიური გადმოცემით, შოფარების მძლავრი ხმებისგან დაინგრა ქალაქ იერიქონის კედლები. აქედანაა გამოთქმა – „ღრიალებს, როგორც იერიქონის საყვირიო“.



ნაომი შემერი



უყურე ვიდეოს:

ებრაული საკრავი „შოფარა“. რომელი თანამედროვე საკრავის ხმოვანებას მოგაგონებს შოფარა?



ათსიმიანი არფა ძვ.წ. VI ს.




მოსმენა:

1. ნაომი შემერი. ებრაული სიმღერა „ოქროს იერუსალიმი“.
2. ებრაული საგალობელი, აჟღერებული მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამით

ნაბუქო

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: ბავშვებიტაპით და კაკუნით შეასრულე რიტმული სურათი მარცვლების დასახელებით.



3. სიმღერის შესწავლა: ჯ. ვერდი. გუნდი ოპერიდან „ნაბუქო“.



ჯუზეპე ვერდის ერთ-ერთ ადრეულ ოპერა „ნაბუქოს“ საფუძვლად ბიბლიური ამბავი უდევს. იგი ეძღვნება ბაბილონელთა ტყვეობაში მყოფ ებრაელ ხალხს, რომელიც თავისუფლებაზე ოცნებობდა და ტყვეობიდან თავის დახსნას ცდილობდა. ბაბილონის მეფე, ამ დროს, ნაბუქოდონოსორი იყო. ვერდი დაინტერესდა სიუჟეტით, რადგან XIX საუკუნეში იტალიელებიც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისთვის იბრძოდნენ ავსტრიის იმპერიის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, 1842 წლის 9 მარტს გამართული ოპერა „ნაბუქოს“ პრემიერა იტალიელთა ეროვნულ დღესასწაულად იქცა. იტალიელებმა ებრაელ ტყვეებში საკუთარი ტკივილი დაინახეს, ხოლო ზაქარიას წინასწარმეტყველება ბაბილონის დაცემის შესახებ, ქვეყნის მომავალი გათავისუფლების სიმბოლოდ აღიქვეს. „ნაბუქომ“ ჯუზეპე ვერდი იტალიელთა საყვარელ კომპოზიტორად აქცია.

გუნდის მიერ უნისონში ნამღერ გულშიჩამწვდომ, თავისუფლებისადმი მიძღვნილ ჰიმნს „Va, pensiero, sull'ali dorate“ „გაფრინდი, ტკბილო ოცნებავ“, მალე მთელი იტალია მღეროდა.



სცენები სპექტაკლიდან

მოსმენა: ჯ. ვერდი. გუნდი ოპერიდან „ნაბუქო“ – „Va, pensiero, sull'ali dorate“

გუნდში ისმის ტყვეობაში მყოფი ებრაელი ხალხის განცდა, ჩანს მათი მტკიცე, გმირული ხასიათი და თავისუფლებისკენ სწრაფვა. გუნდი უღერს უნისონში ისევე, როგორც ოდესღაც, ძველ დროში მღეროდნენ ებრაელები. გუნდი იწყება ძალიან ჩუმად და *pp*-დან თანდათან *ff*-მდე ძლიერდება.

Va, pensiero

გაიმღერე და შეიყვარე ოპერა

სიმღერის შესწავლა: ვ. ვერდი ოპერა „ნაბუქო“. გუნდი Va, pensiero.

ბავშვები უყურებენ ვიდეოფრაგმენტს ოპერიდან „ნაბუქო“, გუნდს Va, pensiero. შემდეგ, ბავშვები უსმენენ გუნდის მინუს ფონოგრამას და მღერიან.

Va, pensiero, sull'ali dorate;
va, ti posa sui clivi, sui colli
ove olezzano tepide e molli
l'aure dolci del suolo natal!
Del Giordano le rive saluta,
di Sionne le torri atterrate.
Oh, mia patria sì bella e perduta!
Oh, membranza sì cara e fatal!

Arpa d'or dei fatidici vati,
perché muta dal salice pendi?
Le memorie nel petto raccendi,
ci favella del tempo che fu!
O simile di Solima ai fati
traggi un suono di crudo lamento,
o t'ispiri il Signore un concerto
che ne infonda al patire virtù!

Largo

pp

VA, PENSIERO

G. Verdi

Va pen - sie - ro sul - l'a - li - do -

ra - te, va ti po - sa sui cli - vi sui

col - li, o - ve o - lez - za - no - te - pi - de -

mol - li l'au - re dol - ci - del suo - lo na -

tal. *mf* Del Gio - da - no le ri - ve sa -

lu - ta, di Si - on - ne le tor - ri at - ter -

ra - te. Oh mia pa - tria si bel la e per -

du - ta, Oh mem bran - za si ca - ra e fa -

tal! Ar - pa d'or dei fa - ti - di - ci

va - ti, per - che mu - ta dal sa - li - ce

pen - di? Le me - mo - rie nel pet - to rac -

p

cen di, ci fa - vel - la del tem - po che

pp

ful O si - mi - le di So - li - ma ai

fa - - - ti, trag - gi un suo - no di cru - do la -

men to o t'i -

spi - ri il Si-gno - re un cen - to che ne in-

poco a poco rit.

fon - da al pa - ti re vir - tu.

აქტივობა: მოუსმინე და ისაუბრე მუსიკაზე.

1. მოუსმინე მუსიკას და იმსჯელე მელოდიაზე, რიტმსა და ჰარმონიაზე.
2. არის თუ არა მუსიკაში დისონირებული ჟღერადობები.
3. ვინ ასრულებს მუსიკალურ ფრაგმენტს: ორკესტრი, გუნდი, სოლისტი-მომღერლები თუ სიმებიანი კვარტეტი?
4. როგორია მელოდიური ხაზი: გაბმული თუ ნყვეტილი, ნახტომისებური თუ მონოტონური?
5. რას გამოხატავს ნაწარმოები?
6. რამდენხმიანია ნაწარმოები: ერთხმიანი თუ მრავალხმიანი?
7. მუსიკა გამოხატავს:
 - ა. სიმშვიდეს, სიკეთეს, ამაღლებულ განწყობას, ბუნების გამოღვიძებას, თავისუფლები-საკენ სწრაფვას;
 - ბ. სულიერ შფოთვის, განგაშს, შიშსა და მრისხანებას;
 - გ. ბუნების ხმებს, სიღიადეს და მის ღვთაებრიობას;
 - დ. თანამედროვე ქალაქის კონტრასტულ მრავალფეროვან იერს;
 - ე. თავდადებას, თავგანწირვას, სამშობლოს სიყვარულს.



საგუნდო სცენა სპექტაკლიდან „ნაბუქო“. **Va, pensiero.**

2. თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

თემა: ძველი და ახალი მუსიკაში

ქვეთემა: ინტონაციური ფორმულები. მიგრირებადი ინტონაციები

მიზანი: ძველი და ახალი (ბაროკოსა და რომანტიზმის) ეპოქის ნიმუშების განსხვავება ინტონაციური ფორმულებით, სხვადასხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან ინტონაციების გამლერება, რიტმული სურათის ტაშით გამოხატვა, კომპოზიტორთა ფოტოების, მათი ცხოვრების წლების დახმარებით, ძველი და ახალი მუსიკის განსხვავება. Dies Irae-ს, „ვალტორნების ოქროს სვლის“, B.A.C.H.-ინტონაციური ფორმულის ამოცნობა სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორთა ნაწარმოებებში, კინომუსიკაში და მათი დახასიათება. ხორუმის რიტმო-ინტონაციის ამოცნობა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებში.

მისალწვეი შედეგები: მუს.საბ.1.2..მუს.საბ.4.5.

გაკვეთილი 41-42


ძველი და ახალი მუსიკის ინტონაციები - 1

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. **რიტმული მოთელვა:** გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. **რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო:** ბავშვები ტაშითა და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.




აქტივობა: მოცემულია ინტონაციური ფრაგმენტები სამი კომპოზიტორის ნაწარმოებებიდან და მათი სიტყვიერი აღწერა. ბავშვები აკვირდებიან სანოტო ჩანაწერებს, სიტყვიერ აღწერებს და მიუსადაგებენ ერთმანეთს. დავალების შესრულების შემდეგ, შეძლებისდაგვარად, ტაშით გამოხატავენ თითოეული ფრაგმენტის რიტმულ სურათს და გაიმლერებენ.

1. ფ. შოპენი. პრელუდია №7 A-dur;
2. ი.ს. ბახი. „მუსიკალური მიძღვნა“, ფუგის თემა;
3. ა. ვივალდი. სავიოლინო კონცერტი „ზაფხული“ – „შტორმი“ (ციკლიდან „ნელინადის დრონი“).

1. მელიოდა აგებულია დიდი გრძლიობის ნოტებით, შეიცავს დაღმავალ ქრომატიულ სვლას;
2. მუსიკალური ფრაგმენტი აგებულია ოსტინატოზე;
3. მელიოდაში არის ნახტომები დიდ ინტერვალებზე.

ა.

ფ. შოპენი. პრელუდია №7 A-Dur



ბ.

ა. ვივალდი. „ზაფხული“. „შტორმი“



გ.

ი.ს. ბახი. „მუსიკალური მიძღვნა“



მოსმენა: 1. ფ. შოპენი. პრელუდია №7 A-dur ; 2. ი.ს. ბახი . „მუსიკალური მიძღვნა“, ფუგის თემა; 3. ა. ვივალდი. სავიოლინო კონცერტი „ზაფხული“. „შტორმი“.

ამის შემდეგ, ბავშვები უსმენენ მოცემული სანოტო მაგალითების აუდიოვერსიების უფრო დიდ ფრაგმენტებს. წარმოდგენილია კომპოზიტორთა ფოტოები მათი ცხოვრების წლებისა და საუკუნეების აღნიშვნით.

ბავშვები უსმენენ მუსიკას იგივე თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაცაა წარმოდგენილი მათი ავტორების ფოტოები; აკვირდებიან თარიღებს და დაადგენენ, მოსმენილი ნაწარმოებიდან, რომელია უფრო ძველი და რომელი – შედარებით ახალი მუსიკა.


მოცემულ სქემაში, ბავშვები აღწერენ ამ ეპოქების ან საუკუნეებისთვის დამახასიათებელ მუსიკალურ ინტონაციებს; სიტყვიერად გადმოსცემენ თავიანთ განწყობასა და შთაბეჭდილებებს.



ა. ვივალდი
1678-1741



ი.ს. ბახი
1685-1750



ფ. შოპენი
1810-1849

ბავშვები პასუხობენ კითხვებს.

მოცემული მუსიკალური ნაწარმოებებიდან, რომელი კომპოზიტორის მუსიკას ახასიათებს:

1. განმეორებადი ბგერები – ოსტინატო;
2. ქრომატიული სვლა დაღმავალი მიმართულებით;
3. ნახტომები დიდ ინტერვალებზე.

გადახატეთ ცხრილი და შეავსეთ:

XVIII საუკუნის I ნახ. მუსიკისათვის დამახასიათებელი ინტონაციები	
XIX საუკუნის მუსიკისათვის დამახასიათებელი ინტონაციები	



აქტივობა – ქრომატიზმი. გაიხსენე და გაიმეორე.

და b ალტერაციის ნიშნებია. ალტერაცია ლათინურად შეცვლას ნიშნავს. დიეზი 1/2 ტონით ამაღლებს ბგერას, ბემოლი 1/2 ტონით ადაბლებს.

აამაღლე დო 1/2 ტონით



დაადაბლე რე 1/2 ტონით



ასე შეგვიძლია ავამაღლოთ გამის ყველა ნოტი აღმავალი მიმართულებით. ასეთ გამას მუსიკაში **ქრომატული გამა** ეწოდება. ქრომატიზმი – chroma – ბერძნული სიტყვაა და „ფერს“ ნიშნავს, ხოლო მუსიკაში – ბგერის 1/2 ტონით ამაღლებას და დადაბლებას. ძველი ბერძნები გამის 7 ბგერას ცისარტყელას შვიდ ფერს ადარებდნენ, ხოლო გამის დამატებით, ქრომატულ ბგერებს – ძირითადი ფერების გარდამავალ ფერებად აღიქვამდნენ.

დაუკარით და გაიმღერეთ ქრომატული გამა აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით.



გაიმღერეთ და დაადგინეთ ტონალობა. გაიხსენეთ, რა არის სეკვენცია და გამოყავით სეკვენციის რგოლები

1

2

3

გაიხსენეთ და გაიმღერეთ დო მაჟორი. მოცემული სავარჯიშოები დაასრულეთ ამ ტონალობაში.



LMMS: მოუსმინეთ ლ. მოცარტის „იუმორესკას“, თვალი მიადევნეთ სანოტო ჩანანერს, აღნიშნეთ სეკვენციის რგოლები და აარჩიეთ ერთ-ერთი. ეს რგოლი **LMMS**-ში გადააქციეთ სემპლებად. მოცემულია ოთხ-ტაქტიანი ფრაგმენტი დაშლილი სახით: მელოდია და თანხლება ცალ-ცალკე. ააწყვეთ დაშლილი რგოლები.



ლეოპოლდ მოცარტი
ვ.ა. მოცარტის მამა

იუმორესკა

ლეოპოლდ მოცარტი

p

f

მუსიკალური ლექსიკონი:

სეკვენცია — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „მიმდევრობას“, მუსიკაში კი – მელოდიის მცირე მონაკვეთის, მოტივის გამეორებას გამის სხვადასხვა საფეხურიდან აღმავალი ან დაღმავალი მიმართულებით. მოტივის, რომელიც მეორდება – სეკვენციის რგოლს უწოდებენ.

ძველი და ახალი ინტონაციები - 2

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

სანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: იხ. სოლფეჯიოს გაკვეთილი – ქრომატიზმი.

აქტივობა: მიუსადაგე სანოტო ჩანაწერი წინადადებებს


მოცემულია სამი მუსიკალური ფრაგმენტი:

1. უ.ფ. რამო. საკლავესინო პიესა „ეგვიპტელი“;
2. ი.ს. ბახი. საორგანო ტოკატა და ფუგა d-moll, ფუგა;
3. ფ. მენდელსონი. სავიოლინო კონცერტი, პირველი ნაწილი.

მოცემულია ინტონაციური ფრაგმენტების სანოტო ჩანაწერები სხვადასხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან. ბავშვები აკვირდებიან სანოტო ჩანაწერებს და მიუსადაგებენ შესაბამის სიტყვიერ აღწერებს:


1. ფართე, გაშლილ მელოდიაში მოცემულია ნახტომები დიდ ინტერვალებზე (მაგ. სექსტებზე), აღმავალი მიმართულებით;
2. მცირე გრძლიობებზე აგებულ მელოდიას ალამაზებს მელიზმები – ფორმლაგები;
3. მელოდია აგებულია მეთექვსმეტელებით და თითო ბგერის გამოტოვებით ერთი და იგივე ნოტი მეორდება ზედა ხმაში.

ი.ს. ბახი. ფუგა





ფ. მენდელსონი. სავიოლინო კონცერტი

Allegro



უ.ფ. რამო. „ეგვიპტელი“





ი.ს. ბახი
1685-1750



ჟ.ფ. რამო
1683-1764



ფ. მენდელსონი
1809-1847

ამის შემდეგ, ბავშვები უსმენენ მოცემული სანოტო მაგალითების აუდიოვერსიების უფრო დიდ ფრაგმენტებს, რომლებიც გაჟღერდება იგივე თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც არის მოცემული კომპოზიტორთა ფოტოები მათი ცხოვრების წლების მითითებით. ბავშვები აკვირდებიან თარიღებს და დაადგენენ, რომელია უფრო ძველი და რომელი შედარებით ახალი მუსიკა. ბავშვები მსჯელობენ ამ საუკუნეების მუსიკისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებებზე: ბაროკოს სტილისთვის (ბახი, რამო, ვივალდი) დამახასიათებელია ქრომატული დაღმავალი სვლები, ოსტინატური სვლები და მდიდარი მელიზმატიკა, ხოლო რომანტიზმისთვის (მენდელსონი, შოპენი, შუბერტი) – მღერადი ხასიათის მელიოდიკა, მოძრაობა დიდ ნახტომებზე აღმავალი მიმართულებით.

მოსწავლის წიგნში მოცემული სქემები ბავშვებმა უნდა გადაიტანონ სამუშაო რვეულებში და შეავსონ. იხ. გვ. 134, 138.

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

მოცემული მუსიკალური ნაწარმოებების მაგალითზე, რომელი საუკუნის მუსიკისთვის არის დამახასიათებელი:

1. მღერადი ხასიათის მელიოდია დიდ ნახტომებზე აღმავალი მიმართულებით;
2. ქრომატული სვლა დაღმავალი მიმართულებით;
3. მდიდარი მელიზმატიკა.

დააკვირდით სანოტო ჩანაწერებს:

1. ამოიცანი ინტერვალები;
2. ამოიცანი სამხმოვანება.



- მოსმენა: 1. ი.ს. ბახი. საორგანო ტოკატა და ფუგა რე-მინორი. ფუგის თემა;
2. ჟ.ფ. რამო. საკლავესინო პიესა „ეგვიპტელი“;
3. ფ. მენდელსონი. სავიოლინო კონცერტის პირველი ნაწილი.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: იხ. გვ. 220 რიტმული სურათი დანართში.

აქტივობა: ბავშვები ისმენენ 3 აუდიოჩანაწერს და ამოიცნობენ წინა გაკვეთილზე მოსმენილ მსგავს ინტონაციურ სვლებს, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქის კომპოზიტორთა მუსიკისათვის არის დამახასიათებელი. ამის მიხედვით, დაადგენენ, რომელია უფრო ძველი და რომელი – შედარებით ახალი მუსიკა. კომპოზიტორის ფოტოებს, ამ ნიშნების მიხედვით, მიუწერენ საუკუნეებს. შემდეგ, იმსჯელებენ არჩევანზე.

1. ფ. შუბერტი. სიმფონია №8 „დაუმთავრებელი“. I ნაწ;
2. ა. დვორჟაკი. სიმფონია №9 „ახალი სამყაროდან“. II ნაწ;
3. ა. კორელი. სავიოლინო კონცერტი. La Follia.



ფ. შუბერტი



ა. დვორჟაკი



ა. კორელი

XVII საუკუნის მუსიკისთვის დამახასიათებელი ინტონაციები	
XIX საუკუნის მუსიკისთვის დამახასიათებელი ინტონაციები	

მეთოდური მითითება: გაკვეთილების მიზანია, ბავშვებმა შეძლონ ერთმანეთისგან განარჩიონ სხვადასხვა ეპოქის, ანუ ძველი და ახალი მუსიკა. მათ ვთავაზობთ ბაროკოსა და რომანტიზმის ეპოქის ნიმუშებს. ბავშვებს არ ვესაუბრებით, არ ვასწავლით თავად მიმართულებებს, ანუ ბაროკოსა და რომანტიზმის ეპოქებს. ამ ეტაპზე, ძველსა და ახალს განვარჩევთ მხოლოდ საუკუნეთა კონტექსტში – მე-17-18 და მე-19 საუკუნეები, ინტონაციური ფორმულებით, რომლებიც ამ საუკუნეების მუსიკისთვის არის დამახასიათებელი. ამისათვის, მათ ვთავაზობთ პატარა მუსიკალურ ფრაგმენტებს სხვადასხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან. თავდაპირველად, ბავშვები სანოტო მაგალითებს უსადაგებენ მათ სიტყვიერ აღწერებს. შემდეგ, ინტონაციებს, შეძლებისდაგვარად, გაიმღერებენ და მათ რიტმულ სურათს ტაშით გამოხატავენ. შემდეგ, ბავშვები

ისმენენ ამ მუსიკალურ ნაწარმოებებს. მუსიკალური ფრაგმენტები წარმოდგენილია იმ მიმდევრობით, რა მიმდევრობითაცაა ჩამოთვლილი კომპოზიტორთა გვარები მათი ცხოვრების წლებისა და საუკუნეების აღნიშვნით. ამის მიხედვით ამოიცნობენ, რომელია ძველი და რომელი - შედარებით ახალი მუსიკა.

შედეგად, ბავშვებს გამოაქვთ დასკვნა და შეავსებენ მოცემულ ცხრილს: ამ ნაწარმოებების მაგალითზე რომელ საუკუნეს როგორი მუსიკალური ინტონაცია ახასიათებს.

გადავდივართ მესამე ეტაპზე. ბავშვები ისმენენ ახალ მუსიკალურ ფრაგმენტებს და თავად ამოიცნობენ ამ საუკუნეებისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ ფორმულებს. კომპოზიტორთა ფოტოებს მიუწერენ საუკუნეებს.

გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი ასმენინებს **თ. ალბინონი - რ. ჯაზოტოს „ალბინონის ადაჯიოს“** (“Albinoni’s Adagio”) და სთხოვს ბავშვებს, გამოთქვან აზრი, რომელ საუკუნეს შეიძლება მიესადაგებოდეს ნაწარმოები.



მოსმენა: „ალბინონის ადაჯიო“ (Albinoni’s Adagio) – საორკესტრო ვარიანტი.

ალბინონი ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორია. პიესა სიმებიანებისა და ორგანისთვის დღემდე ცნობილი იყო, როგორც **„ალბინონის ადაჯიო“**, მაგრამ მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ნაწარმოები XX საუკუნის 40-იან წლებში დაწერა იტალიელმა მუსიკისმცოდნემ რემო ჯაზოტომ (1910-1998).



თ. ალბინონი

რ. ჯაზოტო



ლარა ფაბიანი



უყურე ვიდეოს: „ალბინონის ადაჯიო“ (Albinoni’s Adagio) – ვოკალური ვარიანტი.

ასრულებს ლარა ფაბიანი.



ა. დვორჟაკი
1841-1904

ინფორმაციისათვის: ა. დვორჟაკი XIX საუკუნის ჩეხი კომპოზიტორი, პედაგოგი და დირიჟორია. იგი მრავალმხრივი მუსიკალური ნიჭით გამოირჩეოდა, უკრავდა ვიოლინოზე, ალტზე, ფორტეპიანოსა და ორგანზე. მაგრამ მისთვის მთავარი საკომპოზიტორო მოღვაწეობა იყო. შექმნილი აქვს ორატორიები, კანტატები, 10 ოპერა, 9 სიმფონია.

წლების მანძილზე, დვორჟაკი პრატის, შემდეგ კი ნიუ-ორკის კონსერვატორიის რექტორი იყო; როგორც დირიჟორი, გასტროლებს მართავდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

დვორჟაკი ჩეხური კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ჩეხური სიმფონიის შემქმნელია. მისი მუსიკა გამოირჩევა ღრმა პატრიოტიზმით, მასში ასახულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები, ბუნებისა და ხალხური ყოფის სურათები. დვორჟაკის შემოქმედების საფუძველი სლავური სასიმღერო და საცეკვაო ფოლკლორია.

მისი საუკეთესო ნაწარმოებებია: სიმფონია №9 „ახალი სამყაროდან“, რომელსაც ზოგჯერ „ამერიკულ სიმფონიასაც“ უწოდებენ, კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორკესტრისთვის, „სლავური ცეკვები“.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: იხ. გვ. 220 დანართში.

შუა საუკუნეების ევროპულ მუსიკაში ფართოდ იყო გავრცელებული საეკლესიო მუსიკის ერთ-ერთი სტილი გრიგორისეული ქორალი, რომელიც დაკავშირებულია რომის პაპის გრიგორი I-ის სახელთან. სტილი საფუძვლად დაედო შემდგომში ევროპულ მუსიკას. გრიგორისეული ქორალები ერთხმანია. მას ლათინურ ენაზე მამაკაცების ან ბიჭუნათა გუნდი უნისონში ასრულებს. გრიგორისეული ქორალები სხვადასხვა შინაარსისაა. მათი ტექსტი ლოცვებზეა დაფუძნებული. მაგალითად, „Ave Maria“ – ღვთისმშობლის საგალობელია, „Dies irae“ – „განკითხვის დღე“, რომელიც პირქუში, მრისხანე, შიშისმომგვრელი, ზოგჯერ სამგლოვიარო ხასიათისაა. Dies irae-ს ინტონაცია საუკუნეთა მანძილზე და დღესაც, ძალზედ აქტუალური და პოპულარულია. მან ისე დაიმკვიდრა ადგილი სხვადასხვა კომპოზიტორის შემოქმედებაში, რომ „ინტონაციური ფორმულა“ შეგვიძლია ვუწოდოთ. ის, თითქოს, „მოგზაურობს“ სხვადასხვა ეპოქაში; ხან სრულიად უცვლელი, ხანაც ვარირებული სახით განსაკუთრებულ ელფერსა და შინაარსს ანიჭებს ნაწარმოებებს. მუსიკის მკვლევარები ასეთ ინტონაციურ ფორმულას „მიგრირებად“ ინტონაციებს უწოდებენ.




Di - es i - rae, di - es il - la, Sol - vet saec - lum



in fa - vil - la, Tes - te Da - vid cum Si - bil - la.

ნაარსისაა. მათი ტექსტი ლოცვებზეა დაფუძნებული. მაგალითად, „Ave Maria“ – ღვთისმშობლის საგალობელია, „Dies irae“ – „განკითხვის დღე“, რომელიც პირქუში, მრისხანე, შიშისმომგვრელი, ზოგჯერ სამგლოვიარო ხასიათისაა. Dies irae-ს ინტონაცია საუკუნეთა მანძილზე და დღესაც, ძალზედ აქტუალური და პოპულარულია. მან ისე დაიმკვიდრა ადგილი სხვადასხვა კომპოზიტორის შემოქმედებაში, რომ „ინტონაციური ფორმულა“ შეგვიძლია ვუწოდოთ. ის, თითქოს, „მოგზაურობს“ სხვადასხვა ეპოქაში; ხან სრულიად უცვლელი, ხანაც ვარირებული სახით განსაკუთრებულ ელფერსა და შინაარსს ანიჭებს ნაწარმოებებს. მუსიკის მკვლევარები ასეთ ინტონაციურ ფორმულას „მიგრირებად“ ინტონაციებს უწოდებენ.

ბავშვები გაიმღერებენ ამ ინტონაციას და გაითავისებენ.



მოსმენა: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს შემდეგ ნაწარმოებებს:

1. ჰ. ბერლიოზი. „ფანტასტიკური სიმფონია“, V ნაწილი;
2. ს. რახმანინოვი. „რაფსოდია პაგანინის თემაზე“;
3. სტინგი. Dies irae;
4. ფ. ლისტის – Totentanz S. 126. „სიკვდილის ცეკვა“;
5. ო. თაქთაქიშვილი. ოპერა „მინდია“. ფრაგმენტი II მოქმედების ფინალიდან.

მუსიკალური ლექსიკონი:

დიაპაზონი (ბერძ. *dia pason chordon* „ყველა სიმის გავლით“) – ადამიანის ხმის ან მუსიკალური საკრავის ბგერითი მოცულობა. სხვადასხვა სიმაღლის ბგერების ერთობლიობა, რომელიც მისაწვდომია ამა თუ იმ საკრავის ან ხმისათვის. დიაპაზონის აღსანიშნავად საკმარისია ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი ბგერების დასახელება, რომლებიც მოცემულ საკრავს ან ადამიანის ხმას აქვს.

ბავშვები ამოიცნობენ გრიგორისეური ქორალის **Dies irae**-ს ინტონაციურ ფორმულას სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებებში. მსჯელობენ ამ ინტონაციის მნიშვნელობაზე ნაწარმოებებში. პასუხობენ კითხვებს:

დაახასიათე **Dies irae**-ს ინტონაცია:

1. როგორი სვლეტია დამახასიათებელი მელოდიაში: აღმავალი თუ დაღმავალი; აღნიშნე რა ინტერვალზეა სვლა და რომელი ინტერვალის განსაზღვრავს მის ხასიათს?
2. როგორია მისი რიტმი?
3. რომელ ნაწარმოებშია გამოყენებული ეს ინტონაცია უცვლელად და რომელში – სახემეცვლილად?


დააკვირდი, სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორებთან **Dies irae**-ს თემა ქმნის ერთი და იგივე, თუ განსხვავებულ მხატვრულ სახეებს.

დამატებითი აქტივობა: ბავშვები უსმენენ მუსიკას, მუსიკის ხასიათისა და განწყობის მიხედვით ამოიცნობენ, რომელია ძველი და ახალი მუსიკა. აგრეთვე, ამოიცნობენ მათ ავტორებს.

(ასოციაციური კავშირები)



ო. თაქთაქიშვილი



ფ. ლისტ



სტინგი



ს. რახმანინოვი



ფ. ბერლიოზი

ინფორმაციისათვის: ინტონაციური ფორმულა Dies Irae-სთვის დამახასიათებელია დაღმავალი სვლა პატარა სეკუნდით; პირქუში, მრისხანე, საშიში, ტრაგიკული, სევდიანი ხასიათი; ზომიერი ტემპი, თუმცა სხვადასხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებში ტემპი სხვადასხვაა. ამ ინტონაციის დრამატულ ხასიათს სწორედ დაღმავალი სეკუნდური მოძრაობა ქმნის.

 ბავშვები უყურებენ ვიდეოფრაგმენტს ფილმიდან „ნათება“. ამოიცნობენ **Dies irae**-ს ინტონაციას და დაითვლიან, რამდენჯერ გაიჟღერა თემამ, რა რეგისტრებში და რა საკრავებით.

მუსიკალური ლექსიკონი:

ქორალი (Choral) – გერმანულად, ერთი ან მრავალხმიანი საეკლესიო საგალობელია.

რესურსი: მოსწავლის ნიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ტაშითა და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



აქტივობა: „ინტონაციური ფორმულა **Dies irae** ხშირად გამოიყენება კინომუსიკაში. მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს რამდენიმე ვიდეოფრაგმენტს მათთვის ნაცნობი კინოფილმებიდან.

 ბავშვები უყურებენ ვიდეოებს სხვადასხვა კინოფილმებიდან:

1. „ვარსკვლავური ომები“;
2. „ბეჭდების მბრძანებელი“;
3. კინოფილმების კოლაჟი, რომელთა მუსიკალურ გაფორმებაში გამოყენებულია **Dies irae**-ს თემა.

ბავშვები ამოიცნობენ, რომელ ფრაგმენტშია გამოყენებული ინტონაცია და მსჯელობენ, რა მნიშვნელობა და ფუნქცია ენიჭება მოტივს თითოეულ ფრაგმენტში, რა ხასიათს ანიჭებს თემა ამ კადრებს. მიუსადაგებენ შემდეგ სიტყვებს:

1. პირქუში 2. დამცინავი 3. ხალისიანი 4. საშიში 5. მრისხანე 6. დიდებული



„ვარსკვლავური ომები“



„ბეჭდების მბრძანებელი“



„ადამიანი-ობობა“


„ვალტორნების ოქროს სვლა“

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა


ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშითა და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



„ვალტორნების ოქროს სვლა“: **Dies irae**-ს მსგავსად, მიეკუთვნება იმ პოპულარულ ინტონაციითა რიცხვს, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა კომპოზიტორის შემოქმედებაში „მოგზაურობენ“. ამიტომ, მასაც „ინტონაციურ ფორმულას“ ვუწოდებთ.



„ვალტორნების ოქროს სვლა“ აგებულია შემდეგ ჰარმონიულ ინტერვალებზე: პატარა სექსტა, წმინდა კვინტა და დიდი ტერცია.

როგორც ვიცით, ინტერვალები შეიძლება ჟღერდეს ორგვარად: 1. ინტერვალში შემავალი ბგერები ერთდროულად ჟღერს (სანოტო სისტემაზე ვერტიკალურად არის ჩანერილი). მას **ჰარმონიული** ინტერვალი ეწოდება 2. ინტერვალში შემავალი ბგერები ჟღერს ერთმანეთის მიყოლებით (სანოტო სისტემაზე ჰორიზონტალურად არის ჩანერილი). ასეთ ინტერვალს **მელოდიური** ეწოდება.

ვალტორნა, ოდითგანვე, ნადირობის დროს, აგრეთვე სამეფო და დიდებულთა კარზე საზეიმო განწყობის შესაქმნელად გამოიყენებოდა. ვალტორნის წინაპარია ტყის ბუკი. აღნიშნულ ინტონაციას უწოდებენ „ვალტორნების სვლას“, რადგან ინტერვალების სვლა ემთხვევა ვალტორნის ბგერათა რიგის ბუნებრივ წყობას. წმინდა კვინტას ხშირად „ვალტორნის კვინტას“ უწოდებენ. „ვალტორნების ოქროს სვლა“ გვხვდება როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი მიმართულებით, თუმცა მის სადღესასწაულო, დიდებულ ხასიათს სწორედ აღმავალი სვლა განაპირობებს.



მოსმენა: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ინტონაციის აუდიოჩანაწერს, შემდეგ კი სთავაზობს სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ რომელ ფრაგმენტებშია ეს სვლა და რომელში – არა.

1. ი. ჰაიდნი. სიმფონია N103, IV ნაწილის დასაწყისი;
2. ჯ. ვერდი. მარში ოპერიდან „აიდა“;
3. ა. დვორჟაკი. სიმფონია N9 „ახალი სამყაროდან“. შესავალი;
4. გ. ჰენდელი. მუსიკა „სამეფო ფეიერვერკისთვის“. I ნაწილი.

მასწავლებელს შეუძლია სხვა ნაწარმოებების შეთავაზებაც სხვადასხვა გაკვეთილებზე. ბავშვები ამოიცნობენ „ვალტორნების ოქროს სვლას“. იხ. გვ. 144.



ვალტორნა

ბავშვები პასუხობენ კითხვებს:

1. რომელ ფრაგმენტშია გამოყენებული „ვალტორნების ოქროს სვლა“?
2. რომელი ფრაგმენტი ასახავს ტყის ბუნების სურათს და რომელი ქმნის დღესასწაულის ამაღლებულ განწყობას?
3. მუსიკის ხასიათის მიხედვით, რომელია უფრო ძველი და რომელი – შედარებით ახალი ეპოქის მუსიკა?


დამატებითი აქტივობა: ბავშვები უსმენენ მუსიკას, მუსიკის ხასიათისა და განწყობის მიხედვით ამოიცნობენ, რომელია ძველი და ახალი მუსიკა. აგრეთვე, ამოიცნობენ მათ ავტორებს. (ასოციაციური კავშირები)




ა. დვორჟაკი



ი. შაიდნი



კ. ფოცხვერაშვილი



ფ. ვერდი



გ.ფ. ჰენდელი



კ. ვებერი

დამატებითი მუსიკალური მასალა მასწავლებლებისთვის:


1. ლ.ვან ბეთჰოვენი. სიმფონია N5 II და IV ნაწილები;
2. ლ.ვან ბეთჰოვენი. სონატა N26. დასაწყისი (დაღმავალი სვლა);
3. ლ.ვან ბეთჰოვენი. უვერტიურა „ეგმონტი“ (II-III ტაქტები);
4. ფ. მენდელსონი. „უსიტყვო სიმღერები“ N3;
5. ნ. პაგანინი. „კაპრიზი“ N7 (III ტაქტში აღმავალი და დაღმავალი სვლები);
6. ი. შაიდნი. „კაიზერ კვარტეტი“. II ნაწილის დასაწყისი;
7. კ. ვებერი. ოპერა „თავისუფალი მსროლელი“. უვერტიურა;
8. კ. ვებერი. ოპერა „თავისუფალი მსროლელი“. მესამე მოქმედება. მონადირეთა გუნდი;
9. კ. ფოცხვერაშვილი. საქართველოს ჰიმნი (1918 წ.).

ინტონაციური ფორმულები კინომუსიკაში

რესურსი: მოსწავლის ნიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაპით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



აქტივობა: მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს რამდენიმე ვიდეოფრაგმენტს სხვადასხვა კინოფილმიდან და სთხოვს, ამოიცნონ მათთვის ნაცნობი „ინტონაციური ფორმულები“ – *Dies irae* და „ვალტორნების ოქროს სვლა“.

1. „მუსიკის ჰანგები“. შესავალი და ცეკვა ლენდლერი (კომპ. რიჩარდ როჯერსი);
2. „კლეოპატრა“. ტრიუმფალური სვლა რომში (კომპ. ალექს ნორსი);
3. „ემშაკის ადვოკატი“ (კომპ. ჯეიმს ნიუტონ ჰოვარდი);
4. „სამი კაკალი კონკიასათვის“ (კომპ. კარელ სვობოდა);
5. „ინდიანა ჯონსი“ (კომპ. ჯონ უილიამსი).



„კლეოპატრა“



„ემშაკის ადვოკატი“



„ინდიანა ჯონსი“



„სამი კაკალი კონკიასათვის“



„მუსიკის ჰანგები“

ბავშვები ამოიცნობენ ნაცნობ „ინტონაციურ ფორმულებს“ და მიუსადაგებენ შემდეგ წინადადებებს:

1. „ვალტორნების ოქროს სვლა“ გამოხატავს ბუნების სურათს;
2. მუსიკით გადმოცემულია დაძაბული, საშიში განწყობა;
3. მუსიკა გამოხატავს სადღესასწაულო, ტრიუმფალურ სვლას;
4. „ვალტორნების ოქროს სვლა“ გამოხატავს მეფურ სიდიადესა და ბრწყინვალეობას;
5. ლალი, მშვიდი, საცეკვაო განწყობაა.

დაადგინეთ, რომელ ფრაგმენტშია გამოყენებული უშუალოდ „ვალტორნების ოქროს სვლა“ და რომელში – არა.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 3/4.

Dies irae-სა და „ვალტორნების ოქროს სვლის“ გარდა, კომპოზიტორები სხვა ინტონაციურ ფორმულებსაც იყენებენ. ი.ს. ბახის გვარი ბევრი კომპოზიტორის შთაგონების წყარო გამხდარა. მისი გვარის ინიციალები **B.A.C.H.** - მუსიკალური ბგერებიც არის. ბავშვები დაუკრავენ და გაიმღერებენ, ანუ, გაშიფრავენ ბგერებს!

BACH



გაიმღერეთ და გაითავისეთ.

მასწავლებელი ბავშვებს ასვენებს მუსიკალური ბგერების ასოით აღნიშვნებს:

C - დო, D - რე, E - მი, F - ფა, G - სოლ, A - ლა, H - სი, B - სი ბემოლ.

B.A.C.H. – ეს ინტონაცია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივი – სიმბოლოა XIX-XX საუკუნეების მუსიკაში. ინტონაციური ფორმულა კი პირველად თავად ბახმა გამოიყენა ერთ-ერთ ფუგაში („ფუგის ხელოვნება“ – ფუგა N15-ის III თემა).


ბახის შემდგომ, ინტონაცია გამოიყენეს ბახის შვილმა იოჰან კრისტიანმა, კომპოზიტორებმა ი. კრებსმა, რ. შუმანმა, ფ. ლისტმა, ნ. რიმსკი-კორსაკოვმა, ფ. ბუზონიმ, მ. რეგერმა, ა. შონბერგმა, ა. ვებერნმა, რ. შჩედრინმა, ქ. პენდერეცკიმ, ა. შნიტკემ და სხვებმა.

ბავშვებმა, შეიძლება, კლასში იმსჯელონ იმის შესახებ, რატომ გამოიყენა ამდენმა კომპოზიტორმა ეს ინტონაცია. მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ფრაგმენტებს სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან და სთხოვს მათ, ამოიცნონ ინტონაციური ფორმულა **B.A.C.H.**



მოსმენა:

1. ი.ს. ბახი. „ფუგის ხელოვნება“, ფუგა N15;
2. რ. შუმანი. ფუგა ბახის თემაზე;
3. ფ. ლისტი. პრელუდია და ფუგა ბახის თემაზე;
4. ფ. ლისტი. ფანტაზია და ფუგა ბახის თემაზე;
5. ნ. რიმსკი-კორსაკოვი. ვალსი. 6 ვარიაცია ბახის თემაზე N1.




ფ. ლისტი
(1811-1886 წწ.)



ნ. რიმსკი-კორსაკოვი
(1844-1908 წწ.)



რ. შუმანი
(1810-1856 წწ.)



ი.ს. ბახი
(1685-1750 წწ.)

დამატებითი აქტივობა: ბავშვები უსმენენ მუსიკას, მუსიკის ხასიათისა და განწყობის მიხედვით ამოიცნობენ, რომელია ძველი და ახალი მუსიკა. აგრეთვე, ამოიცნობენ მათ ავტორებს. (ასოციაციური კავშირები).


რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4 ან 5/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.

„ხორუმი“ $\bar{5} \frac{4}{4} = \frac{3}{4} + \frac{2}{4}$ ან $\frac{2}{4} + \frac{3}{4}$



ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში მრავლადაა გამოყენებული ქართული ხალხური მუსიკის რიტმო-ინტონაციები. ზოგჯერ, კომპოზიტორები მათ უცვლელად, ციტატის სახით რთავენ ნაწარმოებებში, ზოგჯერ კი მათ არანაყოფიერებას ახდენენ ანუ გადაამუშავებენ. გამოიყენება სტილიზაციის ხერხიც, როცა კომპოზიტორები ბაძავენ ხალხურ ინტონაციებს. ამიტომაც, სხვადასხვა თაობის ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში ხშირად გამოყენებულ ინტონაციებს, რომლებიც „მოგზაურობენ“ ანუ „მიგრირებენ“, შეგვიძლია, ვუნოდოთ ინტონაციური ფორმულები.

ერთ-ერთი ასეთია ქართული ხალხური საბრძოლო ცეკვა „ხორუმის“ რიტმული ინტონაცია. მას ხშირად ვხვდებით ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებში. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე, მრავალი წლის წინ წერდა, რომ ქართველები ბრძოლას ცეკვითა და სიმღერით იწყებდნენ. შესაძლოა, სწორედ ხორუმი არის უძველეს ქართველ ტომთა ცეკვების შთამომავალი.

 მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ტაშით გამოხატონ ხორუმის რიტმული სურათი. ამის შემდეგ, ბავშვები უყურებენ სამ ვიდეოს:

1. ცეკვა „ხორუმი“ სუბიშვილების ანსამბლის შესრულებით;
2. „ხორუმი“ ცეკვა-სიმღერით ანჩისხატის გუნდის შესრულებით;
3. საფორტეპიანო პიესა „ხორუმი“ ნიკა რაჭველის შესრულებით.

ბავშვები ამოიცნობენ ფრაგმენტებში ხორუმის რიტმს და იმსჯელებენ სამი ვიდეოჩანაწერის მსგავსებასა და განსხვავებაზე.

პირველი ვიდეოს ყურებისას, შესაძლებელია, ბავშვები სიმღერით, ცეკვითა და ტაშით აჰყვნენ „ხორუმს“ (ხმით მიბაძონ დოლის ჟღერადობას).

შემდეგ, მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების აუდიოჩანაწერებს. ბავშვები ამოიცნობენ ხორუმის რიტმულ ინტონაციას, მსჯელობენ და საუბრობენ მუსიკის ხასიათზე.

მესამე ვიდეოს ყურებისას, დააკვირდებიან კადრებს ქართული კინოფილმებიდან, რომლებსაც ფონად გასდევს ხორუმის მუსიკა. აღნიშნავენ, როგორ შესაბამისობაშია მუსიკალური გაფორმება კინოკადრებთან.



სუბიშვილების ანსამბლი. ცეკვა „ხორუმი“



ნიკა რაჭველი



ანჩისხატის ტაძრის გუნდი



მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს და ამოიცანით ხორუმის რიტმული ინტონაცია:

1. ა. ბალანჩივაძის ხორუმი ბალეტიდან „მთების გული“;
2. ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო პიესა „ხორუმი“;
3. მ. დავითაშვილის საფორტეპიანო პიესა „ხორუმი“.

ბავშვები პასუხობენ კითხვებს:

1. რა ხასიათს ანიჭებს ხორუმის ინტონაცია ამ ნაწარმოებებს?
2. რომელი სიტყვები მიესადაგება თითოეულს?

გამოიყენეთ სიტყვები: მედიდური, საბრძოლო, ენერგიული, აქტიური, მშვიდი, სევდიანი, საცეკვაო, სასიმღერო, პირქუში.



ბავშვები უყურებენ ვიდეოს „ძველი ხორუმი“ ბიჭუნების შესრულებით.

გაიხსენე

ლექსიკონი:

სემპლი (sample - sempling) (ინგ.) – კომპიუტერულ პროგრამაში ბუნებრივი ხმის ციფრულ ხმოვან სიგნალად გადაყვანა, ანუ ციფრული ხმოვანი სიგნალი, ხმა.

კომპოზიცია (compositio) ლათინური სიტყვაა და ნაწარმოების „შედგენას“, „შეთხზვას“ ნიშნავს, მუსიკაში კი – მუსიკალური ნაწარმოების შექმნას.

კოლაჟი (collage) ფრანგული სიტყვაა და „შენებებას“ ნიშნავს. მუსიკალური კოლაჟი სხვადასხვა ხმების ან დამოუკიდებელი მოტივებისგან შედგენილი ახალი მუსიკალური კომპოზიციაა.

ტრეკი (track) ინგლისური სიტყვაა და „ნაკვალევს“, „ბილიკს“ ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას, ბილიკს. კომპიუტერულ პროგრამის ტრეკებზე განლაგებულია ადამიანის ან საკრავის ხმა.

„დედა ქართლისა“

სიმღერის შესწავლა: ეთერ ჭელიძის „დედა ქართლისა“.

მუსიკა ეთერ ჭელიძის
ტექსტი დოდო გვიშანიის

დავალ საყვარელ ქუჩებში და მიხარია,
წვიმას მძინარე თბილისი დაუნამია.
ეფინება ცაზე შუქი ცისფერი,
მომაცილებს მტკვარი ნაზი სიმღერით.

ჩემი ნაცნობი ქუჩები ისევ მელიან,
წვიმის წვეთები ღამეში ჩუმად მღერიან.
აქ არის ჩემი მთაწმინდა, აქა დგას დედა ქართლისა,
აქ ემღერება გულს.
ჩემი მიწა და მთა-ბარი, ჩემი სამშობლო აქ არის,
აქ ემღერება გულს.

ქუჩას ჩაყვები მეტეხთან მწვანე ჭადრებთან
და გორგასალი მალლიდან მომესალმება.
ფრთა გაშალე, ჩემო ტკბილო სიმღერავ,
სიყვარულით გული არ დაილღება.

ჩემი ნაცნობი ქუჩები ისევ მელიან,
წვიმის წვეთები ღამეში ჩუმად მღერიან.
აქ არის ჩემი მთაწმინდა, აქა დგას დედა ქართლისა,
აქ ემღერება გულს.
ჩემი მიწა და მთა-ბარი, ჩემი სამშობლო აქ არის,
აქ ემღერება გულს.



ეთერ ჭელიძე

ქართველი კომპოზიტორი ეთერ ჭელიძე არაერთი პოპულარული სიმღერის ავტორია. „ჭალარა თბილისო“, „მალლა, მალლა“, „მე მაინც მოვალ“, „მჯეროდა“, „ლურჯი აპრილი“, „მდინარე“ და სხვა. ამ სიმღერებს დღემდე სიყვარულით მღერიან სხვადასხვა თაობის შემსრულებლები. კომპოზიტორს თავადაც გამორჩეული ხმის ტემბრი ჰქონდა და საკუთარი სიმღერების შემსრულებელი იყო. იგი დუეტებს **ჰამლეტ გონაშვილთან** და **ირაკლი უჩანეიშვილთან** ერთად მღეროდა. შესანიშნავად ასრულებდა მის სიმღერებს ცნობილი „**ცისფერი ტრიო**“, განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმღერა „**ლურჯი აპრილი**“.

ეთერ ჭელიძის სიმღერა „**ჭალარა თბილისო**“, XX საუკუნეში თბილისზე შექმნილ საუკეთესო სიმღერათა შორის დასახელდა. თბილისზე შექმნილი სიმღერისთვის კომპოზიტორმა საფრანგეთში სამახსოვრო სიგელი და მედალი მიიღო. ე.ჭელიძის ნაწარმოებები გერმანიის ოქროს ფონდშიცაა შესული. ეთერ ჭელიძე საპატიო თბილისელი იყო, უმღეროდა თბილისს და მთელი მისი ცხოვრებაც ერთი ღამეში სიმღერა იყო.

"დედა ქართლისა"

მუსიკა ეთერ ჭელიძის
ტექსტი ლოდო გვიშანის

და - ვაღ საყ - ვა - რელ ქუ - ჩა - ზე და მი - ნა - რი - ა

3
წვი - მას მი - ნა - რე თბი ღი - სი და - უ - ნა - მი - ა ე - ფი - ნე - ბა ცა - ზე

6
შუ - ქი ცის - ფე - რი, მი - მა - ცი - ლებს მტკეპა - რი ნა - ზი სამ - დე - რით

9
ჩე - მი ნაც - ნო - ბი ქუ - ჩე - ბი ი - სეგ მე - ღი - ან

11
წვი - მის წვე - თე - ბი და - მე - ში ჩუ - მად მღე - რი - ან

13
აქ ა - რის ჩე - მი მთა - წმინ - და ა - ქა დგას დე - და ქარ - თლი - სა

15
აქ ემ - დე - რე ბა გუღს, ჩე - მი მი - წა და მთა - ბა - რი

17
ჩე - მი სამ - შობ - ლო აქ ა - რის აქ ემ - დე - რე - ბა გუღს.


რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4 ან 5/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ ხორუმის რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.

„ხორუმი“ $\frac{5}{4} = \frac{3}{4} + \frac{2}{4}$ ან $\frac{2}{4} + \frac{3}{4}$




ინტერვალები. „ინტონაციური ფორმულები“ აგებულია სხვადასხვა ინტერვალების სვლებზე. გავიხსენოთ, რა არის ინტერვალი. მუსიკაში მანძილს ორ ბგერას შორის ინტერვალი ეწოდება. გვაქვს რვა ძირითადი ინტერვალი. მათგან ზოგი დიდია, ზოგი პატარა და ზოგი კი წმინდა.

1. პრიმა 2. სეკუნდა 3. ტერცია 4. კვარტა 5. კვინტა 6. სექსტა 7. სეპტიმა 8. ოქტავა

გაიმღერე ინტერვალები




ინტერვალები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ტონებითა და ნახევარტონებით.



ამჯერად ვისაუბროთ ორ ინტერვალზე: პატარა სეკუნდასა და დიდ სეკუნდაზე.

სანოტო მაგალითი დ.2



1 ტონი


პ.2



1/2 ტონი


გაიმღერეთ და ამოიცანით, რომელ ინტერვალშია ყველაზე მცირე მანძილი ორ ბგერას შორის, ანუ დაასახელეთ, რომელია პატარა სეკუნდა და რომელი – დიდი.

ეს აქტივობა უფრო თვალსაჩინოდ განვიხილოთ LMMS-ს პროგრამის Piano Roll-ის გრაფაში. მოცემულია Piano Roll-ის ცარიელი გრაფა. ინტერვალების ასაყდრებლად შემოვიტანთ რომელიმე სემპლს და დასვამთ Piano Roll-ში ნოტა „ლა“-ზე. შეგვიძლია სემპლები მაუსით შევამოკლოთ ან გავწვლოთ.



Piano Roll-ის გრაფა

ბავშვები აკვირდებიან Piano Roll-ის გრაფას. ამოიცნობენ, რომელი ინტერვალებია აყდრებული LMMS-ს პროგრამაში: დაღმავალი თუ აღმავალი; გრძელი სემპლებია თუ მოკლე – განწელილი (გრაფის სემპლები – ლა-სოლ დიეზი, ლა-სი – პატარა და დიდი სეკუნდები).




Piano Roll-ის გრაფა

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4 ან 5/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ ხორუმის რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



მოსწავლის წიგნში მოცემულია სამი მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი და კომპიუტერული მუსიკალური პროგრამის ეკრანის ფოტო, სადაც ტრეკებზეა გამოსატული ნაწარმოებების მუსიკის „მოძრაობა“.

ბავშვები ამ ვიზუალს მიუსადაგებენ სანოტო ჩანაწერს, ანუ რომელი სანოტო ფრაგმენტი რომელ კომპიუტერულ ფოტოს შეესაბამება.

1. მოცემული მასალისა და კომპოზიტორთა ფოტოების მიხედვით ამოიცნობენ, თუ რომელი პერიოდის მუსიკაა წარმოდგენილი; ძველი, თუ შედარებით ახალი.
2. რომელ ფოტოზე არის მელოდიის ამოკითხვა უფრო ადვილი და რომელზე უფრო რთული?
3. რომელ მაგალითში აღმოაჩენთ კავშირს Dies irae-ს ინტონაციასთან და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ამის გასარკვევად (დალმავალი სვლა)?

სანოტო მაგალითები:

1. ა. ვივალდი. სავიოლინო კონცერტი „ზამთარი“;
2. ფ. შოპენი. „დიდი ბრწყინვალე ვალსი“;
3. ი. ბრამსი. „კაპრიჩიო“ op.76 N2, h moll.



მას შემდეგ, რაც ბავშვები დაუკავშირებენ ერთმანეთს ნაწარმოებების ნოტებსა და კომპიუტერულ ვიზუალს, შემდეგ მოისმენენ იგივე ფრაგმენტებს და პასუხობენ კითხვებს:

1. რამდენად დაგეხმარათ მოსმენა ვიზუალურ ფრაგმენტებსა და სანოტო ჩანაწერებს შორის საერთოს პოვნაში?
2. მუსიკის მოსმენით რა გაიგეთ ისეთი ახალი, რასაც ვერ გაიგებდით მხოლოდ ნოტების ნახვით? (ხასიათი, განწყობა, ტემპი).
3. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ნოტებზე დაკვირვებისა და მოსმენის შემდეგ?

მასწავლებელს შეუძლია, ბავშვებს შესთავაზოს სხვადასხვა ტიპის ტესტი, მათ შორის, რამდენიმე წინადადება, რომელსაც ბავშვები შეავსებენ.

მაგალითად, **სანოტო და ვიზუალურ ფოტოს შედარებისას ჩვენ ვაკვირდებით ...**

(მელოდიის მოძრაობას, მიმართულებას და სხვ.)



გაკვეთილის ბოლოს, ბავშვები უყურებენ ვიდეოს გ. ჰოლსტის საორკესტრო ნაწარმოებიდან „პლანეტები“ – „იუპიტერს“ და თვალს მიადევნებენ კომპიუტერულ მოძრავ ნახატს.

მოცემულია სამი მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი და კომპიუტერული მუსიკალური პროგრამის ეკრანის ფოტო, სადაც ტრეკებზეა გამოხატული ამ ნაწარმოებების მუსიკის მოძრაობა. დაადგინეთ, რომელი სანოტო ფრაგმენტი რომელ კომპიუტერულ ფოტოს შეესაბამება.

ა. ვივალდი „ზამთარი“

Allegro non molto

ფ. შოპენი „დიდი ბრწყინვალე ვალსი“

ff

Ped. Ped. Ped. Ped.


ი. ბრამსი „კაპრიჩიო“

Allegretto non troppo


p

1. 2.

ბრამსი



შოპენი




ვივალდი



დიდი და პატარა ინტერვალები

იმისდა მიხედვით, თუ როგორი ულერადობისაა და რამდენ ტონსა და ნახევარტონს შეიცავს, ინტერვალები იყოფა წმინდა, დიდ და პატარა ინტერვალებად.

დიდი და პატარა ინტერვალებია: სეკუნდა, ტერცია, სექსტა და სეპტიმა.



იმისათვის, რომ დიდი ინტერვალი გადაიქცეს პატარად, ინტერვალის მწვერვალი უნდა დავადაბლო 1/2 ტონით. გადანერე ინტერვალები სანოტო რვეულში, გადააქციე დიდი ინტერვალები პატარად და დაითვალე, რამდენი ტონისაგან შედგება თითოეული ინტერვალი.

მუსიკალური ლექსიკონი:

- აჩელერანდო – **accelerando** – იტალიური სიტყვაა და ნიშნავს ტემპის აჩქარებას;
- რიტენუტო – **ritenuto** – იტალიური სიტყვაა და ნიშნავს ტემპის შენელებას.

ქვეთემა: ძველი და ახალი ოპერა

მიზანი: საოპერო ფორმების (რეჩიტატივი და არია) ამოცნობა, secco (მშრალი) და accompagnato (აკომპანემენტით) რეჩიტატივების, ძველი და ახალი სტილის ოპერების განსხვავების დადგენა, მუსიკის ხასიათზე, განწყობაზე მსჯელობა, პოპულარული საოპერო ნომრების გამლერება.

მისაღწევი შედეგები: მუს.საბ.4.5. მუს.საბ.1.2.


რეჩიტატივი და არია

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: ყველა გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4 ან 2/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაპით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



რეჩიტატივი: ვ.ა. მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინება“ - I მოქმედება. მოცემულია ფიგაროსა და სიუზანას რეჩიტატიული სცენა.

სიუზანა - კარგი, გაჩუმდი და მისმინე!

ფიგარო - რა მოხდა? მითხარი, ჩქარა!

სიუზანა - ჩვენი პატივცემული გრაფი დაიღალა დროსტარებით და გადწყვიტა, ახალი გასართობი ეძებოს, ცდილობს, ვილაცას მახე დაუგოს!

ფიგარო - ვინ აირჩია სამიზნედ? ნუთუ შენ?

სიუზანა - ახლა ხვდები, რატომ გახდა ასეთი გულუხვი? რატომ ზრუნავს ჩვენს ახალ ბინაზე?

ფიგარო - ბრავო! გააგრძელე! აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!

სიუზანა - ხოდა, მისმინე! ეხლა გეტყვი მთავარს; დონ ბაზილიო ის, ის ვინც მე სიმლერას მასწავლიდა, გრაფის შუამავალია.



ვ.ა. მოცარტი



სცენა ოპერიდან „ფიგაროს ქორწინება“

ფიგაროს არია I მოქმედებიდან:

თუ მოისურვებს ბატონი ხტუნვას,
და სურს მას ცეკვა სატრფოსთან წყვილში,
მე გიტარაზე დაფუკრავ მარად,
და ის იცეკვებს სატრფოსთან ლხინში.



სუზანასა და ფიგაროს დუეტის სცენა

აქტივობა. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ყურადღებით წაიკითხონ ორი ტექსტი, არ მიუთითებს, ვის ეკუთვნის ისინი და სთხოვს, გაარკვიონ რომელი ტექსტის გამღერება შეიძლება უფრო ადვილად და რომლის – არა (გავს საუბარს მუსიკის ფონზე).

მოცემულია ორი ტექსტი: 1. სცენა-დიალოგი 2. გალექსილი ტექსტი ვ.ა. მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინებიდან“.

ბავშვები პასუხობენ კითხვებზე:

1. ტექსტის მიხედვით, თქვენი აზრით, როგორი ხასიათისაა ოპერა: მხიარული თუ სევდიანი?
2. რომელ ტექსტშია ასახული ოპერის ერთ-ერთი პერსონაჟის ხასიათი?
3. რომელი ფრაგმენტი გადმოსცემს ამბავს?
4. რომელ ტექსტის მიხედვით გაარკვევთ, ვინ არიან ოპერის მოქმედი პირები ამ სიტუაციაში:

ა. ორი მამაკაცი	გ. მამაკაცი და ქალბატონი
ბ. ორი ქალბატონი	დ. ორი მამაკაცი და ქალბატონი
5. ორი ტექსტიდან, რომელი გვანვდის მეტ ინფორმაციას ოპერაში გადმოცემული ამბის შესახებ?

 ბავშვები უყურებენ ვიდეოფრაგმენტს „ფიგაროს ქორწინების“ | მოქმედებიდან - ფიგაროსა და სიუზანას რეჩიტატიულ სცენა-დიალოგს და ფიგაროს არიას (კავატინას - ფიგაროს პირველ გამოსასვლელ არიას).

მასწავლებელი გაახსენებს ბავშვებს, რომ ოპერა იყოფა სხვადასხვა ვოკალურ ნომრად: **რეჩიტატივი, არია, ანსამბლი (დუეტი, ტრიო, კვარტეტი და ა.შ.), გუნდი.** შემდეგ კი ისაუბრებს რეჩიტატივსა და არიაზე.

რეჩიტატივი – თავისუფალი ფორმით აგებული ნომერია, რომელშიც ვოკალური ინტონაცია ბაძავს სალაპარაკო მეტყველებას. არსებობს ორი სახის **რეჩიტატივი:**

1. **რეჩიტატივი secco** - მშრალი რეჩიტატივი, რომელიც ახლოს არის სალაპარაკო მეტყველებასთან. მომღერალი ასეთ რეჩიტატივს რომელიმე საკრავის აკორდების ფონზე რიტმულად იმპროვიზირებს. ძველ ოპერებში თანხლებას კლავესინი ასრულებდა.
2. **რეჩიტატივი accompagnato** - რეჩიტატივი აკომპანემენტით, რომელიც უფრო მღერადია. ამ რეჩიტატივს თანხლებას უწევს მთელი ორკესტრი.

ბავშვები ამოიცნობენ ვიდეოფრაგმენტებიდან, რომელია რეჩიტატივი და რომელია - არია. აგრეთვე, რა სახის რეჩიტატივია.

რეჩიტატივში ასახულია სიუჟეტური მოქმედება, ამბავი, გმირთა ურთიერთდამოკიდებულება, ხოლო არიებში გადმოცემულია პერსონაჟთა გრძნობები, ხასიათი და განწყობა.

არია იტალიური სიტყვაა და **ჰაერს** ნიშნავს. ეს არის მოქმედი გმირის ვოკალური მონოლოგი, მისი მუსიკალური პორტრეტი.

ამგვარად, **არია** და **რეჩიტატივი** განსხვავდებიან ერთმანეთისგან არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ მუსიკალურადაც. არია ბევრად მღერადი და მელოდიურია, ხოლო რეჩიტატივი ნაკლებად მღერადი და უფრო მეტად უახლოვდება ადამიანის მეტყველებას, ერთგვარი სიმღერით ლაპარაკია.

ბლიცინფორმაცია: პირველი ოპერა-buffa „მოახლე ქალი-ქალბატონი“ შექმნა 1733 წელს ქალაქ ნეაპოლში, იტალიელმა კომპოზიტორმა ჯოვანი ბატისტა პერგოლეზიმ, 23 წლის ასაკში. ვ.ა. მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინება“ ოპერა-ბუფაა.

 **LMMS:** მოცემულია LMMS-ში ვ.ა. მოცარტის სონატის №15 პატარა მონაკვეთი. მელოდია და თანხლება ცალ-ცალკეა სემპლებად აჟღერებული. ბავშვები უსმენენ სემპლებს და მელოდიას და თანხლებას ერთმანეთს უთავსებენ.


საოპერო ფორმები

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4 ან 2/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



ბავშვები უსმენენ ფრაგმენტებს სხვადასხვა ოპერიდან და ერთმანეთისაგან განარჩევენ არისა და რეჩიტატივს. აღნიშნავენ, გვხვდება თუ არა ფრაგმენტებს შორის ანსამბლი ან გუნდი.



მოისმინეთ ფრაგმენტები ქართული ოპერებიდან:

1. ბ. კვერნაძე. ოპერა „იყო მერვესა წელსა...“. შუშანიკის არია;
2. ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთო და კოტე“. გუნდი „სალამი მასპინძელსა“;
3. ზ. ფალიაშვილი. ოპერა „დაისი“. ცანგალას სიმღერა მეორე მოქმედებიდან;
4. ვ. დოლიძე. „ქეთო და კოტე“. რეჩიტატიული სცენა პირველი მოქმედებიდან.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელ საოპერო ფორმას მიეკუთვნება თითოეული ფრაგმენტი (გუნდი, რეჩიტატივი, არია, სიმღერა გუნდის თანხლებით)?
2. არის თუ არა ფრაგმენტებში რეჩიტატიული სცენა? რეჩიტატივის შემთხვევაში განსაზღვრე მისი სახე;
3. ფრაგმენტის ხასიათის მიხედვით განსაზღვრე, რომელია კომიკური ოპერა?
4. რომელია, შენი აზრით, უფრო ძველი მუსიკა, რომელი – ახალი? განსაკუთრებით რომელი გამომსახველობითი ხერხები ამჟღავნებს დროის ნიშნებს (მელოდიის ხასიათი, ჰარმონიის კონსონანსი თუ დისონანსი ჟღერადობა, საორკესტრო აკომპანემენტი)?



ზ. ფალიაშვილი
1871-1933



ვ. დოლიძე
1890-1933



ბ. კვერნაძე
1928-2010

ცანგალას სიმღერა

გაიმღერე და შეიყვარე ოპერა

სიმღერის შესწავლა: ზ. ფალიაშვილი. „ცანგალას სიმღერა“ ოპერიდან „დაისი“.

 უყურეთ ვიდეოფრაგმენტს ოპერიდან „დაისი“. მოუსმინეთ ცანგალას სიმღერის მინუს ფონოგრამას და იმღერეთ.



ზ. ფალიაშვილი

სოლისტი:

ღვინო კახურო, ვარ შენი მსმელი,
გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი.
შენა ხარ ჩვენი შვება და ლხენა,
შენგან არ მახსოვს ოდნავი წყენა.
ღვინოს შეჰხარის კაცი თუ ქალი,
ყველას იმისკენ უჭირავს თვალი.
როცა გადაჰკრავს, არა ჰყავს დარი,
მისთვის ღიაა სამოთხის კარი.

გუნდი:

ამას ამბობს ცანგალა, აგანგალა განგალა. ჰვე...

დაადგინეთ ტონალობა, ტაქტის ზომა და აღნიშნეთ ინტერვალები.

გუნდი

მარ - თალს ამ - ბობს ცან - გა - ლა, ა - გან გა - ლა გან - გა - ლა.



პ. ბურჭულაძე



სცენა ოპერიდან „დაისი“

ცანგალას სიმღერა

ზ. ფალიაშვილი

Allegro non troppo

The musical score is written in 3/4 time with a key signature of two flats (B-flat and E-flat). It consists of four systems of music. The first system features a piano accompaniment in the left hand with chords and a melodic line in the right hand. Dynamic markings include *f* and *ff*. The second system continues the piano accompaniment with a melodic line in the right hand. The third system includes a vocal line in the right hand and piano accompaniment in the left hand, with a *dim.* marking. The fourth system features a melodic line in the right hand and piano accompaniment in the left hand, with a *mf* marking. The score includes various musical notations such as slurs, accents, and dynamic markings.

ცანგალა

ღვი - ნო კა - ხუ - რო,
 შე - ნა ხარ ჩვე - ნი,

ვარ შე - ნი მსმე - ლი,
 შვე - ბა და ლხე - ნა,

გინდ თეთ - რი ი - ყო,
 შენ - გან არ მახ - სოვს

გინ - და ნი - თე - ლი.
 ოდ - ნა ვი წყე - -

2.

ნა.
- გუნდი -

მარ - თაღს ამ - ბობს ცან - გა - ლა, ა - გან გა - ლა გან - გა - ლა.

p

f

dim.

mf

ღვი - ნოს შე - ხა - რის
 რო - ცა გა - დაჰ - რავს

კა - ცი თუ - ქა - ლი,
 ა - რა ჰყავს რა - რი,

ყვე - ლას ი - მის - კენ
 მის - თვის ღი - ა - ა

უ - ჭი - რავს თვა - ლი.
 სა - მოთ ხის კა -

2.

- რი. - - - -
 ა - რა სტყუ - ის ცან - გა - ლა,
mf

ა - ცან - გა - ლა ცან - გა - ლა.
f

f

dim. mf

ღვი - ნო გვი - კი დებს
შმა - გად ვუ - კოც ნით

ემ - ხის ა - ლებ სა,
ლა - მან თვა - ლებ სა,

სულ წა - სუ - ლე ბი
ვად - ნე ბით ზე - და

ვეტრ - ფით ქა - ლებ სა.
შავ - შავ ხა - ლებ

1.

მუსიკალური გამოფენა - რენესანსი



რემბრანდტი



ვერმეერი




რემბრანდტი



ბოტიჩელი



ლეონარდო და ვინჩი



მიქელანჯელო



მიქელანჯელო

ს აარჩიე შენი მუსიკა. მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, დაათვალიერონ აღორძინების ხანის, რენესანსის მხატვრების ნამუშევრები, მოცემული მუსიკალური ნაწარმოებებიდან, სურვილისამებრ, აარჩიონ მუსიკა და გააფორმონ გამოფენა. მოიძიონ ინფორმაცია რენესანსის ხანაზე.

1. ს. რეიხი. „გამოქვაბული“;
2. ფრანჩესკა კაჩინი. ინსტრუმენტული პიესა „ჩაკონა“;
3. ფ. შოპენი. ნოქტიურნი №2;
4. ჯ. პალესტრინა. მესა. Kyrie eleison. Agnus Dei.
5. ჟერმენ ტაიფერი. „ვალსი“




ჟ. ტაიფერი

სამი არია

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4 ან 2/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სამ არიას სხვადასხვა ნაწარმოებიდან.

1. ვ.ა. მოცარტი. ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“ – ლამის დედოფლის არია;
2. ფრაგმენტი ლ. ბენსონის მხატვრული ფილმიდან „მეხუთე ელემენტი“ – დივას არია. კომპოზიტორი ერიკ სერა;
3. გ. ლიგეტი. ოპერა „მისტერიები“ – არია.



თავდაპირველად, ბავშვები ყურადღებით უსმენენ არიების აუდიოჩანაწერებს. შემდეგ კი, მასწავლებელი მათ უჩვენებს შესაბამის ვიდეოფრაგმენტებს, მაგრამ ხმის გარეშე და სთხოვს, ამოიცნონ, რომელი არია რომელ ვიდეოფრაგმენტს შეესაბამება.



ვ.ა. მოცარტი



ე. სერა



გ. ლიგეტი



„ჯადოსნური ფლეიტა“
ლამის დედოფლი



„მისტერიები“



„მეხუთე ელემენტი“. დივა

 აქტივობის შესრულების შემდეგ, კვლავ უყურე ვიდეოფრაგმენტებს, მაგრამ ამჯერად – გამოსახულებითა და ხმით. იმსჯელე მათი ხასიათის, განწყობისა და შინაარსის შესახებ.

უპასუხე კითხვებს:

1. მოცემული ფრაგმენტებიდან რომელია:

- ა. კლასიკური ოპერა;
- ბ. თანამედროვე ოპერა;
- გ. კინოფილმი.

ჟანრის განსაზღვრისას, მიაქციე ყურადღება ნაწარმოებების როგორც აუდიო, ისე ვიდეოჩანაწერებს.

- 2. შენი აზრით, რომელია ამ სამთაგან უფრო ძველი და რომელია ახალი მუსიკა?
- 3. რა ნიშნებით გამოარჩევ ძველსა და ახალ მუსიკას ერთმანეთისგან:
 - ა. მკვეთრი რეგისტრული და დინამიკური რეგისტრები, წყვეტილი ფრაზები და წამოძახილები;
 - ბ. კანტილენური, მღერადი მელოდია;
 - გ. დისონანსური, დაძაბული, დაჭიმული ჰარმონია;
 - დ. კონსონანსური, ნათელი ჰარმონია.
- 4. რომელ ფრაგმენტში გესმის აკუსტიკური, რომელში – სინთეზური ბგერები?
- 5. რომელი არია არის უფრო მღერადი და მელოდიური?
- 6. როგორი ხასიათის პერსონაჟებია: ტრაგიკული, კომიკური, ფანტასტიკური, ზღაპრული?
- 7. რა საერთო აქვს ტემბრულად სამივე არიას?

მეთოდური მითითება: ჩვენ გავეცანით საოპერო ჟანრს და მის სხვადასხვა ვოკალურ ფორმას: არიას, რეჩიტატივს, ანსამბლსა და გუნდს. მოვისმინეთ ფრაგმენტები სხვადასხვა დროის ოპერებიდან და კინოფილმებიდან. გაკვეთილების მიზანია, ბავშვებმა შესძლონ განარჩიონ არა მხოლოდ ვოკალური ფორმები, არამედ ძველი და ახალი სტილის ოპერები, იმსჯელონ და ისაუბრონ მუსიკის ხასიათზე, განწყობაზე, მათ მსგავსება-განსხვავებაზე. საოპერო ჟანრის შესწავლაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რუბრიკა **გაიმღერე და შეიყვარე ოპერა**.

აღსანიშნავია, რომ წელს ქართულ ოპერას 100 წლის იუბილე უსრულდება და აქტივობა „გაიმღერე და შეიყვანე ოპერა“ დაეხმარება ბავშვებს, უკეთ გაეცნონ მუსიკალური ხელოვნების ამ დარგს.

O MIO BABBINO CARO

გაიმღერე და შეიყვარე ოპერა

სიმღერის შესწავლა: ჯ. პუჩინი. ოპერა „ჯანი სკიკი“. ლაურეტას არია „ჩემო ძვირფასო მამავ“. ბავშვები უყურებენ ვიდეოფრაგმენტს ოპერიდან „ჯანი სკიკი“ – ლაურეტას არიას მარია კალასის შესრულებით. შემდეგ, უსმენენ არიის მინუს ფონოგრამას და მღერიან.

O MIO BABBINO CARO

O mio babbino caro
Mi piace è bello, bello
Vo'andare in Porta Rossa
A comperar l'anello

Sì, sì, ci voglio andare
E se l'amassi indarno
Andrei sul Ponte Vecchio
Ma per buttarmi in Arno

Mi struggo e mi tormento
O Dio, vorrei morir
Babbo, pietà, pietà
Babbo, pietà, pietà



მარია კალასი



სცენები ოპერიდან „ჯანი სკიკი“

ინფორმაციისათვის: ჯ. პუჩინის ოპერა „ჯანი სკიკი“ ერთმოქმედებიანი კომიკური ოპერაა, იტალიური რენესანსის წარმომადგენელი პოეტი დანტე ალეგიერის „ლვთაებრივი კომედიის“ მოტივებზე. მისი პრემიერა შედგა 1918 წელს. ოპერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არიაა „O mio babbino caro“ - „ჩემო ძვირფასო მამავ“, მთავარი გმირის ჯანი სკიკის ქალიშვილის ლაურეტას არიაა. არიაში რინუჩოზე შეყვარებული ლაურეტა სთხოვს მამას, დაეხმაროს ახალგაზრდებს დაქორწინებაში.



ბავშვები უყურებენ ორ ვიდეოს - ჯ. პუჩინის ოპერა „ჯანი სკიკიდან“ – ლაურეტას არიას „O mio babbino caro“ ბავშვების შესრულებით.

O Mio Babbino Caro

Music by Giacomo Puccini

Andantino sostenuto

voice

mf

O mio bab - bi - no

poco rit. *pp dolce*

ca - ro, mi pia - ce, e bel - lo

ca - ro, mi pia - ce, e bel - lo

bel - lo, vo'an - da - rein Por - ta Ros - sa

pp

a com - per - ar l'a - nel - lo! Sì, sì, ci vog - lian -

pp

da - re! e se l'a - mas - siin - dar - no, an -

p

drei sul pon - te Vec - chio, ma per but - tar - miin

p

Ar - no! Mi strug - goe mi tor - men - to! O

pp

 Di - - - - - o, vor - rei mo -

rall.

rir!

fz

Bab - bo pie - ta, pie - ta!

rit.

bab - bo, pie - ta, pie - ta!

pp

Red.

5. კლასიკური ინტონაცია უცვლელად არის გადატანილი თანამედროვე კომპოზიციებში თუ სახეშეცვლილად?
6. რომელ სიმღერაში არ ჟღერს კლასიკური ინტონაცია?
7. რომელ კომპოზიციაში გვხვდება რეჩიტატივი?

ამგვარად, პოპმუსიკაში კლასიკური ინტონაციების გამოყენება სხვადასხვა ხერხით ხდება: თუ კლასიკური ნაწარმოების თემა ან მისი მცირე ნაწილი - მოტივი ან ინტონაცია უცვლელ-


ბავშვებმა უნდა დააკავშირონ შესაბამისი ფოტოები ერთმანეთთან.



ი.ს. ბახი



ვ.ა. მოცარტი



ლ. ვან ბეთჰოვენი



პ. ჩაიკოვსკი

ლად არის გამოყენებული სხვა კომპოზიციის, ასეთ ხერხს მუსიკალური ციტირება ეწოდება, ხოლო გამოყენებულ კლასიკურ ინტონაციას - მუსიკალური ციტატა.

შეიძლება, კლასიკური მუსიკის ინტონაციები სხვადასხვა სახეცვლილებით, მეტ-ნაკლებად გადამუშავებული სახით იყოს წარმოდგენილი პოპმუსიკის ნიმუშებში.


მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს სხვადასხვა კომპოზიციას პოპმუსიკიდან:

1. **Nas. I Can.** (ბეთჰოვენის „ელიზსათვის“);
2. **Kelis. Like You.** (მოცარტის ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“ – ლამის დედოფლის არია);
3. **Beyoncé. Sorry.** (ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა“);
4. **Alicia Keys. Piano & I.** (ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“);
5. **Sweetbox. Everything’s Gonna Be Alright.** (ბახის არია).

ლ. ვან ბეთჰოვენის „ელიზსათვის“



ლ. ვან ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“



ვ. ა. მოცარტის ლამის დედოფლის არია, ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“



ი.ს. ბახის „არია“ II საორკესტრო სიუიტიდან



პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“



თემა: ძველი და ახალი მუსიკაში

მიზანი: ძველი და ახალი დროის მუსიკალური ხელოვნების გაცნობა, შედარება, საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე მსჯელობა.

მისალწვეი შედეგები: მუს.საბ.4.მუს.საბ.1.2.3.

ინდური მუსიკა და „ბითლზი“

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

პოპულარულ მუსიკაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ კლასიკური პროფესიული მუსიკა არამედ სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორი და ტრადიციული მუსიკა.

ინდურმა მუსიკამ – **რაგებმა** და **რიტმებმა** – დიდი გავლენა იქონია XX საუკუნის სხვადასხვა კომპოზიტორის და მუსიკოს-შემსრულებლის შემოქმედებაზე, მათ შორის, **The Beatles**-ზეც. მათ თავიანთ სიმღერებში გამოიყენეს 22-საფეხურიანი გამა. „**ბითლზის**“ ერთ-ერთი წევრი – **ჯორჯ ჰარისონი** – მეგობრობდა გამოჩენილ ინდოელ კომპოზიტორთან და მომღერალთან **რაჯი შანკართან**. ინდური მუსიკის შესასწავლად, ჰარისონი გაემგზავრა ინდოეთში და სიტარაზე დაკვრა შეისწავლა. ამ ურთიერთობის შედეგად შეიქმნა ჰარისონის სიმღერა „**Within You, Without You**“ ალბომიდან **Sgt. Papper’s Lonely Hearts Club Band-1967**, რომელიც „ბითლზმა“ მიუძღვნა ინდოეთს.



მოსმენა: ჯორჯ ჰარისონი. „**Within You, Without You**“ რაჯი შანკარის და ჰარისონის შესრულებით.

მოსმენა: სიმღერაში **The inner light** გამოყენებულია ინდური ტრადიციული საკრავები და რიტმულ მელოდირი ინტონაციები.

ინდურმა მუსიკამ გავლენა მოახდინა აკადემიური სტილის კომპოზიტორებსა და შემსრულებლებზეც. მაგ.: **ო. მესიანისთვის** ძალიან მნიშვნელოვანი იყო ინდური ფილოსოფია და მუსიკის რიტმები.



მოსმენა: ოლივიე მესიანი. „**ტურანგალილა-სიმფონია**“.

ყველა ეს უძველესი საკრავი ინდოეთში დღემდეა შემონახული და ინდოელი მუსიკოსები მათზე ზუსტად ისევე უკრავენ, როგორც 2000 წლის წინათ უკრავდნენ მათი წინაპრები. **რაგა** ძველი ინდური ტრადიციული მუსიკის საფუძველია. ის სანსკრიტულ ენაზე ფერს, ჟანრს ნიშნავს.



რაჯი შანკარის ქალიშვილი ანუშკა უკრავს სიტარაზე



ვინა



სარანგი



ტაბლა



სიტარა


უყურე ვიდეოს: ინდური მუსიკა.

კლასიკური მუსიკის გავლენა პოპმუსიკაზე

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



პოპულარულ მუსიკაში, შემსრულებლები, ხშირად, სიმღერებსა თუ ინსტრუმენტულ კომპოზიციებში, სხვადასხვა ეპოქის კლასიკური მუსიკის სტილს ბაძავენ, ანუ მიმართავენ ე.წ. **სტილიზაციას**. ზოგჯერ, ეს კლასიკური მუსიკის გარკვეული ზეგავლენით ხდება, ზოგჯერ კი მუსიკოსების თვითმიზანია.

მოცემულია კლასიკური მუსიკის 5 ნიმუში და 5 კომპოზიცია პოპმუსიკიდან.

ბავშვები მოისმენენ კლასიკური მუსიკის ფრაგმენტებს და პოპმუსიკის კომპოზიციებს. შემდეგ, მსჯელობენ, რომელ კომპოზიციაში გვხვდება **სტილიზაცია** ანუ მიბაძვა და სად იგრძნობა კლასიკური მუსიკის ზეგავლენა.

კლასიკური მუსიკის ნიმუშებიდან გთავაზობთ:


1. ფ. შოპენის პრელუდია №4 მი მინორი;
2. ჯ. როსინის „სევილიელი დალაქის“ უვერტიურა;
3. Dies irae;
4. ი.ს. ბახის ტოკატა და ფუგა რე მინორი;
5. ლ.ვან ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“.

შესაბამისი კომპოზიციები პოპმუსიკიდან:


1. Radiohead. Exit Music;
2. Queen. Bohemian Rhapsody;
3. Sting. კომპოზიცია;
4. Muse. Plug in Baby;
5. The Beatles. Because.



ი.ს. ბახი



ლ.ვან ბეთჰოვენი



ფ. შოპენი



ჯ. როსინი

ნიმუში: მაგალითად, **The Beatles**-ის ფოტოს ზემოდან დავანეროთ სიმღერის სათაური „**Because**“, ქვევით კი – კლასიკური მუსიკის ორი ნიმუშის სათაური. ბავშვებმა ორი ნაწარმოებიდან ერთ-ერთი უნდა მიუსადაგონ **The Beatles**-ის სიმღერას.

მოისმინე და დააკავშირე ერთმანეთთან კლასიკური და პოპმუსიკის ნიმუშები.

The Beatles. Because



1. ლ. ვან ბეთჰოვენი. „მთვარის სონატა“
2. ი.ს. ბახი. ტოკატა და ფუგა რე მინორი

Radiohead. Exit Music



1. ლ. ვან ბეთჰოვენი. „მთვარის სონატა“
2. ფ. შოპენი. პრელუდია №4 მი მინორი

Queen. Bohemian Rhapsody



1. ი.ს. ბახი. ტოკატა და ფუგა რე მინორი
2. ჯ. როსინი. ოპერა „სევილიელი დალაქის“ უვერტიურა

Sting . კომპოზიცია



1. ი.ს. ბახი. ტოკატა და ფუგა რე მინორი.
2. Dies irae

Muse. Plug in Baby



1. ი.ს. ბახი. ტოკატა და ფუგა რე მინორი
2. ფ. შოპენი. პრელუდია №4 მი მინორი.

3. თემატური ბლოკი მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

თემა: სიყვარული და სიძულვილი მუსიკაში

<p>რას ვასწავლით მოსწავლეს? ძირითად თემატიკასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები</p>	<p>რა ინფორმაციას იღებს მოსწავლე? მოსწავლის მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>რას ვაფასებთ მოსწავლის ცოდნაში? შეფასების ინდიკატორები და სტანდარტის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> როგორ გადმოსცემენ კომპოზიტორები სიყვარულს ან სიძულვილს მუსიკის საშუალებით? როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა სიყვარულის ან სიძულვილის გადმოსაცემად 	<ul style="list-style-type: none"> მუსიკის საშუალებით სიყვარულის და სიძულვილის გადმოცემა შეიძლება; სიყვარულის და სიძულვილის გადმოცემა მუსიკაში გამოყენებული რიტმული და ჰარმონიული ხერხებით შეიძლება; <ul style="list-style-type: none"> სიყვარულის და სიძულვილის დაპირისპირების თემა მსხვილი ფორმის მრავალ მუსიკალურ ნაწარმოებს დაედო საფუძვლად. 	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს კომპოზიტორი სიყვარულის თუ სიძულვილის გადმოცემას (მუს.საბ.4); სათანადო რიტმის, ჰარმონიის და ფორმის გამოყენებით სიყვარულისა და სიძულვილის შესახებ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა (მუს.საბ.1,2,3); <ul style="list-style-type: none"> მუსიკალური ხერხებით გადმოცემულ სიყვარულსა და სიძულვილს შორის კონფლიქტის გაანალიზება შეთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტზე დაყრდნობით (მუს.საბ.5)

თემა: სიყვარული და სიძულვილი მუსიკაში – 3 ქვეთემა

1. ლირიკული სახეები მუსიკაში
2. სიძულვილის თემა მუსიკაში
3. სიმფონიზმი

ქვეთემა: ლირიკული სახეები მუსიკაში

მიზანი: მოსმენილ ფრაგმენტებში ლირიკული სახეების ამოცნობა, მელოდიის ხასიათის, ინტერვალების ინტონაციური ბუნების განსაზღვრა. მოსმენილ ფრაგმენტებში ინტერვალების (ტერცია და სექსტა) ამოცნობა, მათი ჟღერადობის დაკავშირება ლირიკულ სახეებთან, განწყობილებასთან. ინტერვალების ჰარმონიული და მელოდიური წყობის, მიმართულების განსაზღვრა და ინტერვალების გამღერება.

მისაღწევი შედეგები: მუს.საბ.4.5. მუს.საბ.1.2.


ლირიკული სახეები მუსიკაში - 1

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაპით, კაკუნითა და მარცვლების დასახელებით ასრულებენ რიტმულ სურათს.



სიტყვა ლირიკა დაკავშირებულია ძველ საბერძნეთში გავრცელებულ საკრავ ლირასთან. დღეს, ლირა პოეზიისა და მუსიკალური ხელოვნების სიმბოლოა. მუსიკასა და პოეზიას, ძველი ბერძნები და სხვა უძველესი ხალხებიც, ერთმანეთისგან განუყოფელ, ერთიან ხელოვნებად მიიჩნევდნენ. ხელოვნებაში ლირიკული ხასიათი დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სულიერ განცდებთან, პირად, სასიყვარულო გრძნობებთან.


მუსიკაში ლირიკული სახეები სხვადასხვა ხერხით იქმნება. მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვანია ინტონაცია, რომელიც ხშირად დაკავშირებულია გარკვეულ ინტერვალებთან, ესენია: ტერცია და სექსტა.

გავიხსენოთ და გავიმეოროთ ინტერვალები და ყურადღება შევაჩეროთ აღნიშნულ ორ ინტერვალზე. ბავშვები ისმენენ ინტერვალებს და გამოთქვამენ თვიანთ შეგრძნებებს მათ ჟღერადობასთან დაკავშირებით, მიუსადაგებენ შემდეგ სიტყვებს:

1. სასიამოვნო;
2. უხეში;
3. ბნელი;
4. კაშკაშა, ნათელი;
5. ნაზი;
6. სევდიანი;
7. დაძაბული.

ინტერვალები შეიძლება ჟღერდეს ორგვარად: 1. ინტერვალში შემავალი ბგერები ერთდროულად ჟღერს (სანოტო სისტემაზე ვერტიკალურად არის ჩანერილი). მას ჰარმონიული ინტერვალი ეწოდება 2. ინტერვალში შემავალი ბგერები ჟღერს ერთმანეთის მიყოლებით (სანოტო სისტემაზე ჰორიზონტალურად არის ჩანერილი). ასეთ ინტერვალს მელოდიური ეწოდება.

გაიხსენეთ ჰარმონიული და მელოდირი ინტერვალები



მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, მოისმინონ ინტერვალები და განარჩიონ, რომელია მათგან ჰარმონიული და რომელი – მელოდირი; აღნიშნონ, მელოდირ ინტერვალში მოძრაობა აღმავალია თუ დაღმავალი.

ააგონ რე-დან აღმავალი მელოდირი ტერცია. შემდეგ – ჰარმონიული და მელოდირი სექსტები.



მას შემდეგ, რაც ბავშვები კარგად გაითავისებენ ინტერვალებს მელოდირ და ჰარმონიულ განლაგებაში, განარჩევენ სექსტებსა და ტერციებს ერთმანეთისაგან, მასწავლებელი სთავაზობს ოთხ მუსიკალურ ფრაგმენტს. ბავშვები უსმენენ და ამოიცნობენ ინტერვალებს:

მოსმენა:

1. კ. დებოუსი. საფორტეპიანო პიესა „მთვარის შუქი“;
2. ჰ. არლენი. „Somewhere Under the Rainbow“ – კეიტ ჯარეტის საფორტეპიანო ვერსია;
3. ა. მაჭავარიანი. სავიოლინო კონცერტი II ნაწილი;
4. ი. ბრამსი. სიმღერა „ნანა“.

შემდეგ, ბავშვები დაახასიათებენ თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს. მასწავლებელი სთხოვს ისაუბრონ მათ მელოდიაზე, რიტმზე, ხასიათსა და განწყობაზე.

ეკითხება: რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ოთხივე ნაწარმოების მოსმენის შემდეგ? დაასრულეთ შემდეგი წინადადებები:

1. ლირიკული ანუ სასიყვარულო გრძნობების გამოსახატავად, კომპოზიტორები ხშირად იყენებენ შემდეგ ინტერვალებს
2. ინტერვალები წარმოდგენილია ზოგჯერ ჰარმონიული, ზოგჯერ სახით, აღმავალი ან. მიმართულებით.




ი. ბრამსი



კ. დებოუსი



ჰ. არლენი



ა. მაჭავარიანი

დამატებითი აქტივობა: ბავშვები უსმენენ მუსიკას, მუსიკის ხასიათისა და განწყობის მიხედვით ამოიცნობენ, რომელია ძველი და ახალი მუსიკა. ამოიცნობენ მათ ავტორებს. (ასოციაციური კავშირები).

LMMS: აქტივობაში მოცემულია ორი ნაწარმოები: ი. ჰაიდნის სონატა №7 D dur და ი. ბრამსის „ნანას“ საფორტეპიანო ვარიანტი – პატარა მონაკვეთები, დაშლილი სახით. ბავშვებმა ორივე ნაწარმოების დაშლილი ნაწილების კომბინაციით უნდა შექმნან სხვადასხვა კომპოზიცია.


ლირიკული სახეები მუსიკაში - 2

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



ბავშვები გაიმეორებენ და გაიმღერებენ ინტერვალებს ტერციასა და სექსტას ჰარმონიული და მელოდიური ჟღერადობით.



მასწავლებელი სთავაზობს ახალ აქტივობას, ბავშვები ისმენენ ოთხ აუდიოფრაგმენტს, რომლებშიც სექსტები და ტერციებია გამოყენებული და სათითაოდ აღნიშნავენ, როგორი სვლება გამოყენებული თითოეულ მათგანში (აღმავალი, დაღმავალი). ახასიათებენ ფრაგმენტებს ემოციისა და განწყობის მიხედვით.



მოსმენა:

1. ვ. ა. მოცარტი. საფორტეპიანო კონცერტი №23 II ნაწილი;
2. ფ. შუბერტი. სიმღერა „სერენადა“;
3. ს. რახმანინოვი. სიმფონია №2 II ნაწილი.

მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

1. რომელი ფრაგმენტია თქვენთვის უფრო მეტად ემოციური და ლირიკული?
2. განსაზღვრეთ, რომელ ჟანრს მიეკუთვნება თითოეული მათგანი (კონცერტი, სიმფონია, სიმღერა).
3. რომელია უფრო ძველი და რომელი – უფრო ახალი მუსიკის ნიმუში?
4. რომელი მუსიკალური ფრაგმენტის მელოდიას გაიმღერებდით?



ვ.ა. მოცარტი



ფ. შუბერტი



ს. რახმანინოვი



მოსმენა: გაკვეთილის ბოლოს, ბავშვები უსმენენ დ. ტურიაშვილის საფორტეპიანო პიესა *Andante cantabile* აუდიოჩანაწერს; თვალს მიადევნებენ სანოტო ჩანაწერს, ამოიცნობენ ინტერვალებს და ისაუბრებენ ნაწარმოების ხასიათსა და განწყობაზე.

Andante cantabile

კომპოზიტორი:
დავით ტურიაშვილი

Andante (ad libitum)

The first system of musical notation consists of two staves. The upper staff is in treble clef and the lower in bass clef. The key signature has one flat (B-flat) and the time signature is common time (C). The music begins with a piano (*mp*) dynamic. The melody in the right hand is a series of eighth notes: C4, D4, E4, F4, G4, A4, Bb4, C5, followed by a half note G4. The left hand accompaniment consists of a bass line with notes: C3, D3, E3, F3, G3, A3, Bb3, C4.

The second system continues the piece. The right hand melody continues with eighth notes: C5, Bb4, A4, G4, F4, E4, D4, C4, followed by a half note Bb4. The left hand accompaniment continues with notes: C4, D4, E4, F4, G4, A4, Bb4, C5.

The third system features a change in the right hand melody. It begins with a series of chords (dyads) in the right hand: C4-E4, D4-F4, E4-G4, F4-A4, G4-Bb4, A4-C5, Bb4-D5, C5-E5. The left hand accompaniment continues with notes: C4, D4, E4, F4, G4, A4, Bb4, C5.

The fourth system shows the right hand melody continuing with eighth notes: C5, Bb4, A4, G4, F4, E4, D4, C4, followed by a half note Bb4. The left hand accompaniment continues with notes: C4, D4, E4, F4, G4, A4, Bb4, C5.

The fifth system is the final system on the page. The right hand melody continues with eighth notes: C5, Bb4, A4, G4, F4, E4, D4, C4, followed by a half note Bb4. The left hand accompaniment continues with notes: C4, D4, E4, F4, G4, A4, Bb4, C5.

1. 2.

First system of musical notation, featuring two first endings (1. and 2.) and a repeat sign. The notation is in B-flat major and 4/4 time.

Second system of musical notation, featuring a forte (*f*) dynamic marking. The notation is in B-flat major and 4/4 time.

Third system of musical notation, featuring a piano (*p*) dynamic marking. The notation is in B-flat major and 4/4 time.

Fourth system of musical notation, featuring a mezzo-piano (*mp*) dynamic marking. The notation is in B-flat major and 4/4 time.

rit. molto


Fifth system of musical notation, featuring a decrescendo (*dim.*) and a pianissimo (*pp*) dynamic marking. The notation is in B-flat major and 4/4 time, concluding with a fermata.

ლეგენდა პიანისტზე

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4.
2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს ფრაგმენტს ფილმიდან „ლეგენდა პიანისტზე“ და სთხოვს, უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

1. რა როლი ენიჭება მუსიკას მოცემულ ფრაგმენტში?
2. თქვენი აზრით, მუსიკა, რომელსაც პიანისტი უკრავს, შექმნილია შესრულებამდე თუ დაკვრის მომენტში, ექსპრომტად?
3. რა არის ასეთი შესრულების მიზეზი?
4. როგორი ხასიათისაა მუსიკა და რომელი გამომსახველი ხერხებით არის განცდები გამოხატული?
5. როგორი ტიპის არის ფილმის ამ ფრაგმენტის მუსიკალური გაფორმება: ილუსტრაციული, კონტრასტული თუ კადრს მიღმა?
6. მუსიკის გარდა, როგორ არის გამოხატული პიანისტის განცდები?



კადრები ფილმიდან „ლეგენდა პიანისტზე“



ბავშვები უყურებენ ვიდეოს – ფრაგმენტს ფილმიდან „ლეგენდა პიანისტზე“.

მასწავლებელს, დამატებით, შეუძლია, აჩვენოს ორი ვიდეოფრაგმენტი ფილმებიდან: „პიანისტი“, „ერთხელ ამერიკაში“ და „თქვენთვის წერილია“. ბავშვები აკეთებენ იგივე ტიპის დავალებსა და აქტივობებს. ერთ-ერთ ფრაგმენტში ამოიცნობენ მათთვის ნაცნობ სიმღერას („Some-where Under the Rainbow“).

მეთოდური მითითება: ამ გაკვეთილის მიზანია, ბავშვებმა გაიაზრონ და გაითავისონ ინტერვალების ინტონაციური ბუნება და ამოიცნონ ისინი მოცემულ ფრაგმენტებში; იმსჯელონ ნაწარმოებების ხასიათზე, განწყობაზე, გამომსახველობით ხერხებზე. ასეთი აქტივობები უფიქრებს მათ შემოქმედებით, სააზროვნო და კრიტიკულ უნარებს. ამის შედეგად, ისინი ყალიბდებიან შემოქმედებით ადამიანებად, რაც ჩვენი საგნის უმნიშვნელოვანესი მიზანია.


ღირიკული სახეები მუსიკაში -3

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. რიტმული მოთელვა: გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4.

2. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



მოსმენა: ბავშვები ისმენენ ფრაგმენტებს მე-18-19 საუკუნეების ევროპული მუსიკიდან:

1. ი. ბრამსი. სიმფონია 4. I ნაწილის მთავარი თემა (ტერციები და სექსტები);

2. ა. დვორჟაკი. სიმფონია №9. II ნაწ. მეორე თემა (ტერციები);

3. ფ. შუბერტი. სიმფონია №8 „დაუმთავრებელი“. II ნაწილი, დამხმარე პარტია (ტერციები).

ბავშვები, მოცემულ აუდიოფრაგმენტებში, ამოიცნობენ ინტერვალებს და საუბრობენ, რა განწყობას ქმნიან ისინი და როგორ მხატვრულ სახესთან შეიძლება დავაკავშიროთ. ბავშვები პასუხობენ კითხვებს და რამდენიმე წინადადებით დაახასიათებენ შეთავაზებულ მუსიკას:

1. როგორია მელოდიური ხაზი (გაშლილი, მღერადი);
2. როგორია რიტმი (მშვიდი);
3. როგორ ტემპშია დანერგილი (ჩქარი, ნელი თუ ზომიერი);
4. როგორი ჰარმონიაა ფრაგმენტებში: კონსონანსი თუ დისონანსი;
5. რა მსგავსებასა და რა განსხვავებას ხედავენ წარმოდგენილ ფრაგმენტებში;
6. შესრულების რა ფორმაა გამოყენებული თითოეულ მათგანში (ვოკალური, ინსტრუმენტული, სოლო, კამერული, საანსამბლო, საორკესტრო).

შემდეგ, ბავშვები განმეორებით ისმენენ ფრაგმენტებს და ეცდებიან, მოსმენილი მუსიკა მიუ-სადაგონ სანოტო ჩანაწერებს.



ფ. შუბერტი



ი. ბრამსი



ა. დვორჟაკი

შუბერტი „დაუმთავრებელი სიმფონია“

ზომიერად

pp

ბრამსი IV სიმფონია, I ნაწ.

დვორჟაკი. IX სიმფონია, II ნაწ.

 ბავშვები უყურებენ ვიდეოს – ფ. შუბერტი. სიმფონია №8 „დაუმთავრებელი“. შუბერტის სიმფონია, ტრადიციული ოთხნაწილიანი ციკლის ნაცვლად, ორი ნაწილისაგან შედგება. კომპოზიტორმა მესამე და მეოთხე ნაწილების ესკიზებიც შექმნა, მაგრამ მათზე მუშაობა არ გააგრძელა, რადგან ჩათვალა, რომ სიმფონიის ჩანაფიქრი ამოწურა. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, კომპანია „Huavei“-მ, შუბერტის სიმფონიის ანალიზის საფუძველზე, შექმნა მესამე და მეოთხე ნაწილები. კომპანიის ახალი პროდუქციის პრეზენტაციაზე ჩატარებულ კონცერტზე, სიმფონიურმა ორკესტრმა შუბერტის სიმფონიის ახალი „დაუმთავრებული“ ვერსია შეასრულა.

„ნამნამსა და ნამნამს შუა“

გაიმღერე და შეიყვარე ოპერა

სიმღერის შესწავლა: ზ. ფალიაშვილი. ანსამბლი „ნამნამსა და ნამნამს შუა“ ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.

ბავშვები უყურებენ ვიდეოს სპექტაკლიდან „აბესალომ და ეთერი“. შემდეგ, უსმენენ ამ ანსამბლს ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლეთა შესრულებით და მინუს ფონოგრამაზე, შეძლებისდაგვარად, მღერიან.

ნამნამსა და ნამნამს შუა

Andante grazioso

აბესალომ

p

წამ - წამ - სა და წამ - წამს შუ - ა

Piano

p

აბეს.

mf

ბა - ღი გა - გი - შე - ნე - ბი - ა, ე - თე - რის მო -

p

ბრძა - ნე - ბის - თვის მად - ღი მო - მი - სხე - ნე - ბი -

70. *p*
 სო. წამ - - - წამ - სა და წამ - - - წამს შე - - - ა
 აბგ. ა. წამ - წამ - სა და წამ - წამს შე - - - ა

mf *p*
 ბა - - - ღო ბა - - - გო - შე - - - ნე - ბო - - - ა,
mf
 ბა - ღო ბა - - - გო - - - შე - ნე - ბო - - - ა,

ა - - - ბე - სა - - - ლო - მის ნა - ხეობ - - - თვობ
 ე - - - თე - რის მო - ბრძა - - - ნე - პის - - - თვობ

mf

მარ. *mf*
 წამ - წამ - სს და -

მად - ლო მი ³ - მი - სსე - ნე - ბო - ა. წამ - წამს

ნათ. *mf*
 წამ - წამ - სს და

მად - ლო მი - - - მი - სსე - ნე - ბო - ა. წამ - წამს

f

წამ - წამს შუ - ა ბა - ლო გა - გო - შუ - ნე - ბო - ა,

შუ - - - ა ბა - გო - შუ - ნე - ბო - ა,

წამ - წამს შუ - ა ბა - ლო გა - გო - შუ - ნე - ბო - ა,

შუ - - - ა ბა - გო - შუ - ნე - ბო - ა,

ე - თე - რის მთ - ჰრძა - ნე - ბის - თვის მად - ლი მო ³ - გვი -
 ა - ბე - სა - ლო - მის ნა - ხვის - თვის მად - ლი მო ³ - მი -
 ე - თე - რის მთ - ჰრძა - ნე - ბის - თვის მად - ლი მო - გვი -
 ე - თე - რის მთ - ჰრძა - ნე - ბის - თვის მად - ლი მო - მი -

ხსე - ნე - ბი - ა. წამ - წამს შე - - - - ა
 ხსე - ნე - ბი - ა. და წამ - წამს შე - ა
 ხსე - ნე - ბი - ა. წამ - წამს შე - - - - ა
 ხსე - ნე - ბი - ა. და წამ - წამს შე - ა

Sua

p

ბა - - - ღო ბა - - - გო - შე - - - ნე - ბო - ა.

p

ბა - - - გო - შე - - - ნე - ბო - - - ა.

p

ბა - - - ღო ბა - - - გო - შე - - - ნე - ბო - ა.

mf

ბა - - - გო - შე - ნე - ბო - - - - ა.

ე - - - თე - რის მთ - ღრძა - - - ნე - ბის - - - თვის

ა - - - ბე - ხა - - - ლო - მის ნა - ხვის - - - თვის

ე - - - თე - რის მთ - ღრძა - - - ნე - ბის - - - თვის

ე - - - თე - რის მთ - ღრძა - - - ნე - ბის - - - თვის

mf

მად - - - ლო - - - მო - - - გვი - - - ხე - - - ნე - - - ბო - - - ა.

mf

მად - - - ლო - - - მო - - - მი - - - ხე - - - ნე - - - ბო - - - ა.

მად - - - ლო - - - მო - - - გვი - - - ხე - - - ნე - - - ბო - - - ა.

mf

მად - - - ლო - - - მო - - - მი - - - ხე - - - ნე - - - ბო - - - ა.

mf

cresc.

rit. *p* **Tempo I**

მად - ლო მო ³ - გვი - ხე - ნე - ბო - ა.

rit. *p*

მად - ლო მო - ³ - - მი - ხე - ნე - ბო - ა. წამ - წამ - ხა და

rit. *p*

მად - ლო მო - - - გვი - ხე - ნე - ბო - ა.

rit. *p* *p*

მად - ლო მო - - - მი - ხე - ნე - ბო - ა. წამ - წამ -

rit. *sf* *pp*

p

ბა - ღო გა - - - გო -

წამ - წამს შუ - - - ა. ბა - - - ღო გა - - - გო -

p

ბა - ღო გა - - - გო -

სა ღა წამ - წამს შუ - - - ა. ბა - - - ღო

pp

- შუ - ნე - ბო - ა. ბა - ღო გა - გო - შუ - ნე - ბო - ა.

pp

შუ - ნე - ბო - ა. ბა - ღო გა - გო - შუ - ნე - ბო - ა.

pp

- შუ - ნე - ბო - ა. ბა - ღო გა - გო - შუ - ნე - ბო - ა.

pp

გა - გო - შუ - ნე - ბა - ღო გა - გო - შუ - ნე - ბო - ა.

sempre legato

pp

Musical score for the first system, featuring four vocal staves and a piano accompaniment. The vocal parts have lyrics in Georgian script. The piano part includes a *molto cresc.* marking.

Musical score for the second system, featuring four vocal staves and a piano accompaniment. The vocal parts are marked with *fp*. The piano part includes *ff* and *pp* markings, and a *rall.* marking.

ქვეთემა: სიძულვილის ინტონაციები მუსიკაში

მიზანი: მოსმენილ ფრაგმენტებში მუსიკალური თემების დაკავშირება სიყვარულისა და სიძულვილის სახეებთან. კონტრასტულ მუსიკალურ სახეებზე, მუსიკალური ენის თავისებურებებზე მსჯელობა. მოსმენილ ფრაგმენტებში ინტერვალების ამოცნობა, მათი ჟღერადობის დაკავშირება სხვადასხვა განწყობასა და მხატვრულ სახესთან, ინტერვალების გამლერება. პოპულარულ მელოდიებზე შექმნილი სხვადასხვა ინტერპრეტაციის მოსმენა და ამოცნობა.

მისაღწევი შედეგები: მუს.საბ.4.5. მუს.საბ.1.2.


სიძულვილის ინტონაციები მუსიკაში

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.







ხანგრძლივობა: 45 წთ.

1. **რიტმული მოთელვა:** გაკვეთილი იწყება რიტმული მოთელვით – ზომა 4/4.

2. **რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო:** ბავშვები ტაშითა და კაკუნით ასრულებენ რიტმულ სურათს მარცვლების დასახელებით.



გაიმლერეთ ინტერვალები



დაადგინეთ მოცემულ მაგალითებში:

- რომელი ინტერვალებია ჰარმონიულ და რომელია მელოდიური განლაგებით?
- რომელი ინტერვალებია აღმავალი მიმართულებით და რომელი დაღმავალი?
- მოცემული ინტერვალები კონსონანსურია თუ დისონანსური?


გაიხსენეთ კონსონანსი და დისონანსი.

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, კარგად დაიმახსოვრონ ინტერვალების უღერადობა და შესაბამისად, დაახასიათონ ისინი. იმსჯელონ, რა შეგრძნებებს იწვევს ეს ინტერვალები მათში და მიუსადაგონ თავიანთი შეგრძნებები სვეტებში წარმოდგენილ სიტყვებს:

- | | |
|-----------------|---------------|
| 1. შიში | 1. სიმშვიდე |
| 2. სევდა | 2. სილალე |
| 3. სიძულვილი | 3. სილამაზე |
| 4. განგაში | 4. ჰაეროვნება |
| 5. სასონარკვეთა | 5. სიყვარული |

მოისმინეთ სამი ნაწარმოების აუდიოფრაგმენტი;


1. ს. პროკოფიევი. ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“. რაინდთა ცეკვა;
2. ლ. ვან ბეთჰოვენი. უვერტიურა „ეგმონტი“. შესავალი;
3. ო. თაქთაქიშვილი. ოპერა „მინდია“ IV მოქმედების ფინალური სცენა.



ლ. ვან ბეთჰოვენი



ს. პროკოფიევი




ო. თაქთაქიშვილი

ბავშვები უსმენენ მუსიკას, ამოიცნობენ ნაცნობ ინტერვალებს და მსჯელობენ, რა განწყობასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ინტერვალები მოცემულ ფრაგმენტებში: **სიძულვილი, სიყვარული, სიჯიუტე, სიმკაცრე, ლმობიერება, ჩივილი...**


ო. თაქთაქიშვილი „მინდია“

სისხლის ალების ადათის თემა.



ს. პროკოფიევი „რომეო და ჯულიეტა“

მტრობის თემა





დააკვირდი და განსაჯე, რამდენად შეესაბამება მოსმენილი ფრაგმენტები და შენი შეგრძნებები ნაწარმოებებში გადმოცემულ ისტორიებს:

1. ბეთჰოვენის უვერტიურა „ეგმონტი“ ესპანელი დამპყრობლებისა და ჩაგრული ფლამანდიელების ბრძოლის ამბავია. გმირი ეგმონტი სიცოცხლეს წირავს ფლამანდიელი ხალხის თავისუფლებას.

2. თაქთაქიშვილის ოპერის მთავარი მოქმედი პირი მინდია, ძველი ადათისა და სოფლის მოთხოვნით, იძულებულია, შეერკინოს ჩაღბიას და მოკლას იგი. სისხლის ალების შემდეგ, მინდია კარგავს უდიდეს ნიჭს - ბუნების ხმების გაგების უნარს.

3. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“, რომელიც ეყრდნობა ინგლისელი დრამატურგის შექსპირის ტრაგედიას სიყვარულსა და ტრაგიკულ სიკვდილზე, ცეკვის ენით ასახავს დაპირისპირებას - რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულსა და მათი ოჯახების - მონტეკებისა და კაპულეტების - მტრობას შორის.

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, კვლავ გაიხსენონ ინტერვალები, რომლებიც ხშირად სასიყვარულო ლირიკული გრძნობების გამოხატვასთან არის დაკავშირებული. შეადარონ ისინი ინტერვალებს **პ.2** და **დ.7** და იმსჯელონ ამაზე.



პ. ჩაიკოვსკი. ქორეოგრაფიული დადგმა „რომეო და ჯულიეტა“

LMMS: ამ აქტივობაში წარმოდგენილია რვატაქტიანი მელოდია, რომელიც შექმნილია LMMS-ის შიდა სინთეზური სემპლებით. II, IV, VI და VII ტაქტები გამოტოვებულია.

მიზანი: ბავშვებმა თავიანთი ფანტაზიით, იმპროვიზირებულად შეავსონ გამოტოვებული ტაქტები.

„რომეო და ჯულიეტა“

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა

ხანგრძლივობა: 45 წთ.

უილიამ შექსპირის პიესა „რომეო და ჯულიეტა“ საფუძვლად დაედო პ. ჩაიკოვსკის უვერტიურა-ფანტაზიას.

 ბავშვები ისმენენ ნაწარმოების თემებს და დაადგენენ, რომელი მუსიკალური თემა რომელ მხატვრულ სახესთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.



პ. ჩაიკოვსკი

ეს თემებია:

1. შესავლის ბედისწერის თემა, რომელიც სიყვარულის ამბის ტრაგიკულ დასასრულს მოასწავებს;
2. პადრე ლორენცოს თემა – ქორალური წყობის, აუჩქარებელი ტემპის, ჩაფიქრებული;
3. ორი შეურიგებელი გვარის – მონტეკეებისა და კაპულეტების მტრობისა და სიძულვილის თემა;
4. სიყვარულის თემა, რომელიც ლირიკულ სახეს გამოხატავს, უაღრესად ნაზი და მღერადი;
5. ფინალის თემა.


თემები დააკავშირეთ სიყვარულისა და სიძულვილის სახეებთან. იმსჯელეთ კონტრასტულ მუსიკალურ სახეებზე, მუსიკალური ენის თავისებურებებზე და მათ დამახასიათებელ ნიშნებზე; როგორია ინტონაცია, მელოდია, ჰარმონია, ფაქტურა, დინამიკა.

მიაქციეთ ყურადღება უვერტიურის ფინალს. იგი მთავრდება: ა) ტრაგიკული თემით თუ ბ) ნათელი, ამალღებული ჰიმნით, რომელიც უმღერის სიყვარულს და რომელიც სიძულვილსა და მტრობას ამარცხებს.

 უყურეთ ვიდეოფრაგმენტს ქორეოგრაფიული სპექტაკლიდან, რომელიც პ. ჩაიკოვსკის უვერტიურის მუსიკაზეა აგებული. ვიზუალურ მხარეზე დაკვირვებით, დაადგინეთ, რამდენად სწორად ამოიცანით მხატვრული სახეები მუსიკალურ თემებში.

დააკვირდით ორი თემის სანოტო ჩანაწერს. გაანალიზეთ მელოდიის ინტერვალები, რიტმი, გრძობები და დინამიური ნიუანსები. რომელია სიყვარულის თემა და რომელი – მტრობისა და დაპირისპირების? დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე?

სიყვარულის თემა

1 

Allegro giusto

მტრობისა და სიძულვილის თემა

2 

მუსიკალური ლექსიკონი:

უვერტიურა ფრანგული სიტყვაა და შესავალს, დასაწყისს ნიშნავს.

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

სიყვარულის კიდევ ერთ ისტორიას გვიამბობს იტალიელი კომპოზიტორის ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტურანდოტი“. ოპერის მოქმედება ძველ ჩინეთში ხდება, ამიტომ პუჩინიმ ოპერის პარტიტურაში შეიტანა ტრადიციული ჩინური საკრავები და მელოდური ინტონაციები. მოქმედების ადგილის ატმოსფეროს შექმნისათვის კომპოზიტორმა იტალიური მუსიკალური ენა უძველესი ჩინური მუსიკის ხუთბგერიანი გამით პენტატონიკით გაამდიდრა.



ჯ. პუჩინი (1858-1924)



ჯ. პუჩინიმ პირველად მოისმინა ტრადიციული ჩინური მელოდები მუსიკალური ზარდახშის მეშვეობით, რომელიც მას ჩინეთში მომსახურე იტალიის ელჩმა მიართვა. მათგან სამი მელოდია პუჩინიმ გამოიყენა თავის უკანასკნელ ოპერა „ტურანდოტში“. ერთ-ერთ მელოდias პოეტური სახელი „უასმინის ყვავილი“ ჰქვია.



პუჩინის მუსიკალური ზარდახშა

ტრადიციული ჩინური მელოდია „უასმინი“.

მელოდია ოპერის რამდენიმე ეპიზოდში გვხვდება, თავდაპირველად მას ბავშვთა გუნდი მღერის, შემდეგ კი პრინცესა ტურანდოტის ლაიტმოტივად იქცევა.

ოპერა მოგვითხრობს ძალიან ლამაზი, მაგრამ დაუნდობელი პრინცესა ტურანდოტის და პრინცი კალაფის ისტორიას... ტურანდოტის გადანყვეტილებით, ცოლად მხოლოდ მას გაჰყვება, ვინც მის სამ გამოცანას გამოიცნობს.

პრინცესას სილამაზით მოხიბლულმა არაერთმა დიდებულმა სცადა ბედი, მაგრამ არასწორი პასუხების გამო, ისინი სასტიკად დაისაჯნენ. უკვე ცამეტმა ახალგაზრდამ დაასრულა ასე სიცოცხლე და მიუხედავად ამისა, შეყვარებული კალაფი ყველაფრისთვის მზადაა. იგი არ ერიდება სასიკვდილო ხიფათებსაც. დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, კალაფი ტურანდოტის ყველა გამოცანას ამოხსნის, მაგრამ ტურანდოტი კვლავ უარს აცხადებს – მან ხომ პრინცის სახელიც კი არ იცის! მაშინ ვაჟი შესთავაზებს – თუ პრინცესა დილამდე გაიგებს მის სახელს, იგი მზადაა მოკვდეს. ტურანდოტი თანხმდება. ყველა განთიადის მოლოდინშია...

ამ დროს გაისმის კალაფის სიტყვები – Nessun dorma! – არავინ არ უნდა დაიძინოს! „... ჩემი სახელი უცნობია და გაგიმხელთ, როცა გათენდება! მე გაგანდობ მას, როცა ინათებს!...“ პრინცი მართლაც გაამხელს თავის სახელს, ტურანდოტი კი აცხადებს, რომ უცნობი პრინცის სახელი... ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა !

ამგვარად, კალაფი შეძლებს სასტიკი პრინცესას გულის გათბობას და მასში სიყვარულის გრძნობის გაღვივებას.



სცენა ოპერიდან „ტურანდოტი“

კალაფის არია „Nessun dorma!“.



მოსმენა: აქტივობა. მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ამ ფრაგმენტებს სხვადასხვა თანმიმდევრობით;

1. ტურანდოტის არია *In questa reggia* – „ამ დედაქალაქში“. ტურანდოტის პირველი გამოსვლა - აღწერს გარეგნულად ლამაზი, ამაყი და ამავე დროს, მკაცრი და გულქვა, სასტიკი ახალგაზრდა პრინცესას სახეს;
2. მანდარინების (მინისტრების) – პინგ, პანგისა და პონგის ანსამბლი-ტრიო, მღერიან უნი-სონში, აგებულია პენტატონიკაზე
3. ლიუს არია *Signore, acosta* – „ო, ჩემო ბატონო!“ – ლიუ ახალგაზრდა მოახლე გოგონაა, რომელსაც თავდავინყებით უყვარს კალაფი.
4. ბავშვთა გუნდი.
5. კალაფის არია *Nessun dorma!*
6. ოპერის ფინალური სცენა.

ბავშვები მოისმენენ მუსიკალური ნომრებს ოპერიდან და მიუსადაგებენ თითოეულ ფრაგმენტს შემდეგ წინადადებებს:

1. გუნდი უმღერის მშობლიურ ბუნებას;
2. არია გარეგნულად ლამაზ, ქედუხრელ და ამასთან მბრძანებლურ, გულქვა და მკაცრ სახეს ქმნის;
3. კომიკური ხასიათის ტრიო პენტატონიკურ მოტივზეა აგებული;
4. მგრძობიარე და ნაზი ინტონაციები ახალგაზრდა ქალის სიყვარულსა და ერთგულებას გამოხატავს;
5. სიყვარულის სადიდებელი ჰიმნი შეიძლება ვუნოდოთ არიას, რომელიც აღსავსეა იმედი-თა და რწმენით, სიამაყითა და და სიხარულით. „ჩემი საიდულო ჩემშია, ვერვინ გაიგებს ჩემს სახელს“. არიას მღერის... (დაასრულე წინადადება);
6. სადღესასწაულო ხასიათის გუნდი უმღერის სიცოცხლესა და სიყვარულს.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დააკვირდნენ სანოტო მაგალითებს და უპასუხონ კითხვებს:

1. რომელ ფრაგმენტში ვლინდება ჩინურ ტრადიციულ მუსიკასთან კავშირი და ისმის პენტატონიკა? (ლიუს არია);
2. შეგიძლია, ინტერვალზე დაკვირვებით თქვა, ოპერის რომელ მოქმედ პირებს ეკუთვნის არიებიდან ფრაგმენტები? როგორ ხასიათს ქმნიან ეს ინტერვალები?

ტურანდოტის არია

1

ლიუს არია

2

კალაფის არია

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

აქტივობა: „Nessun dorma“ საუკეთესო ნომერია არა მარტო ოპერა „ტურანდოტში“, იგი მსოფლიო მუსიკის პოპულარულ არიათა რიცხვსაც მიეკუთვნება.

მას, საოპერო მომღერლების გარდა, სხვა სტილისა და მიმართულების მუსიკოსებიც ასრულებენ, დანყებული ჯაზიდან, მძიმე როკმუსიკის ჩათვლით. კალაფის არია კინოფილმებშიც უღერს.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, მოუსმინონ Nessun dorma-ს განსხვავებულ, არაკლასიკურ ინტერპრეტაციებს (სოულისა და მძიმე როკის სტილში):

 ბავშვები უყურებენ ვიდეოებს, სადაც არია Nessun dorma უღერს და მის ინტონაციას ამოიცნობენ.

1. **არეტა ფრანკლინი.** „Soul- infused“ ვერსია შესრულებული გრემის დაჯილდოვებაზე.
2. **ჯგუფი Manovar. Warriors of The World.** 2002 წელი. (Manovar - ანსამბლი, რომელიც მიეკუთვნება მძიმე როკის მიმართულებას).
3. **Serenade „სერენადა“ მარიო ლანცას მონანწილებით** (არია დაკავშირებულია ფილმის კადრის ლირიკულ-სასიყვარულო განცდასთან).

ბავშვები ამოიცნობენ კალაფის არიის თემას. აღნიშნავენ, როგორ თანხვედრაშია მუსიკა ვიდეოფრაგმენტების სხვადასხვა კადრში მოცემულ ქმედებასა და განწყობასთან:

1. თანხვედბა თუ არა მუსიკა ვიდეოფრაგმენტის შინაარსს, თუ მასთან კონტრასტს ქმნის?
2. რა გრძობასთან არის დაკავშირებული – სიყვარულისა თუ სიძულვილის?
3. როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს არიის ასეთი პოპულარობის მიზეზი?



Nessun dorma - Manowar - Gods of Metal



ა. ფრანკლინი - „Nessun Dorma“

ინფორმაციისათვის: პენტატონიკა (ბერძნ. „ხუთი ტონი“) ერთ-ერთი უძველესი ხუთსაფეხურიანი ინტერვალური სისტემაა. ამ კილოს ბგერები მთელი ტონებითაა განლაგებული და არ შეიცავს ნახევარტონებს. **პენტატონიკა** საფუძვლად უდევს აღმოსავლეთის ხალხების (ჩინეთის, ვიეტნამის, მონღოლეთის) ტრადიციულ მუსიკას. გვხვდება ევროპის მუსიკალურ ფოლკლორში და ქართულ ხალხურ მუსიკაშიც. პენტატონიკა საქართველოში შემორჩენილია, ძირითადად, მთის დიალექტებში, განსაკუთრებით ხევსურეთში, თუმცა მთელტონიანი საქცევები მცირე დიაპაზონში თითქმის ყველა კუთხის სიმღერებშია. ხევსურულ დიალექტში გვხვდება ნახევარტონის შემცველი **პენტატონიკაც**. მაგ; მი-ფა-ლა-სი-რე.

აკადემიური მუსიკის კომპოზიტორები, მე-19 საუკუნიდან, **პენტატონიკას** იყენებენ როგორც განსაკუთრებულ ელფერს – ზოგჯერ, სიძველის, არქაულობის ხაზგასასმელად, ზოგჯერ კი – მუსიკისათვის აღმოსავლური იერის მისანიჭებლად. ასეთია, მაგ; **კ. დებიუსის** „სპილოს იავნანა“ („საბავშვო კუთხიდან“); **ე. გრიგის** „დილაში“ კი ეს კილო ბუნებრივი სილამაზისა და სინამდის გამომხატველია. **პენტატონიკა** გვხვდება **ფ. შოპენის**, **პ. ჩაიკოვსკის**, **ნ. რიმსკი-კორსაკოვის**, **ბ. ბარტოკის** და სხვა კომპოზიტორთა შემოქმედებაში, ასევე ჯაზსა და როკ-მუსიკაში. ქართველ კომპოზიტორთაგან კი აღსანიშნავია **შ. მშველიძე** და **ო. თაქთაქიშვილი**.

ქვეთემა: სიმფონიზმი

მიზანი: პროგრამული სიმფონიზმის, სხვადასხვა ჟანრის მცირე და დიდი ფორმის ნაწარმოებების გაცნობა. მუსიკალურ ნაწარმოებში მუსიკალური სახეების, მუსიკალური აზრის განვითარების (ძირითადი მუსიკალური თემების გამეორება და სახეცვლა) ხერხებზე მსჯელობა.

მისაღწევი შედეგები: მუს.საბ.4.5.

„ფანტასტიკური სიმფონია“

რესურსი: მოსწავლის წიგნი; აუდიო და ვიდეომასალა.

ხანგრძლივობა: 45 წთ.

ფრანგმა კომპოზიტორმა ჰექტორ ბერლიოზმა თავის პირველ სიმფონიას ქვესათაურად დაურთო „**ეპიზოდური არტისტის ცხოვრებიდან**“. ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათის არის და დაკავშირებულია ახალგაზრდა კომპოზიტორის სასიყვარულო განცდებთან, ინგლისელ მსახიობ ჰარიეტ სმიტსონის მიმართ. ბერლიოზმა ლიტერატურულად აღწერა სიმფონიის შინაარსი, რათა უფრო თვალსაჩინოდ გამოეხატა თავისი გრძნობები.



ჰ. ბერლიოზი



ჰ. სმიტსონი - ინგლისელი მსახიობი ბერლიოზის მუზა



მოისმინე ფრაგმენტები სიმფონიის ხუთი ნაწილიდან და შეუსაბამე თითოეული ნაწილისათვის განკუთვნილ აღწერას:

I ნაწილი. შეყვარებული ყმანვილი ოცნებასა და ტანჯვას შეუპყრია. იგი სულიერ შფოთვას განიცდის, რადგან მისი სიყვარული ცალმხრივია;

II ნაწილი. სიყვარულში იმედგაცრუებული ახალგაზრდა, სატრფოს დავინწყებას ცდილობს და მეჯლისზე მიდის. საზეიმო განწყობას ქმნის ცეკვა ვალსი;

III ნაწილი. ახალგაზრდა არტისტი ბუნებაში განმარტოვდა, რათა სიმშვიდე ჰპოვოს. იგი ნეტარებით უსმენს მწყემსების სალამურების გადაძახილს;

IV ნაწილი. სასონარკვეთილ ყმანვილს ერგენება, რომ სატრფო მოკლა და სიკვდილი მიუსაჯეს. დოლების დარტყმის ფონზე, ჯარისკაცების თანხლებით, იგი ეშაფოტისაკენ მიემართება;

V ნაწილი. ყმანვილი აჩრდილებისა და კუდიანების გარემოცვაშია. ჯოჯოხეთში მოხვედრილი ნაზი სატრფოც ალქაჯად ქცეულა.

კომპოზიტორმა თავისი აკვიატებული იდეა – სატრფოს სახე – მუსიკაში **ლაიტმოტივად** აქცია. მუსიკალური თემა ყველა ნაწილში ჟღერს და სიუჟეტის მიხედვით, ხასიათს იცვლის. სატრფოს მელოდური მომხიბლავი თემა პირველად წარმოდგენილია სოლო ვიოლინოს პარტიით.

მუსიკალური ლექსიკონი:

ლაიტმოტივი (გერმ. *leitmotiv* – „ნამყვანი მოტივი“) – მუსიკალური მოტივი, ძირითადი თემა, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, გრძნობასა ან საგანთან და თან ახლავს მის გამოჩენას; იგი დროდადრო მეორდება; გვხვდება ოპერებში, ბალეტებსა და პროგრამულ მუსიკაში.

 მოუსმინე და დააკვირდი თემის სანოტო ჩანაწერს, მელოდიის რიტმულ მხარესა და ინტერვალებს. აღწერე, რა განცდებია მოცემული თემაში.

ჰ. ბერლიოზი. „ფანტასტიკური სიმფონია“. სატრფოს თემა. I ნაწილი

 მეორე სანოტო ჩანაწერში მოცემულია სატრფოს თემა სახეშეცვლილი სახით მეხუთე ნაწილიდან. მოისმინეთ და დაადგინეთ, რა ცვლილებებს განიცდის თემა და რატომ?

ჰ. ბერლიოზი. „ფანტასტიკური სიმფონია“ სატრფოს თემა. V ნაწილი

 მოისმინეთ კიდევ ერთი თემა სიმფონიიდან. ამოიცანით ინტონაცია. როგორ ფიქრობთ, რატომ უღერს ეს თემა სიმფონიის ამ ნაწილში?

Dies Irae

გაიხსენეთ, რა ინტერვალებზეა სვლა ამ ინტონაციაში. დააკვირდით სანოტო ჩანაწერებს და იმსჯელეთ რიტმზე, ზომაზე, ტემპრზე და მელოდიაზე (გამლილი, წყვეტილი).

„ფანტასტიკური სიმფონია“

I ნაწილი „ოცნებანი. ვნებანი“. „ფანტასტიკური სიმფონიის“ დასაწყისშივე გაიჟღერებს ინტონაციები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც სიყვარულის საოცნებო, სასიხარულო განცდასთან, ასევე ცალმხრივი სიყვარულით გამოწვეულ წუხილთან, ტანჯვასა და უიმედობასთან. პირველი გამოხატულია სატრფოს ლაიტმოტივით და ინტონაციური სვლით ინტერვალ სექსტაზე; მას „სიყვარულის სექსტა“ შეგვიძლია ვუწოდოთ. მეორე კი – სეკუნდების სევდიანი დაღმავალი სვლებია. სიმფონიის პირველ ნაწილს ხომ „ოცნებანი. ტანჯვანი“ დაარქვა კომპოზიტორმა.

II ნაწილი „მეჯლისი“. სიყვარულში იმედგაცრუებული ახალგაზრდა, სატრფოს დავინყებას ცდილობს და მეჯლისზე მიდის, მაგრამ აქაც შემთხვევით შეხვდება მას. საზეიმო განწყობას ქმნის ცეკვა ვალსი, რომელიც პირველად ბერლიოზმა გამოიყენა სიმფონიის ჟანრში. პირველად ორკესტრში, ამავე ნაწილში შემოიტანა ბერლიოზმა არფა. სატრფოს თემა, ვალსის რიტმისა და მოძრაობის შესაბამისად, სახეშეცვლილად გაისმის. ნაწილის დასასრულს, კოდაში, კვლავ მეორდება სიყვარულის თემა. ბავშვებმა ყურადღება მიაქციონ ტემბრებს – თემას ხის ჩასაბერები ასრულებენ, კოდაში – კლარნეტის სოლო.


III ნაწილი „სცენა მინდვრად“. ყმანვილი, ამჯერად, ბუნებაში, სრულ სიმშვიდეში განმარტოვდა, მაგრამ სიყვარულის აკვიატებული იდეა მაინც თან სდევს – სატრფოს სახე გამუდმებით მასთანაა. ორკესტრის პარტიაში, კვლავ სახეშეცვლილად, რამდენჯერმე გაისმის სატრფოს თემა და ახალგაზრდას სულს უფორიაქებს. ამჯერად, სატრფოს თემას ფლეიტა და ჰობოი ასრულებს. ამ ნაწილში, ბუნების სურათის შესაქმნელად, ბერლიოზმა კიდევ ერთი ახალი ჩასაბერი საკრავი – ინგლისური ქარახსა შემოიტანა.

IV ნაწილი „სვლა ეშაფოტზე“. სასონარკვეთილ ყმანვილს ეჩვენება, რომ იგი სატრფოს კლავს, რის გამოც, თავადაც სიკვდილით დასჯიან. ნაწილის ბოლოს, კვლავ, წამიერად გაიჟღერებს „სატრფოს თემა“, როგორც სიყვარულზე უკანასკნელი გაფიქრება. მუსიკა წყდება ლიტავრების, ლითონის თეფშებისა და დოლების „დარტყმით“. განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

V ნაწილი. ფინალი. „სიზმარი ღამით. ალქაჯების ღრეობა“. ყმანვილი მიცვალებულთა აჩრდილების და კუდიანების გარემოცვაშია. კვლავ გაისმის სატრფოს თემა, თუმცა, სრულიად ახლებურად. მშვიდი, მღერადი თემა დამცინავ, გროტესკულ, უხეშ სახედ გარდაიქმნება, რადგან ჯოჯოხეთში მოხვედრილი ნაზი სატრფო ველურ ალქაჯად ქცეულა. სახის გარდაქმნაში დიდი როლი აქვს კლარნეტის ტემბრს. გაისმის ზარების ხმა, მას *Dies irae*-ს („განკითხვის დღე“) პირქუში თემა მოსდევს. სიმფონია ველური ცეკვის გრიგალისებური ხმოვანებით მთავრდება. სიმფონიის შინაარსი, სიყვარულის იდეითა და სატრფოს თემით გაერთიანებული, ახალგაზრდა მუსიკოსის ზმანება ყოფილა.

ბერლიოზის ნაწარმოების სახელწოდებაა „ფანტასტიკური სიმფონია“, რადგან ყოველივე აღწერილი არის ახალგაზრდა არტისტის ფანტაზია, მისი ზმანება. თუმცა შემდგომში, სინამდვილეში, ჰარიეთ სმიტსონი ჰექტორ ბერლიოზის მეუღლე გახდა.

მუსიკალური გამოფენა - ირაკლი ფარჯიანი



ქრისტე აღსდგა



გენეტიკური კოდი



ჯვარცმა



ნათლილება



ნარება



ირაკლი ფარჯიანი

⚡ აარჩიე შენი მუსიკა. მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, დაათვალიერონ ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრები და თავად შეურჩიონ მუსიკა.

„სალამი ჩვენს მასპინძელსა“

გაიმღერე და შეიყვარე ოპერა



სიმღერის შესწავლა: ვ. დოლიძის გუნდი ოპერიდან „ქეთო და კოტე“.

ბავშვები უყურებენ ვიდეოფრაგმენტს ოპერიდან „ქეთო და კოტე“, გუნდი „სტუმრების შემოსვლა“. შემდეგ, ბავშვები უსმენენ გუნდის მინუს ფონოგრამას და მღერიან.

სალამი ჩვენს მასპინძელსა!
სალამი ჩვენს მასპინძელსა!
სალამი და დღეგრძელობა
ინებეთ კეთილი გულითა.

ღმერთმა მტრები შეგიმციროს
და კეთილი გაგიმრავლოს!
ღმერთმა მტრები შეგიმციროს
და კეთილი გაგიმრავლოს!

მუდამ იყოს ის დღეგრძელი,
ჩვენი კარგი მასპინძელი,
სახელი და გამარჯვება
ნუ მოაკლოს ღმერთმა.

სალამი ჩვენს მასპინძელსა!
სალამი ჩვენს მასპინძელსა!
სალამი და გამარჯვება
ჩვენს მასპინძელს - ვაშა!



კადრები ფილმიდან „ქეთო და კოტე“



ბავშვები უყურებენ ორ ვიდეოს – 1. გუნდი „სალამი ჩვენს მასპინძელსა“ – თბილისის საჯარო სკოლის ბავშვების შესრულებით

2. მაკარის სიმღერა „ფულები არის ჩვენი გამხარებელი“ – კინოფილმიდან „ქეთო და კოტე“.

ბავშვები უსმენენ სიმღერას და ამოიცნობენ, რა საკრავია გამოყენებული მის თანხლებაში. პასუხობენ კითხვაზე, როგორი ხმები ესმით: ბუნებრივი თუ მექანიკური? (სიმღერას თანხლებას, დასაწყისში, მექანიკური საათის ჟღერადობა უნევს).

სტუმრების შემოსვლა

Tempo di marziale

Piano

The first system of the musical score consists of two staves, Treble and Bass clef. The Treble staff begins with a series of chords, some of which are beamed together. The Bass staff features a steady eighth-note accompaniment. The dynamic marking *fff* is placed in the Treble staff. The system concludes with a double bar line.

The second system continues the piece. The Treble staff has a more active melodic line with some slurs. The Bass staff maintains its rhythmic accompaniment. The system ends with a double bar line.

The third system introduces triplet markings in both staves. The Treble staff has a triplet of eighth notes, and the Bass staff has a triplet of eighth notes. The system ends with a double bar line.

The fourth system continues with triplet markings in both staves. The Treble staff has a triplet of eighth notes, and the Bass staff has a triplet of eighth notes. The system ends with a double bar line.

The fifth system concludes the piece. It features triplet markings in both staves. The Treble staff has a triplet of eighth notes, and the Bass staff has a triplet of eighth notes. The system ends with a double bar line.

Piano accompaniment for the first system, featuring treble and bass staves with triplets and slurs.

Piano accompaniment for the second system, featuring treble and bass staves with triplets and slurs.

ff

S. A. სა - ლა-მი ჩვენს მას - პინ ძელ - სა! სა - ლა-მი ჩვენს მას - პინ ძელ - სა!

ff

T. B.

Vocal and piano accompaniment for the third system, including vocal lines for Soprano (S. A.) and Tenor (T. B.) and piano accompaniment with a fortissimo (*fff*) dynamic.

სა - ლა-მი - - - და დღე - გრძე-ლო - - - ბა

Vocal and piano accompaniment for the fourth system, including vocal lines and piano accompaniment.

ი - ნე - ბეთ კე - თი - ლი გუ - ლი - თა.

Detailed description: This system contains the first two lines of the musical score. The vocal line (top staff) has lyrics in Georgian: 'ი - ნე - ბეთ კე - თი - ლი გუ - ლი - თა.' The piano accompaniment (bottom two staves) features chords and a bass line with triplets in the final measure.

ღმერ - თმა მტრე - ბი შე - გიმ - ცი - როს

Detailed description: This system contains the second two lines of the musical score. The vocal line (top staff) has lyrics: 'ღმერ - თმა მტრე - ბი შე - გიმ - ცი - როს'. The piano accompaniment (bottom two staves) continues with chords and a bass line, including triplets in the vocal line and piano accompaniment.

და კე - თი - ლი გა - გიმ - რავ - ლოს!

Detailed description: This system contains the final two lines of the musical score. The vocal line (top staff) has lyrics: 'და კე - თი - ლი გა - გიმ - რავ - ლოს!'. The piano accompaniment (bottom two staves) concludes with chords and a bass line, featuring triplets in the vocal line and piano accompaniment.

ღმერ - თმა მტრე - ბი შე - გიმ - ცი - როს

და კე - თი-ლი გა-გიმ-რავ - ლოს! მე - დამ ი - ყოს

ის დღე - გრძე - ლი წვე - ნი კარ - გი მას - პინ - ძე-ლი

სა - ხე - - - ღი და გა - მარ - ჯგე - ბა

ნუ მო - - - აკ - ლოს ღმერ - თმა!

სა - ლა - მი ჩვენს მას - პინ - ძელ - სა!

სა - ლა - მი ჩვენს მას - პინ - ძელ - სა!

The first system of the musical score consists of four staves. The top two staves are for the vocal line, with the lyrics 'სა - ლა - მი ჩვენს მას - პინ - ძელ - სა!' written below. The bottom two staves are for the piano accompaniment, showing chords and melodic lines in both hands.

სა - ლა - მი და გა - მარ - ჯვე - ბა ჩვენს მას - პინ - ძელს

The second system of the musical score consists of four staves. The top two staves are for the vocal line, with the lyrics 'სა - ლა - მი და გა - მარ - ჯვე - ბა ჩვენს მას - პინ - ძელს' written below. The bottom two staves are for the piano accompaniment, showing chords and melodic lines in both hands.

სა - ლა - მი ვა - შა!

The third system of the musical score consists of four staves. The top two staves are for the vocal line, with the lyrics 'სა - ლა - მი ვა - შა!' written below. The bottom two staves are for the piano accompaniment, showing chords and melodic lines in both hands. The system concludes with a double bar line.

სავარჯიშოები რიტმული მოთელვისთვის

რიტმული სავარჯიშო 2/4 ზომაში

The musical exercise consists of eight staves of music in 2/4 time. The first staff starts with a treble clef and a 2/4 time signature. The music consists of quarter notes and eighth notes, with vertical bar lines separating measures. The eighth notes are beamed together in pairs. The exercise ends with a double bar line on the eighth staff.

რიტმული სავარჯიშო 3/4 ზომასში

The image displays a rhythmic exercise in 3/4 time, consisting of eight staves of music. The first staff begins with a treble clef and a 3/4 time signature. The notation is as follows:

- Staff 1: Quarter, quarter.
- Staff 2: Quarter, quarter.
- Staff 3: Quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter.
- Staff 4: Quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter.
- Staff 5: Eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter.
- Staff 6: Eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter.
- Staff 7: Quarter, quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter.
- Staff 8: Quarter, quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter, quarter, eighth, eighth, quarter.

რიტმული სავარჯიშო 4/4 ზომაში



$7 = 3 + 2 + 2$ ან პირიქით

Musical notation for 7/8 time signature. The top staff contains a sequence of eighth notes and quarter notes. The bottom staff contains a sequence of quarter notes and eighth notes.

$5 = 3 + 2$ ან პირიქით

Musical notation for 5/8 time signature. The top staff contains a sequence of eighth notes and quarter notes. The bottom staff contains a sequence of quarter notes and eighth notes.

Musical notation for 3/4 time signature. The top staff contains a sequence of quarter notes and eighth notes. The bottom staff contains a sequence of quarter notes and eighth notes. Measures are labeled 1 and 2.

Musical notation for 3/4 time signature. The top staff contains a sequence of quarter notes and eighth notes. The bottom staff contains a sequence of quarter notes and eighth notes. Measures are labeled 2 and 3.

Musical notation for 4/4 time signature. The top staff contains a sequence of quarter notes and eighth notes. The bottom two staves contain a sequence of quarter notes and eighth notes. Measures are labeled A and B.

რიტმული კანონი

კანონი

ფრანგული ხალხური სიმღერა

გაიმღერეთ ორ ხმაში



LMMS: არსებული მელოდია შექმნილია LMMS-ის შიდაპროგრამული სინთეზური ხმებით.

მიზანი: ბავშვებმა უნდა მოახერხონ ამ მელოდის სხვადასხვა რიტმული მონახაზით გადაკეთება-იმპროვიზაცია, ნიმუშის მიხედვით.

მუსიკალური ლექსიკონი:

კანონი (ლათ. „ნესი“) – მუსიკაში ერთი და იგივე მელოდის შესრულება ორ ან მეტ ხმაში, როდესაც ყოველი შემდეგი ხმა 2 ან 3 ტაქტის დაგვიანებით იმეორებს იგივე მელოდias.

შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები

მუსიკალური რიტმი, მელოდია, ტემპრი

გაკვეთილი 19

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით) :

შეფასების კრიტერიუმები:

მუსიკალური რიტმი, მელოდია, ტემპრი		
მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა და მის ხასიათზე, განწყობაზე მსჯელობა	მოსმენილ მუსიკალურ ნაწარმოებში მელოდიური ხაზის, რიტმისა და ტემპრის დახასიათება	მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხების როლი მხატვრული სახის შექმნაში

ბუნებრივი და მექანიკური ხმების შედარება

გაკვეთილი 20

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით) :

შეფასების კრიტერიუმები:

ბუნებრივი და მექანიკური ხმების შედარება		
მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში ბუნებრივი და მექანიკური ხმების ამოცნობა	მუსიკის ხასიათსა და განწყობაზე მსჯელობა	მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხების დაკავშირება ბუნებრივ და მექანიკურ ჟღერადობებთან

ბუნებრივი და მექანიკური საწყისები მუსიკაში

გაკვეთილი 21

განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების კრიტერიუმები:

ბუნებრივი და მექანიკური ხმების საწყისები მუსიკაში		
მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში ბუნებრივი და მექანიკური ხმების ამოცნობა და აზრის დასაბუთება	მუსიკის ხასიათისა და განწყობილების მიხედვით, მოსმენილი ფრაგმენტების მისადაგება მოცემულ განმარტებებთან და წინადადებებთან	მუსიკალური ნაწარმოებების შედარება და მსჯელობა მათ დამახასიათებელ ნიშანთვისებებზე
3 ქულა	3 ქულა	4 ქულა

განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების კრიტერიუმები:

აღმოსავლეთ საქართველოს მთის სიმღერები		
მოსმენილ სიმღერებში ხმათა რაოდენობის და ჟანრის განსაზღვრა 3 ქულა	მოსმენილ სიმღერებში მელოდიის თავისებურებებზე მსჯელობა 3 ქულა	მოსმენილ სიმღერებში საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობა 4 ქულა

შტოქჰაუზენის ელექტრომუსიკა

გაკვეთილი 34

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით)

შეფასების კრიტერიუმები:

შტოქჰაუზენის ელექტრო მუსიკა		
მოსმენილ ფრაგმენტებში მუსიკის მიმართულებისა და ეპოქის განსაზღვრა	მოსმენილ ფრაგმენტებში შესრულების ფორმების (სოლო, საანსამბლო, საორკესტრო) განსაზღვრა	მოსმენილ ფრაგმენტებში ელექტრონული მუსიკის მიმართულების (აკადემიური, პოპულარული) განსაზღვრა

ისაო ტომიტას ელექტრონული მუსიკა

გაკვეთილი 35

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით)

შეფასების კრიტერიუმები:

ისაო ტომიტას ელექტრონული მუსიკა		
მოსმენილ ფრაგმენტებში მუსიკის მიმართულებისა და ეპოქის განსაზღვრა	მოსმენილ ფრაგმენტებში შესრულების ფორმების (სოლო, საანსამბლო, საორკესტრო) განსაზღვრა	მოსმენილ ფრაგმენტებში ელექტრონული მუსიკის მიმართულების (აკადემიური, პოპულარული) განსაზღვრა

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით)

შეფასების კრიტერიუმები:

ინტონაციური ფორმულები კინომუსიკაში		
კინოფრაგმენტებიდან ნაცნობი ინტონაციური ფორმულების ამოცნობა	ნაცნობი ინტონაციური ფორმულების მისადაგება მოცემულ განმარტებებსა და წინადადებებთან	მოსმენილი კინომუსიკის მისადაგება მოცემულ ფოტოებთან

განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების კრიტერიუმები:

სამი არია		
საოპერო არიების მოსმენა და მათ ხასიათზე მსჯელობა 3 ქულა	საოპერო არიების უხმო ვიდეოფრაგმენტებთან მისადაგება 3 ქულა	საოპერო არიების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე მსჯელობა 4 ქულა

განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების კრიტერიუმები:

კლასიკური მუსიკის გავლენა პოპმუსიკაზე		
კლასიკური მუსიკის ნიმუშების ამოცნობა და მათ ხასიათზე, განწყობაზე მსჯელობა 3 ქულა	პოპმუსიკის კომპოზიციების მოსმენა და მათ ხასიათზე, განწყობაზე მსჯელობა 3 ქულა	კლასიკური და პოპმუსიკის კომპოზიციების დაკავშირება 4 ქულა

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით)

შეფასების კრიტერიუმები:

პ. ჩაიკოვსკის „რომეო და ჯულიეტა“		
მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა და მის ხასიათზე, განწყობაზე მსჯელობა	მოსმენილ ნაწარმოებში სიყვარულისა და სიძულვილის გამომხატველი სახეების ამოცნობა	მოსმენილ ნაწარმოებში მუსიკალური თემების დაკავშირება ამა თუ იმ მხატვრულ სახესთან

ელექტრონული რესურსების სია

აუდიომასალა:

- 1.1. პროფესიული მუსიკა;
- 1.2. პროფესიული მუსიკა;
2. აუდიო - სხვადასხვა თემებისთვის:
 - 2.1. ხმა-ბგერები (ბუნებრივი და მექანიკური);
 - 2.2. საკრავთა ტემბრები (აკუსტიკური და სინთეზური);
 - 2.3. უძველესი და ტრადიციული მუსიკა;
 - 2.4. ქართული ფოლკლორი;
 - 2.5. გაიმღერე და შეიყვარე ოპერა;
 - 2.6. + - ფონოგრამები;
 - 2.7. სიმღერები კლასის კონცერტისათვის

LMMS აქტივობები

ვიდეომასალა:

1. ბუნებრივი ხმები;
 - 2.1. მექანიკური ხმები;
 - 2.2. მექანიკური ხმები. მექანიკური თოჯინები;
 - 2.3. მექანიკური ხმები;
- 3.1. ელექტრონული მუსიკა;
- 3.2. ელექტრონული მუსიკა;
- 3.3. ელექტრონული მუსიკა;
4. ოპერა;
5. გაიმღერე და შეიყვარე ოპერა;
- 6.1. კინომუსიკა;
- 6.2. კინომუსიკა.
7. ვიდეო - სხვადასხვა თემებისთვის:
 - 7.1. ინტონაციური ფორმულები;
 - 7.2. კლასიკა და პოპი;
 - 7.3. მსგავსება გამოსახულებასა და მუსიკას შორის;
 - 7.4. უძველესი და ტრადიციული მუსიკა;
 - 7.5. საქართველოს მთის კუთხეები;
 - 7.6. პ. ჩაიკოვსკი. „რომეო და ჯულიეტა“;
 - 7.7. პატარა ვირტუოზები.

P.S. ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი მითითებულია გაკვეთილებში, საქალაქდებში კი განთავსებულია თემატურად.

მუსიკალური ლექსიკონი

ა

- ადაჯიო** (იტალ. *adagio* – „ნელა“, „დინჯად“) – ნაწარმოების მშვიდ, ნელ ტემპში შესრულება.
- ავლოსი** – სალამურის ტიპის უძველესი ჩასაბერი საკრავი.
- აკომპანემენტი** (ფრანგ. *accompagnato* „თანხლება“) – მუსიკალური ნაწარმოების, მელოდიის ინსტრუმენტული თანხლება.
- აკომპანიატორი** – მუსიკოსი, რომელიც ინსტრუმენტულ თანხლებას უწევს სოლისტს.
- აკორდი** (იტალ. „შეთანხმება“) – სხვადასხვა სიმაღლის სამი ან მეტი ბგერების ერთდროული თანაჟღერადობა, ხმათა შეთანხმება, შეწყობა.
- ალეგრეტო** (იტალ. *allegretto*) – მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ზომიერად ჩქარი, მაგრამ ალევროზე ნელი ტემპი.
- ალეგრო** (იტალ.) – სწრაფად, ჩქარა შესრულებას ნიშნავს.
- ალტერაცია** (ლათ. *alterare* – „შეცვლა“) – მუსიკაში ბგერის 1/2 ან 1 ტონით ამაღლება ან დადაბლება. ალტერაციის ნიშნებია დიეზი, დუბლდიეზი, ბემოლი, დუბლბემოლი, ბეკარი.
- ალტი** – ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა.
- ანდანტე** (იტალ. *andante*) – ზომიერ ტემპში შესრულებას ნიშნავს.
- ანსამბლი** (ფრანგ. „ერთად“) – ერთად, შეთანხმებულად დაკვრა და სიმღერა.
- ანტიფონი** (ბერძნ. *anti* საპირისპირო და *phone* ხმა, ბგერა) – ორი გუნდის მიერ სიმღერის მონაცვლეობით შესრულება.
- ანტრაქტი** (ფრანგ. *entre* „შორის“, *acte* „აქტი“, „მოქმედება“) – სპექტაკლში მოქმედებებს შორის შესვენება.
- არია** (იტალ. „ჰაერი“, „ქარი“) – ოპერაში – სოლო სიმღერა.

ბ

- ბალეტი** (იტალ. *ballo* „ცეკვა“) – მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა, სადაც შინაარსი გადმოცემულია ცეკვითა და მოძრაობით, მუსიკის თანხლებით.
- ბანი** – მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.
- ბარიტონი** – მამაკაცის საშუალო სასიმღერო ხმა.
- ბეკარი** – ალტერაციის ნიშანი, რომელიც აბათილებს ალტერაციის ნიშნებს, დიეზსა და ბემოლს.
- ბემოლი** – ალტერაციის ნიშანი, რომელიც ადაბლებს ბგერის სიმაღლეს ნახევარი ტონით.

გ

- გამა** – ერთი ან რამოდენიმე ოქტავის ფარგლებში ბგერათა აღმავალი ან დაღმავალი თანმიმდევრობა.
- გასტროლი** (გერმ. „სტუმრის როლში ყოფნა“) – სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის (თეატრალური დასის, მუსიკალური ანსამბლის, ორკესტრის და ა.შ.) გამოსვლა.
- გლისანდო** (იტალ. *glissando* – „სრიალი“) – ადამიანის ხმით ან მუსიკალური საკრავით ბგერის შესრულების ხერხი, რომელიც იძლევა ფერადოვან, „დაცურებულ“ გადასვლას ბგერიდან ბგერაზე. სანოტო ჩანანერში აღინიშნება ტალღისებური ხაზით განაპირა ბგერებს შორის.
- გუნდი** – ვოკალისტთა დიდი ჯგუფი (არანაკლებ 12 შემსრულებლისა).

დ

- დიაპაზონი** (ბერძ. *dia pason chordon* „ყველა სიმის გავლით“) – ადამიანის ხმის ან მუსიკალური საკრავის ბგერთი მოცულობა. სხვადასხვა სიმაღლის ბგერების ერთობლიობა, რომელიც მისაწვდომია ამა თუ იმ საკრავის ან ხმისათვის. დიაპაზონის აღსანიშნავად საკმარისია ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი ბგერების დასახელება, რომლებიც მოცემულ საკრავს ან ადამიანის ხმას აქვს.
- დიეზი** – ალტერაციის ნიშანი, რომელიც ბგერას ამაღლებს ნახევარი ტონით.
- დირიჟორი** (ფრანგ.) – ორკესტრის ან გუნდის ხელმძღვანელი.
- დისკანტი** – ბავშვის მაღალი სასიმღერო ხმა.

დისონანსი (ლათ. dissono) – ორი ან მეტი ბგერის დაძაბული, არაკეთილხმოვანი უღერადობა. ასეთი ინტერვალებია: სეკუნდები, სეპტიმები, ნონა და ტრიტონები.

დუეტი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ორი მუსიკოსის მიერ ან ორი შემსრულებლისთვის დაწერილი ნაწარმოები.

2

ეთნომუსიკოლოგია – ეთნიკურ-მუსიკალური ტრადიციების შემსწავლელი მეცნიერება.

ეტიუდი (ფრანგ.) – მუსიკაში ინსტრუმენტზე დაკვრის ტექნიკის გასაუმჯობესებელი პიესა.

3

ვალსი (გერმ. „რწევა“, „ქანაობა“) – მე-19 საუკუნის გერმანულ-ავსტრიული სამეჯლისო ცეკვა.

ვარიაცია (ლათ. variatio „ცვლილება“) – მუსიკაში მელოდიის სხვადასხვა სახის ცვლილება.

ვოკალი (იტალ. vocale) – ხმა, ხმიანი

ი

იმიტაცია (ლათ. „მიბაძვა“) – მუსიკაში მიმსგავსებას, მიბაძვას ნიშნავს.

ინსტრუმენტული მუსიკა – მუსიკალური საკრავებით შესრულებული მუსიკა.

ინტერვალი (ლათ. Intervallum „მანძილი“, „შუალედი“) – მუსიკაში მანძილი ორ ბგერას შორის. ინტერვალს ახასიათებს ტონობრივი და საფეხურებრივი შემადგენლობა. ტონობრივი განსაზღვრავს ინტერვალში შემავალი ტონების რაოდენობას, ხოლო საფეხურებრივი შემავალი საფეხურების რაოდენობას.

ინტონაცია – მუსიკალური აზრის უმცირესი ნაწილაკი, რომელიც რამდენიმე ბგერისაგან შედგება და ნაწარმოების შინაარსს განსაზღვრავს.

კ

კამერული მუსიკა – (იტალ. camera „ოთახი“) – ინსტრუმენტული ან ვოკალური მუსიკა, რომელიც მცირე რაოდენობის შემსრულებლებისთვის არის შექმნილი და სრულდება მცირე ზომის სალონებსა თუ დარბაზებში.

კანონი (ლათ. „წესი“) – მუსიკაში ერთი და იგივე მელოდიის შესრულება ორ ან მეტ ხმაში, როდესაც ყოველი შემდეგი ხმა 2 ან 3 ტაქტის დაგვიანებით იმეორებს იგივე მელოდიას.

კვარტეტი (ლათ. quartus ოთხი) – ოთხი მუსიკოსისაგან შემდგარი ანსამბლი ან ასეთი ანსამბლისათვის შექმნილი ნაწარმოები.

კვინტეტი (ლათ. quinta ხუთი) – ხუთი მუსიკოსისაგან შემდგარი ანსამბლი ან ასეთი ანსამბლისათვის შექმნილი ნაწარმოები.

კლავესინი – სიმებიან-კლავიშებიანი საკრავი, გარეგნობით ჰგავს პიანინოს და ყველა კლავიშებიანი საკრავების წინაპარია.

კლავიატურა (გერმ.) – ფორტეპიანოს კლავიშთა ერთობლიობა.

კლავიკორდი (ლათ. clavis „გასაღები“, chorde „სიმი“) – ფორტეპიანოს წინამორბედი ოთხოქტავიანი კლავიშებიანი საკრავი.

კლავირშტუკი (გერმ. klavierstück) – საფორტეპიანო პიესა.

კომპოზიცია (ლათ. compositio „ნაწარმოების შედგენა, შეთხზვა“) – მუსიკალური ნაწარმოების შექმნა.

კოლაჟი (ფრანგ. collage „შენებება“) – მუსიკაში სხვადასხვა დამოუკიდებელი მოტივებისგან შედგენილი ახალი მუსიკალური ნაწარმოები.

კონსერვატორია – (იტალ. „თავშესაფარი“) – უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი.

კონსონანსი (ლათ. consono) – ორი ან მეტი ბგერის შერწყმული ხმოვანება. კეთილხმოვანი ინტერვალებია: წმინდა პრიმა, კვარტა, კვინტა და ოქტავა, დიდი და პატარა ტერციები და სექსტები, ასევე, აკორდები, რომლებიც ამ ინტერვალებისგან შედგება.

კონტრაპუნქტი – (ლათ. punctum contra punctum „წერტილი წერტილის წინააღმდეგ“) – მუსიკაში რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ან მელოდიის ერთდროული, ჰარმონიული შეწყობა.

ლ

ლაიტმოტივი (გერმ. leitmotiv - „წამყვანი მოტივი“) – მუსიკალური მოტივი, ძირითადი თემა, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, გრძნობასა ან საგანთან და თან ახლავს მის გამოჩენას, დროდადრო მეორდება. გვხვდება ოპერებში, ბალეტებში და პროგრამულ მუსიკაში.

ლეგატო (იტალ. legato) – ბგერების გადაბმულად სიმღერა ან დაკვრა.

ლენდლერი – ავსტრიულ-გერმანული ხალხური ცეკვა.

ლოტბარი – მომღერალთა ანსამბლის ან გუნდის ხელმძღვანელი.

ლიბრეტო (იტალ. libretto „პატარა წიგნი“) – ოპერის სიტყვიერი ტექსტი, რომელშიც გადმოცემულია ოპერის შინაარსი.

მ

მაჟორი (ფრანგ. majeur „დიდი“, „მტკიცე“) – მუსიკალური კილო.

მარში (ფრანგ. marche „სიარული“, „სვლა“) – მუსიკალური ნაწარმოები მკაფიო, მწყობრი რიტმით, ზომა – 2/4 ან 4/4.

მელიზმი (ბერძნ. melisma) – მცირე მელოდური სამკაული, ძირითადი მელოდის შემამკობელი ფიგურები.

მელოდია (ბერძნ. melodia „მღერა“, „ჰანგი“) – ბგერების თანმიმდევრობა, რომელიც გარკვეულ დასრულებულ მუსიკალურ აზრს გამოხატავს.

მესა – საეკლესიო მუსიკალური ჟანრი, საგალობლების ციკლი, რომელიც კათოლიკურ ეკლესიაში სრულდება წირვის დროს, მრავალწინი ნაწარმოები სოლისტი მომღერლების, გუნდისა და ორკესტრისთვის.

მეცოპიანო (იტალ. *mp*) – ზომიერად ხმადაბლა შესრულება.

მეცოფორტე (იტალ. *mf*) – ზომიერად ხმამაღლა შესრულება.

მინიატურა (იტალ. miniatura „მცირე“) – პატარა მუსიკალური პიესა.

მინორი (ფრანგ. mineur „მცირე“, „პატარა“) – მუსიკალური კილო.

მონოქორდი (ბერძნ. monos „ერთი“, chorde „სიმი“) – ერთსიმნიანი საკრავი.

მოტივი (იტალ. motivo „საფუძველი“, „მამოძრავებელი ძალა“) – მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის უმცირეს ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს მელოდის ხასიათსა და განწყობას.

მუსიკა (ბერძნ. musike, musikea „მუზისეული“, „მუზებისათვის განკუთვნილი“) – ხელოვნების დარგი, რომელიც სინამდვილეს ასახავს მუსიკალური მხატვრული ფორმებითა და განსაზღვრული წესით ორგანიზებული მუსიკალური ბგერების მეშვეობით.

ნ

ნევმები (ბერძნ. „სუნთქვა“) – მუსიკალური დამწერლობის შუასაუკუნოვანი სისტემა.

ნოტი (ლათ. nota „ნიშანი“) – მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი.

ო

ოპერა (იტალ. opera „ნაწარმოები“, „წამყვანი“) – მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც ერთმანეთს ეხამება ვოკალური (სოლო, გუნდი, ანსამბლი) და ინსტრუმენტული მუსიკა, ცეკვა, მხატვრობა, სცენოგრაფია.

ორკესტრი – მუსიკოსთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ერთდროულად უკრავენ სხვადასხვა საკრავზე.

ოსტინატო (იტალ. ostinato „დაჟინებით“, „ჯიუტად“) – ერთი ბგერის, მელოდური ფრაზის ან რიტმული ფიგურის მრავალჯერ დაჟინებული განმეორება.

პ

პა-დე-დე (ფრანგ. pa de deux „ორის ნაბიჯი“) – ბალეტში – წყვილის ცეკვა.

პანტომიმა (ბერძნ. pantomimos „რაიმეს მიბადვით განსახიერება“) – უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირობები აზრებსა და გრძნობებს შესტებით, მიმიკით გადმოსცემენ.

პარტია – ცალკეული ინსტრუმენტის ან ხმისათვის დანერგილი მუსიკა.

პარტიტურა (იტალ. „განანილება“, „დაყოფა“) – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა (ვოკალური და ინსტრუმენტული) პარტიის ერთობლიობა; ნოტების წიგნი, რომელიც შეიცავს ნაწარმოების ყველა პარტიის ჩანაწერს.

პასიონი (ლათ. *passion* „წამება“, „ვნება“) – მუსიკაში ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები, აგებული სახარებისეულ ტექსტზე.

პაუზა (ლათ. „შენწყვეტა“, „გაჩერება“, „შესვენება“) – მუსიკალური ჟღერადობის შეჩერება გარკვეული ხნით, ასეთი შეჩერების აღნიშვნა.

პენტატონიკა – ხუთი ბგერისაგან შემდგარი ჩინური კილო.

პიანისიმო (იტალ. *pp*) – ძალიან ჩუმად სიმღერა ან დაკვრა.

პიანო (იტალ. *piano*) – ჩუმად სიმღერა ან დაკვრა.

პიესა (ფრანგ. „ნაწარმოები“) – მცირე ფორმის მუსიკალური ნაწარმოები.

პიციკატო (იტალ. *pizzicato*) – სიმებიან-ხემიანი საკრავების სიმებზე თითის გამოკვრით დაკვრა.

პოპმუსიკა – თანამედროვე პოპულარული საესტრადო მუსიკის გავრცელებული სახეობა.

პოპური (ფრანგ. „შერეული კერძი“) – მუსიკალური პიესა, რომელიც სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ამოღებული მუსიკალური ნაწყვეტებისაგან შედგება.

პრეამბულა (ფრანგ. *préambule* „შესავალი“) – მუსიკალური ნაწარმოების შესავალი.

პროგრამული მუსიკა – ინსტრუმენტული მუსიკა, სადაც კომპოზიტორი ნაწარმოების შინაარსს წინაწარ განსაზღვრავს, ზოგჯერ სათაურით, ზოგჯერ კი ლიტერატურული წინასიტყვაობით.

ჟ

ჟანრი (ფრანგ. „სახეობა“) – მუსიკალური ნაწარმოებების ნაირსახეობა.

რ

რაგა (სანსკრ. „ფერი“ ან „ჟანრი“) – ძველი ინდური ტრადიციული მუსიკის საფუძველი.

რეგენტი (ლათ. *regent* „მმართველი“) – მგალობელთა გუნდის ლოტბარი.

რეგისტრი (ლათ. *registrum* „სია“) – მუსიკალური საკრავის ან მომღერლის ხმის ბგერითი დიაპაზონის მონაკვეთი. მუსიკალურ ბგერებს ვაჯგუფებთ დაბალ, საშუალო და მაღალ რეგისტრებად.

რეკვიემი (ლათ. *requiem* „განისვენე“) – სამგლოვიარო მესა; სამგლოვიარო ხასიათის დიდი ფორმის ნაწარმოები სოლისტი ვოკალისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის.

რეჩიტატივი (იტალ. *recitativo* „დეკლამირება“) – მელოდია, სიმღერა, რომელიც ჩვეულებრივ მეტყველებას უახლოვდება.

რიტმი (ბერძნ. *rhythmos* „თანაზომიერება“, „სიმწყობრე“) – სხვადასხვა გრძლიობის ნოტების თანმიმდევრობა, მუსიკალური მოძრაობის საფუძველი.

ს

სეკვენცია (ლათ. „მიმდევრობა“) – მელოდიის მცირე მონაკვეთის, მოტივის გამეორება გამის სხვადასხვა საფეხურიდან აღმავალი ან დაღმავალი მიმართულებით. მოტივს, რომელიც მეორდება სეკვენციის რგოლს უწოდებენ.

სემპლი (ინგ. *sample*) – კომპიუტერულ პროგრამაში ბუნებრივი ხმის ციფრულ ხმოვან სიგნალად გადაყვანა ანუ ციფრული ხმოვანი სიგნალი, ხმა.

სიმფონია (ბერძნ. „თანაჟღერადობა“) – დიდი ფორმის ნაწარმოები სიმფონიური ორკესტრის შესრულებით.

სიუიტა (ფრანგ. *suite* „თანამიმდევრობა“) – დიდი ფორმის ნაწარმოები, რომელიც საერთო შინაარსით გაერთიანებულ რამდენიმე კონტრასტულ ნაწილს ან პიესას მოიცავს.

სოლისტი – მუსიკოსი ან მომღერალი, რომელიც მარტო უკრავს ან მღერის.

სოლო (იტალ. „მარტო“, „ერთადერთი“) – ერთი ვოკალისტის ან ინსტრუმენტალისტის შესრულება.

სონატა (იტალ. *sonata* „ჟღერადობა“) – ერთი ან ორი საკრავისთვის დაწერილი დიდი ფორმის ნაწარმოები.

სონატინა – მცირე ფორმის სონატა.

სტაკატო (იტალ. *staccato*) – ბგერების მოწყვეტით შესრულებას ნიშნავს.

ტ

ტემპი (ლათ. tempus „დრო“) – ნაწარმოების შესრულების სიჩქარე.

ტონიკა (იტალ.) – ტონალობის პირველი საფეხური.

ტრიო (ლათ. trio „სამი“) – სამი მუსიკოსისაგან შემდგარი ანსამბლი, ან ასეთი ანსამბლისათვის შექმნილი ნაწარმოები.

ტრეკი (ინგლ. track „ნაკვალევი“, „ბილიკი“) – მუსიკალური, ხმოვანი ბილიკი. კომპიუტერულ პროგრამაში ტრეკებზეა განლაგებული ადამიანის, საკრავის და ნებისმიერი სხვა ხმა.

უ

უვერტიურა (ფრანგ. ouverture „დასაწყისი“, „გახსნა“, „შესავალი“) – ოპერის, ბალეტის, ოპერეტის შესავალი; მე-19 ს-ში ერთნაწილიანი, დამოუკიდებელი საორკესტრო ნაწარმოები.

უნისონი (იტალ. unis „ერთი“, sonus „ბგერა“, „ხმა“) – ერთი და იმავე მელოდის ერთ ხმაში ან ოქტავაში შესრულება რამდენიმე მომღერლის, გუნდის ან საკრავის მიერ.

ფ

ფანფარა (იტალ. fanfara) – ძველებური სასიგნალო ჩასაბერი საკრავი, საყვირის ნაირსახეობა. იგი ისეა მოწყობილი, რომ, უმეტესად, სამხმოვანების ბგერებს იღებს. ასეთი ინტონაცია-სიგნალები თითქმის ყველა სამხედრო მარშში გვხვდება.

ფერხული – წრეში ცეკვა-სიმღერა.

ფინალი – იტალიური სიტყვაა და დასასრულს ნიშნავს, მუსიკაში კი მუსიკალური ნაწარმოებების (სიმფონია, კონცერტი, კვარტეტი და ა.შ.) დასასრულს – დასკვნით ნაწილს.

ფოლკლორი (ინგლ. „ხალხური სიბრძნე“) – მუსიკალური ფოლკლორი ხალხურ მუსიკას ნიშნავს.

ფოლკლორისტი – მეცნიერი, რომელიც სწავლობს ხალხურ შემოქმედებას.

ფორტე (იტალ. *f*) – ხმამაღლა შესრულება.

ფორტისიმო (იტალ. *ff*) – ძალიან ხმამაღლა შესრულება.

ფრაზა (ბერძ. phrasis გამოთქმა) – 1. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. 2. მუსიკალური თემის პატარა, შედარებით დასრულებული ნაწილი. ფრაზა შეიძლება შედგებოდეს ორი ან სამი მოტივისაგან.

ქ

ქორალი (გერმ. Choral) – ერთი ან მრავალხმიანი საეკლესიო საგალობელი.

ც

ცეკვა – მუსიკალური ჟანრი, რომელშიც სხეულის მოძრაობა მუსიკის თანხლებით გარკვეულ შინაარსს გადმოსცემს.

ციკლი (ბერძნ. kyklos „წრე“) – მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები, სადაც ნაწილები გარკვეული თანმიმდევრობით, კონტრასტის პრინციპით არის წარმოდგენილი.

ხ

ხემა – ხის ჯოხი, რომელზეც გაჭიმულია ცხენის ძუა. ხემით უკრავენ ვიოლინოზე, ჩელოსა და ზოგიერთ სხვა სიმებიან საკრავზე.

ჯ

ჯაზ-ბენდი (ინგლ.) – ჯაზ-ანსამბლი.

ჰ

ჰიმნი (ბერძნ.) – სადიდებელი სიმღერა.

მასწავლებელთა რეცენზიები რუბრიკისთვის „გაიმღერე და შეიყვარე ოპერა“

1. ახალი სასწავლო სტანდარტის მიხედვით, ახალი სახელმძღვანელოს ავტორებმა შემოგვთავაზეს, მონაწილეობა მიგველო ახალ ექსპერიმენტში – „გაიმღერე და შეიყვარე ოპერა“. ვიდრე შევუდგებოდი კონკრეტული დავალების შესრულებას, მოსწავლეებს გავაცანი კომპოზიტორ ჟორჟ ბიზეს ბიოგრაფია. მოვუყევი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი დეტალები, შემდეგ, ოპერა „კარმენის“ მოკლე სიუჟეტი, რამაც მოსწავლეებში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. ვაჩვენე აგრეთვე, ნაწყვეტები ოპერიდან. ამის შემდეგ, ყურადღება შევაჩერე კონკრეტულად შესასწავლ მასალაზე – „ბიჭუნათა გუნდზე“. მოვისმინეთ გუნდის საორკეტრო ვარიანტი. მოსწავლეების ნაწილმა თავიდანვე სწორად შეძლო რიტმული ნახაზის შესრულება. ყოველი გამეორების შემდეგ, თანდათან მთელი კლასი ჩაერთო. ყურადღება გავამახვილეთ საკრავთა ჟღერადობაზე და დაგვებადა იდეა, სიმფონიური ორკესტრის როლი მოგვევსო. კლასი გაიყო ორ ნაწილად – გოგონები ასრულებდნენ მაღალი რეგისტრის საკრავების იმიტაციას, ვაჟები კი – საყვირებისა და დაბალი რეგისტრის საკრავების.

ვფიქრობთ, მოსწავლეებისათვის ძალიან სახალისო აქტივობა იყო. ამავე დროს, საოპერო ჟანრის მიმართ უფრო მეტად გაუღვივდათ ინტერესი. მნიშვნელოვანია, რომ თვით ისეთი მოსწავლეებიც კი ჩაერთვნენ აქტივობაში, რომლებსაც თავიდან გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდათ.

ლალი ბერიძე, მანანა ცხომელიძე
ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის I საჯარო სკოლა

2. სიამოვნებით ჩავერთეთ ახალი სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შემოთავაზებულ ექსპერიმენტში – „გაიმღერე და შეიყვარე ოპერა“. ახალი თემატიკა და საინტერესო აქტივობები უფრო ხალისიანს და შემოქმედებითს, სრულყოფილს ხდის მუსიკის გაკვეთილებს. მსოფლიო მუსიკალურ მონაპოვართან, ამ შემთხვევაში, საოპერო მუსიკასთან, ზიარებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში. ისინი დაინტერესდნენ ჯ. ვერდისა და ჟ. ბიზეს შემოქმედებითა და ბიოგრაფიით, აგრეთვე, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებით, განსაკუთრებით 136-ე ფსალმუნით, რომელიც საფუძვლად უდევს ვერდის ოპერა „ნაბუქოს“ ებრაელთა გუნდს „Va, pensiero“ და იტალიის არაოფიციალურ ჰიმნად ითვლება. ბავშვები მას სიამოვნებით ასრულებენ. ისინი დამპირდნენ, რომ, როცა გაიზრდებიან და „ლა სკალაში“ იმღერებენ, მეც აუცილებლად დამპატივებენ და მომასმენინებენ საკუთარი შესრულებით ამ შედეგს.

ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენიდან“ ბიჭუნათა გუნდი სრულდება ისეთი ხალისით, რომ მთელ სკოლას გადაედო საზეიმო განწყობა. ჩემი მიზანია, გემოვნებიანი და განათლებული თაობის აღზრდა და ახალი სტანდარტით, ნამდვილად შესაძლებელია მიზნის მიღწევა.

საოპერო ფრაგმენტების გამღერება საჯარო სკოლაში, არის ის ინოვაციური ძიების გზა, რომლითაც მოსწავლეები, შეგვიძლია, დავაახლოვოთ ოპერას, როგორც ყველაზე რთულ და თითქოსდა „განყენებულად“ მდგარ ჟანრს სკოლის სივრცისთვის. არასდროს დამავინყდება მოსწავლეების ოპერასთან შეხვედრის სურვილით სავსე წერილები, თუ როგორ ელოდებოდნენ ისინი იმ დღეებს, როცა ერთად ვიმღერებდით ფრაგმენტებს ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან „აბესალომ და ეთერი“ – „ნამნამსა და ნამნამს შუა“, „დაისი“ – „ღვინოვ, კახურო“ და ვ. დოლიძის ოპერიდან „ქეთო და კოტე“ – „სალამი მასპინძელსა“.

მოსწავლეების მიერ საოპერო ნომრებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ გამახსენა ქართული მუსიკის ისტორიის ის პერიოდი, როდესაც თბილისში იტალიური ოპერები იდგმებოდა და ქართველები მას მყისიერად, ქართულ ენაზე, ხალისითა და სიყვარულით ასრულებდნენ. ეს მოვლენა მაფიქრებინებს იმას, რომ ქართველის აზროვნებაში თავისთავად დევს ეს ღვთიური მარცვალი – სიმღერის, გამღერების უნარი. დავნერგოთ ეს სიახლე სასკოლო სივრცეში, ვასწავლოთ მოსწავლეებს გემოვნებიანი, აკადემიური, მაღალესთეტიკური მნიშვნელობის მუსიკა, რომელიც ზუსტად იმ უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს, რომელსაც შემოქმედებითობა და ინტერპრეტაცია ითვალისწინებს.

სპეციალურად გადამუშავებული საოპერო ნომრების მინუს ფონოგრამები იოლად აღსაქმელი და სახალისო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის. საოპერო ფრაგმენტებზე მუშაობის პროცესი დაემთხვა ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ერთსაუკუნოვან იუბილეს, რომელსაც ღია გაკვეთილი მივუძღვენი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები „აბესალომ და ეთერის“ თემაზე, ამის შემდეგ, ერთად მოვისმინეთ ოპერის ჩანაწერი. დარწმუნებული ვარ, ჩემი მოსწავლეები დიდხანს იმღერებენ უკვდავ ფრაგმენტებს ჩვენი ეროვნული საოპერო მუსიკის საგანძურად.

ნანა ჭავჭავანიძე
თბილისის 58-ე საჯარო სკოლა, კერძო სკოლა „ივერონი“

